

652
1999

საქართველოს
ქართული

8
1999



იქმნებოდა აჭარა

(51)

დაარსებულია 1958 წელს

რა მუშენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, კვირვასი ბედით...
ქალაქი - ჩვენი ქვეყნის შანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ბათუმი

ავვისტო, №-8

1999

საქართველოს მფარველთა კავშირისა და აჭარის
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

გურამ გორგილაძე

ანდორ კულა

გენრიეტა ქუთათელაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)

ხათუნა შუშანიძე
(მხატვრული რედაქტორი)

ტასო ცხომიძე
(ტექნიკური რედაქტორი)

საკონსულტაციო საბჭო:

ვახტანგ ახვლედიანი

ნური ვერაძე

შოთა გომიძე

ლავით თვლორაძე

ოტია იოსელიანი

ლავით გუგუშვილი

ალექსანდრე სამსონია

რამაზ სურგულაძე

თამაზ ჯანაშია

ამირან ხაბაში

ფრიდონ ხალვაში

ჯემალ ჯაყელი

პოეზია, პროზა

ჯემალ ჯაყელი

მე, ჟამთაბერი ვბრძანებ, რამეთუ...

(ისტორიული ბალადა)

ედგენება ქართული საზღვრმწიფოებრიობის
სამიათასწლოვან თარიღს



და... მოველ თქვენთან ებოქის სული,
მე, ჟამთაბერი, სული მარადი,
მემატიანე ჟამთსაბრუნავის —
ყველა დროის და ყველა ებოქის.
დროის ნებაა ბრძანება ჩემი,
რადგანაც მე ვარ ნება ხილული
და უხილავი ძალა განგების.
მიძევს მაჯაზე სამიათასი
წელი გაჩენის და გადარჩენის!...

* * *

მოდრკეს წინაშე ჩემთა ყოველი,
მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
ჟამთაგან ავთა შთენილი კვალად
შვილები ტომთა ქართლოსიანთა,
ესოდენ უმწყსო და უფარებო,
ვითარცა ცხვარი — კერძი ავისა,
რომ არ დაეცეს, არ განიწიროს
სხვა ტომთა ლიზღით არ აღიგავოს
და ფუძე ენა ქართლოსიანთა
არ შეილახოს, არ შეიბინდოს.
დრო არს მოძმეთა ტომთა ერთობის,
დრო არს ქვეყნისა მოზღუდულობის,
ქვეყნისა ჩვენის ტომთა კეთილთა,
უფრორე იმავე კოლხთა, ტაოხთა,
უფრორე იმავე გუძართა, კლარჯთა,
იბერთა ჩვენთა, მაკრონთა, ხალდთა,
ჰენიოხთა თუ სკვითინთა ფიცხთა,
მარგველთა, ესდენ კეთილთა, დინჯთა...
ყოველთა მაღალ კეთილთა ზნითა!
ერთიან ზრახვით და მიტევებით,
ფუძეენისა ჩვენისა ძალით,
მიწა-წყალისა ჩვენისა მაღლით,

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

21.282

და ცარგვალისა ჩვენისა ნათლით
 შეიქმნას ცისფერ სვეტივით სუფთა
 სახელმწიფო და სამეფო ჩვენი!
 შეიქმნას სრულად, ესდენ ძლიერად,
 მე, ჟამთაბერი ვბრძანებ, რამეთუ!..

* * *

ბრძანა და მალე თვალს მიეფარა,
 როგორც მიმწუხრი და როგორც სული,
 შეუშინარი, ვითარ უხორცო
 და მოლოდინი, ვითარ დღე ზვალის...
 ...მერმედ, ვით არის სესხი და ვალი,
 ნების სიმტკიცით და ძალით რვალის
 ისევ ინება და შემობრძანდა,
 ვით უცილობლად შემოსვლა ზვალის!

* * *

ვბრძანებ მე ყოველთა ლოცვათა მრწამსი
 და მეფე თქვენი, მეფე და მწყემსი,
 გარდმოვლენილი განსასჯელ დროთა,
 ჟამთსაბრუნავით გარნა გზებიდან.
 შემოჰკაპრთ ზარი დაჯახებისა
 მქისე სხეულის სხეულთა ზედა,
 რომ ემცნოს ყოველთ სასმენელთ უმაღ
 ცემა ზარისა!
 შეკრბენ სასმენად
 ბრძანების ჩემის,
 ბრძანების ჩემის!..
 ემცნოთ ნებაი ცით მოვლენილი
 კაცთა წინაშე ქვეყნისა ამის.
 ემცნოთ ყოველთა აზრითა სრულით
 ნებაი ყოვლად ზენაარსისა,
 გაცხადებული მიერით ჩემით!
 ემცნოს და მოღრგის წინარე ჩემთა,
 რამეთუ მე ვარ მეფე და მწყემსი
 და ვბრძანებ ესრეთ შეუქცევლად —
 შეიქმნას ნათლის სვეტივით სუფთა
 სახელმწიფო და სამეფო ჩვენი!..

* * *

ბრძანა და მალე თვალს მიეფარა,
როგორც მიმწუხრი და როგორც სული,
შეუშინარი, ვითარ უხორცო,
და მოლოდინი, ვითარ დღე ხვალის.

* * *

...მერმედ ვით არის სესხი და ვალი,
ნების სიმტკიცით და ძალით რვალის,
ისევ ინება და შემობრძანდა,
ვით უცილობლად შემოსვლა ხვალის!


* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ რამეთუ...
მუშქებს,¹ ნიჭით და ზრდილობით ლაღებს,
არ აურიოს სავალი ეშმამ,
არ გადააკრას თვალეზზე ლიბრი,
არ აცდუნოს და აამოძრაოს
მცირე აზიის აღმოსავლითკენ
დასახლება და კარვის დაცემა.
ზენამ დაადგას კეთილი თვალი
იმათ ჭიშსა და იმათ ჭილაგსა.
საუკუნეთა ჟამთაბრუნვაში
ეპოვოთ მათი დიდი ადგილი.
რამეთუ მათი ხვედრი და წილი
სამოთხის დარი, — მტკვრის ზედაწელი, —
ფოცხოვისა და ჯაყსუს ზვირთებით
მიმონამული არის მამული.
დიდი ნიჭის და დიდი ზნეობის
მომავლის დიდის მოლოდინითა,
მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ
მუშქებს, ნიჭით და ზრდილობით სავსეს,
არ აურიოს გზები მავანმა...

* * *

მტკვარ-არაქსისკენ გაფრინდა მზერა,
 სწორედ იმ ლამაზ თვალსაწიერზე,
 სად მტკვარ-არაქსის კულტურად¹ თქმულა
 სოფლები იგი საგვარეულო.
 სოფლები იგი ერთიან გვართა
 მტკიცედ გადიქცეს ერთსულ, რამეთუ
 ერთობა იგი არის გატანა.
 მასთან უძლური არის სატანა.
 ...გვარი, სხვა გვარით არის დღეგრძელი,
 კეთილშობილი, მხნე და ძლიერი.
 გვარები იგი ისევ გვარებით,
 სოფლები იგი ისევ სოფლებით.
 მიჯრით სახლები ისევ სახლებით,
 მიჯრით ღობენი ისევ ღობენით,
 კაცი — სოფლისთვის, სარი — ღობისთვის.
 ღობე თემისთვის, თემი ქვეყნისთვის!
 ნუ იბატონებს სიტყვები მქისე
 და გამმიჯნავი — „ჩვენ“ და „ისინი“
 ჩვენთა კეთილთა მოძმეთა შორის!
 ხამს ძლიერება სისხლის და გენის,
 კაცის და ბურჯის, ხიდის და ღობის,
 ხამს!
 და მოვედი სული დროისა,
 მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
 მოდრკეს ყოველი წინაშე ჩემთა,
 დასთმოს ცდუნება ეშმას, ართვალის,
 წამოიმართოს განგების ნებად
 განტევებულნი ერთი კერიდან
 დაუსაბამო ჟამთსაბრუნავით
 და წოდებული ქაროლოსიანად!..
 შეიკრას, ვითარ სხივები მზისა
 შეიკრას, ვითარ ოქრო-ძნა პურის.
 გაერთსულოვნდეს ზრუნვით და საქმით
 მტკვარ-არაქსისა სოფლები იგი:
 სირიმუთარა თუ კურიანთა,
 თარიუნია თუ ჯანნი,
 აფურ — იგანი, ქათარზა, ლუშა,
 ეს — სატომონი მცირეთა მცირე.
 დაღა თუ ოქრო ძნაი პურისად

1. მტკვარ-არაქსის კულტურა — ასე იწოდებოდა შემდგომ საუკუნეებში



არ შეიკრება,
დარჩება, ვითარ
განტევებული ცხვარი უგონო,
კერძი ართვალის, კერძი ავისა.
შეიკრას ვითარ სხივები მზისა
მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ!..

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ
ბრძანება არის ძახილი დროთა...

* * *

ბრძანა და მალე თვალს მიეფარა,
როგორც მიმწუხრი და როგორც სული,
შეუშინარი ვითარ უხორცო
და მოლოდინი ვითარ დრო ხვალის.

* * *

...მერმედ, ვით არის სესხი და ვალი,
ნების სიმტკიცით და ძალით რვალის,
ისევ ინება და შემობრძანდა,
ვით უცილობლად შემოსვლა ხვალის:

* * *

მიძევს მაჯაზე სამიათასი
წელი დარჩენის და გადარჩენის.
მე მის საწყისთან ვდგევარ რამეთუ...
დაიღოს ფიცის ქვა მარადისად,
გაერთიანდეს ლამაზი კოლხას
და დიაოხას ტომთა შვილები.
ეს — შუაწელი მრუმე ფასისის,¹
ანუ მომავლის მღვრიე ჭოროხის.
სადიაოხო — ეს სატაოხო,
მხარე ცხებული ღვთიური მადლით,
ლამაზი, როგორც ასული მზისა
და უხვი, როგორც ასული ღვთისა
და საესე, როგორც ასული შიოს,
კოლხთა სიშორემ არ მოამშოოს.
გაერთიანდეს ერთგენოვანი
დიაოხი და კოლხა ღვთიური.
და თუ ეს არის: ოღენ მცდელობა
და ნაბიჯები არარაისი,
მაშ, დღეგრძელ იყოს მცდელობა იგი,
ასეთ მცდელობას — მზეი ხვალისი.
ამაში არის ლამაზი ნდობა
და დედისერთა მშვენიერება!

1. იგულისხმება ჭოროხის შუაწელი, დიაოხი, ტაოხი -ტაო.

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
ბრძანება ესე არის მაღალი
და უმძაფრესი ძახილი დროის.
დროის ძველის და დროის ახალის.

* * *

ბრძანა და მალე თვალს მიეფარა,
როგორც მიმწუხრი და როგორც სული,
შეუშინარი, ვითარ უხორცო
და მოლოდინი, ვითარ დღე ხვალის.
...მერმედ, ვით არის სესხი და ვალი,
ნების სიმტკიცით და ძალით რვალის
ისევ იწება და შემობრძანდა,
ვით უცილობლად შემოსვლა ხვალის!

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
ერთმთლიანობის სახმილკიდებით
შეიქმნას მცირე ტომთა ერთობა,
რამეთუ ძლევას ერთიანობა
ამკვიდრებს კაცთა, ოჯახთა, ტომთა
ქვეყანათა და სახელმწიფოთა...
ასე იქნება სახელმწიფოთა
ძლევად შინაურ მტრული ტომების,
ძლევად გარეშე მტრული ტომების,
ძლევად მოძალეთ, მეტადრე სკვითთა,
ფიცხელთა სკვითთა მძაფრთა ესოდენ,
რაც ემუქრება კოლხას მშვენიერს,
გინა ასურეთს, გინა ურარტუს...
და ყველას, ვისზეც აღსდგება იგი
ვითარ ძლიერი უძლურსა ზედა.
მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
განტევებული ცალკერძ ტომები
კერძნი არიან სხვათა და სხვათა
ამიერიით და ამისმიერიით
ერთმთლიანობის სახმილკიდებით
შეიქმნას მცირე ტომთა ერთობა:
ფასის-ჭოროხის, ფასის-რიონის,
ათინასი თუ... კაპადოკიის,

რომ გაძლიერდეს ვარჯი — ნაყარი
 ფუძენისა ქართლოსიანთა.
 რომ გაძლიერდეს ფესვი ნახარი
 ფუძე ქვეყნისა ქართლოსიანთა.
 მოიხმეთ მამრნი კვიტაიითა,
 აიათი თუ ილდამუშათი,
 ოძხრით თუ წუნდით, უტუხაითი,
 მწვანე კიკნოსით, მთლად აიათი,
 ანუ ქვეყნისა სრულიად კოლხთა
 და როს ბჰის კართან დამემუხლება
 აქლემი იგი სიბერის ჟამის
 და აიეტიდებს¹ გადაეცემა
 კვერთხი სამეფო მადლის იმედად, —
 საუკუნეთა ქარტეხილებში
 აღიმართება მდედრი ლამაზი.
 მას დასწამებენ სიავეს მრავალს...
 იგი იქნება უგრძნეულესი,
 ქართლოსიანი გენის ზეიმი.
 აია-ქვეყნის სურნელოვანი
 მიწის ყვავილი, პირად კეკლუცი!
 ვითარ დოსტაქარს, გრძნეულს და უფალს,
 რომლის ფერებით შეიღებება
 ლემი, ალამი, დროშა, დროშაკი
 და მას ერქმევა წამაქცეველი
 მშვენიერების ქალი... მედეა!

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
 საბერველ კერებს მოედოს ხვატი,
 გადიქცეს იგი ცეცხლის გენიად
 და გამოიწრთოს რკინა ხალიბთა.
 ხალიბთ მახვილი უუმტკიცესი
 ხალიბთა რვალად, რკინად ხალიბთა
 იწოდებოდეს ის აჰიერით!
 და პირველობის ქუდის სიმძიმეც
 მიეზღოს მას და იქმნეს აჰიერ
 აჭარა-კოლხას ჰიყნის ფშანებში
 გაჩაღებული კერა ხალიბთა,
 ცეცხლის გენია ქცეული რვალად
 დიდხელოვნება დნობისა რკინის!
 მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...

1. აიეტის დინასტიის წარმომადგენლები შემდგომ საუკუნეებში

* * *

ბრძანა და ისევ თვალს მიეფარა,
როგორც მიმწუხრი და როგორც სული,
შეუშინარი, ვითარ უხორცო
და მოლოდინი, ვითარ დღე ზვალის.
...მერმედ... ვით არის სესხი და ვალი,
ნების სიმტკიცით და ძალით რვალის.
ისევ ინება და შემობრძანდა,
ვით უცილობლად შემოსვლა ზვალის.

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
საშურ არს მეტად ერთსულოვნება
ტომთა კოლხურთა, ვით არის იგი:
ამარანტების თუ ბიძერების,
ბეჭირების თუ მოსიკინების,
ტიბარებისა თუ მაკრონების,
საკუთრივ კოლხას თუ ხალიბების!
დიახ, რამეთუ საშურ არს ფრიად
ერთსულოვნება!
და არა ოდენ —
საშურ არს ძმობა დიაენებთან, —
დიაოხებთან, — მთლად ტაოხებთან,
შემეთ შვილებთან — მომავლის შავშთან,
ხუშალხებთან, ქადა-სპერებთან,
ულთუზ-ოლთისის მედგარ შვილებთან.
და ბიანებთან, — დიდი მომავლის
უსახელოვანეს ტბეთთან, ბანასთან...
დიახ, რამეთუ საშურ არს ფრიად
ერთსულოვნება!

და არა ოდენ:
მოყვრობა, ძმობა, ბრძოლა, გატანა,
რამეთუ საქმეს ყოველსა კეთილს
ახლავს მაცილი, ეშმა, სატანა.

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
ერთ საბრძანისში ჩადგეს ყოველი
საგანმგებლონი მცირე-მცირენი,
ხმობილნი ცალკე სკეპტუხებადა.

ერთ საბრძანისში — სკეპტუხი ყველა!
 სკეპტუხი იგი აიას ქვეყნის!
 გინა კოლხეთის ასე მდიდარის,
 და ვალად ედოთ მძღვე აეტიდებს
 პასუხისგება ვერძის და ქალის, —
 ვითარ სიმდიდრის და სილამაზის
 ნიშატი იგი ზღაპრული ქვეყნის
 და ნურასოდეს ქნას ზენაარსმა
 სამლოცველოთა მადლმა ყოველმა,
 რომ განიძარცვოს კოლხთა აია
 და იბერია — იმედი ზვალის,
 და იბერია — გული და მაჯა,
 მომავლის დიდი მთავარმოთავე,
 დიდმომავალი დიდი ქვეყნისა,
 გაღვიძებადი, თვალგახელადი,
 დიდი, ვით არის სიბრძნე ელადის.
 ეხმობა ვისაც ქართლოსიანი.
 ...და ნურასოდეს ქნას ზენაარსმა,
 რომ დარჩეს იგი მიღმა მშვენების
 (ქალის სახით და ქალის სახელით),
 რომ დარჩეს მიღმა შიოს მარანის
 (ვერძის სახით და ვერძის სახელით).
 და თუ დაკარგა, ეპოვოს ამით
 დიდი სახელი უკვდავი ქვეყნის.
 ამ უკვდავებით ეპოქის მერე
 ეპოვოს ვერძთა ვერძი ახალი
 და მედეათა მედეა სრული,
 განმკურნავი და განმადიდები
 აზრთა გენიის, ხორცის და სულის!

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
 სული მაღალთა სამლოცველთა
 წყურვილი განცდილ ჟუჟამო ჟამთა
 და დროის ჩემის ძახილი დიდი...
 ვბრძანებ და ისევ ვბრძანებ, რამეთუ
 კოლხეთის დიადი ჟაერთიანებად
 იწოდებოდეს ევქსინტის პონტის
 აღმოსავლეთის გასამზიარები
 ფასის-ჰოროხის მარცხნივ თუ მარჯვნივ
 და იქეთ, ვიდრე არქტუროსამდე.
 სად იგიონეს ძემან ფასისმა
 მოკლა ღედა და გაღეშვა წყალში,

რის გამოც მერმედ ფასის-რიონად
იწოდება და შემოდის დღემდე.
და როცა აქ — ფასის-ჭოროხის მერმედ
მოიხსენება ფასის-რიონად.

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
უნდა განიერცოს ჭოროხის მარჯვნივ,
აქ, მათიუმი — თეთრი ქალაქი,
ბათუს — უცხოთა სიტყვის მეოხედ
ულრმეს ნაპირთან ევქსინტის პონტის,
სადაც გემები თავს გრძნობენ ლალად,
ვითარ ზღვაშიგან თევზნი ნაირნი
და მის ნაპირას — შვილნი მართალნი
თეთრზე უთეთრეს წრფელი ქალაქის.

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...

* * *

ბრძანა და ისევ თვალს მიეფარა,
როგორც მიმწუხრი და როგორც სული,
შეუშინარი, ვითარ უხორცო
და მოლოდინი, ვითარ დღე ხვალის.
...მერმედ, ვით არის სესხი და ვალი,
ნების სიმტკიცით და ძალით რვალის,
ისევ ინება და შემობრძანდა,
ვით უცილობლად შემოსვლა ხვალის.

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
ამიერიდან მკვიდრობდეს ქვეყნად
მეთემეები!¹
საგვარეულო უპირველესად სამეფოისა
მეთემეები, მეთემეები, უპირველესად მაღალ წოდების.
მეთემეები, მეთემეები დიდმოხელეთა და მეომართა.
დიდ მეომართა ერთსულოვანთა
სამივე ერთად დიდი პატივით
იზრახებოდეს მარადის ერთად.

და მორჩილებდეს მიწათმოქმედი
 მონაი იგი კეთილსაწყისი
 და მოდრკეს ყველა წინაშე ჩემთა.
 რამეთუ მე ვარ სული დროისა,
 რამეთუ მე ვარ ნება დროისა,
 რამეთუ მე ვარ ძახილი ჟამთა,
 ძახილი იმა... მრუმე წარსულთა.

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
 მეთემეები განეწყონ სმენად.
 საგვარეულო ყოველთა თემთა
 იყოს მართალი!
 უწყოდეს უკეთ,
 ვინ დაამცროს და ვინ აღაზევოს.
 დამცრობილს დროზე მიაგოს თვისი
 და აღსაზეველს ასევე დროზე.
 იყოს მშობლიურ ზრუნვით გამთბარი
 ყველა, ვინც ოდეს მოდრკეს, მორბილდეს
 მის წინაშე და დახაროს თავი.
 იყოს!
 იყოს და ყოველთვის იყოს
 თვისებით იგი მაღალი მზისა,
 თვისი სხივები შეუშურველად
 მიმოაფრქვიოს დიდთა, მცირეთა
 მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...

* * *

ბრძანა და ისევ თვალს მიეფარა,
 როგორც მიმწუხრი და როგორც სული,
 შეუშინარი, ვითარ უხორცო
 და მოლოდინი, ვითარ დღე ხვალის.
 ..მერმედ, ვით არის სესხი და ვალი,
 ნების სიმტკიცით და ძალით რვალის,
 ისევ ინება და შემობრძანდა,
 ვით უცილობლად შემოსვლა ხვალის.

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ...
 მაღალზე მაღალ წოდებისანი,
 სწავლულობით და მაღლით ცხებულნი,
 განავრცობდნენ და განადიდებდნენ

ქვეყნის სიდიდეს და სილამაზეს
და შეიცნობდნენ შესაცნობელთა
სწორედ იმის, თუ რაი არს რისად.
კატომცოდნობა და მიწათმცოდნობა
და სიყვარული ორივეს ერთად,
იყოს იმათი ზრუნვის საგანი,
ამოსავალი ფიქრის და აზრის
მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ!..

* * *

ბრძანა და ისევ თვალს მიეფარა,
როგორც მიმწუხრი და როგორც სული,
შეუშინარი ვითარ უხორცო
და მოლოდინი ვითარ დღე ხვალის.
..მერმედ, ვით არის სესხი და ვალი,
ნების სიმტკიცით და ძალით რვალის,
ისევ ინება და შემობრძანდა,
ვით უცილობლად შემოსვლა ხვალის!

* * *

მე, ჟამთაბერი ვბრძანებ, რამეთუ...
იქმნეს სამი რამ უცილობელად.
პირველ: კანონი მიწის და კაცთა
შრომის და ქცევის, ზრახვის და ქმნისა,
ზნეობის, წესის, მოთმენის, ნდობის,
მიწათ ქმედების, ქმნის სიუხვისა
ისე, ვით არი აბრაამ მამის,
ისე, ვით არი შიოს მარანის
ისე, ვით არი სიუხვე ქვიშის,
ისე, ვით არი ვარსკვლავთა ხომლი
და... დაცვა ბაღლთა,
ქალთა, მხცოვანთა,
წესის და რიგის...
ვბრძანებ, რამეთუ...
შეერთდეს სიტყვა, წესი და რიგი,
რომ ერთ მთლიანად წარმოისახოს
ვითარ „წესრიგი“!
და უმთავრესი ქმედების ძალით,
გაამთელოს და გააძლიეროს.
მისი მაღალი სიღრმე და არსი.
მე, ჟამთაბერი ვბრძანებ, რამეთუ...

* * *

იქმნეს სამი რამ შეუქცევლად
 მეორე: სამართალდამცავთ დარბაზი
 და სამართალმა ჭამოს ის პური
 რომ მოიწევა მიწადმოქმედის
 მარჯვენით, ოფლით, გულით და ხელით,
 სამართალ დიდი,
 სამართალ მტკიცე,
 სამართალ ესრეთ მოუსყიდველი.
 იქმნეს სამართლის დამცველთ კრებული,
 ვით ჯილოსანი ათასი თვალის
 პატიოსანის სხივთა მოკრთომის
 სვეტი ნათლისა უუმაღლესი!
 ყველას მიეგოს მხოლოდ თავისი
 სუფთა ხელით და განმსჯელ გონებით.
 მე, ჟამთაბერი ვბრძანებ, რამეთუ...
 იქმნეს სამი რამ შეუქცევადი
 მესამე: ჯარი, — სპა, მხედრიონი,
 ქვეყნის საზღვართან, მდგარი ვითარი
 მოუდრეკელი ქერუბიმები.
 ვითარი ლომი, ანდა ავაზა,
 სიჯიქით რწმენის, ძალის, გატანის,
 დამცველი ქვეყნის, ქალის თუ ბაღის,
 მთლად სიმტკიცისა ვით ბალავარი.
 ვბრძანებ: სამართალდაცვას და კანონს
 და სპას სატომო ქართლოსიანთა.
 დამცველს ქვეყნისა, მხცოვნის, სწეულის,
 დამცველს ქვეყნისა სინდის-ნამუსის!
 და მოდრკეს ყველა წინაშე ჩემთა.
 პატრონთან მთლიან, ერთიან ტომთა,
 მოდრკეს!
 მე ვბრძანებ ამას, რამეთუ
 ვარ დროის სული, ვარ დროის ზრუნვა,
 ვარ დროის ფიქრი, იმედი მისი,
 ვარ უშიშარი, ვითარ უხორცო
 და... ჟამთაბერი — მარადისობა.

* * *

მე, ჟამთაბერი, ვბრძანებ, რამეთუ!..

გენრიეტა ქუთათელაძე

მზის საგალობელი

ლექსები პროზად

* * *



დავბრმავდი თითქოს, დამეშრიტა ნათელი თვალთა,
ალიონისას მაინც ვხედავ ვარსკვლავებს მიმცხრალს,
და გათენებას, ვით ღვთის წყალობას, ისე მოველი...
ფარშევანგევით შეიფრთხილა ფიქრმა ობოლმა

და პალმის ტოტზე შემოსკუპდა მზის მოლოდინში...

ვიღაც მამხნევებს, მაგულიანებს ვიღაც ზეციდან:

— არ ჩაიმუხლო, არ შეშინდე, არ შეეპუო,

გაუძელი და დაითმინე ღღეთა კირთება,

დამე წკვარამი და ჩარაზული ოცნების კარი...

მალე, სულ მალე, მზე ამოვა, ამოანათებს,

მზე გაგიქარვებს ურვას და წუხილს,

სევდას და ნალღვლს,

და შორეული ზმანებების უცხო პეიზაჟს

ფეხქვეშ გაგიფენს...

* * *

არ ვიცი როგორ, არ ვიცი როგორ, გავითავისო მტრის სიყვარული,
ჩემი მოძულე და მაწყევარი დავლოცო როგორ!..

როგორ ვილოცო იმ კაცისათვის,

ვინც ბოროტებას ღიმილით მაფრქვევს,

ვინც მავიწროებს, მღვენის, მაძაგებს...

ვინც აუგ სიტყვას ისე მოისვრის,

თითქოს ბუხარში ცეცხლს აჩაღებდეს...

ღმერთო, მიშველე, ღმერთო, მასწავლე,

ჩემი მოძულე და მაწყევარი დავლოცო როგორ!

* * *

პეპელასავით გამიფრინდა ღღე სიხარულის,

როცა სიზმარი გამახსენდა ამ სისხამ დილით, —

ტყეს ბინდი აწვა, ხეებს მთვრალივით ჩაერგოთ თავი

და გაბმით ოხრავდნენ...

იელვა მთვარემ, ღრუბლის ფარდიდან გამომხედა
და რაღაც მანიშნა...

ხეს, ხეს შევხედე, ალვის ხეს, რხეულს,
ცად აზიდულს და უხვად დატოტვილს, —
ო, ღმერთო ჩემო, რა ხმებს გამოსცემს...
რა აშრიანებს ამ ალვას ასე, ლამის წაიქცეს...
ღმერთო, კეთილად ამიხდინე მე ეს სიზმარი!

* * *

გარდავისახე, დიახ, ნამდვილად გარდავისახე
და რაღაც უცნაურ თევზად ვიქეცი,
რაღა უნდა ვთქვა, როდესაც წყლით საგსე მაქვს პირი...
ვცურავ ზღვისპირას, ვუფრთხი სიღრმეს, რადგან სიღრმეში
დანავარდობენ ვეშაპ-თევზები და ვახშობისას
ძალზე უყვართ მომცრო თევზების ჩახრამუნება...
დიახ, თევზი ვარ, წყლის საუფლოს ვარ ბინადარი,
არ ვარ უგულო, არც უსისხლო, არც უჭიშო ვარ,
ოღონდ ესაა, დავცურავ ზღვაში
და წყლით ისე გამეცსო პირი, ლამის დავმუნჯდე...
სამაგიეროდ, ამეხილა მესამე თვალი...

* * *

გალაქტიკები, გალაქტიკები...
ვარსკვლავებით მოფენილი სამყარო ვრცელი,
დაუსაბამო და უსასრულო
მეპატიჟება ვით მასპინძელი და სტუმრად მიწვევს...
ძახილი მესმის, ძახილი მესმის...
თითქოს ვიღაცა ჩელას აკვნესებს
და შორეული ვარსკვლავთა ზომლი
მიახლოვდება ისე ძალიან,
ისე ახლოა ეს ყველაფერი და ისე შორი,
ისე თანდათან აიწია და ამაღლდა ჩემი ცის ჭერი,
ვერც შევიგრძენი, ცას რომ შევერთე...

* * *

თავზე მეღვრება ვარსკვლავების სხივების ჩქერი
და ფრთებშესხმულმა როცა ირეალურის შევადე ბჭენი,
ვერც სიხარული, ვერც გაკვირვება, აღფრთოვანებაც ვერ შევიძელი...
ეჰ, ვინ ჩაწვდება სიღრმეებს ზეცის,

ან ვარსკვლავების იდუმალი ციმციმის მიზეზს...
 აქ, არყოფნის მყინვარებაში ველარ დაანთებ კოცონს ტრფობისას
 და ვერ გაფანტავ ბურუსს ნაცრისფერს...
 ვერ დაინახავ აისს და დაისს
 და ყვავილებით ამოვსებულ კორდების უბეს...
 აქ, არყოფნის მყინვარებაში...
 ჰა, ირიჟრაჟა, ცამ თანდათან იცვალა ფერი,
 ცა გამონათდა, ცას დაედო ფერი ვარდისა,
 მიწამ დაისხა ტურფა ყვავილნი — მე დავუბრუნდი ჩემს დედამიწას...

* * *

მხრები გამილუმბა წვიმამ, ელვამ შემიკვეცა ფრთები,
 მგონი გამიჩერდა გული, ენაც ჩამივარდა მგონი;
 თვალი დამიბნელდა, თვალი, გონიც წამერთვა მგონი,
 ცას ვარსკვლავივით მოვწყდი და მიწას დავეხალე...
 მაგრამ სურვილი ფრენის შემომრჩა ისევ...

* * *

ვერ დავემალე დინებას ღროის, გავეჭეც ვერსად
 და როგორც ქარი, როგორც მთის ქარი მე ისე გავქერი,
 გავდნი, გავქარდი უცბად მოსული თოვლის წყალივით
 და გავეჭეცი სხეულს ჩანავლულს...
 სული ტკივილით, მწარე ტკივილით გაივსო ისე,
 ვით შემოდგომის კვირაძალზე პირთამდე დოჭი
 და ისე უცებ დაიცალა, ვერც კი გავიგე...
 მერე იმ გზას გავუყევი, საიდანაც ბრუნდება არვინ...

* * *

ხარ გონიერი,
 ხარ კეთილი,
 ხარ მშვენიერი...
 მზე სიყვარულით შემოგაფრქვევს სხივებს ზეციურს,
 შარავანდედით გაგაბრწყინებს უფლის ანგელოზს...
 შენს არსებაში მზეა ჩალვრილი...
 შენ ნათელი ხარ, შენ სინათლის გაღვას გვირგვინი!

მადეას

დროს არ ზომავდი, არ ითვლიდი წუთებს და წამებს
 და დროზე მალლა დადექი კიდეც,
 ოდეს სიყვარულს გაუნსენი აღსავლის კარი...
 ჩამოიტირა ღრუბელმა წვიმად და ჩამომესმა კივილი შენი,
 როს მისტიკურად აუღრიალდა ირგვლივ ყოველი...
 საუკუნეთა მირიადიდან წამოიმართე
 იღუმალს და მშვენიერი...
 გილივლივებდა თვალებში ცრემლი...
 მე საყვედური დავინახე შენს ლურჯ თვალებში,
 მეგრე გოდებაც მომესმა შენი:
 — ვინ გაამრუდა ქორონიკონი,
 — ვინ დამაბრალა ღალატი მამის,
 ქვეყნის ღალატი ვინ დამაბრალა,
 ჩემი შვილები, ჩემი ვაჟები, ვინ, ვინ წამგვარა!
 ოი, სიცრუით დალდასმულო, სულო კოლხეთის,
 გამოაღწიე, რა ცეცხლიდან გამოაღწიე,
 არყოფნის ნისლებს გაუნგრევე სუყველა კარი,
 სიმაღლეს რომ თქვა...
 რომ ერთხელ კვლავ ჩამოუქროლო აიას ბალებს,
 და ის გრძნეული ვარდი იპოვო,
 სულის იარაღს და სიძულვილს კურნავს რომელიც...






დ. ხახუტაშვილი

გამარჯვება



მ. ხეივანი

ეკალიპტები



ანზორ კულბა

საოკალიფსი

ჟურნალი იწუებს ანზორ კულბას ვრცელი რომანის „საოკალიფსის“ ბეჭდვას. ანზორ კულბა საკუთარი ხელწერის მქონე შემოქმედია, რომელსაც შეუძლია ლიტერატურაში შემოიტანოს ჩვენი უოველდ-ლიურობა, ეოფა-ცხოვრება, ის მოვლენები, ჩვენს თვალწინ რომ ხდება. სასიამოვნოა, რომ ეს მარტო თხრობა კი არაა, არამედ თავისი სორცმესხმით, აზროვნებით, მხატვრული სერხებით აღბეჭდილი ლიტერატურაა. ვიმედოვნებ, რომ მკითხველი ინტერესით მიიღებს მწერალ ანზორ კულბას ახალ რომანს „საოკალიფსი“

ამირან ხაბაზი

კარი პირველი

ნამთარს მსხმოიარე მარტი დაატყდა თავს, ზედ დაათოვა და წყალ-შემდგარი, ღღემოკლე თებერვალიც ჩაბარდა პატრონს.

მემატიანემ გათოშული თითები ახალი თოვლით დაიზილა და ექიდნურად ჩაიცინა. ესეც შენი შეპრეკილი მარტიო! აქვე დასვა დიდი ძახილის ნიშანი და ჰორიზონტს შუბლმოჩრდილვით გახედა, — მოდის ის დიდი ტალღა და ნაპირამდე ვერ მოაღწიოს! — იწინასწარმეტყველა თავისთვის, მაგრამ იმ დამძიმებულ წიგნში კი ნაწინასწარმეტყველთვის შეტანა მაინც დაავიწყდა.

წაიღო ფიქრმა მემატიანე: ნამთარში დიდი ამბები უნდა დატრიალდეს... მალე ყალყზე შედგება ქალაქი და ფერშეცვლილ და ნირწამხდარ ნამთარს დიდი მაესტრო, მეტსახელად — შავი სილუეტი დაეპატრონება — დიდი მევიოლინე... ჯადო (ქარი), მოიგვარებს — იყიდის ადამიანის სულს. მემატიანეც იხილა მაესტრო და გაუვარდა ხელიდან ყალბამი.

შუბლი მაესტრომაც მოიჩრდილა და ზღვას მიაჩერდა, — მე შემოძლია ყველაფერი! — შესძახა და იელვა. ელვას ჰექა-ქუხილი მოჰყვა.

ელავს და ქუხს.

ელვა და ჰექა-ქუხილი დაუსრულებელი...

ჩამოიქცა ნამთარში ზე (ცა)...

გაწვიმდა.

თოვლს დაწვიმა და შეილახა პირველ-ყოფილი თოვლის სიწმინდ-სითეთრე.

მარტი მარტია მაინცო, ჩაიწერა მემატიანემ და ჩაუყამდა ჭროლა თვალეები. გული ავს უგრძნობდა და ზურგი შეაქცია ზღვას.

— ნამთარში ჯერ ნიადაგიც არ შემზადებულია ჩემთვის, — თავისთვის ჩაილაპარაკა მაესტრომ და ვიოლინო მოიმარჯვა. ააჯანკალა ხემი და მიჰყვა მელოდიას. ასე გადასცდა ჰორიზონტს დიდი მევიოლინე.

— ნამთარში მართლაც უნდა დატრიალდეს დიდი ამბები. აბა, რას უნდა ნიშნავდეს დიდი მაესტროს გამოჩენა ამჟამინათობისხანს?! აქაურობა დაზვერა?

მაგრამ მოდით და ნამთარი მოვინახულოთ ჯერ — მართლაც რომ მშვენიერი ოდესღაც, თეთრი და ქათქათა ქალაქი, ღღეს ბინდისფერი და ასე შეუხედავი...

აგერ ნამთარი ჩემი! ნამთარ-ქალაქი!

ქალაქი — ზღაპარი, ღღეს

ჩაუბამული (უკვე ვთქვით ერთხელ) და ლაფში ამოსვრილი. ეს რასაც ჰგავსო, აღმოხდა მემბტიანეს, — ასე რამ შეცვალა ნეტა ადამიანი, აბა სად ვნახო ჭეშმარიტი მე ნამთარელი, ბუნებით კეთილი და... პატიოსანი?

მიწისფერი... თითქმის გადაგვარებული სახეები...

ნამთარს ველარ ვცნობ! — წამოიძახებს განაწყენებული მემბტიანე და გააჟრჟოლებს, — ერთი კეთილი კაცი

მაინც მანახა, რომ არ შემძულებოდა ნამთარი და...

პირველად ღვთისმშობლის ეკლესიაში შევიხედავ, კათოლიკმა ზუბალაშვილებმა რომ დაუტოვეს შთამომავლობას.

დღეს აქ მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი იკრიბება... ჰო, სწორედ აქედან ვიწყებ მე ჩემს ოდისეას! — მემბტიანემ ისევ ძახილის ნიშანი დასვა და გუნებაც გამოუკეთდა.

* * *

6 მარტია დღეს. ცხრამეტი შეუსრულდა ომზირ თავდგირიძეს. უთენია მოსულა ეკლესიაში. ცხრამეტი სანთელი აუნთია. დაჰყურებს აალებულ სანთლებს და თვრება მათი სურნელით.

თვალი მოხუჭა და ფიქრმაც წამოუქროლა: „დღეს — ჩემი დაბადების დღეს, ნეტა ვის დავინახავ პირველად, იმ ჩემს ენქიდუს, რომელიც ჩემთვის უნდა მოკვდეს, თუ ქალწულს, ურომლისოდაც აღარ ექნება ფასი ჩემს სიცოცხლეს...“

თვალი გაახილა და:

ეკლესიაში ოქროსფერთმიანი ქალწული შემოდის და პირჯვარს იწერს. თვალს არ აცილებს თვალებწამონებულ ომზირს. მხოლოდ მას ხედავს და არავის — სხვას.

მოდის ომზირისკენ.

„სადაცაა შემოიჭრება ჩემში...“ — გაიფიქრა ომზირმა და გადგა განზე. ომზირის ნამყოფ ადგილზე დადგა ოქროსფერთმიანი ქალწული...

— ომზირს რომ დამიძახებდე... — ასე გამოეცნაურა ქალწულს ყმაწვილ..

— მე კი... ლაურას რომ დამიძახებდე... — გაიღიმა ქალწულმა და ზღვისფერ თვალებში საოცრად თბილი სიხარული ჩაიყენა.

ხელიც საოცრად თბილი და ფაფუკი, ჟრუანტელისმომგვრელი ჰქონდა

ლაურას.

— დღეს ცხრამეტი შემისრულდა, — თქვა ომზირმა და უხერხულად შეიშმუშნა, — ცხრამეტის გავხდი.

— ჩემზე ორი წლით უფროსი ყოფილხარ, ჩემი დაბადების დღე კი ხვალაა, შვიდ მარტს.

— შვიდი მარტი არაა 8 მარტი... — თქვა ომზირმა და იმედის სხივი ჩაუდგა თვალებში.

— დიდი დღე გქონია დღეს, — იღიმება ლაურა, — და რატომ არ ჩააქრობ ამ სანთლებს? ცხრამეტივე ჩასაქრობია. მე ასე ვიცი... წესია ასეთი, შენც ასე უნდა იცოდე მგონია, ომზირ! ჩააქრე ბარემ! სული შეუბერე!

— ჯერ არა! ერთი კიდევ მოვხუჭო თვალი და სანთლებს მერეც ჩავაქრობ... მოვესწრები კიდევ...

როგორც გენებოსო, ჩაილაპარაკა ლაურამ, — მაშინ რაღას ელოდები, დახუჭე თვალი და ჩაუთქვი, რაც გინდა?

ომზირი თვალს ვერ აცილებს ლაურას, მონუსხულივით შეჰყურებს და ფიქრს წაუღია.

ბოლოს, როგორც იქნა, მზერა შემოსასვლელისკენ გადაიტანა და ორივე თვალი მთელი გამეტებით ამოისრისა.

ჩამობნელდა მისთვის მოულოდნე-

ლად და გულმაც იმწამსვე უთხრა, რომ ამ წუთიდან იწყებოდა ომზირ თავდგირიძის ნამდვილი სიცოცხლე — ცხოვრება: „რალაცას ვუკავშირდებოდი თითქოს. ის უნდა მოსულიყო. გზაში იყო და მოეჩქარებოდა ჩემკენ. ეს იყო ჩემი წერა. თვალსაც რომ ვერ ვახელ! — წამოიძახა შეწუხებულმა და კიდევ უფრო მომეტებით ამოიჟღერა ამღვრეულ-აწითლებული თვალები, სიმწვანეში-მინდვრისფერში რომ გადაუდიოდა. თვალგახელილმა პირველად ვერც ვერაფერი გააჩნია. არავინ იყო: უფრო სწორად, რძისფერი სიცარიელე, თითქოსდა ამღვრეული, აჭრილი როგორღაც.

და ამ აჭრილ სიცარიელეში თანდათანობით იკვეთებოდა იგი.

„მიახლოვდება და ისიც იცილებს იმ რძისფერ საბურველს, მთლიანად რომ მოუცავს, როგორღაც მინათდება სული. ასე შემოდის ჩემში იოსები, შემოდის ჩემს ცნობიერებაში.

იღიმებოდა იოსები.

— როგორც იქნა, გამომეცხადე, იოსებ... ხომ გამოაღწიე?

— ეს შენ ხარ, ომზირი! წუხელ გიხილე. ჩემზე მაღალი ყოფილხარ მართლაც! მეზმანე... მიხმობდი, დრო არ იცდისო. მე სამი წლით უფროსი ვარ შენზე, ჯარგამოვლილი უკვე. შენი ჯარში წასვლის დრო უკვე დამდგარა, მაგრამ...

— მე ვერ ვიმსახურებ, იოსებ! არ ვიმსახურებ! თოფს როგორ დავიჭერ ხელში?

— ბარემ ჩაგეჭროთ ეგ სანთლები და მერე მოგეკითხათ ერთი მეორე... — გაიგონეს ყმაწვილკაცებმა ლაურას საყვედურგარეული ხმა და უცებ მოფხიზლდნენ. ღრმად ჩაისუნთქეს ჰაერი (ეს ბოდიშის მოსახდელად) და... ჩაქრა ცხრამეტივე სანთელი.

— იოსებ, მიუღოცე ჩემს დასაც, დღეს ხომ ცხრამეტის გაგხდით ორივე! კრავაი ჩემი დაა... შენ კი — ოცდოთრის,

ხვალ, შვიდ მარტს კი ჩვიდმეტი შეუსრულდება ლაურას! სასწაულთან, სასწაულთან ხომ არ გვაქვს საქმე, ხალხნო?!

„კრავაი თავდგირიძე?! კრავაი — ის გოგო, სამაჩაბლოში რომ შემხვდა! ტყვიებს ეთამაშებოდა მაშინ კრავაი“ თავდგირიძე! ყაყაჩოებში დარბოდა ფეხშიშველა და... რამდენჯერ მოეცარა იმ დღეს თავისი ნაცადი ხელი ოს სნაიპერს. რამდენიც ესროლა, იმდენი დააცილა კრავაის.

ერთი იღბლიანი გამოდგა იმ დღეს, მეორე — უიღბლო...

— რამ ჩაგაფიქრა, იოსებ?

— ისე, უბრალოდ... რალაც გამახსენდა და... წასული ამბავია. — თითქმის ძალით ჩამოიცილა ფიქრი იოსებმა და კიდევ ერთხელ შეათვალიერა ომზირ თავდგირიძე: „ჰო, ის არის, წუხელ ჩემი სიზმრის მოძღვარმა რომ დამანახა!“

„ვიცი, წავა აქედან და თავის დღიურს მიუბრუნდება მაშინვე. აჰა, ახალი გვერდიც გადაიშალა, ჩნდება ახალი ჩანაწერი, ვხედავ. როგორ ივსება პირველი სტრიქონი: „დღეს ომზირ თავდგირიძე გავიცანი მე — იოსებ ნიჟარაძემ. ახლა წინასწარმეტყველება!“ — მიჰყვება ფიქრს ომზირი, თვალნათლივ ხედავს იოსებს, — ჩნდება მეორე სტრიქონიც, — ჩემზე ოთხი თითის დადებით მაღალია, აპოლონივითა! ასე ჩემო, იოსებ, მაგრამ არც ისე თეთრი ვარ, ადრე რომ წარმოგედგინე, თუმცა არც შავგვრემანი მქვია. უფრო შაქრისფერს იტყვიან ჩემზე... არც საოცრად ლურჯი თვალები მქონია... უფრო მომწვანოა ჩემი თვალები, თითქმის მინდვრისფერი.

ფიქრი ძლივს მოიწყვიტა ომზირმა. ომზირ თავდგირიძე:

ზოგჯერ იტყვიან, თვალები გამცნობენო, რას ფიქრობს იმათი პატრონი, მაგრამ ეს ძველი თარგი ნამდვილად არ გამოგვადგებოდა ომზირისთვის. იძირებოდა თქვენ იმის ამღვრეულ

თვალეში და სადღაც მიიკარგებოდით ცნობიერებამიხდილი. ხედავდით, უყურებდით მას. ისიც იდგა თქვენს წინაშე ასე აღმატებული თქვენზე და მისი გავლენის ქვეშ ხვდებოდით თქვენ უნებლიეთ. მერე და მერე აღმოაჩენდით, რომ არაფერი იცოდით ომზირზე; იგი წაუკითხავი წიგნი რჩებოდა თქვენთვის და კიდევ უფრო იზრდებოდა თქვენს თვალში, იზრდებოდა — ცოტაა ნამდვილად, მაღლდებოდა იგი უსაშველოდ.

მოკლედ:

გამოუცნობი ვინმე გახლდათ ომზირ თავდგირიძე (!).

თვითონ კი ზედმიწევნით კითხულობდა შენს ფიქრებს, ვერაფერს გამოაპარებდით!

დრო?

გამარადისებული დრო!

შემობრუნებულიყვენ აწყყომი ომზირიცა და იოსებიც... გაფითრებულ ლაურას უხდიდნენ ბოდიშს.

— გვაპატიეთ... — ხმა აკანკალებოდა ომზირს, — კიდევ კარგი, რომ არ დაგვტოვეთ და...

— ჰო, გვაპატიეთ... — უთრთოდა ხმა იოსებსაც.

— თქვენ მართლა აღარ იყავით აქ... — მოღბა ლაურა, — ვიცი, სხვა დროში მოგზაურობდით... ამაზე მეც მსმენია რაღაც-რაღაცეები... კაი ერთი, ამდენი მობოდიშება რა საჭიროა, — გაიღიმა და დავით აღმაშენებლის ხატისკენ მხრებ-აწურული გაემართა. სანთელი აუნთო დიდ მეფეს და შუბლი გაეხსნა. აანთო მეორე სანთელიც.

„უფროსი ძმა აფხაზეთში მოუკლეს ლაურას... მკვლელი ციმბირელი რუსია... ციმბირელი რუსიო? როგორ შეიძლება ციმბირელი რუსი? ერმაკს თუ ახლდა მისი წინაპარი და... ჩარჩა ციმბირში. ახალი რუსული თესლი ციმბირის დამზრალ მიწაში... მაინც გაიღდა ფესვი! ამოიყარა... ამოსაძირკვავია

იქიდან, ამოსაძირკვავი იქიდანაც... რუსი რუსულ მიწაზე თუ შეიძლება იყოს ნამდვილი რუსი! ჰოო, რუსმა მოკლა ამის ძმა...“ — ხმადაბლა, თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა ომზირმა, — თითქოს მკვლელის სახესაც ვხედავდე, ცხვირ-პაჭუა... ეს უკვე მონგოლური რასიდან მოდგამს. ნეტაი, რანაირი სისხლი გადაუსხეს რუსებს მონგოლებმა?!

— და მაინც წამოვეგეთ რუსის ანკესზე... — ჩაილაპარაკა იოსებმაც, — აფხაზეთი დაკარგულია თითქმის...

„შენც იბრძოდი, იოსებ, აფხაზეთში, თუმცა არასწორად გამოვეთქვი აზრი...“ შენ შენით არც სამაჩაბლოში მოგიკლავს ვინმე... არც — აფხაზეთში... ასე რომ არ ყოფილიყო, ვერც შევხვდებოდით ერთმანეთს... — ჩაფიქრდა და მერე აღარც გაუხმაურებია ფიქრი. ისე კი მაინც დაასრულა: „იქნებ ოდესმე მაინც შემოგაკვდეს ვინმე ვილაცის დიდი ნდომით... მაგრამ შეიძლება ვცდებოდე... ნეტამც ვცდებოდე...“.

— ტირის ლაურა, — გული მოეწურა იოსებს.

— იტიროს, იტიროს და მოიოხოს გული! — გამოეპასუხა იოსებს ომზირი, — ცრემლის წელიწადი დგას საქართველოში, ცრემლიანი, დაცრემილი წელიწადები... და კიდევ რამდენი ცრემლი და რამდენი სისხლი დაიღვრება?!

ლაურა ცრემლებს შეიწმენდს.

— წავედი მე... — უთხრა იოსებს ლაურამ და გამოემშვიდობა. მერე ომზირს მიუბრუნდა და თვალეგაბრწყინებულმა უნებლიედ გაიფიქრა: „აღსრულდა ნება ღვთისა!“.

„ჩვენ ვნახეთ ერთმანეთი!“ — ფიქრად ქცეოდა ომზირს ხმამაღლა სათქმელი, — გადიან გარეთ.

მერე იოსებიც გავიდა ეკლესიიდან და ტელეფონის ნომერი დაუტოვა ომზირს: — დამირეკავდე იქნებ... როცა გაგახსენდე...



ნახ. ხ. კუდბაძე

* * *

ომზირმა მეორე დღეს ეკლესიაში მოინახულა ლაურა.

ქალწულს ჩვიდმეტი სანთელი აენტო ღვთისმშობლის ხატის სახელზე. თვალეზბილულული ელოდა ომზირს.

აჰა, მეც მოვედიო, გაიგონა და თვალი გაახილა.

— გხედავ, ომზირ, გხედავ და ამ სანთლებსაც შენ ჩააქრობ! — ერთი სულის მოთქმით, იცოდეს! — თქვა ლაურამ და აუციმციმდა თვალები.

ომზირმაც ერთი სულის შებერვით ჩააქრო ჩვიდმეტივე სანთელი, — იოსები დღეს ვერ მოიცლის, ეკლესიაში ვერ მოვა. — თქვა და ჩაიძირა ლაურას ზღვისფერ თვალებში.

— არ გინდა, ომზირ, არ გინდა! — წამოიყვირა ლაურამ, მაგრამ დროზე

გაახსენდა, ღვთის სახლში რომ იყო და პირზე აიფარა ხელი.

ამის მერე არც ერთს არ ამოუღია ხმა. უხმაუროდ გამოვიდნენ ეკლესიიდან, გადაჭრეს შემხვედრი ქუჩა და ზღვისკენ წავიდნენ.

წინ ღუმილი მიუძღოდათ და ეს ღუმილივე რჩებოდათ უკან.

პირველად ლაურამ დაარღვია ასე ანაზად ჩამოწოლილი ღუმილი, — მოდი, ომზირ და ხმას ნულარ ამოვიღებთ დამშვიდობებამდე, კარგი? ვნახოთ, უსიტყვოდ თუ გავუგებთ ერთმანეთს? — ღიმილი ჩამოირეცხა პირისახიდან.

— თანახმა ვარო, — გაიგონა ლაურამ და გასწორდა წელში, — ეს ნამცხვარი აქ დავტოვოთ, თან ხომ არ წავიღებთ? — დაიხარა და ტორტი კენჭებზე დადო, — გოგონა, თქვენი იყოს,

კარგი? მოვა, ვისაც შენ ელი...

— ლაურა...

ლაურა ღუმდა, მაგრამ ფიქრობდა:

„ასე რატომ მიზიდავს ნეტა ეს ბიჭი?“

ფიქრობდა ომზირიც: „ნეტა რა მომდის და რა ეშმაკი შემიჩნდა დღეს? ასე რატომ მიზიდავს ნეტა? ეს ხომ ლტოლვაა ხორციელი და ამგვარი ლტოლვა არცაა ჩემთვის მისადები! არ მეკადრება... ლაურა ანგელოზია და ისე უნდა მოვეპყრა, როგორც ანგელოზს შეეფერება!“ — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია და შეეშინდა, არ ამოეკითხათ მისი უკეთური ფიქრი. ასე არ შეიძლებაო, დაასკვნა და ის ფიქრიც უკუაგდო.

თუმცა მაინც მიუხვდა ქალწული

ვაჟს და თავისებურადაც გაიღიმა.

იდგნენ ზღვასთან და ზღვის ფიქრებს კითხულობდნენ.

ასე გადიოდა დრო...

მერე ზღვაც უკან დარჩათ.

იმათი მეგზური ღიმილი და ღუმილი იყო იმ დღეს, ღიმილი და ღუმილი... და ღიმილის და ღუმლის ქუჩებზეც ბარე ოთხ-ოთხჯერ მაინც აიარ-ჩაიარეს.

* * *

იოსებმა დაურეკა, ღუმლის ქუჩაზე ტელეფონები რომ დგას, იქ დაგელოდები შვიდი საათისთვის, ტელეფონები კი არა, ტაქსოფონებო, უნდა მეთქვა...

ელაპარაკებოდა იოსები და ხედავდა ომზირი შეშფოთებულ მეგობარს, დანა პირს რომ აღარ უხსნიდა. — ვიცი, რაც უნდა მითხრა და ზუსტად შვიდ საათზე ვიქნები ტაქსოფონებთან!

ომზირმა ყურმილი დადო. — მივა ახლა სახლში, გადაშლის თავის დღიურს და... არ მეგონა, ასეთი პედანტი თუ იქნებოდა... თუმცა პედანტობა არცაა დასაძრახი, პირიქით! უკვე მოუსწრია ჩაწერა! ერთიც ვნახოთ და რა დაუწერია? — ომზირმა პირჯვარი გადაიწერა, — ამით იქნებ მეც ვაშავებდე... ადამიანის ფიქრებს ვკითხულობ... სულს ვუშიშვლებ მე ადამიანს და აღარ ვკითხულობ მერე, სიამოვნებს კაცს ეს, თუ გულსა ტკენს...

ოჰო... ომზირის სულს მინდა ჩავწვდეთ?! ბევრი მოგინდომებია, ბატონო იოსებ. როგორ? უცნაური ვინმე კი არის ეს ომზირ თავდგირიძე?! — კითხულობს დღიურს ომზირი და ეღიმება გულში. — მაინც რატომ მიზიდავს ასე? მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ჩემით თვითონ ომზირია დაინტერესებული უფრო, ვიდრე მე მისით...“ ჩანაწერი წყდება აქ.

არის ღიმილის ქუჩა ნამთარში.

ღუმლის ქუჩაც ყოფილა თურმე ნამთარში...

ნამთარში სხვაც ბევრი რამ არის, მაგრამ ამაზე ხვალ, ზეგ და მაზეგ. ნუკი ავჩქარდებით? ისედაც მოვასწრებთ ყველაფერს, აუჩქარებლად... ოღონდ ნუ ავჩქარდებით...

შვებით ამოისუნთქა ომზირმა: — მაგრამ იოსებმა არ იცის, რომ შვებას მგერის მე მასთან ყოფნა. ეს ეკლესიაშიც ვიგრძენი. იოსები ჩემი შვებაა. მაგრამ ისევ იწყებს წერას... — თვალნათლივ ხედავს ყოველივე ამას, — და ხელი არ უნდა შევუსალო. მიგყვები იმის ფიქრს მეც... ლაურა ომზირის ბედიო? — თვალები ამოისრისა: — რაცაღას გრძნობს და წინასწარმეტყველებს იოსებ ნიჟარაძე... ჩემი შვება და იმედი... — დივანზე წამოწვა ომზირი და თვალი მილულა.

ომზირის თვალსაწიერიდან უკვე გამქრალიყო იოსები და მერე აღარც უძებნია იგი თავის წარმოსახვაში. იმ დღეს აღარც ლაურას ნახვა მოუწოდომებია. საკუთარ სულში ჩაძირვა გადაეწყვიტა. იქ მოეძებნებოდა პასუხები ახალწამოჭრილ კითხვებზეც, ჩამომდგარმა ჟამმა ასე უცერემონიოდ რომ დაუსვა: „ნეტა ვინა ვარ, საიდან მოვდივარ და მივდივარ საითკენ? ჯერ კიდევ ძველ ბერძნებს აინტერესებდათ ყოველივე ეს, ბევრიც იმტვრიეს თავი, მაგრამ მაინც ვერ ამოხსნეს ეს გამოცანა, ორაკულმა არადა არ აღირსა ბერძნებს ამის პასუხი. ახლაც ცაშია გამოკიდებული ის კითხვაცა და მისი პასუხიც. არავინ უწყის, როდის აეხდება ფარდა იმ დიდ საიდუმლოებას; დაადგენს კი კაცი ჭეშმარიტებას, კაცი მაძიებელი და

მგრევი მუდამ, თუ... ფეხს წამოიკრავს ჭეშმარიტების გზაზე წამოქცეულ კითხვის ნიშანზე და მხოლოდღა იმასზე იფიქრებს წაქცეული, როგორ წამოდგეს, ფეხზე დადგეს და ისევ შეუყვეს აღმართს იმავე ჭეშმარიტების გზაზე... ერთს კი დახედავს ის წამოქცეული კითხვის ნიშანს, ზედ დააფურთხებს, მაგრამ მისი წამოყენება მართლაც არ მოუვა აზრად.

შვიდს რაღაც წუთები უკლდა, შინიდან რომ გამოვიდა ომზირი. დათქმულ ადგილზე დროზე მივიდა, მაგრამ იოსები ორი წუთის მისული დახვდა იქ.

„ჩვენ ღუმილის ქუჩაზე ვართ და ნურც ჩვენ ამოვიღებთ ხმას“, — გაიგონა ომზირმა იოსების ფიქრი და თვალთ ანიშნა, უკან მომყვითო. გაცდნენ ღუმილის ქუჩას და ორივეს ერთდროულად გაეცინა.

— შენ რაღაც უნდა გეკითხა ჩემთვის და ამიტომაც დაგიჩვენე, ომზირ... მითხარი, რა გჭირს?

— კი არ მჭირს, მიჭირს... ასე არასოდეს გამჭირვებია და ამაზე მინდა გელაპარაკო. გეტყვი ყველაფერს, მაგრამ გელაპარაკო, ცოტაა. არც აღსარების გუნებაზე ვარ, ამასაც გეტყვი, ოღონდ ერთი პირობით! ახლა, შინ რომ მიხვალ და დაგხვდა იქ ვინმე, გულთმისანი მაშინ ვიქნები, არა და... გულწრფელიც მაშინ ვიქნები და გულახდილი, არა და უთქმელი დამრჩება სათქმელი. ვნახოთ, როგორაა გადაწყვეტილი ეს ამბავი ზევით, მაღლა? თქმით ისევ მე დამიშავდება, თუ დამიშავდება და არავის — სხვას! იქნებ ჯერ არც მქონდეს ამდენის უფლება... — თავი დაუმიძიდა როგორღაც და თვალბიჯ აეწვა, — ნამეტარი შევიჭერი წინ და უკან გამოსვლა აღარ მინდა?!

იოსები შეირხა და ომზირს გაკვირვებულმა ახედა, თუმცა, იოსებზეც კარგა მაღალიაო, იტყოდა კაცი.

ომზირი შეგნებულად ჩამორჩა იოსებს და თავით ფეხებამდე შეათვალ-იერა.

იოსები მალე გამოერკვა ფიქრებიდან და მხრები შეიბერტყა. ერთი კი შეკრთა, მართო რომ მიაბიჯებდა და ფეხი აითრია, წამომეწიოს იქნებ ომზირიო.

ნეტავი რა გაიფიქრაო, ცნობისწადილმა შეიპყრო ომზირი და წვდა კიდეც იოსების აქანავებულ ფიქრს, ჩემი ადგილი ვინ დაიკავა ომზირის გვერდითო. სცადა კიდეც ომზირმა ქცეულიყო ამ ფიქრის გაგრძელებად და მთელი სხეული დაეძაბა:

„ჰო, დაიკავა ვიღაცამ ადგილი ომზირის გვერდით!.. ვხედავ ვიღაცის შავ სილუეტს, მხოლოდ სილუეტს... კი არ დადის, მისრიალებს ეს სილუეტი, თითქოს ყინულის ბილიკი ედოსო ფეხქვეშ...“.

„შავი სილუეტი?! — მოაფხიზლა ომზირი იოსების ფიქრმა და მაშინვე ჩამოიშორა იგი, დაუბრუნდა თავის თავს და შავი სილუეტიც გააჩნია ნათლად: გვერდით მოჰყვებოდა.

— მე შენთან ყოფნა მინდა, ომზირ! — გაიგონა უცხო ხმა, კარის ჭრიალს რომ ამსგავსა თავდაპირველად. გაიგონა ეს ხმა და შეაჟრჟოლა. შედგა მოულოდნელად და შავ სილუეტსაც წინ წადგმული დარჩა ნაბიჯი. გათავისუფლდა მაშინ ადგილი ომზირის გვერდით და იგი იოსებმა დაიკავა ისევ. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო შავმა სილუეტმა.

— მადლობთ, რომ მიმიხვდით, — ეუბნება იოსებს ომზირი. — შენ მე მიშველე... — იღიმება, — ოღონდაც ჯერ ნურაფერს მკითხავ. თავის დროზე შეიტყობ ყველაფერს. ხომ გახსოვს, იოსებ? ვიღაც უნდა დაგხვდეს სახლშიო, გიმეორებ! არ დაგხვდება და ვერც ის შავი ფარდა აეხდება იღუმალეზას... ასე

რომ, ორივემ ვილოცოთ!

— ვილოცოთ?

— ჰო, ვილოცოთ, იოსებ, ლოცვა არც ერთს არ გვაწყენს. — ჩაფიქრდა ომზირი, — ვატყობ, რაღაც იდუმალმა ფიქრმა უნდა შეიპყროს იოსები და წინგაგდებულ ფიქრს მიშვებული სადავე მოსწია.

— ომზირ... ო, — მიუბრუნდა იოსები და იმასაც ესმა ომზირის ხმა, თითქოს წინ დახვედროდა.

— გისმენ, იოსებ, — თქვა ომზირმა და ემჩატა საკუთარი სხეული, თითქოსდა შეიგრძნო, რომ აწი აღარ გამოადგებოდა ფარდახდილი ის იდუმალება.

„ცხადია, აღარ სურს ომზირს იმ ამბის გასრულება, წერტილი დაუსვას თავის ყარიბობას“, — აქ ისევ გადააწყდა იოსები მეგობრის ალესილ ფიქრს და უკან დაიხია.

— რა გაეწყობა... აღარ ინებეს მალლა, რომ მოწმე და მოწამე ყოფილიყავი შენ ჩემი დაცემისა და ამადლებისა! — წამოიძახა ომზირმა და თავის ფიქრებში ჩაეფლო ისევ. იქ კი კვლავაც გადააწყდა იოსების ფიქრს და ისიც მოუბოდიშებლად გაიგდო წინ: „ეს როგორაო? რაო, რას ფიქრობ, ჩემო იოსებ? როგორა თქვი? ჩემთვისო, ესე იგი შენთვისაც, აწი დაფარული არაფერიაო ამქვეყნად, რადგან...“.

„შინ არავინ... — უცებ მოიწყინა იოსებმა.

— მაგრამ ერთ დათმობაზე მე კიდევ წავალ, იოსებ! მივიდეთ ერთი ჩემთან. იქნებ იქ მაინც დაგვხვდეს ვინმე... დედაჩემი ხომ მაინც იქნება სახლში... უნია მელოდებოდეს მგონია... ერთი კიოსკი ვიყიდეთ და... დედაჩემი ივაჭრებს, ასანთს გაყიდის, შაქარს, პურს, სიგარეტს, ყავას და... ათას სხვა რამეს...

— დედათქვენი ხომ მასწავლებელია?! სკოლას მიაწვებებს თავს და...

კიოსკში ივაჭრებს?

— აბა, რა ვქნათ? შიმშილით ხომ არ ამოვწყდებით? ჩემი ნახატები უკვე აღარავის უნდა... კვდება, კვდება ხელოვნება და ლიტერატურაო... მართალი იყო ჰეგელი, ერთხელ შეჭირვებულმა რომ ბრძანა, — ბოლოს მაინც უნდა მოკვდესო ხელოვნება და ლიტერატურაო... დღევანდელი დღე თუ ჰქონდა მხედველობაში... ეეე... მომავალში შემოიხედა მაშინ ჰეგელმა და: იხილა მომავალი! ასე, იოსებ, დედა სახლშია... კიოსკის ძველ პატრონს ველოდებით. აქ შეიძლება მართლა აეხადოს ფარდა იდუმალს! წავედით!

— მართლა?! — გამოცოცხლდა იოსები.

უკვე წყვდიადის ქუჩაზე მიაბიჯებენ მხარდამხარ.

აჰა, ეს გზაც გაილია.

აგერ სახლი დგას განმარტოებით, ერთსართულიანი.

შედიან ეზოში.

ომზირმა კარი შეაღო.

— არც სინათლე და აღარც — დედაჩემი?!

სახლში სიცარიელესა და სიჩუმეს დაესაღურებინა.

— კიდევ არ მოსულა შუქი... ეს უკვე მაღიზიანებს, ალბათ, კვლავ გამოირთო ენგურზე რომელიმე ენერგობლოკი და... შეიძლება ისევ აფეთქდა მეცხრე ბლოკი თბილისში! ვერაა თბილისში საქმე ისე კარგად... არ გაგიმართლა, იოსებ და რა ჩემი ბრალია? ცოტა იღბალიც უნდა კაცს!

— რა გაეწყობა! — იოსებმაც აიჩიო მხრები, — ასე უნებებიათ მალლა და...

— ჰო, ასე გადაწყვიტეს, იოსებ, მალლა და... ვატყობ, აღარ უნდა აეხადოს იდუმალს ფარდა... მართლა არავინაა სახლში! — ომზირმა თითქმის ძალით ჩასვა თავის ფიქრის სავარძელში იოსები, თვითონ კი მორყეულ სკამზე

ჩამოჯდა, ოთახის ყველაზე ჩრდილოვან კუთხეში რომ იდგა. წამოდგა მერე და სანთელი აანთო.

სინათლემ მათ თვალწინ მოაშთო გათაფხედებული წყვდიადი და ომზირ-მაც უნებლიედ წამოიძახა: — იქმენინ ნათელი!

და იყო ნათელი...

— ჩვენთანაც არს ნათელი... — გამხიარულდა ომზირი. თვალები იოსებსაც უბრწყინავს. უყურებენ ერთიმეორეს ომზირი და იოსები, თითქოს და გადადიან ერთმანეთში და იჭერენ ერთიმეორის თითქოსდა მოუხელთებელ ფიქრებს.

— ომზირ, შენ ხარ? როდის მოხვედი? ის კაცი აქ აღარ მოვა. კრავა-ისტან ვიყავი და იქ დამხვდა, მოხუცებისა და ინვალიდების სასადილოში... ოცი დოლარი კიდევ დაგვიკლო... უკვე ვიყიდე და ამწვეც თვითონ მოიყვანა. ჩვენ რომ გვინდოდა, უკვე დგას იქ ჩვენი კიოსკი, მართლაც კას ადგილზე... მგონი გვეშვე-ლა, შვილო...

— დედა, შენ რომ... — გული მო-ეწურა ომზირს.

— აბა, რა ვქნათ, შვილო? სკოლა-ო... კიდევ ჩამოივლის ჩვენი დრო, ომზირ... ღმერთი მართლა ხომ არ გაგვწირ-ავს?! გავუძლოთ ცოტაც და... დიდი გამოცდის წინაშე დგას დღეს ჩვენი ერი მთლიანად და... თითქოს ღვთის სამსჯა-როზე ვიყოთ...

— დედა, ეს იოსებია! იოსებ ნიჟარაძე... იცნობდე!

იოსებიც წამოუდგა ამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სანდომიანი სახის ქალს და საკუთარი გულის ბაგა-ბუგიც გა-იგონა: „სწორედ ასეთი წარმომედგინა მე ომზირისა და კრავაის დედა... მართ-ლაც რომ მშვენიერი სული!“

— დედა სალომე დამიძახე, იოსებ... დღეიდან შენთვისაც ღიაა ჩვენი სახლის კარი...

— სალომე ერქვა დედაჩემსაც. — უცებ დანადვლიანდა იოსები, მაგრამ მალევე გადაიყარა გულიდან სევდა და ჩაჯდა ჯორჯოზე.

— ეს მერამდენე დღეა, რაც შენზე მელაპარაკება ომზირი... დამიხატა კიდევ შენი თავი, მაპატიე, ასე დაკვირ-ვებით რომ გათვალისწინებ, შვილო... მინ-და ვიცოდე, ვინაა ჩემი შვილის მეგობარი. და კიდევ: შენ ჩემი ომზირის ფიქრის სავარძელში ზიხარ... ეს დიდი პატივია ომზირისგან; ასე რომ, მართ-ლა არ შემცდარა შენში ჩემი შვილი! მეც ასე ვფიქრობ... — ამღვრეული თვალები დაეწმინდა სალომეს და ფიქრი გაიგრძელა:

ფიქრს წაეღო იოსებიც: „ეს რანაი-რი მომწვანო, მინდვრისფერი თვალები ჰქონია დედა სალომესაც, სწორედ რომ ომზირისნაირი. ამასაც უცებ... ომზირი-სებურად დაეწმინდება ხოლმე თვალები... დაეწმინდება რაღაცის გა-რკვევის შემდეგ... ებინდება კი დიდი ფიქრის დროს და ეწმინდება რაღაც დასკვნის გაკეთების შემდეგ: — ფიქრი აქ დაუსრულდა იოსებს და შეირბა ომზირის ფიქრის სავარძელში.“

— დედაშენი... — კითხვა ჩაუდგა თვალებში სალომეს და იოსებსაც ისევ აუთრთოლდა გამოღვიძებული ნაღველი.

— დედაჩემი?

— ომზირისაგან ვიცი, რომ სამაჩაბლოში იყავი მაშინ და... ხმები დაირბა, თითქოს იოსებ ნიჟარაძე შეიპყრეს ოსებმაო... — სალომეც ჩაჯდა ჯორჯოზე და მწველი თვალები მიაპყრო იოსებს.

— სამაჩაბლოში მართლა ვიყავი მაშინ, მაგრამ მე კი არა, ჩემი მეგობარი შეიპყრეს ოსებმა, იმდენ წამებას ვეღარ გაუძლო და გული გაუსკდა... დედაჩემსაც ვერ გაუძლო გულმა და... ვეღარ ჩამოვუსწარი ცოცხალს...

— ნუ გრცხვენია, შვილო, ცრემლ-

ისა... ბიჭებსაც შენის ცრემლი... ყავას აგიღუღებთ ახლავე... აქ კი ვისთან ხარ, შვილო?

— დეიდა მყავს ერთი და იმან შემიკედლა... უშვილოა დეიდაჩემი... თვითონ კი ჩემთანაა სახლში, მთაში... მე კი მარტო ვარ აქ...

— შენ ჩემ ომზირზე ორი-სამი წლით უნდა იყო უფროსი... ისეთია ჩემი ომზირი, რომ... თავისებური, რაცაღნაირი... მეგობარი თითქმის არასოდეს ჰყოლია... შენ რომ გამოგარჩია და მიგიღო, ესეც ღვთის ნებაა, შვილო და ესაა, ასე რომ მახარებს... გული მეუბნება, რომ კარგი მეგზური იქნები შენ ომზირისთვის... ომზირიც კარგ მეგზურობას გაგიწევს... გადაგლალეთ ხომ ამდენი ლაპარაკით? ყავას აგიღუღებთო, შეგპირდით და...

ომზირი ჯოჯოკოდან წამომდგარიყო და ღუმელს ანთებდა.

— შეშა შარშანდელი შემოგვრჩა, იოსებ... იქნებ გადავიტანოთ როგორმე ხვალმოსასვლელი ზამთარი... ღმერთით, თბილი ზამთარი იქნება... მართლა ხომ არ გაგვწირავს ღმერთი? — ფიქრმა შორს, მომავალში თუ შეტყორცნა ომზირ თავდგირიძე.

— ომზირ, შენ ისევ უშაქრო? — იკითხავს სალომე სამზარეულოდან და პასუხს რომ ვერ გაიგონებს, თავისთვის ჩაიქნევს ხელს. ომზირი კვლავაც ფიქრს წაუღია და ვინ იცის, სად და რომელ განზომილებაში ჩამოჯდარიყო თავის სარეზერვო მორყეულ ჯოჯოკოზე. — „სად უნდა იყოს ნეტა კრავი? — წამოუდგება ფიქრი ომზირს ჩქიურად, — რატომ იგვიანებს? ისევ იმ მარტოხელა და მიუსაფარ მოხუცებთან თუ იქნება... არ დაიხიო უკან შენ — კრავი თავდგირიძე! არ დაიხურება შენი უფასო სასადილო „სათნობა!“ იმუშავენს... მე ვხედავ ნამთარში „სათნობის“ სასახლეს... ეს კრავი თავდგირიძის „სათნობის“ სასახლეა!“. ასე, კრავი,

ჩემო დაიკო! უკან დახევა არც შენ გჩვეია და... ამიტომ გაიმარჯვებ შენ!“.

ამასობაში სალომეც გამოჩნდა. სამი ფინჯანი ყავა მოჰქონდა.

ღუმელი აგიზგიზებულიყო და სითბოც აწრიალებულიყო ოთახში.

— იოსებ, იცი, რა დიდებული საქმე წამოიწყო კრავიმ? კრავი ომზირის ტყუპისცალია, ჩვიდმეტი წუთით უმცროსია ძმაზე... ისეთია, რომ... ცეცხლივითაა... მარტოხელა მოხუცებისა და ინვალიდებისათვის უფასო სასადილო გახსნა ჩვენს ნამთარ-ქალაქში, შემოწირულობების ხარჯზე, რაღა თქმა უნდა!

— დედა! — გაწყრება ომზირი, — რა მოხდა მერე?

— რა მოხდა და... უკვე ორმოცამდე „ბაბუშკის“ პატრონია ჩემი კრავი! დროისა და... დროის მიერ ჩაწიხლული ადამიანები წამოაყვნო ფეხზე, არაა პატარა საქმე... ადამიანებს შიათ, სივდებიან შიმშილისაგან და კვდებიან... ჰო, კვდებიან უბედური და მიტოვებული ადამიანები...

— დედა! დედა... — თავს ძლივს იმაგრებს ომზირი.

— ომზირ, შვილო... ქების ღირსია შენი და... მეც მისი ცხოვრებით მინდა ვიცხოვრო, მაგრამ შევძლებ კი? წუხელ, ვიცი, მთელი ღამე არ მოუხუტავს თვალი... ტიროდა, ალბათ ძალიან უჭირს... უჭირს, რომ შემოწირულობები კლებულობს, მერე შეიძლება... ხომ შეიძლება, რომ თავის თავში შეეპაროს ეჭვი... რამხელა უნდა იყო, რომ ამხელა ტვირთი ზიდო... აბა?! მაგრამ გაუძლებს ჩვენი კრავი, გაუძლებს!

„აბა, რა გამოცვლიდა კრავი თავდგირიძეს?! სამაჩაბლოში... — ფიქრმა გაიტაცა იოსები, — ყაყაჩოებში იდგა... ყველასაგან გამორჩეული და ამაღლებული ყველაზე... ტყვია დაუშინეს ოსებმა და წარბიც არ შეუხრია... იქი-

თვენ მიბრუნდა და გადააქნია თავი. მერე დაიხარა და ტყვიებით გადაცელილი ყაყაოები დაკრიფა, გვირგვინად შეკრა და მწუხარედ დახედა: „ნატყვიარი გვირგვინო“, თქვა და თავზე მოირგო. გვირგვინოსანი იყო, გვირგვინოსანი დედოფალი... როგორ შევნოდა ყაყაოების ველს გვირგვინოსანი კრავაი?! მოდიოდა აუღელვებლად... ტყვიების წვიმაში. ტელევიზორის ეკრანზე რომ ვხედავთ ზოგჯერ შენელებულ კადრებს... გაჭიანურებული, გრძელი ნაბიჯები... მოდიოდა ჩვენკენ გახარებული და არ ეკარებოდა ტყვია ტყვიების წვიმაში... მოდიოდა და... გული მიკვდებოდა, ვაითუ... მინდოდა, აეჩქარებინა ფეხი, მაგრამ თითქოსდა განგებ, კადრები უფრო და უფრო კარგავდნენ სიჩქარეს... ნელ-ნელა მოირწ-მოირხეოდა კრავაი თავდგირიძე და არ ეკარებოდა იმას ოსის ბრმა ტყვია! მაღალი და მშვენიერი... მოჭირებულ ჯინსს არ იშორებდა მაშინ... კაბა უფრო დაშვენდეს უნდა...”

— ერთი ბრმა ქალი ჰყავთ... — ფიქრებიდან გამოჰყავს იოსები სალომეს, — საოცარი ქალია ის ბრმა! რეცხავს და აუთოებს. თვალხილულზე უკეთ აკეთებს თავის საქმეს, საოცარია... პირველად შეიძლება უხეშადაც კი მოგეჩვენოს სვეტა ხაირულინა, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ შთაბეჭდილებაა პირველი. ერთი შეხედვით ჩანს ასე. ისე კი, კეთილი სულია სვეტა ხაირულინა! როგორც ბრმას, სამადლოდ წამოუგდებენ გროშებს და ისიც უფასო სასადილოში შემოირბენს, რომ მასზე გაჭირვებულს უწილადოს. მართლა საოცარი ქალია სვეტლანა ხაირულინა! არიან ასეთი ადამიანებიც. აგერ კრავაიც! ეს კრავაია!

„კრავაიო?! ჰუმანიტარული დახმარება ნამთარიდან ჩამოჰქონდა... ქალი — ლეგენდა! იმიტომაც მიჭირს იმის დაჯერება, რომ ომზირის სახლში

შევხვდები... როგორ? ნუთუ მეღირსება ოდესმე მე კრავაი თავდგირიძის მეორედ ხილვა? ლეგენდა ქალი და... მეგონა, ველარასოდეს შევხვდებოდი... ომზირიც რალაცნაირი, თავისებური და გამორჩეული... კრავაის ძმა უნდა იყოს ჭეშმარიტად! ომზირის ტყუპისცალი... კრავაი იბრძოდა, მაგრამ სად იყო ამ დროს ომზირი?!“

შემოადო კრავაიმ კარი და შეცბა, იოსებს რომ მოჰკრა თვალი. დაიბნა თითქოს. „იოსები?! აქ საიდან, როგორ? ომზირთან? ომზირი — პაციფისტი, იოსები კი... თუმცა იმასაც ხომ ამბობდნენ, კაცი არ მოუკლავსო, სისხლს ვერ იტანსო...”

იოსებმა თითქოს ვერც იცნოო კრავაი, ისე დაიჭირა თავი.

„ისე, კაცმა რომ თქვას, მე ხომ კრავაის გულისთვის ჩამოვედი ნამთარში... დიდი იმედი არ მქონია ამის, მაგრამ...” — კრავაი ელანდებოდა დღისით და ღამით?! და, აჰა, ომზირთან იპოვა ის საოცნებო ქალწული.

„ნეტა ომზირის და არ ყოფილიყო და...” — გაკენწლა იოსები მოარულმა ფიქრმა.

— ომზირი?! — ამოავსო ოთახი კრავაის ხმამ.

— „ბაბუშკები“ როგორ გყავს? — იკითხა ომზირმა და თვალები აემღვრა.

და გრძნობს კრავაი, რომ ფიქრი წაიღებს ახლა ომზირ თავდგირიძეს და... აღიქვამს სინამდვილეს, — მიხვდება, რომ ვუყვარვარ იოსებს და... მაგრამ ხელი მაინც არ უნდა შევუშალო, — ჩაფიქრდება თვითონაც, მაგრამ ისე, რომ თვალი არ მოაშოროს ძმას და იოსებსაც არ მიაკლოს ყურადღება, — არ იფიქროს, არაფრად ჩამავდო.

„ნეტა თუ იცის ომზირმა, რომ ჩვენს გვერდით იბრძოდა კრავაი თავდგირიძე და ხუთ მილიონად იყო შეფასებული?!“ — შეძლო და თავიდან

მოცილა ის მოარული ფიქრი იოსებმა და მალულად შეათვალიერა კრავაი: „არც დაიმჩნია, რომ მიცნო და კიდევ მეტი, — ხელი ძლივს ჩამომართვა, თვალი არ გამისწორა... ქალი მსახიობია ყველა! თითქოს პირველად ვხვდებოდეთ ერთმანეთს... აქ, ნამთარში...“

— ომზირ, — მიმართავს კრავაი, როცა დაინახავს, რომ მოუშთავრებიან ფიქრი მის ძმას, — ერთი ჩანაწერი მინდა მოგასმენინოთ შენა და შენს იოსებს, შენს იოსებსო, ასე რომ ვამბობ, ხომ არ ვცდები? — იკითხავს და ახლა მზერას იოსებზე გადაიტანს.

„ისევ ის თვალეები... მცნობენ მე ეს თვალეები, კი არ მიცნობენ, მცნობენ!“ — სიხარულმა გული კინაღამ საგულედან ამოუგდო იოსებს, მაგრამ თავი შეიკავა, მოერია გრძნობებს.

— ჩანაწერი იშვიათია მართლაც... უფრო იშვიათობა... დედა, სიჭინავა რომ არის, ნახევრადბრმა, ამას წინათ იმის მონოლოგი ჩავიწერე და ტრაგედიაა სწორედ. ჩავრთავ ფირს და ყველამ მოისმინეთ! მაგნიტოფონი ხვალე უნდა დაგუბრუნო პატრონს. ფირს, რა თქმა უნდა, მე დავიტოვებ! ტრაგედიაა მართლაც. — კრავაიმ თითი დააჭირა პაწია კლავის და მოწყურა თავისი ცისფერი, სიწმინდით ამოვსებული თვალეები.

— ომზირ, შენ რატომ არ გინდა მოისმინო? — კინაღამ აუტირდა სული კრავაის, — ვხედავ არ გაინტერესებს ჩემი საქმე... მაგრამ რას ერჩი ჩემს მოხუცებს?

— მაპატიეთ... მართლა ვერ ვარ გუნებაზე, — ომზირმა ხელები მოწყვეტით დაუშვა ძირს, — მაპატიე, კრავ... მერედა ვინ გითხრა, რომ არ მაინტერესებენ მე შენი მოხუცები? ხომ არ დაგავიწყდა, აი, ამ შენი მოხუცებისათვის ერთად რომ მოგვქონდა პური ბორზენკოვას პატარა „ტაჩკით?“ იმ მზეში ოფლად რომ ვიღვრებოდით, ზოგი დავცინოდა კიდევ... გისმენ, კრავ...

გაგვწვიმებია კიდევ და... გისმენ, კრავ, გისმენ! მაინც რამ გაფიქრებინა, რომ მე არ მაინტერესებს შენი საქმე?

— ვრთავ მაშინ... — ამბობს კრავაი, გუნებაგამოკეთებული თითქმის.

და ჰყვება ქალის ჩახრიწული ხმა: „ეეჰ, ტანიჩკა, ტანიჩკა! იცი, როგორ არ გამიმართლა?! უფრო ამ სიბერეში გამიჭირდა. მაგრამ ის მათქმევინე ჯერ, რომ თვრამეტ ნოემბერს ოთხმოცი წლის ვხდები. გესმის, ტანიჩკა, ოთხმოცი წლის! წარმოგიდგენია, ოთხმოცი წელი მისრულდება! მთელი ოთხმოცი... და, მრცხვენია, მაგრამ თავი ბავშვი მგონია მაინც; ავადმყოფი გოგონა, კიკინებიანი... თეთრი ბაბთა რომ დაეკარგა პირველ სექტემბერს... დანა პირს არ მისწინდა სკოლიდან მობრუნებულს. მეგონა, გამლახავდა დედა, მაგრამ არა, მომეფერა, რა გატირებს, შენთვის კიდევ მაქვს გადანახული ერთი იმისთანა ბაბთაო. ახლავე გამოგიტან და... ჩემი დედა... დედიკო... მეც მყავდა დედა... დღეს კი აღარაფერი მიკლია საუკუნეს, ჩემო ტანიჩკა! მომითრევია თავი აქამოდე და... ეჰ, ტანიჩკა, ტანიჩკა... იცი, რა უნდა გითხრა? ისე დავმძიმდი, რომ... სიარულიც არ შემიძლია... იქნებ უფრო... მეზარება სიცოცხლე... მე დღეს აღარაფერი მახარებს.“

განა ესაა სიცოცხლე და ამნაირ სიცოცხლეზე ვოცნებობდი მე ბავშვობაში? ჰო, ბავშვობაში... გიკვირს? ეს ოთხმოცი წლის ბებრუხანა თურმე ბავშვიც ცოფილვარ ოდესღაც: ხომ წარმოუდგენელია ეს... სარკემიც კი აღარ ვიხედები. მეშინია ჩემი სიბერის. ერთი საზიზღარი ვინმე შემოგხედავს სარკიდან და... დაგბრიალებს თვალეებს, ეს საზიზღარი ვინმე მე ვიყო თითქოს, მე! არა, არა, ტანიჩკა! ვილაცა მატყუებს, ყველას გვატყუებს!

ახლაც თავს ვიტყუებ, ჩემო ტანიჩკა. განა ასეთი ვიყავი მე? ხომ გახსოვს,

როგორი ვიყავი? თაყვანისმცემელიც ბევრი მყავდა! იმასაც ვუყვარდი და ბედნიერი ვიყავი მაშინ! მიყვარდა მეც და მინდოდა სულ მეცოცხლა, მეცოცხლა და არასოდეს მოვმკვდარიყავი, არასოდეს მოვმკვდარიყავი... რა სისულელეა, არა, ტანიჩკა? თავი აღარ მინდა ცოცხალი! ხომ გითხარი, სარკეში აღარ ვიხედებო უკვე. იმ დედაბერთან, იმ უსიცოცხლო გვამთან შეხვედრა არასოდეს მომენატრება. მისი დანახვაც აღარ მინდა! იგი სიკვდილია... თავად იგია სიკვდილი და ამიტომაც მეშინია მისი. თუმცა... მომბეზრებია სიცოცხლე! ღმერთმანი, მართლა აღარ მინდა სიცოცხლე. მაგრამ სიკვდილსაც რომ ვერ შევგუებოვარ? წელან გითხარი, სიკვდილზე ვფიქრობ-თქო, მაგრამ არ დამიჯერო! არ მინდა სიკვდილი, მაგრამ სიცოცხლესაც რომ აღარ შემიძლია?! ეეჰ, ტანიჩკა, ტანიჩკა... ხომ ხედავ, როგორ მიჭირს? სიკვდილი მაშინებს და კიდევ უფრო — სიცოცხლე.

მეგონა ვნახეო აქედან გამოსავალი, მაგრამ აქაც მომეცარა ხელი. აქაც მიმუხტლა ბედმა!

— მაინც რა მოხდა, მარიამ ჩემო?

— როგორ თუ რა მოხდა? იქნებ გახსოვდეს კიდევ. ჰო... ბევრს ლაპარაკობენ ბოლო დროს ერთ ექიმზე, რომელიც მაინც გამოინახა! შეიყვანდა თურმე ის ექიმი თავის პაციენტს ბაროკამერაში ნეტარი სიკვდილის მსურველს და... მოაკვდინებდა კიდევ უმტკივნეულოდ, იმ ნეტარი და საოცნებო სიკვდილით.

ჰოდა, მეშველო, მეც ვიფიქრე, მაგრამ...

— აბა, ჩემო ტანიჩკა, მაგრამ არავითარი „მაგრამ!“ ვფიქრობდი, სიკვდილს, მოკვდინების ამგვარ მეთოდს ჩვენშიც შემოიღებდნენ და დაამკვიდრებდნენ, მაგრამ ერთი ამბავი ამტყდარა თურმე ამის გამო. დაუგმია ფართო

საზოგადოებრიობას ამნაირი სიკვდილი და მისი შემომღები ლამის ჯვარს გაუტარავთ. შეუჩვენებიათ ის ღვთისნიერი კაცი, დიდი ექიმი, როგორც საერო, ისე სასულიერო ინსტანციებსა თუ იერარქიებში. ის კაციც ამდგარა თურმე და თავი მოუკლავს თავის ბაროკამერაში და არა ისე, როგორც ეს ჩვენს დაწყევლილ საუკუნეში ხდება, ჩვეულებისამებრო, რომ ვამბობთ... აღამიანის მოკვდინება არანაირი მეთოდით არ იქნება ჰუმანურიო, გესმის, ტანიჩკა?! აბა, მე მკითხეთ ერთი!

ეეჰ, ტანიჩკა, ტანიჩკა, კოვზი ნაცარში ჩამივარდა, მაგრამ სავალალოდ მაინც უნდა ამოვიღო ის კოვზი ნაცრიდან... ის კაცი ნეტარ სიკვდილს მპირდებოდა, ნეტარ სიკვდილს მოუვლენდა ყველა ჩემნაირს და... შევიდოდი იმ ვარდისფერ ბაროკამერაში, მივიძინებდი და... გადაიშლებოდა ჩემს თვალწინ ჰაეროვანი... ჯადოსნური ყვავილნარი, ბაღნარი არა, არა! ყვავილნარი! შევიდოდი მე ამ ყვავილნარში... მე ხომ უსაშველოდ მიყვარს, ჩემო ტანიჩკა, ყვავილები... განსაკუთრებით, მინდვრის ყვავილები... ირგვლივ ყვავილების ათასფერადი, დამატრობელი სურნელი და იქ მიიღვევი, ნეტარი თვითონ და მინარნარებ, მინანაობ და იძირები შენ ყვავილის სულში... ჰაეროვანი ჰანგებიც გესმის, ჯადოსნური მელოდია, ღვთაებრივი სიმფონია და შენც ჯადოსნურ ჰანგად ქცეული მიირწევი... იიიქითეკენ...

— მარიამ, მარიამ, მარიამ!

— ეეჰ, ტანიჩკა, ტანიჩკა... მაინც რაა ეს სიკვდილი, რომ ვერ გამიცნაურებია?! იქნებ ის არის, რაზედაც ახლა ვოცნებობდი, მაგრამ მეშინია მაინც იმისი, იმიტომ მეშინია, რომ ვერ გამიგია... ვერ გამიცნაურებია...

— ნუ, ნუღარ ტირი, მარიამ, ნუ ტირი... — თვითონაც ატირებულა ტანიჩკა.

— ეეჰ, ტანიჩკა, ტანიჩკა, ვიცოდი, რომ ატირდებოდი... შენც აგიტირდებოდა სული...

ეეჰო, ამოიოხრა კრავაიმ, — ჩემი უბედური მარო სიჭინავა, მარიამი ჩენი... ამას რომ ვიწერდი, გული მიკვდებოდა, ვიცოდი, ვცოდავდი და მაინც ვიწერდი, დედიკო... იქნებ გადამეშალა ფირი და... ხომ არ დაგვევიწყებინა მარიამის გოდება?

— ეს მისი აღსარებაა და აღსარებაზეც მეტი!

— ჰო, გადავშალოთ... აბა, სხვა რაღაა ცოდვა?

— არა, არ წაშალოთ! — წამოიჭრა ომზირი თავისი ადგილიდან, — ეს ქალი... პოეტია ეს თქვენი მარო სიჭინავა! ემილი დიკინსონს მაგონებს... ეგ მარო სიჭინავა ყველაზე მეტადაა ამადლებული, ვინც კი ნამთარში შემომხვედრია! პოეზიის ნახანძრალში მიფერფლილი სული... მე მინდა გამოველაპარაკო ამ ქალს. ჭეშმარიტი ცოცხალი პოეტი ვნახე, დადის ჩვენს ქალაქში და არ გამოვეცნაურო? ნამთარში პოეტი დაბადებულა! ჰო, პოეტი, დედა, იოსებ, შენ კრავაი და... ხვალ თორმეტიდან პირველ საათამდე არა, კრავაი? მოვდივარ სათნოებაში... ხომ იქნება იქ, ამ საათებში პოეტესა მარო სიჭინავა?

— აბა, რა ვიცი, ომზირ? სკლეროზიც რომ ჭირს იმ უბედურს? საწყალი მარია... — ცრემლს შეიწმენდს კრავაი, — ზოგჯერ ავიწყდება, რომ ისადილა უკვე და მეორედ შემოვა სათნოებაში, ზოგჯერაც: ჰგონია, რომ უკვე იყო ჩენთან, უსადილია უკვე და გადავა ასი უსადილოდ. ათამდე დედაბერი კიდევ მყავს მარიასთანა და ყველას თავისებური, ინდივიდუალური მიდგომა უნდა. ინდივიდია ყველა! განუმეორებელი სული... იმათ სულშიც რომ ჩაგახედა, ომზირ, მწერლისთვის, ფსიქოლოგისთვის

და განსაკუთრებით, მხატვრისთვის მთელი სამყაროა ჩემი „სათნოება“, ჩემი „ბაბუშკები“... სვეტა ხაიურულინა რად ღირს? ყველაზე მეტად მაინც სვეტა მეცოდება. შვილი ჰყავს მეზღვაური, ახლა შორეულშია და... იმას უნახავს ბინას, თორემ... ავიყვანდი „სათნოების სავანეში“, მამა დავითი დამეხმარებოდა და... იქნებოდა სავანის მკვიდრი... იცი, როცა ცუდ გუნებაზეა, მაშინაა იგი ყველაზე საცოდავი... გამოიგონა რაღაც... სიტყვების კომპოზიტი „ხანდრე-მანდრე“ და... ეს როცა ყველაზე მეტად უჭირს, მაშინაა, სიკვდილზე რომ ფიქრობს... ერთ ამბავსაც გავიხსენებ: ამ თავისი „ხანდრე-მანდრეთი“ წავიდა ერთხელ ჩვენი სათნოებიდან და მთელი ერთი კვირა არ გამოჩენილა. მთელი ეს შვიდი დღე შიმშილობდა თურმე და მივაკითხე. ფეხის ხმაზე მიცნო და კიდევ უფრო წაუხდა გუნება, შენ რომ არაო... არ ვიცი, რა ვუყო ამ ქალს?

— ხანდრე-მანდრეთი? — ცალკბად გაიღიმა ომზირმა და თვალი მოხუჭა: — ხვალ მოვალთ მე და იოსები შენს სათნოებაში და არ დაგავიწყდეს შენ ეს ამბავი, მე მარო სიჭინავა მინდა ვნახო და შენმა ხანდრე-მანდრემაც ძალიან დამაინტერესა... — თვალი არც გაუხელია, ისე გაიარა ფიქრად იოსების სულში. შემდეგ როცა იყო, გაახილა თვალი... და:

ფიქრობდნენ ისევ ეს ამღვრეული თვალები, რომ დაწმენდილიყვნენ და სიმწვანეში დავანებულიყვნენ მერე. მთელი მონდომებით ჩაფიქრებული მღვრიე თვალები დაიარებოდნენ იოსების სულსა და გულში, აწრიალებულიყვნენ იმის სისხლძარღვებში (!) და კითხულობდნენ იოსების აზრ-ფიქრებს.

უყურებს იოსები ომზირს... უნდა გაიგოს, რას ფიქრობს იგი სინამდვილეში, მაგრამ კიდევ ერთხელ რწმუნდება, რომ თუკი არ ინება თვითონ, ისე ვერ-

აფერს ამოიკითხავს იმის ამღვრეულ თვალებში. უძირო ზღვაა ეს ამღვრეული თვალები და შეიძლება სადღაც მიიკარგო კიდეც შიგ და თუ ინება განგებაამაც, შესაძლებელია, სადღაც გაგრიყოს იმისმა ამღვრეულმა და ქაფმორეულმა ტალღამ... უთუოდ მეცხრე ტალღაა ეს ტალღა... პასუხს კი არავინ აგებს ამისთვის. ასე რომ, ადამიანის სულში მოგზაურობა ძალიან უჭირს, უჭირს და მაინც მოგზაურობს! მოგზაურობს და თავბედს იწყევლის.

— თავბედს ტყუილად ნუ იწყევლი... არ გინდა, იოსებ, — მოულოდნელად მოუბრუნდა ომზირი, — არაა საჭირო ჩემი აზრ-ფიქრების წაკითხვა... ამის უფლება ჯერ ხომ არ მომიცია შენთვის? ანდა, რად გინდა იცოდე, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს სხვის სულში?

— შენ კი შეგიძლია ეს, ომზირ. შენ არც არავის დაეკითხები ამის უფლებას... მე შენი მშურს!

— ნუ გშურს, იოსებ. ისე: ერთ რამესაც გეტყვი: მგონი არც შენთვის უნდა იყოს დაფარული სხვათა ფიქრები.

— მე იმისიც მეშინია, იმაზე მეტი არ ამოიკითხო ჩემში, ვიდრე თავად მე ვიცი ამაზე!

— იოსებ, თუ მოინდომებ, ამას შენც შეიძლება, მაგრამ გაფრთხილება, რომ ბედნიერებას შენ ვერ ეწევი ამით. არაა ეს ბედნიერება, არა! გავიდეთ ახლა ჩემს ოთახში... ამ ჩემს ფიქრის სავარძელსაც გავიტან, თორემ... არ მიყვარს, როცა ამ სავარძელში სხვა ჯდება და... ერთი საჭირო მედიტაცია გვაქვს ჩასატარებელი... იქ სკამიც მაქვს შენთვის... ის სკამი შენი იქნება აწი და გაუფრთხილდი, ეცადე, არავინ ჩაჯდეს შიგ, მეც, იოსებ, მეც! ის შენი სკამია დღეიდან!

„ახლა თავს ვიცავ... — გაიფიქრა იოსებმა, — ირგვლივ გაუვალ გარსს შემოვიკრავ, კვერცხისნაირს, რომ ომზირმაც კი ვერ შემოაღწიოს ჩემში... აგერ

ეს გარსიც! თითქოს კვერცხში ვიყო... ვინიცობაა დააპიროს ჩემს სულში შემოსვლა და შეუვალ გარსს გადააწყდება ჩემი მეგობარი! შეიძლება მაინც შემოაღწიოს ჩემს სულში, მაგრამ დრო უნდა ამას, მე კი მალე დავამთავრებ ფიქრს და მის წასაკითხავად შეიძლება დრო აღარც ეყოს ომზირს. ომზირმა ჯერ არ იცის, რომ ვიცნობდით მე და კრავაი ერთმანეთს. შევფიცეთ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ... რატომ, რატომ შემომხვდა ასე ცივად კრავაი, რომ აღარ ვიცი?! საოცარია მაინც და...

დაიძრა ომზირი ადგილიდან, მოაწყდა იმის ნება-ფიქრი ზღურბლს და... მე კი უკვე დამისრულებია ფიქრი... არა, არც უფიქრია ომზირს ჩემში შემოსვლა! ჩემი ნებართვის გარეშე აწი, ალბათ, აღარც იფიქრებს სხვისი ფიქრების გათავისებას...”

— კაცი დაეხატე ერთხელ, იოსებ, კაცია და არცაა კაცი და იმას მინდა დახედო. საინტერესო პიროვნება! ძლიერი და სხვათა და სხვათა სულებში მორიალე... იქნებ არც იყოს კაცი... მინდა, ერთად მოვინახულოთ იგი მე და შენ, ერთად ვიმოგზაუროთ იმის სულში. ვიცი, შენც შეგიბყრობს ცნობისმოყვარეობა და გამომედევნები უკან, მაგრამ ჯერ კარგად უნდა გაიცნო ის სული! აქეთ რომ მოვდიოდით და... შენ რომ ციხე-სიმაგრეში ჩაჯექი და კარი გადამირაზე, იქ არ გადამელობა გზაზე?! მეგონა მიცნო, მაგრამ არ მოელოდა ასე იოლად შეგხვდებოდი და... გზა გააგრძელა... ვიფიქრე, შემოვიდაო ჩემში, მაგრამ არა, არც უფიქრია ჩემზე... გაიარა ჩემში და... წავიდა თავისი გზით... ისე: კაცი არც მიაქცევდი ყურადღებას...

— შავი სილუეტი იყო?! — წამოიძახა გაკვირვებულმა იოსებმა.

— ჰო, შავი სილუეტი!

— მაინც ვინ არის იგი, ომზირ? — თვალები წამოწებოდა იოსებს.

— მოთმინება იქონიე, იოსებ, მოთმინება! — თქვა ომზირმა ჩვეულებრივზე ხმამაღლა, — მოვლენებს ხომ ვერ გავუსწრებთ წინ? იოსებ, აგერ ჩემი ოთახიც! — კარი გააღო და სკამი დაანახა იოსებს, — ეს შენიაო, — უთხრა და გაუღიმა. ფიქრის სავარძელიც თავის ადგილს დაუბრუნა და ჩაჯდა შიგ. — შენც, შენც შენს სკამზე, იოსებ! — ისევ გაიღიმა ომზირმა, — შენ ჩემთან ხარ, იოსებ! ჰო, ახლა წინასწარმეტყველებათ... — ხმას დაუწია და კედელზე ჩამოკიდებულ პორტრეტზე მიანიშნა, — ესაა ის...

— ის შავი სილუეტი? ომზირ, არ მომჩვენებია მაშინ შავი სილუეტი... მეგონა კი მომეჩვენაო... ნუთუ მართლა რეალობაა შავი სილუეტი? — კანკალს აეტანა იოსები.

— ის არის! შენ არ ცდები. მეც შავ სილუეტს ვეძახი, ისე კი თავის თავს მაესტროს ეძახის. მაესტრო!

— მაგრამ ვინ არის შავი სილუეტი? მაესტრო?

— სატანა, იოსებ, იქნებ არიმანი, თუმცა ამაში შეიძლება ვცდებოდეთ! სატანა კი ნამდვილადაა... ლუციფერიაო, ვერ დავიჩემებ ამას... უფრო — სატანა! ხედავ, ვახსენე სატანა და შექანდა ეს მართლაც რომ დაჩაჩხოვებული შავი სილუეტი! — თავისთვის ჩაიცინა ომზირმა, — დამშვიდდი, იოსებ... ყველას კი არ ერჩის მაესტრო?

— ჰო, მაესტრო, სატანა... ერთ დროს ბრწყინვალე და ყველაზე აღმატებული ანგელოსი ანგელოსთა შორის. ამპარტავნობის გამო დედამიწაზე ჩამოსროლილი, დამცირებული და ჩაღლასაგან მოძულებული... ოღონდაც! თითქმის ყოვლისშემძლე! მაესტროს ვარსკვლავებს ზევით, ცად აღსვლა, უზეშთავისსადმი თავის გატოლება და თავისი ტახტის დაღმა წადია (ესაია 14.12-14).

— იოსებ... ფიქრს წაუღიხარ შენ. ნუ გეშინია. ვერაფერს დაგიშავებს შენ შავი სილუეტი... ჯერ მაინც... მაგრამ თუკი გადაეღობე გზაზე და მტრად დაგიგულა, ე მაშინაა იგი საშიში. ამოქმედდება... დღეს კი... შეიძლება ისე ჩაგთაროს შენ, იოსებ ნიჟარაძე, არც შემოგხედოს იქნებ.

— ამით ხომ შეურაცხყოფას მომაყენებს?

— ესეც სტილია მისი, ამოგაგდებს შენივე მეობიდან და...

— და საყრდენგამოცლილს ადვილად მოგერევა...

— ჰო, მაგრამ მედიტაციისთვის თუ ხარ მზად?

იოსები პირველად მედიტირებდა, თუმცა მედიტაციაზე ბევრი სმენოდა.

ხელი ხელს შემოჰკრა, დავიწყოთო, — შესძახა და ომზირმაც დაუქნია თავი.

— იოსებ, მისმინე ყურადღებით. მთელი ფიქრები შავ სილუეტზე უნდა გადაიტანო... ყველა სხვა ფიქრი უნდა ჩამოიცილო თავიდან. უნდა შეელო სხვა ყველაფერს. საკუთარი თავიც კი აღარ უნდა გახსოვდეს! დაივიწყე შენივე მე... უნდა ამოიშალოს შენი სახსენებელიც კი საკუთარი აზროვნებიდან! ძნელია, არა?! მართლაც ძნელია... ესაა მედიტაციის პირველი საფეხური, პირველი და ძირითადი საფეხური... ჰო, შეგიძლია დაუშვა, რომ აღარ ხარ, აღარ არსებობ, იოსებ... ამოიშალა ჩვენი ცხოვრების მატთანედან იოსებ ნიჟარაძე, ის მემატთანეც მოკვდა, შენ რომ გხედავდა და ნათელი წარმოდგენა ჰქონდა შენზე. აგერ, შავი სილუეტიც. შენ მხოლოდ შავ სილუეტს ხედავ, თითქოსდა შენც შავი სილუეტი იყო და... შავი სილუეტი — მაესტრო, რომელიც საოცრად უკრავს ვიოლინოზე... ჯადოქარი პაგანინი მონაგონია მაესტროსთან შედარებით.

— ვეცდები, — ანზორ იოსებს.
— შავი სილუეტი... თითქმის სრულიად!

— მაგრამ თითქმის სრულიადიო მაინც და არა სრულიადი! — იმედის სხივი გაუბრწყინდება იოსებს თვალებში.

— ჰო, თითქმის სრულიადი... თითქმის იმიტომ, რომ სრულიადი ერთადერთ სიბრტყეზეა იგი... სხვა სიბრტყეებზე იგი მთელი ვერ არის... ჰო, მე ვიწყებ, იოსებ! შენ კი მომყევი... პირველი მე გარდავისახეხი მაესტროდ, მერე, თუკი არ გადაიფიქრებ, შენც გარდაისახე შავ სილუეტად და აღარ იქნები შენ იოსები! მაგრამ არავინ გაძალებს ბოლომდე დარჩე ჩემს ექსპერიმენტში... შეგიძლია ადრევე გამოხვიდე ამ მართლაც რომ უცნაური თამაშიდან... შეიძლება მართლაც თამაში ეწოდოს ამ ჩემს ექსპერიმენტს. მაშ, ასე, ვიწყებ მე ჩემს ექსპერიმენტს! და ვხედავ, რომ მომყევი! ჰოდა, დავიძარი! — დავიძარა ომზირმა და გაოგნებულ იოსებს შეავლო თვალი.

წამიც და: მოკვდა იოსები ომზირისთვის, კვდება მასთან ერთად ყველა და ყველაფერი, სულიერი და უსულო, აღარ არსებობს არც სააქაო და აღარც — საიქიო.

და: გადმოდის მასში შავი სილუეტი, ეუფლება ნაწილ-ნაწილ და მთლიანად. ბოლოს სულაც გამოიდევნა, როგორც იქნა, ომზირი ომზირიდან, მისი ადგილი შავმა სილუეტმა დაიკავა, თვითონ კი ჰაერად იქცა, სივრცედ და ცეცხლი მოედო იმწამსვე, ხანძრად აბრიალდა. იწვის და წყლად არ გადაიქცა უცებ!

და ჩაქრა დიდი ხანძარი!

მოვიდა დიდი სიმშვიდე და დაიძრა იგი მდინარედ, მერე ზღვად დავანდა, ოკეანედ იქცა ბოლოს და აღელდა „წყნარად“.

ცხელა უსაშველოდ და გაუსაძლი-

სად. ატყობს, აორთქლდეს უნდა... ხდება მასში ამგვარი მეტამორფოზა და... სივრცედ იქცევა ისევ:

ასე და ამგვარად: ჩაერთო იგი მარადიულ წრებრუნვაში...

წრებრუნვა დიდი... დიდი და დაუსრულებელი. და ბოლოც არ უჩანს მის ამგვარ ფერისცვალებას. და ხარხარებს მასში შავი სილუეტი, ყოვლისშემძლე, (თითქმის ყოვლისშემძლეო, მინდოდა მეტყვა), დიდი მევიოლინე, მაესტრო...

— მე ვარ შავი სილუეტი — მაესტრო. ხელთ მიპყრია მე ყველა და ყველაფერი. მძიმეა ჩემი კვერთხი და ძლიერებისა და ყოვლისშემძლეობის გამომსახველია იგი. მაგრამ მე ამ ყველაფრად ვერ გადავქცეულვარ. ძლეული ვარ მე ამ ყველაფრის მიერ. ისევ შემავლო მე ამ წრებრუნვაში ამ ყველაფერმა და ჩემი, გამორჩეული ადგილიც მიმიჩინა.

ის ყველაფერი განაგებს ჩემს ბედს! მინდოდა, ის ყველაფერი ვყოფილიყავი მე და ამის უფლება არ მომცეს, ამდენიც არ შემადლებინეს.

— მე რომ... — ენა დაება იოსებს: — კი ველარ მოგყევი... უფრო: აღარ მოგყევი... არ მოგყევი, არ მოგყევი...

და მწარედ ჩაეცინა ომზირს: — იოსებ, მე ხომ ვიცი, რომ... „ველარ მომყევი“, და ისე „არ მომყევი“, ამას დიდი მნიშვნელობა არცა აქვს ჩემთვის... იქნებ არც იყო საჭირო, მომყოლოდი. მთავარია, გავაცნობიერე ჩემში, თუ ვინ არის შავი სილუეტი, ვინ ვარ მე და რა შემიძლია, რისთვის ვარ მოწოდებული და... მაგრამ იმაში კი ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ვერაა ყოვლისშემძლე შავი სილუეტი. მას შეიძლება შეებრძოლოს ადამიანი... — ძლივს სუნთქავს ოფლად გაღვრილი ომზირი. ხელები ძირს ჩამოუშვა და ჯიუტად გამოსცრა: — შენ ვერ დაეუფლები ჩემს სულს, მაეს-

ტრო! — ამოთქვა და ახალი ენერგიის მოზღვაება იგრძნო: — იოსებ, შენ ძალიან დამეხმარე, რომ იცოდე! ვინ იცის, იქნებ შენს სიახლოვეს რომ ვგრძნობდი, იქნებ ამიტომაც ვერ მძლია შავმა სილუეტმა. ვფიქრობ, იმან შენც გაგაცნობიერა, იოსებ და მტრადაც შეიძლება მოგეკიდოს დღეიდან, მაგრამ თუ ჭირდება, იქნება აგცდეს კიდევ მისი ლახვარი. მაგრამ სიფრთხილე ორივეს გვმართებს, იოსებ! — იმედმოცემულმა ომზირმა კედლიდან ჩამოხსნა ჩარჩოში აწრიალებული მანეტრო და ქვეშეცნულად იგრძნო, როგორ შეძრწუნდა იოსები შავი სილუეტის სასოწარკვეთილ ყვირილზე: — მე კიდევ შემოგიბრუნდები, ომზირ და პასუხსაც მოგთხოვ!

და შეიძრა ჩარჩოში გამომწყვდეული შავი სილუეტი, დაიძაბა, ერთი დაიდრიალა და რკინის არტახებიც დააწყდაო თითქოს, მოირყა ჩარჩო და ამოვარდა. იქიდან გრძნეული სული, მათრახივით აიქნია ხელი და ღია საკმლიდან გადავიდ-გაუჩინარდა.

ომზირს ხელში უჭირავს მორყეული ჩარჩო და თვალს არ აშორებს გაფითრებულ იოსებს. — ხედავ, საქმე ვისთან გვქონია თურმე?! შენ უკვე იგრძენი მისი ძალა, იოსებ... მანეტრო — სატანა... შენ არ გინახავს და არც მოგისმენია, როგორ უკრავს თავის ვიოლინოზე, ჯადოქარია მართლაც... პაგანინი იმასთან პატარა ბიჭივით ჩანს... სწორედ რომ გრძნეული სულია... დიდი მანეტრო! იმდენად ძლიერი, რომ პატივსაც იმსახურებს... იოსებ, რა გჭირს, ასე რომ გაფითრებულხარ...

„ფერი შენც მიგხდია, ჩემო ომზირ...“ — უნებლიეთ გაიფიქრა იოსებმა და ეხამუშა თავისი ფიქრი, ეუხერხულა. ამიტომ იყო, თავიდან რომ მოიცილა და შვებითაც ამოისუნთქა.

„ეს კარგი ნიშანია...“ — ფიქრი

მოაწყდა ომზირს და ამჯერადაც ისევე ადვილად ჩამოიშორა, როგორც მოუვიდა.

ახლა რაღა გქნათო, იკითხა იოსებმა და სამოქმედოდ განეწყო.

— ასანთი მომაწოდე, იოსებ, ეგერ დევს, ცეცხლი უნდა წავუკიდო ამ ჩარჩოს. არ დაიწვება, ნუ გეშინია... დასნებოვანებულ, ნამაესტროვანებულ ვირუსს ამოვწვავთ, შიგ ყოფნისას რომ განგებ ჩატოვა.

...და იწვის და არც იწვის ჩარჩო...

— გეყოფა... ჩარჩო-გალია მანეტროს კვლავ მისაღებად. ვნახოთ, აწი რა ფორმით გამოგვეცხადება. ერთსაც გეტყვი! იგი ირაციონალური სამყაროდან მოვა. ამიტომაცაა ასე ძნელი იმასთან ბრძოლა, თითქმის შეუძლებელიც. საჭიროა ეზოთერული ცოდნა და შენც უნდა ეზიარო, იოსებ, ეზოთერულ მეცნიერებას. სწორედ რომ მეცნიერებას! ამაში მე და შენი სულერი მოძღვარიც დაგეხმარებით.

— ომზირ, არც ტყუილუბრალოდ გამოგვეცხადებოდა შენ შავი სილუეტი და ომსაც არ გამოგიცხადებდა და მაინც, რა ურთიერთობა გაქავემირებს იმასთან? — იკითხავს იოსები და მხრებს აიწურავს.

— ეს ერთი-ორი სიტყვით არც აიხსნება. ამის თავი ახლა არცა მაქვს! მაგრამ გამოსავალი აქ მართლა უნდა იყოს! ამაზე მერე. იოსებ, ერთხელ მოთხრობაც კი დაგწერე შავ სილუეტზე და შეგიძლია წაიკითხო. ისე, კარგი ჰქენი, რომ არ განსხეულდი შავ სილუეტში, საშიშიც იყო! საამისოდ მზად არც ყოფილხარ! წაიკითხე ჩემი „შავი სილუეტი“, თუმცა დამიშავდება ამით რაღაცა. აგერ ხელნაწერი, — უჭრიდან ორმოცდარვაფურცლიანი საერთო რვეული ამოიღო და დივანზე დააგდო. — წაიღე და გაუფრთხილდი, თვალისჩინივით, გესმის?! არ დაგეკარგოს, იცოდე, თორემ

ხელში ჩაიგდებს შავი სილუეტი... და შეიძლება დაეპატრონოს ჩემს სულს; სათაურს დახედე!

იოსებმაც გადაავლო თვალი გაკ-

რული ხელით მინაწერს და ასე ჩაებეჭდა გულში:

„...მე სული ეშმაკმა მთხოვა...“

* * *

ხმა მაღლიდგან ჩამოესმა იოსებს: — აიკარი გულა-ნაბადი და ნამთარში ჩადი! დეიდაშენი მაინც შენთანაა, სოფელში და იმის ბინას მაინც ეპატრონე ქალაქში. ინსტრუქციებს ნამთარში ჩასვლისთანავე მიიღებ, იქნებ მე თვითონ მოვიცალო ერთხელ და ჩამოგაკითხ-გამომეცხადო.

— მაგრამ შენ რომელი ხარ? — იკითხა დაზაფრულმა იოსებმა.

— შენი მოძღვარი... ერთხელ, თუ გახსოვს, სამაჩაბლოში გამოგეცხადე, მეორედ — აფხაზეთში... ესმესამედ ვარ შენთან!

— დღესვე ამოვიშალო აქაურობიდან?

— დღესვე! ნამთარში უფრო საჭირო ხარ!

— მოძღვარო... მაინცდამაინც მე რომ ამომარჩიე, ნეტა რაშია საქმე? ცოდვილი რაში გჭირდება წმინდანს?

— არა კაც ჰკლავ... ნათქვამია და... პირდაპირი გაგებით არც შენ მოგიკლავს.

— კაცი არ მომიკლავს? იქნებ მოვკალი კიდეც, მაგრამ მართლა არ ვიცი, მომიკლავს თუ არ მომიკლავს...

— კაცი ნამდვილად არ მოგიკლავს, მე კაცზე მაქვს ლაპარაკი... იქნებ ბრმად გასროლილმა ტყვიამ მართლა იმსხვერპლა ვინმე, მაგრამ... კაცი შენ არ მოგიკლავს! — ხმაში ბრაზი გაერია მოძღვარს, — მე ქურაში გავატარე შენი სული და მიხარია, რომ გაუძელ გამოცდას. კაცი შენ მართლა არ მოგიკლავს!

— მაღლობთ, მოძღვარო... ახლა კი მართლაც მშვიდად ვარ. მე კაცი არ მომიკლავს! და კაცთმოძულესაც ვერავ-

ინ დამიძახებს. ეს ბევრისმთქმელია ჩემთვის. დღესვე გავდივარ აქაურობიდან და ნამთარში ჩავიოსებლები. მაღლობთ, მოძღვარო!

— გათვლილია, იოსებ, ყველაფერი, როგორც შენი აქაურობიდან წასვლის, ისე აქ ჩამოსვლის დროც... იქაურობაში ჩასვლის დროს არაფერი შეგეშალოს, იოსებ, თორემ... — სახე მოედრებულა მოძღვარს და იოსებმაც კარგად უწყის, რასაც უნდა ნიშნავდეს წმინდა ბერის „თორემ“. უნებლიეთ გააჟრჟოლა, — აქ ხომ ღვთიური ძალები განაგებენ ყველაფერს.

— ჰო, იოსებ, შენ არც ახლა ცდები. მისია, რომელიც შენ გეკისრება, ერთობ სერიოზულია. განსაკუთრებული მისია გევალება შენ, იოსებ ნიჟარაძე!

— რახან ასეა... — წამოეშველა ფიქრი იოსებს და თავისი ნაცადი ზურგჩანთაც ამოიტანა სარდაფიდან, — ჩემი ვეშმეშოკი... ამით მომივლია მე მთელი სამაჩაბლო და ოჩამჩირე... ვერც აქ, დუშეთში დავმკვიდრებულვარ... გელაც წავიდა. ამბობენ, მოსკოვშიაო. უკან დამრჩება მე დუშეთის ბატალიონი... სიბი, ფასკვანჯია პატარა, პროფესორა, სინგაპურა... ამბობენ, დიდი ფასკვანჯია აფხაზეთში მოკლეს, ოსებმაო... ვერ გამოაღწია... დაიღუპა უკვე ომის შემდეგ... სინგაპურა! აღარც სინგაპურაა. მოლაც აფხაზეთს ემსხვერპლა... ასე შეთხელდა ჩვენი ბატალიონი, შევსება კი აღარ არის! სისხლი... რამდენი სისხლი?! მე კი არასოდეს დამბადებია აზრი — მომეკლა კაცი!

— ლაბრა ხომ გახსოვს, იოსებ? —

გაიგონა მოძღვრის სევდიანი ხმა და ფიქრებიდან გამოერკვა, გამოერკვა იმიტომ, რომ კიდეც ერთხელ ჩაძირულიყო ახლადწამოჭრილ ფიქრში.

ლაბრა... (ღამდებოდა).

— **Окопайся!** — ბრძანა ბატალიონის მეთაურმა და „ტრანშეაც“ მაშინვე გაიჭრა.

ბიჭები მიწაში ჩაძვრნენ.

იქით აფხაზნი და ძმანი მისნი...

აქეთ ქართველნი...

— ჰეი, ქართველნი! — გაისმა იქიდან, — მოგველაპარაკებია იქნებ.

რატომაც არაო, აქედან შეეპასუხნენ.

— თქვენ რას გერჩით... გაბრუნდით უკან... ცოდვაში რატომ დგებით?

— ეს საქართველოს მიწაა... ჩვენცა და თქვენც ერთი მიწა გვაქვს საერთო და ვდგავართ ამ მიწაზე! — ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის პატარა ფასკანა.

— წადით, წადით, თქვენ არას გერჩით და ეს მიწაც, ახლა რომ ვდგავართ თქვენცა და ჩვენც, არსად არ გარბის. ჩვენ მხედრიონს ვერჩით! გვარდიაც გადაშენდეს აქედან! მაგრამ... ფეხს როგორ მოიცვლით ადგილიდან, ბრძანებას როგორ გადახვალთ? გესმათ ერთხელ და გადაეცით ყველას, რომ მხედრიონელსა და გვარდიელს პირველსავე ხეზე ჩამოგვიდებთ! — მუქარას ავტომატის მოკლე ჭერიც მოჰყვა.

...იოსებმა თვალები ამოიხულოდა და ზმანებაც გაქრა.

„დააშავეს მხედრიონელებმა და მერე როგორ? გვარდიელებმაც...“ — გულმა რეჩხი უყო იოსებს. კვლავაც ჩაფიქრდა! — დანაშაული იყო აფხაზეთში ასე შესვლა, ასე და ათა სხვანაირად (!), როგორ შეიძლებოდა სოხუმის ასე აღება? ნეტა ვის ვართმევდით სოხუმს? განა ისედაც ჩვენი არ იყო და... ამაზე ისტორია იტყვის. მათიანეს მემკვიდრე დაწერსო, — დაასკვნა და

იოსებ ნიჟარაძე ისევ აფხაზეთში მოისროლა ფიქრმა:

შეტევაზე გადმოდიან აფხაზნი და ძმანი მისნი და ქართველმა მხარემაც ტყვეების წვიმა შეაგება მოიერიშეთ.

შედრკნენ აფხაზნი და ძმანი მისნი.

ახლა ქართველმა მხარემ იმძლავრა და შეტევაც განახორციელეს დიდი, მაგრამ მაინც სახელდახელო და სუმბურული როგორაც.

ოღონდაც:

შემდგომ ფორტუნა აფხაზთა მხარეზე აღმოჩნდა ისევ.

ქართველთა სისხლს შეეღება მღერი მდინარე.

ბრძოლა შებინდებისას შეწყდა.

მიწყდა ხმაური.

სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა.

მერე ბნელმა მოიცვა ყოველი.

მზე ამოვიდა დილას და აცხა. ორმოცდაოთხი გრადუსი ჩრდილქვეშ. უპატრონოდ დაყრილმა გვამებმა სუნი აუშვეს აუტანელი.

— მოვილაპარაკოთო, — დუმილი ქართველთა მხარემ დაარღვია.

— მოვილაპარაკოთ, მოულაპარაკებელი რა გვჭირს აფხაზს და ქართველს, — უპასუხეს აფხაზებმაც.

მოილაპარაკეს.

გადაწყდა, ყველა თავის მკვდარს მოუვლიდ-მიხედავდა.

ეს იყო მეოთხე დღეს ბრძოლის დაწყებიდან.

შებილწულიყო ჰაერი, აირწინალის გარეშე ჭირდა სუნთქვა.

— წაიყვანეთ თქვენ თქვენი მკვდარი! — უფლება დართეს ქართველმა და აფხაზმა ერთმანეთს.

მაგრამ ვერც ერთი ველარ ცნობდა თავის მკვდარს.

— იქნებ მე ვცადო... — მეთაურის წინაშე წარსდგა იოსები: — სამი კაცი გამაყოლებთ, მეტი აღარ მჭირდება. შეუძლებელია, ვერავინ ვიცნო.

წავიდა ოთხი ქართველი. შედგნენ ხიდზე. ხიდი სავსეა მკვდრებით.

ყარს ხილი...

წამით აიხდის იოსები აირწინალს, დახედავს ცხედარს, — ეს წელკავაა, ეს — ბაბუ... ამას, აღარ მახსოვს, რას ვეძახდით, მაგრამ ჩვენია, ვიცნობ... ამას არ ვიცნობდი...

მზის ჩასვლამდე გამოიყვანეს თავიანთი მკვდრები...

და ყველგან, ყველგან მოქმედებდა ამგვარი ოპერაგუფები.

გაიწმინდა ბრძოლის ველი.

სისხლი მიწას შეეწოვა და თვითმყოფილს თვლელმა მორეოდა.

— სწორედ რომ საშინელება იყო... აბა, რა ვიცოდი, ასე თუ ყარდა ადამიანის გვამი?! შეიძლება მოიწამლო კიდეც.

მართლაც და ჯოჯოხეთია მოსაგონებლად ის უღლეური დღე!

ძლივს ჩაეძინა იოსებს.

ის მდინარე ეზმანა სისხლისფრად შეღებილი და სისხლის მდინარეში შეცურებულს გაკავებოდა მარჯვენა ხელი.

ჩაყვინთა და ბარძაყზე იკბინა. პირში სისხლის მლაშე გემო იგრძნო და კინაღამ აერია გული. გადმოსდინდა სისხლი და შვება იგრძნო ერთგვარი. აამოძრავა მარჯვენა. ძლივს გამოაღწია.

გამოიღვიძა და მდინარეში განიბანა. სიზმარიც წყალს გააყოლა, — ღმერთო, მაშორე სისხლი! აწი მაინც ნულარ შემომიყვან სისხლის მდინარეში. დააცხრე სული ჩვენი... სისხლმოწყურებული. ვიცი, ვიცი, ვინც აამღვრია სისხლი ჩვენი და... მართავს ბოროტი სული ვარსკვლავიან დედაქალაქში საერთაშორისო კონფლიქტების კომისიას... მაინც რამდენი ასეთი ჭუჭყის ინსტიტუტი მოქმედებს ბოროტების იმპერიაში? დაჭირდათ და „ოსეთი“ მოგვიწყვეს, დაჭირდათ კიდეც და აფხაზეთში დაანთეს... შემოგვინთეს ცეცხლი... დაჭირ-

დებათ და ცეცხლის ალში გახვევენ სრულიად საქართველოს... ცეცხლის ალში გახვევა კიდეც ერთი წერტილი ჩრდილო კავკასიაში... და საოცარია, ამ ომების გამჩალებლებს კი არ ვებრძვით, არამედ... ერთმანეთს დავრევივართ და ძმათამკვლელი ომი გავგიჩალებია... ვიცოდით, ვიცოდით, რასაც გვიწყობდნენ, და მაინც წამოვეგეთ იმ ანკესზე, ბოროტების იმპერიის დაკვეთით რომ გადმოგვიგდეს. და ვსვამთ ახლა, ვსვამთ კი არა და, შევსვით უკვე ერთი-მეორის სისხლი...

ნუთუ ველარ მოვეგებით გონს? როდემდე, მაინც როდემდე უნდა ვხოცოთ ჩვენ ერთმანეთი? მერე, როცა ჩადგება ეს სისხლიანი ქარი და დროც ამოისუნთქავს შვებით, როგორღა ვიმართლებთ თავს ერთი-მეორის წინაშე? როდისღა და როგორ ვაპატიებთ, მივუტევებთ ერთმანეთს... მივუტევებთ კი... აუუუ... გათენებულა ამასობაში!

საათზე დაიხედა იოსებმა.

— ოც წუთში უნდა გავიდეს ჩვენი მაჩქანა... აგერ ისიც!

დამუხრუჭების ხმაც გაიგონა.

მძლოლის გვერდით მოიკალათა.

დაიძრა მაჩქანა ადგილიდან და ძილქუში დაეცა იოსებს.

ქუთაისში გამოეღვიძა.

იქ, სადღაც, სარდაფში, აღარც კი ახსოვს, სად წაილუკმეს და გზაც გამოიგრძელეს ნამთარისაკენ.

ხუთი საათი იქნებოდა, ნამთარში რომ შემოვიდნენ.

მძლოლს ფული შეაძლია და არ გამოართვა იმან, შენგან ფულს როგორ ავიღებო?

„მართალიც არისო!“ — გუნებაში გაივლო და ხელი ჩამოართვა მძლოლს, შემდეგ გადაიხადოს ათმაგადო.

— ისე, ძმობილო, მართლაც ჯარი-სკაცური ძილი გცოდნია, ჩემს დროს ასე იტყოდნენ. რუსის ჯარში ვმსახურობდით მაშინ ყველანი. Солдат спит, служба

იდუტ-ო, შენზეა ზედგამოჭრილი. მშურს შენი! ჯანმრთელობას ნამდვილად არ უნდა ემდუროდე! ტყვიას ხომ არ წაუბოროძიკებისარ ჯერ?

— არა... სულით, ხორციით ჯანმრთელი ვარ... თავიც არასოდეს წამომტყ-

ენია... ტკივილი რაა, მართლა არ ვიცი. ძილი კი... მართლაც კაი ვიცი...

— კარგად მენახე, ძმობილო, ცოცხალი...

— შენც კარგად მეყოლე! — დაუგდო იოსებმა მძღოლს და ჩავიდა მანქანიდან.

* * *

გასაღები ძველ ადგილზე, რეზინის საფენქვეშ იპოვა.

„ის ბიჭი მაინც დაბრუნებულიყო... ოსებმა დაწვეს ჯვარზე გაკრული...“

იოსებმა ჭირის ოფლი შეიწმინდა.

(ძლივს მოაბრუნეს მაშინ იოსებ ნიჟარაძე).

„კიდევ კარგი, რომ ვინმე ოსს არ გადავეყარე მაშინ, თორემ ცხრა ტყავს ავხდიდი...“

წერილი დახვდა სოფლიდან. დეიდას გამოეგზავნა, მაქაურობა შენთვის გადმომიბარებია და აბა, შენ იცი, როგორ უპატრონებ; ნურავის ათქმევინებ, უშვილ-ძიროდ გადაშენდა დეიდაშენიო.

გული არ გაუჩერდა შინ.

„ვეშეშოკი“ საწოლზე მიაგდო და გარეთ გამოვარდა. გვიან მობრუნდა უკან. ნაშუადღევს ძლივს ჩაეძინა.

მოძღვარი ესიზმრა და მაშინვე იცნო, შენ არ იყავი, აქეთ რომ გამომისტუმრეო? — უთხრა და გამოაღვიძეს.

— მე ვიყავი, მე... შენი მოძღვარი... შენი ჩამოსვლა ნამთარში აუცილებელი იყო. უკვე დროში ზიხარ. ახლა კი ჩაიძინე და ხვალ დილით, ცხრა საათზე,

ღვთისმშობლის ტაძარში უნდა იყო. იქ შეხვდები შენ ომზირ თავდგირიძეს, მისი მეაბჯრე და საჭურჭლეთმტვირთველი უნდა შეიქმნე შენ, იოსებ ნიჟარაძე! მედროშე... ომზირ თავდგირიძემ უნდა იცოცხლოს. დანარჩენს მერე შეიტყობ! შენ განსაკუთრებული მისია გეკისრება, გიმეორებ. მაშინაც გითხარი და უნდა აღასრულო შენ შენი მისია. იქნებ აღასრულო კიდევ, მაგრამ ჯერჯერობით არცაა ეს დადგენილ-გადაწყვეტილი. თუმცა გამორიცხულიც არაა ასეთი რამ.

როცა გამიჭირდეს, მომიხმე და შენთან გაგზინდები!

ერთიც დაიხსომე:

უნდა იცოცხლოს ომზირ თავდგირიძე. ეს შენი მისიაა!

თქვა ეს მოძღვარმა და გაუჩინარდა.

იოსებს კი ისევ წაართვა თავი ძილმა.

ვილაც ელაპარაკებოდა და ვერ ხედავდა იმის სახეს.

— მე... გილგამეში... შენ კი — ენქიდუ ჩემი...

დრო კი მიიკვლევდა თავის გზა-ბილიკს.

მტრედისფერი ეპარებოდა შეთრთოლებულ ღამეს...

* * *

ჰოდა, ის იყო, შეხვდნენ კიდევ ღვთისმშობლის ტაძარში ერთმანეთს...

ადრე გამოეღვიძა დღესაც. ხელში ხელნაწერი მოჰყვა და ზეწამოიჭრა. ბნელოდა და სანთელი აანთო.

— დღესაც არ მოვა სინათლე... ველარ ამიტანია უსინათლობა. ისევ ავარია ენგურჰესზე, თუ... მეცხრე ენერგობლოკი გამოირთო დედაქალაქში?

ხელნაწერს დახედა.

შავი სილუატი

(მე სული ეშმაკმა მთხოვა)

„...იცით კი, როდის გადავეყარე მე შავ სილუეტს?

მიჯობდა კი აროდეს მეხილა!

ყველაზე მეტად რომ გამიჭირდა, გამომეცხადა მაშინ:

ინატრე, რაც გინდოდეს და აგის-რულდებო.

ოღონდაც მცანიო...“

— მინდა არ მიჭირდეს... — ჩემთვის ფიქრივით ჩავილაპარაკე, მაგრამ მივხვდი უმაღლეს, რომ წავეითება იმას ჩემი ფიქრ-ჩურჩული და ამან შემაშინა.

ჩემს წინ იდგა შავი სილუეტი, უს-აშველოდ მაღალი და შეუწვდომელი. იმდენად დიდი, რომ თავი დამცირებულად ვიგრძენი მის წინაშე.

მპირდებოდა ყველაფერს, მაგრამ აღარ ვიცოდი, რა უნდოდა ჩემგან, იმაში კი ნამდვილად ვიყავი დარწმუნებული, რომ რაღაც სანუკუარს მომთხოვდა. ამიტომ იყო, გაჭრილად, თითქმის დაუფიქრებლადაც რომ ვუთხარი, მიჯობს მიჭირდეს, ვინემ შენ დაგესესხო რამესო.

— აქ რაიმე სესხზე... — თავი გადააქნია შავმა სილუეტმა, — ლაპარაკიც კი ზედმეტია. თითქმის არაფერს გთხოვ, არაფერს-მეტე! — სიბრაზისაგან სულ გადაფითრდა.

— აბა, ისეთი მაინც რა დამიმსახურებია, ინატრე რაც გინდოდეს და აგისრულდებო, რომ მეუბნები? ვიცი, უანგაროდ არაფერს გააკეთებ შენ, ნაბიჯსაც არ გადადგამ ჩემი გულისთვის... რაო, როგორ თქვი, ჩემს ნებისმიერ ნატვრას ჩემივე ლამაზი თვალებისთვის ამისრულდებო?

— ვიცი, რომ არ გჯერა ჩემი... — ჩაფიქრდა შავი სილუეტი და თვალები მოწყურა. — მაინც რას ინატრებდი?

— რას ვინატრებდი? მართლაც სა-

ინტერესოა, რას ვინატრებდი... — მე თითქოსდა სიკეთის მატარებელმა, ასე მეგონა ყოველ შემთხვევაში, საკუთარ სულში ჩავიხედე და შევცბი, — ნეტა, რა მენატრებოდა მართლა? ადამიანი ხომ ათას ერთი სურვილის მონაა და მე რაღამ შემათქმურებია ამაზე. როგორ შემომეფანტა მაინც ამდენი სურვილი? — ვფიქრობ გამწარებული და შუბლზე გამონადენი ოფლის შეშრობას ვცდილობ, თან იმის დადგენაც მაინტერესებს, ჭირისაა ეს ოფლი თუ უბრალოდ, შეუჭირვებლად გავოფლიანებულივარ?

— სურვილები შემოგფანტვია, ვხედავ, — ელიმება შავ სილუეტს და ხასიათიც გამოუკეთდება. — ამ პრობლემას ახლავე მოგიხსნი, აბა, დაუშვი ხელები ძირს! წყალი მოსვი. აბა, სურვილი პირველი! შენ გიყვარს, ომზირ, გიყვარს! ლაურა გიყვარს, მშვენიერი ლაურა! ხვალ ჩამოდის თბილისიდან. ხვალ დილით აქ იქნება! ხომ მართალი ვარ, ომზირ? ლაურა... ეს სახელი... ლაურა უყვარდა პეტრარკასაც... მშვენიერი ლაურა! მაგრამ შენ შენი ლაურა გყავს, რომელიც ხვალ უნდა ჩამოვიდეს თბილისიდან... — დოინჯი შემოიყარა და გაეცინა, მერე ეს სიცილი ხარხარში გადაეზარდა, — იმასაც უყვარხარ, ომზირ, მაგრამ... — აქ ხმა ჩაიწყვიტა და თვალები მოხუჭა.

მეც დაკვირვებით შევათვალიერე შავი სილუეტი და უნებლიეთ გამაძაგდა. შეეძლო იმას ჩემი განადგურება (არ ვიცი, მომავალში შეიძლება ვერ მოეხერხებინა ეს), დღეს და ხვალ, პო. ხვალაც შემიძლე იყო იგი იმისა, რომ დავემარცხებინე — დავცემულიყავი და ველარასოდეს წამოვმდგარიყავი.

— შენ აკრძალული ხილის ჩაკბეჩა მოგინდომებია, ომზირ! — გაწყრა შავი სილუეტი, — ასე იყო ერთ დროს, ლაურას, შენი ლაურას მამასაც ეგონა ასე... ვიცნობდი მე იმ კაცს, ლაურას მამაზე გეუბნები, მაგრამ ამაზე მეტე! ომზირ, შენ ჩემს სულში ჩახედვა მოგიწადინებია და... მომწონს შენი ფიქრის ასეთი გაქანება და ამაღლება... — და გადა-
 მიხსნა შავმა სილუეტმა თავისი შავი გული, — აბა, ომზირ ჩემო, აგერ შენ და აგერ ჩემი ხელი და ვნახოთ, რას გამოვრჩებით ჩვენ ერთი-მეორეს. მიდი, ომზირ... მე ჩემდათავად ნება დამირთავს შენთვის...

და მეც ჩავიხედე ამ თითქოსდა ყოველნაირად აწყობილ სულში და ჩემდა სამწუხაროდ, ვერაფერი ამოვიკითხე. ვერ წავიკითხე, ვერ მოვიხილე ეს ამხელა ლაბირინთი. სული და, არც იყო თითქოს ეს ლაბირინთი სული.

აქ სულ სხვანაირი ანბანი უნდა მომეშველებია და სიმწრის ოფლი დამასხა. სტრიქონში რაა და ისიც ვერ ამოვიკითხე, არც ერთი ნაცნობი სიტყვა, ასო...

და როცა თავს ვიმტკრევდი ამ მართლაც რომ ამოუხსნელ გამოცანაზე, სულში შავი სილუეტი ამიხარხარდა:

— მე ჩემთვის კი არა, შენთვის ვხარხარებ, ომზირ...

— კოკისპირულად წვიმდა იმის სულში და ამ თავსხმაში აღმოვჩნდი. თითქოს ვედროთი მასხამდნენ თავზე წყალს და ათასჯერ გულწასული ათასჯერვე მომასულიერეს.

— კარგი, კარგი... — გავიგონე შავი სილუეტის თვითკმაყოფილი ხმა — მოვეშვი, იმან კი თავისებურად განაგრძო მაინც, — ლაურა გიყვარს?! **Похвально, похвально...** იმასაც უყვარხარ, მაგრამ... — ორაზროვნად გაიღიმა, — ჰო, პრობლემა! ვხედავ ერთ პრობლემას.

გონს ნელ-ნელა მოვდიოდი, ვთავისუფლდებოდი იმის ნებისგან და როცა მთლიანად გავთავისუფლდი და თავი დავაღწიე იმის გავლენას, ჯიქურ შევხედე: — რა საჭიროა ამდენი „მაგრამ“?

— ომზირ, თავს უკვე ვეღარ იჭერ... ცრუ წარმოსახვები ხომ არ გატყუებს? მესმის, მესმის შენი და თანაგიგრძნობ კიდევ. შენ თავისუფალი გგონია თავი? ბევრს ეგონა ასე, მაგრამ... ლაურას მამაც ასე ფიქრობდა მაშინ და... მაგრამ დიდი ხანია აღარ ფიქრობს უკვე. დიდი ხანია, რაც წარსულს ჩაბარდა ის კაცი. დღეს იმ კაცის პრობლემა მე აღარ მაწუხებს. „მაგრამები“ არ გყვარებიაო თურმე... „მაგრამს“ ვერ იტან? გავითვალისწინებ ამასაც. მაგრამ შენც უნდა უწყოდე, რომ სამყარო და მისი მიმდინარეობა ერთი „მაგრამების“ ციკლია. ნურაფერს იტყვი, ისედაც კარგად ვიცი, რაც გაწუხებს და რის თქმასაც აპირებ. გიკვირს? მაგრამ ხომ უნდა იცოდე, ბოლოს და ბოლოს, ვისთან გაქვს საქმე?

„სატანა თუ არის...“ — გულში ვთქვი ისე სწრაფად, რომ ამის დაფიქსირება ვეღარ მოესწრო შავ სილუეტს და იმედი მომეცა, უკვე ვიცოდი, რომ ოდესმე მაინც დავასამარებდი ამ ბოროტ გენიას. ჰო, შეიძლება ამ საჩოთირო საქმის მოჭახრიკება, მაგრამ რაღაცად ხომ უნდა ღირდეს ეს ყოველივე!

— დიახ, შენ სწორად ფიქრობ, რომ არც თუ იოლია ეს საქმე... აბა, რა გეგონა?! ჰო, მართლა, ისიც მინდა ვიცოდე, რის შემძლე ხარ შენ, ჩემო ომზირ? ვინ იცის, იქნება ვცდებოდე მეც...

— მეც, მეც მინდა ვიცოდე, რის შემძლე ხარ შენც, დიდო მაესტრო?

— სულ გადაგვიწყებია რაღაც-რაღაცები, ომზირ ჩემო... საინტერესოა მართლაც: ჰო, მართლა, მორწმუნე ხარ

შენ თუ ათეისტი? ამას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩემთვის... ადრე მეგონა, რომ ათეისტი იყავი... თქვენი ქვეყანა ხომ ასე უღმერთოა და რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ თქვენს უღმერთო ქვეყანაში პაწია უღმერთობის იჩეკებოდნენ... წამდაუწუმ იჩეკებოდნენ... სახელდახელოდ აწყობილი ინკუბატორი ჩეკავს და ჩეკავს პაწია უღმერთობებს... ახალი ადამიანის შექმნა გადაგიწყვეტიათო, ამასაც ამბობდნენ თქვენში... მართლაც რომ უღმერთო ქვეყანაა ეს თქვენი... ასე შეკოწიწებული სამშობლო და...

— ამიტომაც თქვენც რომ აქეთ მოგიწევთ გული... მხოლოდ უღმერთო ქვეყანაშია თქვენი ადგილი, მაგრამ იცით, რა მაინტერესებს? არიან და ვერც თქვენ უარყოფთ, ამ უღმერთო ქვეყანაში კეთილი ადამიანებიც რომ არიან, მორწმუნენი და არამქონენი... მე? ვინ ვარ მე და რანაირი? თუ ვინაირი? უღმერთო მართლა არ ვარ მე, მაგრამ იმის მტკიცებასაც არ მოვყვები, რომ დიდი მორწმუნე ვინმე ვიყო თითქოს. მართლა: თქვენთვის მინდოდა მეკითხა: ხომ ვერ უარყოფთ, რომ ჩვენშიც არიან კეთილი ადამიანები, მორწმუნენი და როგორ დაუშვებს, რომ ამ მართლაც ჯოჯოხეთში მიეჩინათ მათთვის ადგილი? დაირღვა რაღაც აქ... დაირღვა...

— ღმერთი ყოველთვის არაპარმონიული ვინმე გახლდათ, სუბიექტი და დღესაც ასეთია იგი. ჰო, სუბიექტია ნამდვილად და ამის უარყოფას რატომ ვეცდები? იოტისოდენადაც არ შეცვლილა. ასეთი იქნება იგი მომდევნო საუკუნეებშიც. თქვენ კი... იმის სახელზე ადავლენთ ლოცვებს! არც კი გიფიქრიათ, რატომ სჩადიხართ ასე?

და არც მე მიცდია, საკადრისი პასუხი გამეცა შავი სილუეტისთვის, ფიქრითაც მხოლოდ ასე გავიფიქრე: „რით

დამეხმარებით მე თქვენ, მასტრო?“

— მასტროო? აი, ეს მესმის! მე ხომ მართლა მასტრო ვარ. დიდებულადაც ვუკრავ ვიოლინოზე... ჯადოქარს მესახიან. ხომ არ დაგიკრა? კონცერტი მაქვს შაბათს, საღამოს. რამდენიმე პარტიას შევასრულებ ვიოლინოზე.

— და თქვენ, როგორც პაგანინს, შეგიძლიათ ცალ სიმზე დაუკრათ?

— ცალ სიმზე? შენ შეურაცხყოფას მაყენებ, ომზირ... შენს წინ ჰუმბარიტი მასტრო დგას, ერთადერთი ამ უსასრულო სამყაროში და განუმეორებელი! აგერ, ჩემი ვიოლინოც! — აიღო ხემი და ვიოლინოდ იქცა თვითონ მასტრო.

ვიდექი მოჯადოებული. განძრევაც აღარ მინდოდა.

ჩაამთავრა მელოდია მასტრომ, ხემი ძირს დაუშვა და მეც შევიბერტყე მხრები.

— ასე ვიცი მე! — წამოიძახა მასტრომ, — დღეიდან მასტროს დამიძახებ შენც! პაგანინი?! Бедный ты мой Паганини... — კი იყო ნიჭიერი მევიოლინე, მაგრამ ადამიანი იყო მაინც... თუმცა იმისთანა შეგირდი მე სხვა არცა მყოლია. ჰო, იმას ვამბობდი, დისპარმონიულიაო ღმერთი ყოველთვის... მაინც რით შემიძლია დაგეხმარო? — ჯიქურ მკითხა და გაიღიმა მისთვის დამახასიათებელი შავი ღიმილით.

„მაგრამ შენ არც სხვა ქალზე უნდა თქვა უარი... ჩემი აზრით...“ — ფიქრი ოხრად მოაშავდა შავ სილუეტს. მეც გავიგონე იმის ფიქრი და უმაღვე დავასკვენი, რომ შეგნებულად მაუწყა თავისი ნააზრევი მასტრომ: — შენ მამაკაცი ხარ და უარსაც ვერ იტყვი ქალზე!“ — მოიკლაკნებოდა ჩემკენ შავი სილუეტის შავი ფიქრი და შემომდიოდა ტვინში, მიპყრობდა თანდათანობით. — დღეს ისეთ გოგონას გაგაცნობ, რომ ქალის უნახავს გაგხდის... აი, ნახავ! — შუბლზე,

წარბებშუა მესამე თვალი რომ უნდა თვალობდეს, იქ მიიღო თითი შავმა სილუეტმა და თავი ფიქრს შეაჩეხა.

ამჯერად: ველარ კვითხულობდი მე იმის ფიქრებს და სიბრაზისგან აღმური მომეკიდა სახეზე. მართლაც რომ მიუწვდომელი იყო შავი სილუეტი ჩემთვის და სწორედ ეს მაგრძნობინა დიდმა მაესტრომ.

განგებ ჩავახველე, მაგრამ არც ახლა მოუხედავს ჩემკენ. მე მისთვის აღარ ვარსებობდი უკვე — სუფთა ფურცელი ვიყავი, არაფერი და არა „არავინ“.

არც არავინ მისმენდა და გაცლა ვამჯობინე შეურაცხყოფილმა. იგრძნო ეს და უცებ წაუხდა გუნება, თუმცა სახტად დარჩენილს მაინც არ ჰგავდა. წუხდა კი, უფრო ადამიანზე წუხდა.

— არ წახვიდე! ჯერ ხომ არაფერი გადაგვიწყვეტია. ვფიქრობ, რომ გიშველი; მინდა გიშველო და ვერ მომიფიქრებია, როგორ?“

ვცადე თვალი მაინც გამესწორებინა შავი სილუეტისათვის, მაგრამ არ გამომივიდა. მხოლოდლა: ჩავიკარგე იმის თვალებში და განზრახვაზეც ავიღე ხელი.

— ახლა კი მიენდე შენსავ გულის-თქმას და ისა ჰქენი და ისე ჰქენი, როგორ და როცა გიკარნახოს გულმა. — ველარ გამერკვია, ამას თავისდა სასარგებლოდ ამბობდა შავი სილუეტი, თუ საზიანოდ. გავიანზრე ეს და კიდევ ერთხელ ვისურვე ჩავძირულიყავი იმის ჩამობნელებულ სულში.

ვფიქრობდი ასე და თვალი ვერ მომეშორებინა შავი სილუეტისათვის. — არა... უნდა გავუძლო ცთუნებას და... მაინც მოვახერხე, ავცდენოდი შავი სილუეტის სულის კარიბჭეს, — ესეც ასე! — ხელი ხელს შემოვკარი: „თურმე მეც მისწავლია რალაც-რალაცებები, — გულში დამცინავდაც კი შევათვალეირე

გრძნეული გენია. იმასაც ეშინია ომზირის (ჩემი) ამგვარი გაკადნიერება და შედრკა ერთი პირობა, მოეშვა რალაც-ნაირად და მე — ომზირმაც წავიკითხე იმისი ფიქრი.

გაელიმა ანაზდად.

მიხვდა შავი სილუეტი, რომ იწვნია მარცხი უბრალო მოკვდავისგან და ფარადაც სიფრთხილე მოიმარჯვა: „არც ისე გულუბრყვილო და უბრალო ვინმე ყოფილა, ერთი შეხედვით რომ მოგაჩვენებს თავსო...“

აქ მეც, (ომზირი) ჩავვარდი საგონებელში: „აჰა, ფიქრი მისი, ავწონდავწონე კიდეც, მაგრამ ვაითუ თამაშობს და... განგებ წააგო... წააგო განგებ, რომ ჩემი ყურადღება მოადუნოს, ჩემი სიფხიზლეც, სინამდვილეში კი წინასწარგანზრახული და წინასწარმედგენილი გეგმით მოქმედებს...“

და ისევ ჩავიხედავ მე — ომზირმა შავი სილუეტის შავ თვალებში და დავიბნევი უფრო.

მართლაც რომ უძირო ჭა იყო ეს კუნაპეტი — შავი, წყვდიადი თვალები.

„ბედს მაინც უნდა მივენდო“, — ვცადე უკანდახვევა და ფერი ეცვალა შავ სილუეტსაც. გაილიმა თავისებურად. ილიმებოდა მაინც თავისი შავი ღიმილით.

„იქნებ არც შეუძლია სხვანაირი ღიმილი...“ — ფიქრი ამივარდა და იქიდან ზედ ენაზე არ დამასკუბდა?! — მაინც რა მაინცდამაინც მე შემარჩიე და... ფიქრიც აქ გამიწყდა ერთი წამით და თავი გადავაქნიე, — რა გინდა ჩემგან, ჩემგან რას მოითხოვ?

— ეგ ადვილი საქმე არაა... ასე ადვილადაც ვერ ავიხსნი, ომზირ ჩემო... — იქნებ ჯერ ადამიანის არსის შესწავლა გეცადა... შენ, როგორც კაცი, უნდა ერკვეოდე ყველაფერში, უნდა იცოდე, რაა და რანაირია ადამიანია დანიშ-

ნულება, მისი მოვალეობა... კარგი იქნებოდა, რომ ამეებშიც გარკვეული-ყავი! გამიადვილდებოდა მაშინ ურთიერთობა შენთან. იქნებ: მოდი და დაგესიზმრები ღღეს და ვეცდები, გადმოგცე მთელი ის ცოდნა, რაც

საუკუნეების მანძილზე დაუგროვებია. ადამიანს და რაც ასე საჭიროა შენთვის! ჩვენი მომავალი ურთიერთობისათვის.

მაგრამ არ მიმტყუნო! არ მიმტყუნო, თორემ იმაზე უარესი დაგემართება, რაც ლაუზას მამას დაგემართე...

ზაზი მაგიის მსხვერპლი

არ ვიცი, შინაურობაში რას ეძახდნენ, მაგრამ ჩვენში იოთამ ნათელ-აშვილად იყო ცნობილი.

იოთამ ნათელაშვილი — სული ნათელი და თვალი ინსტიტუტის.

უკვე დიდ იმედებს ამყარებდნენ ინსტიტუტში ნათელაშვილზე. ელიტამ მაშინვე აღმოაჩინა და სცნო კიდეც მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ამომავალი ვარსკვლავი.

— შენგან, იოთამ, პედიატრი დადგებოდა ისეთი, რომ... შესანიშნავი პედიატრი... — ასე ეტყოდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ევგენი ვინოგრადოვი, — იშვიათია კაცი, რომელსაც ასე უყვარდეს ბავშვი და იმისი სულის გადარჩენისთვის ფიქრობდეს და ზრუნავდეს ასე, შენსავით... ჩემი იმედი გქონდეს.

...და იოთამიც მიიწევდა წინ.

მაესტროც მაშინ გამოეცხადა და სატანისტო საზოგადოებაში შესვლა შესთავაზა, — შენ, იოთამ, აკადემიკოსი გახდები მალე, ასევე მოკლე დროში შეიქნები მილიონერიც, მაგრამ მანამდე... ჯერ ყველაზე პრესტიჟულ კლინიკაში მოგაწყობთ... მთავარ პედიატრად. შენ ბავშვებთან გექნება საქმე და... უნდა მიმიხვდე მგონია... მომაკვდავი ბავშვისთვის, მომაკვდავის-თქო, გეუბნები... ამ ბავშვისთვის სიკვდილის აქტის დამოწმება დაგვევლება მხოლოდ... ჩემი სწავლება შენ აღარ უნდა დაგჭირდეს მგონია... შეგახსენებ მხოლოდ, რომ

ბავშვი და საერთოდ, ყოველი სულიერი მკვდრად მაშინ ითვლება, როცა უკვდება ტვინის უჯრედები... მკვდარიაო, იტყვი და დააფიქსირებ ამ პროცესს, რაღაც წამებით ადრე... სიკვდილი კი... მაინც მოსასვლელია... თითქოსდა ცოდვაც არ უნდა იყოს ეს... თითქოსდა კი არა, მართლა არ ჩაგეთვლება ცოდვად...

— ჰმ... — ჩაფიქრდა იოთამი, — გული და სხვა ორგანოები კი ტვინის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს...

— მართალი ხარ, იოთამ, მართალი ცამდე! შენ შორიდანვე დაიჭირე ჩემი ფიქრი... ჩანაფიქრი... — თვალეები კიდეც უფრო გაუწყვიდადდა მანსტროს.

— და ათასობით, ათიათასობით დოლარი ღირს ასეთი ბავშვის ღვიძლი, გული, ფილტვები, კუჭი და სხვა და სხვა... მაინც საიდან გაგიჩნდათ, საიდან უნდა მოგვსლოდათ ასეთი აზრი, კაცი ხართ, თქვენ, თუ... — გამომცდელი თვალეებით ახედა იოთამმა მაესტროს და ნალღელი შემოაწვა გულზე, — საოცარია, თქვენ — დიდი მოაზროვნე აქამომდე როგორ დახვედით?

— დახვედითო კი არა, ახვედითო, ამალღდითო, უნდა გეთქვა შენ, იოთამ ნათელაშვილო! სიტყვის ფასი ჩემგან კი არ უნდა გესწავლებოდეს?! შენ დიდი პედიატრი გახდები, სახელიანი, სახელოვანი... საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება, შეიძლება ნობელის პრემიაც მოგანიჭონ, აბა?! მე, მე ვიზრუნებ იმი-

სათვის, რომ ნობელიანტი იყო შენც... ასკლეპიოსი... პირველი ქართველი ნობელის ლაურეატი... ოღონდაც, მოვრიგდეთ უნდა მე და შენ, და...

— მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით ისეთი, რომ... — ფიქრმა წაართვა თავი იოთამ ნათელაშვილს.

— წაგიკითხავთ ალბათ, თქვენ გოეთეს „ფაუსტი“... მე ჯერ ის მეფისტოფელი ვიყავი, და აწი მაესტროდ უნდა მიცნო... მაესტრო დამიძახე! თუმცა შავ სილუეტსაც არა უშავს, მაგრამ მე მაინც მაესტროს ვამჯობინებ. არჩევანი მგონი ჩემზეა აქ! მაესტროდ მიხმობენ დღეს ჩემს ახლო წრეში, რომელში შემოსვლასაც შენ გთავაზობენ. მერე კი, მე და შენ რომ მოვრიგდებით, საქართველოსაც მოვინახულებ. აღარც კი მახსოვს, როდის ვიყავი უკანასკნელად მე შენს ქვეყანაში. ყოფნით კი რამდენჯერმე ვყოფილვარ. ნამთარშიც ვყოფილვარ, ნამთარში... სწორედ ნამთარში — იქ ჩემთვის და ჩემი საქმისათვის ნიადაგი ყველაზე უკეთაა მომზადებული. მერე შენც გადმოხვიდოდი ნამთარში, ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი... ვიცი, შენც შეგიპყრობს ნოსტალგიის გრძნობა. სენია ეს ადამიანთა... ნამთარში მარჯვენა ხელიც მყავს — კაენ ადამაძე, ცნობილი ფსიქოლოგი... უფრო ფსიქიატრი. რამდენიმე ცნობილი ნაშრომის ავტორი. ამ ორი-სამი წლის წინ აქ, მოსკოვში ვნახე კაენ ადამაძე. ნიჭიერი კაცია. იცი, რას ვფიქრობ და რას ვიტყვი ქართველებზე?! საქართველოში პაწია სული რომ მოეველინება ქვეყანას, აიყვანე და ჩააკარი აკვანში, აკვნიანად, ერთი კი არა, ათასი, ათიათასი ყრმა ფრთხილად დაუშვი სხვადასხვა ქვეყანაში... გაიზრდებიან და... პრეზიდენტებად მოეველინებიან შემდგომში ახალ სამშობლოს. ქართველს ასპარეზი არა აქვს საქართველოში. შენც ამიტომ

უნდა დარჩე მოსკოვში. ჯერჯერობით მაინც! პრეზიდენტობა შენ ნამდვილად არ გინდა... არ გინდა, ვიცი... კაენ ადამაძეზე გეუბნებოდი. სამ-ოთხ წელიწადში ჩახვალ საქართველოში, შენს ნამთარში... თვითონ კაენ ადამაძე მოგნახავს და... მეც იქ არ დაგხვდები?! ერთად იმუშავებთ შენ და კაენი!

— თქვენ ისე აწყობთ მომავლის გეგმებს, არც კი დაეკითხებით ამაზე დაინტერესებულ პირს, მეორე მხარეს; თითქოს უკვე მოვრიგებულვართო, ისე იქცევით, მაგრამ მე რომ უარი უნდა გითხრა! უარი უნდა ვთქვა თქვენთან თანამშრომლობაზე... მე ჩემი გზა მაქვს! — წამოდგა იოთამ ნათელაშვილი და თვალი გაუსწორა მაესტროს.

— მაშინ, ჩემი აზრით, ძალიან გაგიჭირდებათ ცხოვრების გზაზე შედგომა... სამწუხაროა ყველა ესენი... — თავი მწარედ გადააქნია მაესტრომ და წამოდგა: — მე ჩემი გითხარი, იოთამ ნათელაშვილო, შენ კი, არ ინდომე ჩემთან მეგობრობა. შენ მაესტროს ჰკარი ხელი, გესმის?! მაესტროს? საკვირველია სწორედ! — თვლები უცნაურად აუელვარდა და იოთამამაც იგრძნო ამ თვლების არაადამიანური ძალა, რაღაც ცივი ისარივით რომ გამოიტყორცნა იქიდან და გველივით აუსრიალდა მოწურულ სულში. ვაიმეო, — წამოიძახა, — ეს რა შემართება?

„შენ რაღაცა უკვე დაგეპართა და იმ რაღაცაზე უარესიც! და ის უარესი თვითმფრინავში დამთავრდება შენთვის!“ — გაიფიქრა მაესტრომ და ისე, თითქოს სხვათაშორისო, ჰკითხა, თვითმფრინავის ბილეთი თუ არ გიშოვია, მე დაგეხმარებო.

იოთამი გასწორდა წელში, სიამაყესაც მოუხმო და მკაცრად თქვა: — ბილეთს უთქვენოდაც ვიშოვი. დღესვე! მე თვითონ ვიშოვი დღესვე! — გაიმეორა და თვლები ამოვესო სიხარულით.

„კი იშოვი ბილეთს, მეც მიიღო, რომ იშოვო ბილეთი... ჩემი დაბრონილი ბილეთი შეგხვდება შენ... ახვალ მშვიდობიანად...“ — ფიქრს მიეფერა მაესტრო. — მე გხვდავ, იოთამ, როგორ ადიხარ ტრაპზე და მე დამეძებ თვალით, რომ ნიშნი მომიგო...“

— მეფისტოფელი რომ ხარ, ვიცი, მაგრამ მე ფაუსტად ვერ გამოვადგები, კარგად ბრძანდებოდე, მაესტრო.

— ფაუსტი... მართლაც რომ იყო დიდი ვინმე... მაშ, უარს მეუბნები ფაუსტობაზე, არა? მართლა არ გამაცინე?! ასე კაი ხანია, არ გავურთივარ ადამიანს. მადლობთ, იოთამ ნათელაშვილო! შენ არა, შენ ვერა... საქმე ისაა, ფაუსტობა რომ ვერ შეძელი; ფაუსტს კი მაინც ვნახავ: მე ჩემი მითქვამს და სანამ კიდევად დრო, გირჩევნია, მოეგო გონს, ჩემი კეთილი რჩევაა ეს!

— თქვენ...

— ჩემთან ხუმრობას არ გირჩევ! ხომ არ გაგიწყდება, რომ მე ყველაფერი შემძლია! ამიტომ: უარს ნუ მეტყვი ასე გადაჭრილად. ნუ გამაბრაზებ! დარჩი მოსკოვში და ითანამშრომლე ჩემთან. სამაგიეროდ: გპირდები ყველაფერს! მწვერვალზე ახვალ... ალგამალვებ!..

— არ შემძლია! მე შენს მწვერვალზე არ შევდგები!

— გირჩევ მოხვიდე გონს; გონს მოდი, იოთამ!

— მე არასოდეს დამბნელებია გონი, მაესტრო!

— გაგიმეორებ კიდევ ერთხელ. ხომ გახსოვს ფაუსტი და მეფისტოფელი? გოეთემ დაამახინჯა ის ლეგენდა... გოეთემ ყველაფერი მოიგონა! დიდი ფანტაზიური ვინმე იყო იოჰან ვოლფგანგ გოეთე!

— შენ სული დაუმახინჯე ფაუსტს!

— სული დავუმახინჯე? პირიქით, იოთამ, გავაკეთილშობილე მე ფაუსტის დაცემული სული.

— მე რაღას მიპირებ, მაესტრო?

— ექსპერიმენტს აღარ ჩავატარებ... სამომავლოდ გადავდებ. აწი არაფერს გთხოვ, იოთამ; მაშ, უარს მეუბნები?

— მე ვითვალისწინებ ფაუსტის გამოცდილებას! მშვიდობით!

მაესტრო წავიდა. თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, მაგრამ შეეძლო გრძნობების დაოკება (!), ამის დიდოსტატი იყო. გაბრაზებულიც იყო და იმედგაცრუებულიც, რომ ამ არაფრისმქონე ყმაწვილკაცმა არც მოუსმინა და ვის?! მაესტროს! და უარით გაისტუმრა! — არა, არა! იოთამ ნათელაშვილი საქართველოში ვერ უნდა ჩაფრინდეს. არ მიიღო ნამთარში დამკვიდრდეს საბოლოოდ! ობლად დაადგებს იგი თავის შვილებს — აღარ ინდობა მომავალში ჩაძირულიყო, — არა, იოთამ ნათელაშვილი ვერ დამკვიდრება ნამთარში — მომავლის ქალაქში... იქნებ ხელიც კი შეუშალოს კაენ ადამაძეს... კაენზე დიდი შესაძლებლობისა კი ნამდვილად არის იოთამ ნათელაშვილი... იქნებ დამეშინებია... აუტანელია, რომ ასე ნიჭიერი კაცი ჩემს მიღმა რჩება... სამწუხაროა! ჰმ... ზუსტად დომადედოვოს აეროდრომიდან ერთი საათის აფრენის შემდეგ ავიალინერი „ესა და ეს“ კატასტროფაში მოჰყვება და... იღუპება ყველა! ერთიც არ უნდა გადარჩეს!

ერთიც: ნაბიჯი გადავდგა წინ! ნამთარში, უკვე ელიან იოთამ ნათელაშვილს... აგერ მისი მშვენიერი მეუღლე, ლოდო — ვაჩნაძის ასული! ფეხმძიმედაა... ერთ თვეში იხილავს მზის სინათლეს ლაურა ნათელაშვილი! პაწია სანდროზეც ვიფიქრებ.

„მე მსურს ასე! ასე მსურს მე!“ — გულში იტყვის მაესტრო და:

მაესტრო დომადედოვოს აეროდრომზეა. ბილეთი ჯერაც ვერ ეშოვა იოთამს.

— შენ, ჰეი! — ერთი

შეზარხოშებული ყმაწვილი გააჩერა მანქანა: — Хочешь подзаработать?

— Хочу... спрашиваешь ещё?! — არყის სუნი ასდიოდა ყმაწვილს.

— Видишь, вон того грузина?

— Вижу, слепой что ли? а что?

— Вот видишь этот билет? Продашь за поллитру ему...

— А почему? За свою цену разве нельзя?

— Нельзя! А цену за билет после продажа билета получишь от меня, понял ты дылда, то ли не понял?

— Такая математика мне нравится даже!

— А как то именовать Вас по батюшке... Да, тебя я спрашиваю, Балбес!

— Иваном Ивановичем, величают Вашего брата!

— Прекрасно Иван Иванович... за поллитру отдашь этот билет вон, тому грузину, ко мне подоидёшь после, и за билет получишь, понял?

— А если смоешься? А кто Вас знает не русских... и не по русский то смеёшься ты, папаша...

— Тогда вот тебе половина, а если сказать, и этого много тебе, Иван Иванович! Договорились? Вот моя рука!

— Лучше без рук!

— Ну будь то по твоему... — გაელი-მა მანქანის და დამცინავად შეათვალ-იერა ივანე ივანიჩი. უყურებდა ამ „ახრონგილ“ ყმაწვილს და უნდოდა სულ ეხარხარა და ეხარხარა, მაგრამ მოერი-ათავს და „იდი“-ო, უფრო თავისთვის ჩა-ილაპარაკა, ვიდრე იმ ბიჭის გასაგონად.

— Согласен, но не понимаю я Вашего брата... шверяетесь такими деньгами сам не зная для чего и почему... И как это Вам даётся, диву даюсь... нука, давай... черт с Вами! — ბილეთი და ორმოცდაათდოლარიანი (ბილეთის ნახევარი ღირებულება) გამოართვა მანქანის და იოთამ ნათე-ლაშვილისკენ გასწია.

იქ სწრაფად მორიგდნენ ერთმ-ანეთში ივანე ივანიჩი და იოთამ ნათე-ლაშვილი და მანქანისკენ ამოიხსნენ. შვეებით, — ყოჩაღ, ივანე რუსო! ეჰ, ივ-ანუშკა დურაჩოკ, ივანუშკა დურაჩოკ...

...ავიოლაინერი ზუსტად სამ საათზე აფრინდა დომადედოვოს აეროპორტ-იდან და ერთი საათის შემდეგ აფეთქდა ჰაერში (ეს ისე, როგორც მანქანა იწინასწარმეტყველა).

დაბადებამდე, დედის საშოშივე დაობლდა ლაურა ნათელაშვილი. შავები ჩაიცვა ქალბატონმა დოდომ.

* * *

სასტუმროში დაბრუნდა მანქანა. მიწვა რბილ დივანზე და ჩათვლია.

დაუკაკუნეს კარზე და შემოდიო, — ბრძანა მანქანისკენ.

გაიღო კარი და ნომერში შეახანს-გადაცილებულმა სართულის მორიგე შემოიხედა.

— Что я пожалею? Что и твоя душа, Константин Петрович.

— Постой ты... Боже мой. Откуда-

то Вам знать, как нарекли в своё время мне мои необтёсанные родичи?

— Я знаю всё, Константин Петрович... котик мой ненаглядный... Не так ли именovali тебя-то в детстве? Видишь, котик мой, ненаглядный, котёничик ты мой!

— Полно, полно, барин... Всё так будет, как Вам заблагорасудится... — კარი გაიხურა სართულის მორიგე და

მაესტროც მარტო დარჩა.

რატომ უნდა მოვიწყინო, გაიფიქრა და გალსტუკი შეიხსნა.

კარის ჭრიალმა შეაკრთო, — ეს შენ ხარ, ჩემო კონსტანტინე?

— Не понял, сударь мой... А на счёт Василисы Прекрасной, — то как прикажете?

— Веди и Василису Прекрасную... смотри, не разочаруй меня, не то... Веди, ладно... я могу и озолочить тебя... — გალსტუკი საწოლზე დააგდო და რბილ სავარძელში ჩაესვენა.

„...ნათელაშვილი იოთამ... ლაურას მამა...“ — შევიშმუშნე მე, ომზირ თავდგირიძე და მალულად შევათვალე რე მაესტრო — შავი სილუეტი.

— როგორც გითხარი, ომზირ... დაგესიზმრები ამაღამ და შევეცდები, ის ცოდნა გადმოგცე, რაც ასე საჭიროა შენთვის, ჩვენი მომავალი ურთიერთობისთვის... შენ უნდა დაეუფლო ადამიანის სულის მეცნიერებას...

— სულის მეცნიერება? თუ მოძღვრება სულზე?

— შენ როგორც გინდა, ისე გაიგე... — გაიღიმა მაესტრომ, — ადამიანი უნივერსალურია, უნივერსალური თავისი არსით... უკვდავია ადამიანის სული... უნივერსალური ნამდვილად არის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — სრულყოფილი! სრულყოფილი მე ვარ და მხოლოდ მე! და სრულყოფილება რომ შევინარჩუნო, ადამიანთან სიახლოვე მჭირდება! ასეთ ადამიანად კი შენ მეგულები დედამიწაზე! მახსოვს, დოქტორს ვურჩიე ერთხელ, მაგრამ არ დამიჯერა, თავკერძა და ამპარტავანი იყო ის შენი დოქტორიც... ისიც ქრისტეზე ლოცულობდა... სიყვარულის იმპულსიც შეიტანა თავის მოძღვრებაში, მაგრამ ეს სიყვარული არ იყო ქრისტესეული... უფრო... თითქოსდა ძალისმიერი იყო

მისი სიყვარული... ეს მე შთავაგონე, მე! ამიტომაც დაგმო იგი ეკლესიამ. მეც ეს მინდოდა! ბოლომდე რომ მომყოლოდა ის შენი დოქტორი, დავამხოვდი იმ შენს ღმერთს და კაციც გათავისუფლებოდა მისი გავლენისაგან... მაგრამ მივწვდები მაინც იმ შენს... თქვენს ღმერთს და ხელი არ შემიშალო, იცოდე... ისე, კაი ვინმეა ის თქვენი ღმერთი! ყველას მიაკლო რაღაც-რაღაცა... მაინც არ სრულყო სული ადამიანის... ამის მიზეზიც ჰქონდა ალბათ... დოქტორზე კიდევ ორიოდ სიტყვა: მისტიურ სამოსელში გახვია მთელი თავისი მოძღვრება, ვითომდა მისტიურ სამოსელში... სინამდვილეში კი... მატერიალური სამოსელია ეს... ინდუსებზე შორს მაინც არ წასულა დოქტორი... იმათი კარმის კანონი გაართულა მხოლოდ და გააბუნდოვანა. მე კი ყველაფერში სიმარტივეს, უბრალოებას ვეძებ... ვეძიებ და ვამარტივებ კიდევ ცაში გამოკიდულ მცნებებს. მართალი იყო ნიცშე, რომ გამოაცხადა, ღმერთი მოკვდაო! ღმერთის სიკვდილი რომ არ შეიძლება, ეს მეც კარგად მომეხსენება, მაგრამ ადამიანში მართლა მოკვდა ღმერთი! იგი სამყაროშია და არის თავისთავად, სამყაროც თვითონაა, ჯერჯერობით... იცი, როგორ მინდა გამოვთქვა? მოუკვდა ღმერთი ადამიანს, მოუკვდა და ეს ვერ დაგიჯერებიათ ადამიანებს! მაგრამ მართალიც რომ ხართ? ჯერ უნდა გაიზროთ ღმერთის სიკვდილი, რომ... მართლა მოკვდეს მერე... ვეღარ გაიგეთ, რომ საჭირო აღარაა ღმერთი, განსაკუთრებით თქვენთვის, ადამიანებისთვის! მართალია, შექმნა იმან სამყარო და გამოელია საქმეც! და როგორც ღმერთი, უკვე აღარ ჭირდება იგი ამ სამყაროს... ომზირ, დაგესიზმრები ნაშუაღამევს და იყავი ყურადღებით... შენგან ერთი პირობის შესრულებაა საჭირო... ჩემს გარდა არ-

აგინ არ უნდა დაუშვა შენს ცნობიერებაში... გესმის? დაუშვებ და ინანებ!

— არ დაუშვებ და მაინც ვინანებ...
 — გაელიმა ომზირს.

— სიცოცხლე კი მაინც არ არის ზღაპარი, თუმცა კი უახლოვდება სადღაც ამ ზღაპარს; ეგ უნდობლობა კი, ჩემდამი რომ გამოგიმუშავებია რაღაც მანქანებით, ჩამოიცილო, დროა! — მაესტრომ ღიმილით დაუქნია თითი ომზირს, მერე უცებ შეიწყვიტა ეს ღიმილი და სიმკაცრის ნილაბი აიკრა სახეზე.

ჰოდა, გაეცალა მაესტრო იქაურობას.

„ადრე შავ სილუეტს ვეძახდი და ასეც იყო, მაგრამ მაესტრო დამიძახეთო, თვითონ ბრძანა ასე და.... ისე მაესტრო მართლა ჯობია „შავ სილუეტს“, მაგრამ „შავი სილუეტიც“ რომაა?! ო, როგორ უკრავს?! ჯადოქარია მართლაც! სად მოვა ამასთან პაგანინი... ვიცნობდიო ნიკოლო პაგანინისო...“

მციოდა... გიყინებოდი მე — ომზირ თავდგირიძე.

უცებ ჩამოხვდნულა, ერთბაშად ჩამოეშვა მძიმე ფრდასავით... წყვდიადი ჩამოწვა. შუქიც რომ გამოირთო?! სადღაა ნათელი...

ნამთარს შავი აფთარი ყელში უჭერდა თავის ბასრ კლანჭებს. ახროტინებდა გამოსავათებულ ნამთარს. ჰოდა, სახეში შემომამთქნარა იმ შავმა აფთარმა და მთქნარებად ვიქეცი. ძილქუშიც დამაწვა და ქუთუთოები დამიმძიმდა.

ძილშიც წყვდიადი მეზმანა. მაესტრო იყო აქ და მდებლად მიკრავდა თავს:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩემს სასახლეში... იცანი ხომ ქაჯეოცხე... ჰო, ის არის, რაც გაიფიქრე... აქ არის ჩემი საბრძანებელი. ისე იგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში. ასე, ომზირ თავდგირიძე! შენ მართლა კარგი შეგირდი უნდა იყო ჩემი... თითქ-

მის იდეალური! — მითხრა და ხელი ჩამომართვა, — აწი შენც გეცოდინება ყველაფერი... შეგეძლება ეს ყველაფერი და: მიულწეველიც აღარაფერი დაგრიხს იქნება... ოღონდაც:

— ჩემგან რას ითხოვ, მაესტრო?

— რას ვითხოვ? ისე, ათეისტი რომ ყოფილიყავი, მერჩია...

— იოლად შეველეოდი სულს... გისმენ ყურადღებით... — ამოთქვა ომზირმა და სიმტკიცე შეერია ხმაში. — გისმენ, მაესტრო! — ჰოდა, ამგვარი ტონი არ ეპიტნავა მაესტროს:

— ათეისტი რომ ყოფილიყავი, მართლა მერჩია. ჰო, მართლა: სააქაო ცხოვრებას არჩევ თუ... საიქიოს, სიკვდილის შემდეგ რომ ეძლევა კაცს...

— პირდაპირ მოჭერით, მაესტრო!

— შენ რომ წმინდა წყლის ათეისტი იყო... — ხმა ჩაუწყდა მაესტროს.

— ჩვენს უღმერთო ქვეყანაში თითქმის ათეისტია ყველა!

— თითქმისო, მეუბნები, მაგრამ...

— მაესტრო, უფრო გაბედავად!

— მე შენგან... — სული მოითქვა მაესტრომ და სიმხნევე მოიკრიბა: — მე შენგან სწორედ ის მინდა, რასაც არ ცნობს ათეისტი... მე შემგროვებელი ვარ სულთა!

— დიდი კოლექციონერი, — გაიღიმა ომზირმა, — ააა... სიცოცხლე სააქაოში სიკვდილის შემდეგაც გრძელდებაო, შენც ასე ფიქრობ, ვხედავ!

— არც მთლად ასეა საქმე, ომზირ, სული უფალმა მართლა ჩაბერა კაცს და უკანვე იბრუნებს ახლა. მაგრამ მე რომ მომცემდე იმ სულს, დააკლდებოდა იმას და... დაუძლურდებოდა ამით...

— ჰოო... ამოისუნთქა ერთხელ ადამიანებისთვის და...

— რომ გამთლიანდეს, ხომ უნდა ჩაისუნთქოს ისევე! ჰოდა, მე იმის მთლად ჩასუნთქვას უნდა შევუშალო ხელი...

ისიც მართალია: ხომ უნდა ჩაისუნთქოს, რომ იცოცხლოს?! თავისას იბრუნებს, გეთანხმები ამაში, ომზირ... სწორედ აქ მინდა დამეხმარო... რომ არ ჩაისუნთქოს, მოკვდება... ღმერთი მოკვდება!... ახლა მოდი და სხვანაირადაც ვიფიქროთ... ვიაზროვნოთ, თუ გნებავს! დიდ პრაქტიკოსს არც უნდა ეხალისებოდეს ტრანსცენდენტალური ყოფა... აბა, დაფიქრდი და ხომ მოსაბეზრებელი უნდა იყოს უკვდავება! ჰოდა, ვკისრულობ მე იმ დიდ მისიას, რომ გავათავისუფლო კაცი იმ საშინელი ქიმერისაგან, რომელსაც უკვდავება ჰქვია!

— სული... — ჩავფიქრდი მე, — ომზირ თავდგირიძე და ამან შეაკრთო მაესტრო:

— რას ფიქრობ, ომზირ?!

— ვერ ყოფილხარ შენ დიდი ორიგინალური ვინმე... შენც სული გდომებია და თუკი მოგეცი იმისი უფლება, რომ დაეუფლო ჩემს სულს, მაშინ მე შენი წყალობით უზენაესი ძალაუფლებით აღვიჭურვები, ვიქნები ყოვლისმხილველიც! მაგრამ არ მყოფნის მე არც შენი ყოვლისშემძლეობა და ყოვლისმხილველობა! ასე პაწია სულად გიცნივარ თურმე და... ანდა: თვითონ შენ როგორ უნდა დაკმაყოფილდე ასე მცირეოდენს?

— ვხედავ, ვერ გაგახარე... ინატრე ოღონდაც და მიიღებ ყველაფერს!

— მე არც მინდა ეგ შენი ყველაფერი!

— თქვი, რა გწყურია?!

— გაგიგონია, მაესტრო, შენ საწუთრო, წუთისოფელი — სააქაო... ჰოდა, მე აქ, სააქაოს, წუთისოფელს რომ იტყვიან, შენზე ძლიერი მინდა ვიყო, შენზე მორჭმულიც და...

— წყვდიადი იყო მოწმე, რომ მე ამაზეც თანახმა ვარ!

— შეუფასებელია სული ჩემი!

— მაგრამ არც ისე, როგორც შენ

გგონია... რომ აღარაფერი მენატრებოდესო, ხომ ასე ფიქრობ შენ, ომზირ თავდგირიძე?! მაგრამ როგორ მოისპობ კაცი — შენ ნატვრას?! კაციც იმიტომ გქვია, რომ გენატრებოდეს... მოიცა! ქალს ხომ არ ინატრებდი? ისეთი მზეთუნახავი მოგგვარო, რომ...

დამასხა ოფლი ამის გამგონეს და გამომელვია: — კიდეც კარგი, რომ არ მიმიყიდია სული იმისთვის... ისე კი: უფრო დიპლომატიურად რომ ემოქმედა, დამეთმო, იქნებ... ვერა, ვერ ვუფრთხილდები მე ჩემს სულს... ვცოდავ... ცოდვაა ეს და მე კი — ცოდვილი... ვცოდავ და ვერ ვინანიებ!

— ადვილი ხომ არ გგონია შენ მაესტროსთან ბრძოლა? — გავიგონე ხმა მაღლიდან და გამაჟრჟოლა.

— მგონი, გავუძელი პირველ შემოტევას... სული მარადიულია მართლაც და სულზე ძვირფასი სხვა მართლა რა უნდა ებადოს ადამიანს?! ეს მარადი, ღვთაებრივი სულია, ასე რომ იზიდავს მაესტროს ჩემში. სული ჩემი იმისაზე აღმატებულია და თუკი მოვინდომებ, ავმაღლდები მართლა! ავამეტებ იმასაც კი... — სულში ნექტარივით რამ ჩამეწვეთა და ავიწიე თითქოს მიწიდან, მოვწყდი ამ მიწას, დავძლიე მე ეგრეთწოდებული გრავიტაციული ველი და... თუკი ძალიან მოვინდომებ, ასე მგონია, შევძლო კიდეც, ფრენა რომ არ ვთქვა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება მაინც: მე ხომ კაცი ვარ — სახება ღვთისა და მისი ხატება... აი, რა უნდა ჩემგან მაესტროს! სული, ჩემი სული აკლია მაესტროს და აღზევდება მაშინ, ამაღლდება! და მაინც, რა არის სული? — შემომამწვა ფიქრი და კომპიუტერივით ამიმუშავდა ტვინი.

გული აღარ გამიჩერდა შინ და გამოვედი გარეთ.

ცა ვარსკვლავებით მოჭედულიყო.

„ჩავიხედავ მე ჩემს სულში და... ჰო, ჩავიხედე და აღმოვაჩინე, რომ მე უკვე ვიცოდი თითქმის ყველაფერი, თითქმის ყველაფერი!

თავსაც ისე ვგრძნობდი, თითქოს ბუდისტური მონასტრიდან ყოფილიყავი გამოსული.

მესმოდა მე ენა ბალახის;

მესმოდა ხისა და

მესმოდა სივრცის.

მესმოდა მიწისაც...

ჩემკენ, ჩემკენ შემობრუნებულიყვნენ ღელეები, მდინარეები, ტბები და ზღვები, ოკეანეები... მე, მე მისმენდა მთელი სამყარო და მესმოდა მისი“.

ამ დროს აწყმეტუნდა კატის კნუტი და მომეწურა გული. ღელეში ჩაეგდოთ ონავარ ბავშვებს. წყუროდა იმასაც სიცოცხლე და გამოადწია ნაპირზე. გამოფორთხდა და შეიბერტყა.

— საწყალიო... — გავიგონე ჩემივე მისაწყლებული ხმა და ტანში დამზრინა.

ახლა სად წავიდეთო, — შემომწკმუტუნა სიკვდილმისჯილმა და ხელში ავიყვანე.

ხომ არ მიმატოვებო, — ისე მკითხავდა მე კატის კნუტი და მიკვდებოდა გული.

დედალი რომ ხარ, იმიტომაც გაგიმეტესო!

— რა ჩემი ბრაღია, რომ დედალი ვარ?.. მე ხომ სიცოცხლის მატარებელი ვარ და ერთხელ, ომზირ, შენც ხომ გადავადე ლასის ლეკვი, უკანვე რომ მოგიგდეს და თოლა დაარქვი შენც. თოვლივით თეთრი იყო... გეშველა ამით! იმან გიშველა, ვინც ის ლეკვი მოგიღუპა! შენ კი სახელიც არ იცი მისი! არც გიფიქრია ამაზე! ხედავ, ომზირ ჩემო!

— აქ როგორ დაგტოვო? — ამოვიხუნე და კნუტმაც შემომწკმუტუნა მეტი სიხარულისგან. მომეკრა კაცს. შეთბა

თვითონაც და აღარც მე მციოდა უკვე. — მე არ დავუთმობ მაესტროს! ქედს არ მოვუდრეკ შავ სილუეტს! — შევძახე და ხარხარმა ჩაიხვია ჩემი ძახილი.

მივიხედ-მოვიხედე და ვერავინ დავლანდე.

მივხვდი გუმანით, რომ წყვდიადი ხარხარებდა და მაესტრო უნდა ყოფილიყო იგი წყვდიადი, ყოვლისმომცველი თითქმის.

და უცებ, მოულოდნელად მეწვია დამძიმებული (ჩამომძიმებული) ფიქრი.

— იქნებ შენა ხარ, თვითონ შენა ხარ დიდი მაესტრო, ჩემო კატუნა?! — მიყვილა სულმა და კნუტიც აიფოფრაბუზა, წელი აიზნიქა მალლა თამარის ხიდივით.

ძრწოლა ჩამიდგა სულში და წყვდიადს შევატკლიცე ის კატის კნუტი.

შეწყდა იმწამსვე ის ხარხარი და ოხვრად დაირხა სივრცეში. მერე ის ოხვრაც წყვდიადის სუნთქვად ჩაიქცა და...

გააზმორა ერთი სივრცემაც.

— მაინც მოგთოკავ! — გააძახა წყვდიადს და გავსწორდი წელში. მე უკვე თავისუფლად ვკითხულობდი მაესტროს ფიქრებს და რაღაცნაირი, ჯერარგანცდილი სიხარული მიპყრობდა, — მაგრამ ტყუილუბრალოდ ვინ რას მოგცემს და ვინ რას დაგიტოვებს?

ვიცი, წამერთვა რაღაც და უნდა შევემზადო ამისთვისაც. გრძნეულია გული ჩემი, გრძნეული...

და შავი სილუეტიც დავლანდე წყვდიადში ჩაფიქრებულ - დანადვლიანებული. მაესტროს თვალები სულს მიბურღავდნენ.

მეორე შეტევისთვის ემზადებოდა მაესტრო — შავი სილუეტი!

თვე კი ჩვეული რიტმით მისდევდა თვეს და...

მარტივ შემოდგა ასე...

* * *

უხასიათოდ წამოდგა. დანა პირს აღარ უხსნიდა. გულიც რომ ავს უგრძნობლა და მერე ისეთი სიზმარიც ნახა, რა მოასვენებდა?!

სირცხვილისაგან თავი არ გამოეყოფოდა გარეთ. ესირცხვებოდა თვალის გახელაც კი. გამოდვიძება აღარ უნდოდა. დივანზე წამოდჯდარს, მართლა ვერ გაეცნობიერებინა, ცხადში დასხმოდა თავს — ლაფი, თუ სიზმად ეჭამა ეს სირცხვილი; ვერ გაერკვია, სად დასცდნოდა ფეხი და წაფორხილებულიყო.

წამოდგა და თავის ფიქრის სავარძელს მიაშურა. ჩაჯდა შიგ და ფიქრიც მოაწყდა.

შემოდრიოდა ახალი დღე — ახალი იმედებითა და იმედგაცრუებებით პირთამდე საგსე.

ღიადიც, განდიდებულიც უნდა ყოფილიყო ეს დღე და დამცირებულიც იქნებ, გააჩნია ადამიანების დღევანდელ განწყობილებასაც, განწყობილებას, რომელსაც გუშინ და წინა დღეებში ჩაყროდა საფუძველი და აღმოცენებულიყო უკვე კიდევ ერთი ახალი ყლორტი, უახლესი და თავისი სინორჩით გამორჩეული.

და მაინც და ამიტომაც გაახილა თვალი ომზირმა.

— კიდევ კარგი, ცხადში რომ არ მომხდარა ეს ამბავი, მაგრამ რაღაცნაირად სადღაც ზომ მოხდა?! ამიტომაც მრცხვენია ასე, თითქოს და... ისეთიც არაფერი დამეშავებინოს ვინმესთვის... ჰო, ახლა რომ ვუფიქრდები, მართლა ასეა! მაგრამ სიზმარში სულ სხვა განზომილებაში ვიყავი ალბათ და ზნეობის იქაური კატეგორიაც სულ სხვანაირი უნდა ყოფილიყო, აქაურისაგან, დღევანდელისგან არსებითად განსხვავებული.

თავი ძლივს დააღწია ფიქრის სავარძელს და გამოვიდა გარეთ.

დღევანდელი დღე ნამთარს მიუძღვნა. არც ერთი კუთხე-კუნჭული არ დაუტოვებია, რომ არ მოენახულებია. ესალმებოდა ყველას — ნაცნობსა თუ უცნობს, დიდსა თუ პატარას.

შემოაღამდა ასე და როგორღაც, თვითონაც არ იცოდა, როგორ და საიდან, რკინიგზის ვაგზალში აღმოჩნდა: იმდენი ხალხი, აქ რომ შემოხვდა, ერთად არასოდეს ენახა: გაჰქონდათ ქალაქიდან და შემოჰქონდათ ქალაქში. ვილაცას ეკარგებოდა და ნახულობდა ვილაც სხვა.

ასეა ცხოვრებაში, ცხოვრებაშიც ასე ხდება და არა სხვაგვარად. ცხოვრების კანონია ასეთი!

ერთმანეთში ირევა ხალხი: ტირის ზოგი, ზოგიც იცინის, ეტირება ზოგს და მაინც იცინის, ზოგსაც ეცინება და ტირის მაინც. მართლაც რომ არეულ მონასტერს მოგვაგონებს დღეს რკინიგზის ვაგზალი.

„რაღაც უნდა მოხდეს, უნდა მოხდეს რაღაცა... — ბაგა-ბუგი გაუდის გულს.

ასე რომ:

რას არ დაინახავს, რას არ განიცდის და რას არ გადაეყრება კაცი რკინიგზის ვაგზალში?

ჰოდა, ომზირიც გადაეყარა ერთ მართლაც მზეთუნახავ ქალს; ქალს კი არა და... ქალი კი არა, ანგელოსი იყო! დაბნეული კი ჩანდა.

— თქვენ ამ შუალამით... — დაიბნა ომზირი. — ახლავე დავიჭერდი ტაქსს და სადაც ისურვებდით, იქ მიგიყვანდით.

— ქალაქში მე არავის ვიცნობ... უნდა დამხვედროდნენ და... ნამთარში გავლით ვარ...

— რაღა ვქნა? — შეწუხდა ომზირი,

— სად მიგიყვანო, რომ აღარ ვიცი? კი გვიჭირს, მაგრამ რომ წამომყვებოდე სახლში... — გაუწყდა აქ სათქმელი და სისხლი მოაწვა თვალებში; ხომ არ ვცოდავო, — გაკენწლა გულში.

ქალმა ანგელოსმა მორცხვად დახარა თავი და ომზირმაც მაშინვე დაასკვნა, პატიოსანია, ხელწაუკარებელიც შეიძლება იყოსო.

ახლავეო, თქვენ აქ დამელოდეთ, ტაქს დავიჭერ და მოგბრუნდებიო, — აწრიალდა.

ასე აღმოჩნდა ის მშვენიერი ქალწული ომზირის სახლში.

„კიდევ კარგი, რომ დედა არაა სახლში, არც კრავაია...“ — შვებით ამოისუნთქა ომზირმა და საოცრად მოუნდა მოფერებოდა, მისიყვარულებოდა ვაგზალში მოძეულ ქალწულს.

მიუსხდნენ მაგიდას.

მხოლოდ ჩაიო, — დაიჩემა სტუმარმა და მოსვა. მაინც ვერ გავთბიო, — თავისთვის ჩაილაპარაკა. გვერდზე გასწია ჯერ კიდევ ცხელი ჭიქა.

— გაციებულიც უნდა იყოთ... ერთი ჭიქა არაყი გიშველიდათ.

იქნებ მართლა მიშველოსო, — ამოთქვა სტუმარმა. დალია ერთი, მეორეც და შეთბა-შეხურდა.

ამასობაში თორმეტმაც ჩამოჰკრა.

— მე გავალ... შენ მოისვენე. ვერაფერი პატივი ვერ გეცი და მაპატიე დიდსულოვნად. გავდივარ... — თავს ძალა დაატანა ომზირმა, ასე რომ ეთქვა.

— რატომ, იყავით. თქვენ მე ხელს არ შემიშლით. — ქალწულმა თავი ჩაღუნა. მერე ქვეშ-ქვეშ ამოანათა დარცხვენილი თვალები და გულძაც რეჩხი უყო ომზირს. მიუახლოვდა ქალწულ ანგელოსს და ხელი გადაუსვა თავზე. დაზრზინა ტანში და ფიქრში ხელის ერთი მოსმით გააშიშვლა აცახცახებული ქალი (!), ლოყაზე აკოცა

და ერთდროულად წამოდგნენ ერთიც და მეორეც. ქალწული ფეხის წვერებზე აიწია და ხელები კისერზე შემოაჭდო ომზირს. იმის ამღვრელ თვალებში ნდობა-სურვილი ამოიხატა და გააჟრჟოლა. ვაჟმა წელზე შემოხვია ხელი ათრთოლებულ ქალს (!) და კიდევ უფრო მიიზიდა თავისკენ. უნდოდა, სულში ჩაეძვრინა აცახცახებული ფოთოლი.

დავიღალეო, დაამთქნარა ქალმა (!) და პირზე აიფარა ხელი. თვალი საწოლისკენ გაექცა ანაზღად.

ომზირმაც თვალი გააყოლა იმის მზერას და შეუტოკდა გული. აიყვანა ხელში და საწოლზე წამოაწვინა. თვითონ კი გასწორდა წელში და ასე დახედა ქალს (!), დახედა და სულიც აემღვრა. მაინც ასე როგორ იზიდავდა ეს მოცახცახე სული, უკვირდა ომზირს და ბოლოს მაინც მიენდო თავის გულისთქმას. დაიხარა და ვნებააშლილ ქალს (!) ტუჩებში აკოცა.

„რანაირი სითბო... რანაირი სითბოთი მათბობს...“ — ეს: გული ეჩურჩულება ომზირს თავისი.

— ჰმ... — გაჰკვეთა ხმამ სიგრცე და ომზირიც შეცბა. თითქოს ელვაც გაკრთა და მაესტროს დამცინავი სახეც ამოილაშტა მის თვალწინ.

„მოჩვენებაა... მეჩვენება...“ — დამშვიდა თავი ომზირმა და თვალებმიბნედილი ქალი (!) ისევ მიიზიდა თავისკენ.

აღარ ჩამომსვამო? თვალებით იკითხა ქალმა (!) ამ დროს და საკოცნელად გაეპო მარწყვის ბაგენი. ახლავე, ახლავეო, — ომზირმა ფრთხილად წამოაწვინა ქალი (!) საწოლზე და თავბრუდასხმული ადგილზე შექანდა. იმასაც დარია ხელი ვნებამ და შეაბორძიკა.

— მე ქალწული ვარ და... — იმეორებდნენ ქალწულის ბაგენი და ამან მოაფხიზლა ომზირ თავდგირიძე, თავზე წყალი გადაავლესო თითქოს, ვნება

ჩაუცხრა.

აღარც ქალს (!) უთქვამს რამე, ჩაეძინა მალე და ანებივრდებოდა ალბათ ჯადოსნური სიზმრების ქვეყანაში.

თეთრად გაითენა ის ღამე ომზირმა.

ალიონზე გამოედვიდა ქალს (!), გააზმორა და დარცხენილი წამოდგა.

ერთმანეთს დაუმშვიდობებლად დაშორდნენ.

მოიხურა ქალმა (!) კარი და მაშინდა გაახსენდა ომზირს ლაურა. შერცხვა და თავი ჩაქინდრა.

„მე არაფერი დამიშავებია...“ — აუჩუქრულდა გული.

„მაგრამ შესცოდეო!“ — შემოედგვა სული, — ფიქრი გაგიმრუდდა! არ გეპატიოს, ომზირ!“

— არ მეპატიოს... — თქვა ომზირმაც და საკუთარი ხმაც ესმა ათრთოლებული.

შეკრთა.

„რალაც ავს რასმეს გადავეყრები და ფრთხილად უნდა ვიყო...“ — თითქოსდა შინაგანი ხმა აფრთხილებდა: „ნეტა რა უნდა დამემართოს?“ — იკითხავდა და მხრებს იჩეჩავდა.

„ის უნდა დამემართოს, რომ... ნუთუ ვერ ხვდები, რომ ყველაფერი ეს მაესტრომ მოგიწყო! მთელი ღამე ისიც თქვენთან იყო და...“

— როგორ?

„ომზირ, ის ვისთანაც მთელი ღამე გაატარე წუხელ, როგორ გგონია, ვინ უნდა იყოს შენი აზრით? იგი შავმა სილუეტმა მოგიგზავნა! მართლა ანგელოსი ხომ არ გგონია ის შენი წუხანდელი ქალწული?“

წინადადება არც ჰქონდა დამთავრებული, რომ მაესტრომაც შემოაბიჯა. — საქმე როგორაა, ომზირ?“ — იკითხა და დოინჯი შემოიყარა, ახალს რას მეტყვიო.

— ახალს ვერაფერს.

ახალს ვერაფერსო? — თვალები გაუფართოვდა შავ სილუეტს. ავად შეათვალა იერა ჟრჟოლაშეყრილი ომზირი და გაიბრახუნა კარი. — შენს თავს დააბრალე, რაც დაგემართოსო, მოუგდო სათქმელი და სულში გაუწვიმდა მარტოდარჩენილ ომზირს.

მარტოსულს მარტი აკანკალებოდა სისხლ-ძარღვებში. სიკვდილი მოუნდა რატომღაც, მაგრამ სიკვდილიც რომ არ იცოდა რა იყო?!

და ისევ ესმა ხმა სასიამო: — იცი, რა არის სიკვდილი? — იკითხეს უფრო სწორად, მაგრამ არც ამჯერად გამოჩენიან ომზირ თავდგირიძეს.

— ჯერ ის მითხარი, ვინა ხარ შენ? — ცნობისწადილს შეეპყრო ომზირი.

— დოქტორმა ერთმა... მართლაც რომ შესანიშნავი პროგრამა შეიმუშავა ასეთი სახელწოდებით „სიკვდილის პირადი გააზრება (სპგ) და ამავე სახელწოდების მშვენიერი წიგნიც დაწერა, რომლის მეშვეობით ყველას, ნებისმიერს შეუძლია შეამოწმოს საკუთარი თავი, რომ განსაზღვროს შემდგომ ეს სპგ. დოქტორის პროგრამა საშუალებას იძლევა, განსაზღვროთ, ვართ თუ არ ვართ მომზადებული სიკვდილისათვის. სიკვდილი ხომ ყველაზე ჩვეულებრივი, მაგრამ მაინც გრანდიოზული მოვლენა უნდა იყოს ადამიანის ცხოვრებაში. აი, ის კითხვები დოქტორის პროგრამიდან, რომლებსაც გულწრფელად უნდა ვუპასუხოთ.

1. რა ასაკში მოელით სიკვდილს?

— ახლა ცხრამეტის ვარ: მე ორი წლის სიცოცხლე მიწადა კიდევ, ეს აუცილებლად! მეტი არც მჭირდება! ორ წელიწადში ყველაფერს მოვასწრებ.

2. როდის ისურვებდით სიკვდილს? რატომ?

— კარგი ამინდი უნდა იდგეს. მზე უნდა მზეობდეს და არა ისე, რომ აცხუნებდეს. მზე არ უნდა იკბინებოდეს!

არც სიცივე მიყვარს! მძულს სიცივეცა და სიცხეც!

3. რანაირ სიკვდილს ისურვებდით? არჩევანი თქვენზეა.

— არ მინდა საოპერაციო მაგიდაზე მოგკვდე, ჰიპნოზის ქვეშ... სიკვდილს პირდაპირ მინდა შევეყარო, მთლიანად გავიცნობიერო.

4. დაწერეთ საკუთარი ნეკროლოგი.

— ჩემი ნეკროლოგი: იცხოვრა და უყვარდა! უყვარდათ იგიც და ამიტომაც უხაროდა სიცოცხლე. სიყვარულისთვის გაჩნდა ამ ქვეყნად და უყვარდა ყველა, ყველა, ვისაც კი სიყვარული შეეძლო.

5. როგორ მოგიგონებთ ხალხი?

— არაფერიც არ გაუკეთებია და ისე გადავიდა სააქაოდანო, გადაშენდაო. მივაფიქრებდი მერე სუყველას. გულზე დამედგმება მიმოფიქვების ძეგლი!

6. როგორ ხსოვნას ისურვებდით მაინც?

— რომ არ მომიხსენიონ წყევით, იქნებ ჯობდეს, რომ სულ მიმივიწყონ, მაგრამ ეს მეორე სიკვდილია უკვე.

7. დაწერეთ, როგორ წარმოგიდგენიათ სიკვდილი:

— სიკვდილი საიდუმლოთა საიდუმლოს, ყველაზე უიდუმალესის ახსნაა. ჩემი აზრით, სიკვდილი უნდა იყოს ნეტარება... თითქოს ღრუბლებში მივირწეოდე უცხო სხეულებით გასხივებული და სისხლ-ძარღვებშიც ნეტარი რამ გრძნობა ჩამდგომოდესო... იდუმალი ფარდა ჩამოეხსნას უნდა სიცოცხლეს... ადამიანის არსს. და მხოლოდ სიკვდილისას წვდება ხოლმე ადამიანი უუდიდეს საიდუმლოს საიდუმლოთა შორის. მაშინ, მაშინ იხილავს კაცი თავისი სხეულიდან აღმოძავალ, გათავისუფლებულ სულს.

8. უკურნებელი სენი რომ შეგეყაროთ, ისურვებდით თუ არა მაშინ, გაიგოთ, როდის დაგიდგებათ აღსასრულის დღე?

— მოვინდომებდი, რასაკვირველია, გამეგო, როდის უნდა აღვესრულო, რადგან ხომ უნდა გავაკეთო საკეთებელი საქმე! მეცოდინებოდა ღვთით ბოძებული ჩემი დრო და უფრო ეკონომიურად გამოვიყენებდი დარჩენილ ვადას და რა ჯობია იმას, როცა იცი, რომ დღევანდელი დღე შენია და არც მოკვდები ამ დღეს... თუმცა ისიც იცი, რომ დადგება დღე — დღე უმძიმესი შენთვის და ყველაზე საპასუხისმგებლო — დღე შენი სიკვდილის და ამ დღის გატანაც უნდა შეძლო! შენ ხომ კაცი ხარ! საკურთხეველზე შენვე უნდა მიიტანო ის ნაკლული დღე, რომელსაც სიკვდილის დღეს უწოდებენ.

9. და რას დათმობდი იმისათვის, რომ გაგეხანგრძლივებინა სიცოცხლე? ხელს, ფეხს, თვალს თუ...

(ხან შენობით მომმართავს, ხან კი თქვენობით...), რას დათმობდი და არც ერთს. მე მთლიანობაში უნდა დავუბრუნდე ჩემს სამარადისო განსასვენებელს.

10. ახლა ანდერძიც შეგიძლია დაწერო და გამოაქვეყნო!

— ყველაფერს, რაც კი მაქვს, დაუუტოვებ იმას, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს!

11. სიკვდილისხანს, კვდომისას ვის ინატრებდი, გვერდით რომ გყოლოდა? რატომ?

— იქნებ ლაურას... იქნებო, ვთქვი... არ ვიცი ზუსტად. ლაურას არა! რატომ შევაშინო? ალბათ სიმარტოვეში დავვანდებოდი უკანასკნელად.

12. სიკვდილზე ფიქრისას მე ვფიქრობ... (ფრაზა დაამთავრე).

— მე ვფიქრობ... სულზე, რომელიც გათავისუფლდა სხეულისაგან. ნეტა საითკენ გაუწევია და როგორი და რანაირია ქვეყანა სულთა?

— მესმის მე შენი, ომზირ. კარგადაც მესმის. — ჩაფიქრებულია სული

უხილავი. მერე, აღარაფერს იტყვის, თუმცა იმასაც გრძნობს ომზირი, რომ აქვეა სული უხილავი, მისგან სულ ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზე, რომ ფეხიც არ მოუცვლია ადგილიდან.

განვიდა იგი და არც მაშინ ამოუღია ხმა.

გაურკვევლობაში იყო მთელი ათი დღე; აწვალებდა რაღაც, ხვდებოდა როგორღაც, რომ უნდა შემთხვეოდა რაღაცა, მაგრამ არა უწყოდა რა.

და აი, მატარებელივით ჩამოდგა დღე მეთერთმეტე და ომზირმაც მზეს გაუსწორა თვალი.

მზე კი იკბინებოდა, წვიმის წინ რომ იცის ისე, და ომზირიც აღელვებულებოდა. ხვალ გაწვიმდებაო, — ჩაილაპარაკა თავისთვის და გაეცინა უნებლიეთ.

კრიალოსანივით ჩამოიმარცვლა ეს ერთი საათიც და ომზირიც შეფიქრიანდა; მოეჩვენა, უთვალთვალდნენ და კვალშიც ჩადგომოდნენ თითქოს. აუჩქარა ნაბიჯს. მღევარი კი...

სამნი არიან.

აჩქარდაო, ვთქვით ერთხელ, ომზირი და მღევრებიც გამოეკიდნენ. ასხამს ცივი ოფლი. მუხლებიც რომ ეკვეთება?!

წამოეწივნენ ამასობაში და შუაში ჩაიყენა ორმა, მესამემ წინ წაინაცვლა. ასე შეუყვნენ გზას. მალე მანქანამ გადაუსწრო ოთხეულს. მუხრუჭის ხმამ შეაკრთო მანქანა დადგა და ხელფეხშეკრული ომზირი ძარაზე აღმოჩნდა თვალისდახმამხამებაში. ირგვლივ — ნილბოსნები.

აქეთ მოიხედა და თითი დაუქნიეს, იქით შეაბრუნა თავი და ისევ დაუქნიეს თითი.

რა გნებავთო, — იკითხა მაშინ ნირწამხდარმა.

მძლოლმა გულის ჯიბიდან სურათი ამოიღო და ძარაზე ამოაწოდა. იცნო ომზირმა ის ქალ(წული), ვაგზალზე რომ ნახა და სახლში მიიყვანა. ის იყო და შიში

შეეპარა.

— იცანიო? — ჰკითხეს.

— ვიცანიო, — თავი დაუკრა ომზირმა მკითხველს.

— ეს ქალ(წული) ქალია ახლა... ქალწული იყო შენამდემ! ჩემი ძმისშვილია. ხომ მოგეწონა მაშინ? კარგი რომ იყო... იმიტომაც უნდა აგო პასუხი! — მოესმა უკნიდან და იქითკენ მიბრუნდა. გრძელუღვაშა ჭაღაროსანი უბრიალებდა თვალებს.

— მე იმ ქალ(წულისთვის) თითიც არ დამიკარებია...

— სწორედ რომ დაგიჯერე! — ლოყები გამოებერა გრძელუღვაშიანს, — დღეიდან ჩვენი სიძე ხარ, შეძველო! უნდა გეამაყებოდეს ჩვენთან დამოყვრება!

— მე არავინ შემიცდენია!

— ვიცოდი, ასე რომ აჭიკჭიკდებოდი... ვიცნობ მე შენისთანებს... Знаем мы Вашего брата! ჩვენ ყველაფერი ვიცით! ენას ტყუილად ილლი!

— მე სიმართლე გითხარით... — გულს გაიმაგრებს ომზირ თავდგირიძე.

— მართალი მაშინ იქნები, როცა ხელს თხოვ იმ ჩემს გაუბედურებულ ძმისშვილს! გესმის? ჩვენ კი დიდსულოვნად გაპატიებთ ყველაფერს. ახალგაზრდა ხარ, გამოუტდელი და ჩვენც აღამიანები ვართ, გვინდა გაგიგოთ. მაგრამ ისიც იცოდე, რომ იმ გოგოს ჩვენ არავის დავაჩაგვრინებთ! თუკი არ ინდომე ჩვენთან დამოყვრება (ესეც, რასაკვირველია, შენი ნებაა), ჩაგიტყდება ე მაგ ნეკნები, ზორბა კი ხარ, მაგრამ შენზეა დამოკიდებული ბედი შენი. არც ისე სულელი ჩანხარ ერთი შეხედვით, რომ... ახლაც იუარებ?

— მე თითიც არ დამიკარებია იმ თქვენი ძმისშვილისთვის.

— უკეთესი იქნებოდა გეთქვა, ქალწულისთვისო... მერე და ვინ ამბობს თითის დაკარებისთვის ისჯებოდე თი-

თქოს?

— იმასაც რატომ არ დაეკითხებით?

— ეს უკვე შენი საკითხავი აღარაა! უკვე გარკვეულია ყველაფერი!

„ნეტავი ჩამეძინებოდეს და აღარასოდეს გამომეღვიძოს...“ — ომზირს სასომიხდელი ფიქრი აუწვრილდა ჯერ და მერე სულიც მიუსავათდა.

საღდაც კი მიიყვანეს და სამკუთხა დილეგში ჩაუძახეს. მხოლოდ საღამოხანს ჩამოაკითხეს და ამოიყვანეს იმ ჯოჯოხეთიდან. სცემეს, ლამის სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. აიყვანეს მერე და ისევ იმ სამკუთხა დილეგში აღმოჩნდა. ზედ წისკილის დოლაბი დაახურეს და წავიდნენ.

მეორე დღესაც მოინახულეს და გუშინდელივით ოთხში ამოიღეს. სცემდნენ და სცემდნენ, იგი კი არ კვდებოდა. ქედს არ იხრიდა სიკვდილმისჯილი, რომელსაც არა და არ ეკიდებოდა სიკვდილი.

მესამე დღე წინა ორი დღისაგან არაფრით გამოირჩეოდა.

სიკვდილი შეიძლება მართლა არ უნდოდა, მაგრამ სიცოცხლეც რომ მოებზრებოდა?!

— აბა, დღეს რაღას იტყვიო, — მიუალერსეს მეოთხე დღეს.

— მირჩევნია მომკლათ... — მიიღეს პასუხი და მოძალადენიც შეფიქრიანდნენ. დღეს კი მართლა არ მოელოდნენ ომზირისაგან ამდენს.

— რატომ, შეკაცო?! შენს თავს მაინც რას ერჩი, თავს რატომ ისჯი?

— მე ცილსაც ვერ დავწამებ ჩემს თავს... თითიც არ დამიკარებია მე იმ თქვენი... ძმისშვილისთვის... მომკალით და... მაინც როგორ ვთქვა, გავაუპატიურეო?

— მერე... სარკეში რომ ჩაიხედავ, ხომ შეგრცხვება შენივე თავის... თუ ხედავთ, რანაირი რომანტიკოსი ყოფილა ეს ფანატიკოსი?! — გადაიხარხარა

გრძელულვაშიანმა ჭადაროსანმა და ხელი მოუთათუნა ომზირს, — მომწონხარ, იცი?! ნამდვილი სიძე ხარ! ბრწყინვალედ ჩაგვაბარე გამოცდები... პრინციპული ახალგაზრდა ყოფილხარ...

— მე ვერ ვიქნები თქვენი სიძე... იქნებ დიდი პატივიცაა ჩემთვის თქვენი სიძეობა, მაგრამ არ მაქვს მე ამის უფლება!

— მაშინ... მოიკალი თავი! — გრძელულვაშიანმა მაკაროვის სისტემის რეგოლვერი ხელში შეაჩეჩა ომზირს, — აბა, შე ძველო, ჩვენ გულისფანცქალით ველოდებით გასროლის ხმას! აბა, დავწყუთ, ერთი, ორი და...

— თუ მართლა ასე გინდათ და... მეც თანახმა ვარ, — თქვა ომზირმა და თითი გამოჰკრა ჩახმახს, მაგრამ აღარ ინდომა ღმერთმა კიდევ ერთი ცოდვით დამძიმებულიყო ისედაც ცოდვით საგსე ის მაკაროვი და აღარ გავარდა ტყვია.

— ასეჩკა? — დაიბნა გრძელ-ულვაშიანი, მაგრამ უცებ მოეგო გონს, თავი შეუტარცხყოფილივით გადააქნია და თავის მხლებლებს ხმადაბლა გადაულაპარაკა: — მე ხომ ვეცადე, რომ ეცოცხლა, მაგრამ თვითონ არ ისურვა... არ ინდომა ეცოცხლა და რა ჩემი ბრალია, თუკი... აბა, მე რა ვქნა?

— სოფელმა რომ ჩაქოლოს?! — იკითხა მხლებელმა.

— აზრი მართლა დიდებულია! ასე რომ, გადაწყდა — სოფელმა ჩაქოლოს! ასე ახალგაზრდა კია და გული მეთუთქება, ამას რომ ვუყურებ... მაგრამ ქვეყნისა და სოფლის შემარცხვენელს როგორ ვაპატიო?! — საბოლოო განაჩენი გამოიტანა გრძელულვაშიანმა ჭადაროსანმა და რაღაც ანიშნა თავის მხლებლებს. — მე ხელი დამიბანია, — თქვა და ომზირსაც დილეგში ჩაუძახეს ისევ.

შებინდებისას მობრუნდნენ. სამნი იყვნენ და კიდევ ათი ჯანდონით საგსე ახალგაზრდაც თან რომ მოიყოლეს, ამან,

მართლა შეაფიქრიანა ომზირ თავდ-
გირიძე. ამოიყვანეს დილეგიდან და
ქვების წვიმა დაუშინეს.

აბა, სოფლის რისხვას სად უნდა გაქ-
ცეოდა ომზირ თავდგირიძე?!

„მაგრამ ცამეტი კაციც რომ არაა
სოფელი?!“ — ეჭვმა გაჰკენწლა ომზი-
რს, — ესენი გოგოს ნათესავები იქნე-
ბიანო, — დაასკვნა და ძალაც მოეცა, —
მგონი წესიერად არც უნდა
მიმიზნებდნენ... — იმედი კი მიეცა, მაგ-
რამ ერთი საკმაოდ მოზრდილი რიყის
ქვა ფერდში რომ მოხვდა და მეორემ
ხელის მტევანი დაუზიანა, მაშინ კი მა-
რთლა შეშინდა და ფერიც ეცვალა.

— საკმარისიაო! — სალოკი თითი
შუბლზე მიიღო გრძელულვაშიანმა და
ომზირისკენ მიბრუნდა, — როგორც
ვხედავ, ახლაც არ შეგიცვლია შენ შენი
მცდარი აზრი!

არაო, მართალი ბრძანდებითო,
ომზირმაც ჯიუტად თქვა და ხელები
მომუშტა. ახალა გაახსენდა მაესტროს
მუქარა და თვალები მოჭუტა. არ უნდა
გავტყდეთ, — ჩაილაპარაკა და უფრო
გასწორდა მხრებში. მუხლებიც აღარ
უკანკალებდა უკვე, მაგრამ გრძელულვა-
შიანი კი ნამდვილად აკანკალდა
სიბრაზისაგან. ჩემი იღბალიო, მუშტი
შუბლზე მიირტყა და თავისიანებისკენ
გაიქცა.

ახლა კი მიხვდა ომზირი, რომ აწი
ველარაფერი უშველიდა, მაგრამ გული
არ გაიტეხა მაინც. სწორედ ომზირის სი-
მტკიცემ გამოიყვანა ის გრძელ-ულვა-
შიანი წონასწორობიდან, მაგრამ მაინც
არ უნანია. ეს თავდგირიძეს:

„ვიდაც თავდგირიძემ სიძეობაზე
უთხრა უარი ამ ახვარს, ზვიადი გვარის
წარმომადგენელს, და ამით თვითონ
გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი თავ-
ის თავს“. — თითქოს სხვაზეო, ისე
ფიქრობდა ომზირი და ამ დროს ქვების
ნიაღვარი დაატყდა თავს. აწვიმდა ომზი-

ირს, აწვიმდა კოკისპირულად.

ომზირმა მალლა აიხედა:
ემწვიდობება მზეს, ლაურას... მზესა და
ლაურას და ყველას, ვისაც კი იცნობს
და ახსოვს. პირჯვარს გამალებით იწერს,
ეს მაინც მოვასწროო, უფალო, შეგვიწყა-
ლეო, — ბუტბუტებს თავისთვის და
ძალას იკრებს, უკვე აღარ უჭირს ფეხზე
დგომა.

მაგრამ ძალა აღმართსა ხნავსო, ხომ
გაგიგონიათ და... — ჩაიმუხლა ომზირ-
მა, ჩაიმუხლა და იმ რწმენით გამოიკე-
ტა თავის თავში, რომ დაუმარცხებელი
და ქედმოუდრეკელი კვდებოდა.

აჰა, მძიმე ქვაც უნდა დაშვებულიყო
იმის თავს, რომ მეხისებური ხმაც გა-
იგონა: — გაგიჟდით, თქვე მართლა
გლებუჭებო? — დამეკარგეთ აქედან,
თქვე მართლა გადარეულებო! მოშორ-
დით აქაურობას, თორემ... გადაგწვავთ
ყველას, ამოგუუჟავთ დედაბუდიანად,
თქვე სულით გაოხრებულებო!

ომზირს თავი არ წამოუწევია
მალლა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, ვინც
უნდა ყოფილიყო მისი მშველელი და
მწარედ გაელიმა, ისევ ამის საშველი
გავხდით.

შეწყდა ქვების წვიმა და ისევ ესმა
ომზირს: — ბედად არ მოგისწარი?!

— ბედი რომ მქონოდა, უნდა
დამგვიანებოდა... — ამოიხვნეშა ომზი-
რმა და წამოიწია. ძლიერს გამართა
მუხლისთავები.

მარცხენა ფეხი ეწვოდა, მარჯვენა კი
დაბუჟებოდა.

თვალიც გაახილა და... მის წინ მაეს-
ტრო იდგა. იღმებოდა მხრებში გაშლ-
ილი და თვითკმაყოფილი.

ახედა ომზირმა მაესტროს და მოეჩე-
ენა, როგორც არ უნდა გაჭიმულიყო, მა-
ინც ვერ აწვდებოდა მაესტროს და
მხრებში გაშლაც რაღა საჭიროაო. აღარ
უნდოდა მეორედაც დაცემულიყო მაეს-
ტროს თვალში და დაბუჟებულ ფეხზე

ისე იჩქმითა, რომ სისხლი გადმოსდინდა. შვება იგრძნო.

— მართალი იყვნენ ძველად, სისხლს რომ იშვებდნენ, — გაცინა მაესტროს და ხელი მხარზე ჩამოადო ომზირს: — ჩვენ დღეიდან დიდი მეგობრობა გვაკავშირებს. თუ მოვინდომეთ მე და შენ, ამ ქვეყანასაც კი დავაქცევთ, ოღონდ გვინდოდეს! მაგრამ ჯერ ჭრილობები მოვიშუშოთ! — გადაიხარხარა და ბინდისფერი სოფელიც გადააყრუა.

ომზირსაც დაუგუბდა ყურებში, აღარაფერი ესმოდა და შეკრთა:

— მე მოგცემ ყველაფერს! — გაიგონა ომზირმა, — არ გინდა? — აქ კი გული მოეწურა მაესტროს და საცოდავად წამოიკვნესა, მოეშვა ერთბაშად და გააძაგდა: — მაინც ვერ დაგამარცხე, ადამის ძეო! მაგრამ ვერც შენც გაიხარებ! შენ აღარც ღვთისა ხარ აწი და აღარცა — კაცის! იცოდე, არ მინდოდა მტრად მოგკიდებოდი, მაგრამ მაიძულეს, რომ მოგიძულო საბოლოოდ და... რა გაეწყობა? გამოგიტყდები და: მე და შენ რომ შეგვკრულიყავით და მოგვენდობინა მერე, იეშუასაც კი დავამარცხებდით!

რალაც უხილავმა ძალამ მალლა აახედა ომზირს და იესოს გაბრწყინებულმა თვალებმა არ შემოანათესა!

— შავი სილუეტი... თვითმარქვია მაესტრო ისევ აქ არის, შენთან? ჰეი, მაესტრო! შენ კაცის სულის მოსყიდვა გინდოდა, მაგრამ არ გამოგივიდა, ვერ მოისყიდე შენ ჩემი ერთგული ადამიანი. მე ვამაყობ, მემამაყება ამ კაცით, გესმის?! აბა, სხვანაირადაც როგორ იქნებოდა?! იგი ხომ თიხისგან გამოკვერა მამაჩემმა — თვითონ მარადისობამ და სულიც შთაბერა მერე... ეს შენ ხარ, ომზირ... შენ მამაჩემის სული ხარ დედამიწაზე და ამ სულის დატყვევება მოუწადინებია მაესტროს.

და შავი სილუეტიც შეირხა.

თვალებზე აიფარა ხელები, რომ იესოს თვალთა ელვარებას არ დაებრმავებინა. მწარე ფიქრმა შეიპყრო და თვალები აუწყლიანდა: „რა უბედური ვყოფილვარ თურმე, მეღირსება კი ოდესმე კაცის დამორჩილება?! მე — დიდი მაესტრო... შავი სილუეტი... დავიმორჩილებ, დავიმორჩილებ ადამიანს და სულსაც ამოვხდი მამა ღმერთს ამით“ — წაიკითხა ომზირმა მაესტროს ფიქრ-ნატვრა.

— ნუ გეშინია, ომზირ... მამაჩემს არ ემუქრება ასეთი საშიშროება... მაესტრო უძლურია მამაჩემთან! — ჩამოსძახა მალლიდან იესომ და აწინდელი სათქმელი — აზრი, მხოლოდ და მხოლოდ ომზირს რომ უნდა მისვლოდა, ფიქრად აქცია: „აწი არჩევანი შენზეა... მე არავის არაფერს არც ვაძალებ და არც თავს მოვახვევ“.

წამით თვალი მოხუჭა ომზირმა და რომ გაახილა, უკვე გზაჯვარედინზე იდგა.

იქით — შავი სილუეტი — მაესტრო; აქეთ — სახეგაბრწყინებული და თვალბაეღვარებული იესო. ერთიც — დიდი წყვდიადი თავისკენ უხმობდა ომზირს და მეორეც — დიდი სინათლე!

შენიშნა ომზირმა შავი სილუეტი, წყვდიადში რომ იდგა — თვით წყვდიადის განსახიერება, იესოს კი ნათლის შარავანდი ედგა თავს და იმ ნათელს, სადაც იმყოფებოდა, კიდევ უფრო ასინათლებდა. იესოსგან საოცარი სინათლე ასხივებდა, მაგრამ სინათლე იგი თვალს აღარ გჭრიდა, მშვიდდებოდი როგორღაც იმის ნათელში... შემოდინდა შენში ზღვა სიყვარულ — სიხარული, ნეტარებაში ეფლობოდი და ირწეოდი თვითონ ნეტარი.

ომზირმა აღარ მიხედა ჩაჟამულ წყვდიადს, სინათლისაკენ მიუწევდა სულიც, ნება-ნება შესცურა მზის საუფლოში და ღვთაებრივ ყოფასაც ეზიარა.

მიირწევა ომზირი ამ უჩვეულო ნა-

თელში, უწყრიალდება სული მადლით მოსილს და... ისიც გაასხივებს სულ მალე

ირგვლივეთს, გადაანათებს და... სულ-იც ამოხდეს იქნებ მაესტროს (!).

* * *

თვლემდა და აღარც თვლემდა თავის ფიქრის სავარძელში თითქმის გონმოსული მაესტრო (ფიქრის სავარძელს, როგორც იდეას, ომზირს დაესესხა და გაითავისა).

მაინც რომ ვერ მოვარჯულებ ეს ჯიუტი ღლაპი? კერკეტა ნიგოზივითაა... მაინც (როგორ) აზროვნებს?! შავი სილუეტი შემარქვა მე — მაესტროს! თუმცა შავ სილუეტსაც არა უშავს რა... თითქოსდა არც მენამუშებოდესო ეს მეტსახელი! პირიქით, ზოგჯერ საკუთარ თვალშიც მამაღლებს თითქოს!

გაუგონარი თავხედი! დაწვა ჩემთვის განკუთვნილი ჩარჩო... წარმოსახვაში დაწვა, მაგრამ ხომ დაწვა ფიქრი! თვითნაბადი მისტიკოსია... მეთამაშება ზოგჯერ... ეს კი აღარ მომწონს! ცეცხლი წაუკიდა ჩემს ჩარჩოს! ახლაც მეკიდოს თითქოს ის ცეცხლი... მართლა ვიწვოდე თითქოს, ისეთი შეგრძნება მეუფლება. აი, ამ ბიჭის სული რომ მეგდო ხელთ... ამეწვებოდა მეც მისი სული და „იმის“ არ იყოს, მეც შევიგრძნობდი ადამიანს ჩემს სისხლ-ძარღვებში. მთლიანად გავაცნობიერებდი, შევიცნობდი ადამიანს. მაშინ ღმერთის — „იმისი“ არა-რაობაც შემეგრძნო იქნებ. სამსახურში ჩავიყენებდი ადამიანს და ავამხედრებდი „იმის“ წინააღმდეგ. გადმომეგდო იქნებ იმ მართლაც რომ ჯადოსნური სავარძლიდან... ტახტი მაღალი და მიუწვდომელი... დავამტკიცებდი, რომ ჩემთვის ამ ქვეყნად არაფერია მიუწვდომელი! ბედის ირონია თუ გინდა! ანდა: რითი მჯობია მე „იგი“ — რით აღმემატება მე... მაინც როგორ უნდა მძლიოს და გალიაში გამომამწყვდიოს მთელი ათასი წლით?! მთავარია: საკუთ-

არ თავში არ შემეპარებოდეს ეჭვი და... არავინ იქნება მაშინ ჩემი მძლეველი! ორთაბრძოლაშიც იმიტომ ვერ გამოვუწვევებარ, ვაითუ ვძლიო და... მიწას გავაკრა... იმ მიწას, რომელზედაც მე გადმომისროლა... მაგრამ კატასავით ვარ! ფეხებზე დავეცი და... არაფერიც მტკენია იმის „ჩინაზე“.

მაინც რითაა აღმატებული ჩემზე?! სანამ არ ჩავხვდები ამას, ძლეულ ვიქნები მე „იმის“ მიერ. და ამიტომაც: ჯერ კაცი სული შევისწავლო უნდა და მთლიანად დავეუფლო, ჩემს ნებას დავუქვემდებარო, გავითავისო კაცი სისხლ-ხორცეულად... ამით ხომ „იმის“ სულსაც ვიპყრობ...!

მაინც რატომ ჰქმნა „იმან“ ასე და მხოლოდ ამგვარად.

„...და შეჰქმნაო იმან კაცი ხატად და სახებად თვისად...“ — განა ასე არ წერია „დაბადებაში“?

რატომ, რატომ მაინცდამაინც კაცი შეარჩია „იმან“ საყრდენად და იმედად თვისად?! მაინც ვინ არის ადამიანი? „მისი აღმატებულება“ ადამიანი ვითომ?

მაგრამ იოსებ ნიჟარაძე?! ტეხს და... როგორ გამიტაცა... საიდან გამოტყვერა ეს ტიპი? მეგობრად და მეზავრად მოუვლინეს ვითომ ომზირ თავდგირიძეს?! ორნი არიან ახლა და ომს მიცხადებენ მე — მაესტროს! ჩემი დამარცხება მოუწადინებიათ...

გილგამეში და ენქიდუ...

და კიდევ კრავაი თავდგირიძე! ომზირის ტყუპისცალი... ისიც თავისი ქმედებითაა ჩემი ანტიპოდი. რაღაც სათნოება არ გამოიგონა?! ხელს მიშლის მე კრავაი თავდგირიძე და იქნებ ყველაზე მეტადაც! მოიცა, მოიცა... მე

კრავაისთვისაც მოვიცლი ერთხელ! მაგრამ ჯერ იოსებს მივხედავ... კრავაიდან ხომ არ დამეწყო? ჰო, ჯერ სათნოებას მოვუვლი და... რა იქნებოდა, რომ მისივე მარტოხელები ამემხედრებინა მისთვის, მარტოხელები, რომლებსაც ჰკვებავს „პური ჩვენი არსობითაით“, ჰმ, პური ჩვენი არსობისა... ეს უკვე საქმეა! მაგრამ რომელი დამყვება? რომელია ყველაზე პატივმოყვარე? არაფრისმქონე, მაგრამ პატივმოყვარე მათხოვარი... ის ბრმა... ხანდრე-მანდრე? არა, უხეში კი არის ერთი შეხედვით, მაგრამ მაინც ნაზი და ძლიერი სული აქვს და მერე: თვალით კი არა, გულით, სულით ხედავს... ყოფილი სპორტსმენი! იქნებ როზა მნაცავანოვა დამყვან! ადრე მზარეულად ნამუშევარა... არასოდეს არ უჭირდა და ყველაზე მეტად რომ უჭირს დღეს?! უტყუარია მისი კანდიდატურა!

წამოდგა მაესტრო თავისი ფიქრის სავარძლიდან და თვალები ამოიფლდინა. — მივაგენი მგონი ამოსასვლელს ამ ლაბირინთიდან! — დაასკვნა და უფასო სასადილოს მიაშურა.

პირველი საათი დაწყებულიყო.

„კრავაი თავდგირიძე პურის ქარხნიდან უნდა გამოდიოდეს ახლა... ფიქრობს მაესტრო, — დავხვდები გზაზე და მხარს გავკრავ! გადაუბრუნდება ის გორგოლაჭებიანი ხელჩანთა და... მისწრებაა სწორედ, რომ წვიმს! თხუთმეტივე პური რომ ლაფში ამოესვაროს... რა კარგია, რომ წვიმს! განგებაც ჩემკენაა! მე მეხმარება!

და აჩქარდა მაესტროც.

გულმა ვიოლინოსკენ გაუწია, მაგრამ თავს ძალა დაატანა და სძლია ცთუნებას. — ჯერ საქმე, მერე — ვიოლინო, მერე — მუსიკა! მუსიკითაც შეიძლება კაცობრიობის გულის მოგება, მაგრამ ადგილი ასპარეზისთვის?! ჯერ მოვიბოვო იგი! ეჰა, მოაგორებს თავის ფურგონს... ტროტუარზე რომ

დააპირებს ამოსვლას... აჰა, ამოდგა ტროტუარზე ცალი ფეხი, ამოიტანა თავისი ჯაბახანაც და...“ — გაჰკრა მაშინ მაესტრომ კრავაი თავდგირიძეს მხარი. არ წაქცეულა კრავაი, მაგრამ წაიბორჩია, თავი კი შეიკავა, მაგრამ ფურგონურიკა მაინც გადაუბრუნდა. და თხუთმეტივე პური, ორთქლი რომ ასდიოდა ჯერაც, სულ წყალში (ნაწვიმარში) არ ჩაუცვივდა?!

— ვაიმეო, — წამოიკვნესა კრავაიმ, — ხომ მშიერი დამრჩა ჩემი „ბაბუშკებიო“?!

— ეს როგორ დაგემართათ? — შეეხმინა კრავაის ერთი შუახანსგადაცილებული კაცი.

— თქვენ, ბატონო მიშა? ხომ ხედავთ... იმ კაცმა, ღმერთო, შეგცოდნე და ასე მგონია, მხარი განგებ გამკრა. ინტელიგენტი კაცი ჩანს და... ენა როგორ უნდა მომიბრუნდეს მის გასალანძღავად... არც გამოუხედავს უკან... ალბათ, არც იცის, რომ...

— ჩვენი ჭირი წაუღია ამ პურს, კრავაი, ე მაგ შენი ურიკით... დავბრუნდეთ ქარხანაში. აგერ ტაქსიც! ტაქსი, ტაქსი!

— ბატონო მიშა... თქვენ როგორ შეგაწუხოთ?

— რის შეწუხება, აბა, მშიერი ხომ არ დარჩებიან შენი „ბაბუშკები?!“ მიშა არველაძე მოგიკვდეთ თქვენ, რომ...

— თქვენ რომ არა, ბატონო მიშა... თქვენ რომ არ იყოთ ქარხანაში, რა გვეშველებოდა მაშინ... არც სხვები გვამადლიან პურს, მაგრამ თქვენ...

— კრავაი... ქარხანაში ჩემზე უკეთესაც შეხვდები... არ იცნობ ჯერ ჩვენს კოლექტივს, თორემ... მაგრამ მე ქარხანაში თითქმის ყოვლისშემძლე ვარ... მე მისმენენ ქარხანაში... — მიშამ შეთხელეებულ თმებზე გადაისვა ხელი და ტაქსის კარი გაუღო კრავაის. ფურგონურიკა უკანა საჯდომზე დადო და

მძღოლს ხმამაღლა უთხრა: — აბა, ჩემო ბიძია, მე მიშა არველაძე ვარ, მეპურე და მე და ეს ქალბატონი პურის ქარხანაში უნდა მიგვიყვანო. იქ თხუთმეტ წუთს დაელოდები ამ ქალბატონს! აგერ ამის საზღაური, ნუ ითვლი, მიშა ბიძია არ გაწყენინებს. აბა, დავიძარი, თორემ შიმშილით მოგვიკვდებიან „ბაბუშკები“!

— ვიცანი მე ეს ქალბატონი, მიშა ბიძია, ტელევიზორში ვნახე გუმინწინ... სათნოების სასახლიდანა... ეს ფული, მიშა ბიძია, უკან დაიბრუნეთ. გულქვა ხომ არ გგონივართ? ცოტა რამ მეც მსმენია და გამეგება სათნოებაზე... არ მინდა, მიშა ბიძია, ეს ფული... არც შემერგება! ამის პური დაუმატეთ ამ ქალბატონს! — თქვა მძღოლმა და ადგილს მოწყვიტა მანქანა. ავარიულიც ხართო.

ახლა კი შედგა მაესტრო და თვალი გააყოლა მანქანას.

აქ ფიქრიც მოაშავდა: „ეს წვრილმანი... ეჭუჭ-მეჭუჭი საქმეები... როგორ დავწვრილმანებულვარ თურმე! მე — მაესტრო — შავი სილუეტი... აქამდე როგორ დავეშვი მაინც?! არ მეკადრება

მე ასეთი რამე-რუმეები, ეჭუჭ-მეჭუჭი რამე-რუმეები... მაგრამ მე“ მემსახურებიან, უნდა მემსახურებოდნენ აქაც და იქაც და... სად არის კაენ ადამაძე?! სად არიან უფრო დაბალი რგოლები? აბა, რისთვისა მყვანან ისინი ნამთარში?!

ხელი აწია და ტაქსიც გაჩერდა მის წინ.

თავის სასახლეში თავჩაღუნული შევიდა.

ტელეფონის ნომერი აკრიფა და დარეკა. — კაენ, შენა ხარ? ხომ არ მომინახულებდით, ბატონო კაენ? ძალიან მჭირდები! ახლა ნახევარია პირველის. პირველზე, მიწა რომ ჩაგისკდეს გზაზე, სასახლეში უნდა იყო, ჩემთან! ჰო, ჩემს ქაჯეთის ციხეში! არ მალოდინო, კაენ!

— როგორ გეკადრებათ, მაესტრო... — გაისმა ყურმილში და მაესტრომაც თავის ადგილზე დადო აწრიალებული ყურმილი.

„ორი ფიქრის სავარძელია ნამთარში და ჩემია ერთი... მეორეში ომზირ თავდგირიძე ფიქრობს, ზის და ფიქრობს...“.

* * *

ჭირის ოფლში ცურავს კაენ ადამაძე. იცის, საყვედური არ აცდება მაესტროსგან. — გუშინ მელოდა და ველარ მივედი... — ფეხი დააჭირა გაზს და „მერსედესმაც“ ამოიგმინა თავისეზურად.

„მერსედესს“ გზა შეუსრუტავსო თითქოს, კაენ ადამაძე კი მართლა წაეღო ფიქრებს: „ნათელაშვილები რომ ვერ დავიმორჩილე, ეს როდი უნდა ნიშნავდეს იმას, კოვზი ახლაც უნდა ჩამივარდეს ნაცარში? ადრე ნათელაშვილებს არა, მაგრამ ნათელაძეებს კი ნამდვილად

გადავეყარე და... იძულებული გავხდი, მომკვდარიყო ქალი, სულიკო ნათელაძეს, მახსოვს, კაბა ჩავაცვი... კაცი ქალის კაბაში... მაგრამ როგორ მოვიქცე ახლა? აგერ ომზირ თავდგირიძე... გვარის თვალი და იმედი! ჭკუითა და ნიჭით გამორჩეული... ვიცი, მე ამ ბიჭის გულისთვის მიხმობს მაესტრო... მაინც რა ვუთხრა მაესტროს? რაღაც გასაღები ხომ არ მომერგო ომზირის სულისთვის?! სუსტი ადგილი მომეძებნა მისთვის... ისეთი მაინც რა მოხდა, რომ... ნეტავი, ასე რას აუღელვებია ჩვენი მაეს-

ტრო? და მაინც... ასე რატომ მაინტერესებს, რაშია საქმე? ცნობისმოყვარეობა ჰქვია ამას, ცნობისწადილი... — ადამიანისთვის ყველაზე დამახასიათებელი მანკიერი მხარე... მეც უბრალო მოკვდავივით არ მემართება?!“ — „მერსედესი“ ტროტუარზე შეაგდო და მკვეთრად დაამუხრუჭა. მანქანიდან აღელვებული გადმოვიდა. კრძალვით ახედა გორზე წამოჭიმულ სასახლეს და იმისმა სიმაღლემ შესძრა: „ქაჯეთის ციხე... მაესტროს ქაჯეთის ციხე... ეს — დედამიწაზე, ჩვენთან ნამთარში და არის კიდევ ერთი ასეთი ქაჯეთის ციხე მაესტროს წარმოსახვაში და იმ ...ციხე-სასახლეში რომ მოხვდე, მაესტროსთან დაახლოებული პირი უნდა იყო — მაესტროს ნდობით აღჭურვილი პირი! ისე ვერავინ შეაბიჯებს მაესტროს ციხეში! ამიტომ: ჯერ მაესტროს ნდობა მოსაპოვებელი!

და მაინც: ვინ არის მაესტრო?

მევიოლინე? მევიოლინე მხოლოდ?

არა, არა! დიდი მევიოლინე და კიდევ ისეთი ვინმე, რომელსაც ყველაფერი ძალუძს და ნდომაც ღვთაებრივი ახასიათებს. ადამიანის სულსაც უნდა, რომ ფლობდეს. „იმის“ დამარცხება მოუწადინებია ადამიანისვე ხელით და... მეც ხომ ადამიანი ვარ!

და კაენის წინაშე გაიღო კარი ყოველი. ისიც სულ მაღლა და მაღლა მიიწევა შავი მარმარილოს კიბეებზე.

აგერ მაესტროს დიდი დარბაზიც.

— გელოდებიან თქვენ! — შემოსცინა კაენ ადამაძეს ლამაზმა მდივანმა და კარზე მიანიშნა, იქ არის ჩვენი მბრძანებელი.

ჰოდა, ის კარიც გაიღო და კაენსაც ჩაუძახესო თითქოს დიდ დარბაზში, დაიკარგ-მიიკარგა და დაბნეულმა საკუთარი თავის ძებნა დაიწყო.

— აგერა ვარ, აგერ. ცყოფილვარ

თურმე! — წამოიძახა კაენ ადამაძემ და სარკის წინ შეტრიალდა, — გისმენთ, მაესტრო.

— მაგრამ ვერ მხედავ! შენ გესმის ჩემი ხმა. ჩემი კი არ გესმის, შენ ხმა გესმის ჩემი, მაგრამ ვერ მხედავ! — გაიღიმა მაესტრომ და გადმოაბიჯა იმ სარკიდან, შემოსვლისთანავე რომ ჩაიხედა შიგ ადამაძემ.

გაქრა სარკე და თავის ადგილს დაუბრუნდა ყველა და ყველაფერი. გაოგნებული კაენი შუა დარბაზში იდგა და შიშს აეტანა.

— კაენ, დამშვიდდი! იმისათვის კი არ მომიხმობხარ, გისაყვედურო?! — და კაენმაც ამოისუნთქა შვებით. თვალეზრამონთებულმა ახედა კვარცხლბეკზე შემომდგარ მაესტროს.

„ამას რად უნდა შედგომა კვარცხლბეკზე?!.. ისედაც მაღალია უსაშველოდ, შეუწვდომელი...“

— კარგი, კაენ, ჩამოვალ მე ჩემი დიდი გადასახედიდან... — გაიღიმა მაესტრომ და ვიოლინო მოიმარჯვა. ხემი აუკანკალდა მარცხენა ხელში და კაენსაც გაკენწლა გულში, ცაცია ყოფილაო.

და ჩამოიღვარა გულისწამლები მელოდია. ბგერა კი არ მოიჩხეოდა შენკენ, არამედ იმ ბგერით გახმაურებული საგანი შემოდიოდა შენში, შემოდიოდა და ნეტარება შემოჰქონდა. ნექტარსაც გასმევდა და ამბროზიასაც გაგემებდა.

„მე ფრინველი ვარ... თოლია... ის ჯონათანი, რომელმაც ყველაზე მაღლა ინდომა აფრენა. აჰა, აფრინდი კიდევ! რა სისწრაფეა?! ახლა რომ შევეჯახო რაიმეს, თუნდაც წერტილისოდენას, ათას ნაწილად დავიმსხვრევი და მიმოვიფანტები სივრცეში...“ — ამის გაფიქრება და ათას თოლიად მიმოიფანტა სივრცეში, — და ვფრენთ თოლიები... სამყაროდან სამყაროში

გადავდივართ და... ათასივე მე ვარ, სივრცეში განფენილი და თან დავატარებ მე მელოდიას, მაესტროს სულიდან რომ მოიდვრება... ამ მელოდიის მატარებელია ათასივე თოლია, ჩვენ ვიპყრობთ სამყაროს... და მოვდებხვართ მას კილით-კიდედმდე...”

...და ააწყვიტა ამ დროს მაესტრომ თავისი ჯადოსნური ხემი ასევე ჯადოსნურ სიმს, მელოდიაც მიწყდა და თავდავიწყებიდან გამოერკვა კაენ ადამადე.

მის წინ ძლევამოსილი მაესტრო იდგა. ილიმებოდა თავისი ჩვეული, შავი ლიმილით.

— გიფიქრია კი ომზირ თავდგირიძეზე? — ხემი ძირს დაუშვა მაესტრომ და ვიოლინო ჰაერში შეარხია.

— ვიფიქრე და მოვიფიქრე კიდეც... თითქოს მოვიფიქრეო, — მინდოდა მეტყვა... იქნებ ისეთი ვინმეს ავადმყოფობის ისტორია ვნახო, თავდგირიძე რომ იყოს გვარად... ამის საფუძველზე შეურაცხადად გამოვაცხადებდი ომზირ თავდგირიძესაც და, როგორც სულიერად დაავადებულს, საგიჟეში, სულით დაავადებულთა საავადმყოფოში ამოვაციოვინებდი თავს, ჩემი მეურვეობის ქვეშ... დღესვე რომ დავავალბდეთ ვინმე ექთანს და გადაქექავდნენ მთელ არქივს... როგორ დავიჯერო, რომ ერთი თავდგირიძეც არ იქნება ისეთი, ერთი კვირაც რომ არ დაეყო ფსიქიატრიულში...

— მომწონს ეგ შენი აზრი, მაგრამ შენს ამ იდეაში კორექტივების შეტანა მომიწევს. და იცი, რით დავიწყებ? თავდგირიძე კი არა, ნათელაშვილი მოძებნონ!

„ნათელაშვილი“ კი მყავსო, — გაიფიქრა კაენ ადამადე.

— ნათელაშვილი კია არა, ნათელაშვილიო, ვთქვი მე შენს გასაგონად!

გადააბრუნე მთელი არქივი და... მოიძიე სადმე... ნათელაშვილი...

— ნათელაშვილი? ლაურა ნათელაშვილი! არის ასეთი ნათელაშვილი! — წამოიძახა კაენ ადამადემ.

— სულით ავადმყოფი?

— ჰო, სულით ავადმყოფი, მაგრამ მეშინია, არ შევცდე... — ფიქრმა წაიღო კაენ ადამადე.

— შეცდომის დაშვება გამორიცხულია, კაენ! ნათელაშვილში... საერთოდ, ამ გვარში უნდა აღმოვაჩინო და წარმოვაჩინოთ მერე შიზოფრენიის ბაცილა... უკუბრუნებული ბაცილა... ყოვლისშემძლე ბაცილა... — ვიოლინო ირგვლივ თავზე შემოიტარა მაესტრომ და მალლა შემართა. გაიღმა და ხემი გაუსვა დაჭიმულ სიმებს.

და!

იხრჩობოდა თითქოს ზღვაში ნამთარი...

სასიკვდილო აგონია შეჰყროდა ნამთარ-ქალაქს (...)

— კაენ, კაენ! — გაიგონებს თითქმის გონმიხდილი ადამადე და გაანძრევს ხელს, — არ ვყოფილვარო განწირულიო, — გაიფიქრებს და ნაპირისკენ წამოვა. დაადგამს მიწაზე ფეხს და თავში შემოირტყამს ხელებს. ისევ თუ აპირებს წყალში შეცურებას.

— კაენ, კაენ! უკან, უკან გამობრუნდი! — გაიგონებს მაესტროს ხმას და აწმყოში შემოვა მაშინვე. — შენ მომავლიდან გამოგიწვიე სულ ახლახან, კაენ ჩემო! ჰო, მომავლიდან! — ბრძანებასავით გაისმის მაესტროს ხმა, — მომავლიდან... მოვაგვარებ საქმეებს და ნამთარისთვისაც მოვიცლი... — თავი მალლა აიღო და ხემი მთელი ძალით მოუქნია ვილაც უხილავის სულს, — მიფრთხილდი შენ, ბიჭო! შენ კი, კაენ ადამადეს რომ ეკადრება, ისე მემსახურე! ხომ იცი, საიდან მოდიხარ შენ და ვისი

შვილიცა (გორისა) ხარ?! ისიც იცოდე უნდა, ვინ მელაპარაკებოდა და... ჩემს სადარაჯოზე შენ უნდა იდგე! ასე რომ, გაფრთხილება არც უნდა გჭირდებოდეს შენ!

„ნეტა ვის მოუქნია ხელი მანეტრომ?“ — ჩაიძირა კაენ ადამაძე ფიქრის მორევში, მაგრამ ხელის შეხებამ გამოიყვანა იგი ამ ფიქრებიდან.

ისევ იმ თავისი შავი ღიმილით ილიმებოდა მანეტრო და კაენიც შეკრთა.

— წადი, არაფერი დაგიშავდებაო, — თვალით ანიშნა შეცბუნებულ კაენს მანეტრომ და გაუჩინარდა თვითონ.

აღარც მანეტრო და აღარც — მისი ქაჯეთის ციხე...

კაენი ჩაჯდა თავის „მერსედესში“ და ფსიქიატრიული საავადმყოფოსკენ გააქროლა.

„ა“ კორპუსი.

აქ არის კაენ ადამაძის რეზიდენცია.

აქ კაენია მბრძანებელი, ყველაფრის თვალი და პატრონიც ყველასი.

აირბენს მეორე სართულზე და თავის კაბინეტში აღმოჩნდება.

დიდი მეფური სავარძელი (ტახტი!) ისე მაღლა შეედგათ, რომ შემომსვლელი, პაციენტი იქნებოდა იგი, თუ პაციენტის პატრონი, სავარძელში ჩამჯდარ-ჩასვენებული კაენ ადამაძის უნებლიე გავლენის ქვეშ ექცეოდა.

— ბატონო კაენ, თქვენთან არიანო, — აცნობა თეთრხალათიანმა და მაშინვე გაქრა თავისი მბრძანებლის თვალსაწიერიდან.

და სანამ მიიღებდა მნახველს კაენი, მანამდე კიდევ ერთ თეთრხალათიანს მოუხსმინა:

— ბატონო კაენ, გადაგხედე კატალოგს და... თავდგირიძე არავინაა...

— მე ნათელაშვილის მოძებნა დაგავალე, მგონია!

— ახლა ნათელაშვილს ეძებენ, ბატ-

ონო კაენ...

— ვერ ნახავთ და გამოიგონეთ! თავდგირიძე კი... ეს გვარი დაივიწყეთ, თითქოს არც არსებობდეს საქართველოში და მერე: ამ გვარისკაცის მოძებნა არც დამივალეზია თქვენთვის... მე ვახსენე მხოლოდ... ნათელაშვილი მაინტერესებს მე, არ გამოინახება და გამოიგონეთ! — ხელი მაგიდას დაჰკრა კაენ ადამაძემ და წამოიწია თავისი სავარძლიდან, — თქვენ ველარ ამართლებთ ჩემს ნდობას. მაგრამ ერთ დღეს კიდევ მოგცემ შექმნილი სიტუაციის გამოსასწორებლად! მე ჯანმრთელი ატმოსფერო მჭირდება აქ! ჯანსაღი ატმოსფერო, დალახვროს ეშმაკმა! ახლა კი გაქრი და ვინც კართან მელის, ის შემოვიდეს!

კარიც გაიღო და კაბინეტში კაცმა შემოჰყო თავი.

— მე შენ გელოდები... — ჩაჯდა კაენ ადამაძე თავის სავარძელში და თავით ფეხებამდე შეათვალიერა კაბინეტში შემოსული. — აგერ დაჯექი!.. კაი, დაბრძანდი, თუ ასე გინდა! — კუთხეში მღვარ სკამზე მიანიშნა.

ილიმებოდა კაენ ადამაძე და ფიქრობდა ასე: „ეს მაინც არ უნდა იყოს ის კაცი, ვისაც ველოდი, მაგრამ ამ კაცისათვის ხომ ნამდვილად ვარ ის, ვისთანაც მოდიოდა ასე აღელვებული! ანდა ხომ ვარ ის, ვინც ასე ელოდა...“ — თვითონაც მიხვდა, რომ ისე ვერ დააღაგა წინადადება, როგორც ქართული გრამატიკის ნორმები ითხოვდა ამას და გულში გაივლო: „ქართული ყოველთვის მიჭირდა, როგორც ასეთი... „სამიანს“ ძლივს მიწერდნენ ქართულში... ჩემი ქართულის მასწავლებელიც იმდენხანს მყავდა კლინიკაში, რამდენ წელსაც მასწავლიდა სკოლაში...“

კაცი მოსული კი დამჯდარიყო უკვე კუთხეში განგებ დადგმულ სკამზე და

ელოდა, როდის გამოერკვეოდა ფიქრებიდან „ფსიქიატრიულის“ მთავარი ექიმი, დაინახავდა და თავაზიანად ჰკითხავდა, რისთვის მოსულხართო?

— მე თქვენ გხედავთ, ბატონო... — ადგილიდან წამოიწია კაენ ადამაძე, — არა, როგორ გეკადრებათ, თქვენ დაჯექით, მაპატიეთ, დაბრძანდითო, უნდა მეთქვა... ნულარ წამოდგებით, იჯექით და... ნულარ გაინძრევით! — უთხრა და ისევ ჩაესვენა თავის სავარძელში. — გისმენთ, რა გნებავთ? რას შეუწუხებხართ... ჰო, გისმენთ! — თავი გადააქნია და ფიქრადლა იქცა ისევ: „მე ჩემი გრამატიკა და საერთოდ, ქართული ვჭამე! ვუთხარი, ნულარ წამოდგებით, იჯექით-თქო, ეს კი...“

კაცი მაინც წამოდგარიყო და მეორედ რომ აღარ სთხოვეს, დაბრძანდითო, აღარც დამჯდარა მერე. დაიღალა მალე და მუხლები აუკანკალდა.

თვალები მოჭუტა კაენ ადამაძემ: „ეს უკვე ჩემს ხელშია! მე ამას... რაც მომესურვება, გავაკეთებინებ ყველაფერს...“

— რა მინდა... რა მნებავს? მნებავს, ბატონო და ის, რაც მე მნებავს, მივიღებ კიდეც თქვენი წყალობით!

— გინდა?! კარგია, რომ გინდა! გნებავს? მით უკეთესი, რომ გნებავს... თუ ხედავთ ამას, ნებავს თურმე და მისივე აზრით, მიიღებს კიდეც... მიიღებს ჩემი წყალობით. მე კი, როგორ გგონია, მინდა თუ მნებავს? მაგრამ ეს ხომ შენი ნებაა?! და რა უფლება მაქვს, დავიჩემო, არ უნდა გნებავდესო, არ უნდა გინდოდესო! მაგრამ ყოველივე ეს ასე ჰაიჰარად რომ არ მოდის და ხდება? აქ, მინდა გაგანათლო და მეც უნდა მნებავდეს და მიწოდდეს, იმის უფლებასაც მივცემ თავს, რომ მესმოდეს ან არც მესმოდეს შენი... — წამით თვალი მოწყვიტა ათრთოლებულ მდომელს და თავისი

ჩვეული ღიმილიც მოიშველია: „ნეტა, რას ვბოდავ?! არა, მე გამოუსწორებელი ლენჩი ვიყავი სკოლაში! და...“

ჩაფიქრებულიყო მდომელიც: „მსინჯავს ისე, რომ... თითქოს შიგსულში უნდა გამიტაროს თავისი ცივი ხანჯალი. კითხულობს ჩემს ფიქრებს... ვერაფერს გამოაპარებ... იქნებ ჯობდეს, რომ პირდაპირ საქმეზე გადავსულიყავი...“

— გისმენ, გისმენ... — ისევ ეღიმება კაენ ადამაძეს.

„ასეთი ვინმე მართლაც არ შემხვედრია ჯერ... ამას თვითონ უნდა... თუ: თვითონ ამას უნდა...“ — ფიქრს თავი ველარ მოაბა მდომელმა და კაენიც გააგრძელებს თავის ჩვეულ ღიმილს.

— მე... ბატონო... მე... ბატონო...

აქ კაენ ადამაძემ უცებ ჩამოირეცხა ჩვეული ღიმილი მთელი თავის მეობიდან, გადგა უკან და ორივე ხელით დაეყრდნო სავარძლის საზურგეს, — გისმენ მე!

— მე... ძმა მყავს ერთი, უძირო და უცხვირპირო ვინმე. ჩემზე უფროსია თხუთმეტი წლით და სახლში ხელს გვიშლის ყველას...

— ხელს გიშლის... — ამოიღიმილა კაენ ადამაძემ, — ხელს გიშლის თურმე! მე მესმის შენი და მესმის იმისიც, შენი ძმისაც მესმის, შენზე უფროსი რომ არის თხუთმეტი წლით... მესმის, მესმის... ჭირვეულია ხომ? სიცოცხლეს გიმწარებს...

— ჰო, თქვენ ჩემს ფიქრებს კითხულობთ... — ოფლი დაასხა მდომელს — უკვე შეგმელოტებულსა და საფეთქლებთან შეჭადარავებულს.

— შენ მართლა მდომელი ყოფილხარ... — ეღიმება კაენს.

— ჰო, ბატონო ჩემო... მინდა და მნებავს, რომ...

— გინდა და გნებავს... ყველას გინ-

დათ და გნებათ... მე მესმის, რომ გსურს:

— დიახ, დიახ, ბატონო...

— გინდა და გნებას, რომ შენმა უფროსმა ძმამ ჩვენთან, ფსიქიატრიულში ღაიდოს ბინა... მაგრამ აქ დიდ რისკთანაც უნდა გვქონდეს საქმე... — გაღიმებული კაენ აღამაძე პირთან მიიტანს ხელს და „ჩუუო“, ამოიხვნეშებს.

— მე უკან არაფერზე დავიხვე... — მდომელი თვალს გაუსწორებს კაენ აღამაძეს, უკვე გუნება-განწყობილება შეცვლილს, — აქ კომპენსაციაა საჭირო და აუცილებელი, თანაც...

— როგორ შემომხედე? — სავარძელი შეანჯღრია განრისხებულმა კაენ აღამაძემ, — ჩაეშვა შიგ და შეურაცხყოფილის იერი მოიმარჯვა, — შენ მე... შენი სიტყვები, აგერ კასეტაზე მაქვს ჩაწერილი და...

„ნეტა რისთვის მიწყრება, რომ აღარ ვიცი?! — ჩაუწერია თურმე ჩემი ნათქვამი, რომ მიჩვილს, გასაყიდი დამრჩება სახლიცა და ის აგარაკიც... იქნებ ეხამუშა, რომ თავი გავუტოლე და როგორც თანასწორს, ისე დაველაპარაკე? ჰმ... მე თავი გავუტოლე კაცს, რომელსაც სულ ადვილად შეუძლია სხვათა და სხვათა ბედის წარმართვა...“ — ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლიანებული შუბლი შეიწმინდა.

— დამშვიდდი! — ეს ბრძანებას ჰგავდა უკვე და ბრძანებას ჩვეული ღიმილიც თან მოაყოლა კაენ აღამაძემ, — არის... არის ჩვენს კლინიკაში ერთი ისეთი ადგილი, შენს უფროს ძმას რომ შეეფერება, მაგრამ ძვირი დაგიჯდებათ... მერე ეს კასეტაც დასახსნელი გაქვს...

— ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ... სულ რამდენი? — თვალი მოხუჭა მდომელმა.

— ღობე-ყორეს რომ არ მივედმოვდეთ, პირდაპირ გეტყვი... ორი ათ-

ასი ლოლარი — ეგ თავდაპირველი შემოსატანი; მეორე შემოსატანი პირველზე ორჯერ მეტი უნდა იყოს და მესამე — ის პირველი და მეორე შემოსატანი ერთად და გაორკეცებული... ერთად, რომ ვთქვა, აქაც ვერ შევჩერდები: აი, ამათი ჯამი გასამკეცებელი... სულ... პირველი, მეორე და მესამე შესაკრებების ჯამი მაქვს მხედველობაში...

— ეს ხომ... ეს ხომ...

— ანგარიშში შემიძლია დაგეხმარო... სულ...

— 54 ათასი ლოლარი გამოდის!

— და შენი უფროსი ძმა, ასე რომ გიშლის ხელს, ხვალიდან ვეღარ შეგიშლის ხელს!

მდომელი ჩაფიქრდა და დიდხანს რომ გაუგრძელდა ფიქრი, ჩაახველა მაშინ კაენ აღამაძემ.

— ჰო... 54 ათასი... ცოტა არაა, მაგრამ არც იმდენია, რომ ვერ ჩაგითვისალოთ...

— ვიცი, ვიცი, რომ სიტყვას არ წაიღებ უკან...

„მაგრამ „დიპლომატში“ იმაზე მეტი რომ მიღვეს, რასაც ეს კაცი ითხოვს ჩემგან?“ — ფიქრი მოაწყდა მდომელს.

— ამის ნუ გედარდება, ანგარიში ანგარიშია... რაც მეკუთვნის, ის ჩამითვალე! დანარჩენი შეგიძლია წაიღო უკან... — ისევ ჩაიღიმებდა კაენ აღამაძე, — სულსაც ხომ ვერ ამოგხდი?!

„ნეტავ რატომ იღიმება ასე... კი ამბობს, უკან წაიღეო დანარჩენი, სულს ხომ ვერ ამოგხდიო, მაგრამ...“

— ჰო, მართალი ხარ, ჩემო პარმენ!

— მაგრამ თქვენ საიდან იცით ჩემი სახელი?

— პარმენ ქამადაძე... ეს ახლა, ძველად კი... ასე რომ, ჩემო იბრაიმ... მე ყველაფერი ვიცი! წვრილმანი არის ის თანხა, შენ რომ მაძლევ, ჩემო იბრაიმ, მაგრამ... ჰო, ჩემო იბრაიმ!

— რა მაგრამ?! — შეკრთა იბრაიმი, — კიდევ რა?

— ჩემთან გარიგების შემდეგ, იცოდე და კარგად დაიხსოვე, ჩემო იბრაიმ, რომ... გიმეორებ, ჩემო იბრაიმ, ჩემთან გარიგების შემდეგ ჩემს განმგებლობაში გადმოდის შენი სული! ასე, ჩემო იბრაიმ! დაფიქრდი კარგად... ჩემო იბრაიმ...

— სხვა თუ არაფერი გნებავთ კიდევ... საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს?! გქონდეთ ეს ჩემი სული... დღემდე მაინც არაფერში დამჭირვებია და არც გამომიყენებია და აწი, რაში დამჭირდება და გამომადგება?! — მხრები აიჩეჩა იბრაიმმა და სიტყვას ფიქრიც მოაყოლა: „გქონდეთ ეგ ჩემი სული, რომელიც ჯერაც ვერ შემიგრძენია და ვერაფერში გამომიყენებია... ამით ან მე რა მომაკლდება, ან რა შეემატება ნეტა კაენ ადამაძეს?! ხომ მეუბნებოდნენ, უცნაური კაციო და...“

„ბრიყვიო“, — გუნებაში გაივლო კაენ ადამაძემ და ცალკებად გაიღიმა: — ნუ გერიდება, ჩემო იბრაიმ, ეს დიპლომატი აქ დატოვე... მაგრამ ის სხვაობა, რათასი დოლარი უნდა იყოს, გადაითვალე და ჩაიდე უბეში... მე სხვისი არაფერი მინდა! ჰო, სულზე გეუბნებოდი, ჩემო იბრაიმ... ერთ მშვენიერ დღეს რომ მოგაკითხონ ჩემიანებმა, ჩემია აწი შენი სულიო, არ გაგიკვირდეს! აბა, მოიცა ერთი, ვგრძნობ უკვე, ვგრძნობ, როგორ იბმება ჩვენს შორის უხილავი ძაფი...

— ვგრძნობ მართლაც... თუ შეიძლება ამხსენით და გამიშვით...

— დიახ, ასეა საქმე, ჩემო იბრაიმ, აგიშვებ ახლა და... ვინ იცის, როდის დამჭირდება... წადი ახლა, ჩემო იბრაიმ და... ჩემზე ილოცე... ჩემზე არა, მაესტროზე... არის ამ ქვეყნად ერთი მაესტრო, რომელსაც ყველაფერი შეუძლია! იმას, იმას უნდოდა შენი სული! დღეს

თავისუფალი ხარ ჩემგან... შენი ძმა? იმის ბედიც გადაწყვეტილია! იგი ხვალ-იდან თავს არ შეგაწყენს შენ, ჩემო იბრაიმ! წადი!

წავიდა იბრაიმი და კაენ ადამაძემა ცმოიხურა კარი. ჩაეშვა თავის სავარძელში: — მე კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით, მართლაც რომ მოგაკვარახვინე ეს ერთი საქმე... — ჩაილაპარაკა კაენ ადამაძემ, პირჯვარი ქვემოდავით გადაიწერა: — ჩემო იბრაიმ... დღეიდან შენი ცოდვილი სულიც მაესტროს ეკუთვნის... მე კი შემდგომაც ასე კეთილსინდისიერად უნდა ვაკეთოთ საქმე. მე დავხმარები ჩემს მაესტროს ნაზარეველის დამარცხებაში... — მალლა აიხედა და შეაძაგდა, — ეს შენ ხარ, იეშუა?!

— ჰო, მე ვარ, საბრალო კაენ... ეს მერამდენედ უნდა მიყიდო სული მაესტროს?

— არა, მე მაესტროსთვის ვიყიდე იბრაიმ ქამადაძის სული...

— ჰო... ამით გაყიდე სული შენიც, კაენ ჩემო...

— რაო, იეშუა, ადამიანებს მართლა აღარ სჯერათ შენი? ამიტომაც, ალბათ, ასე რომ ჩამოგტირის ეგ მშვენიერი სახე...

— ეჰ, კაენ, კაენ... ნუთუ ახლაც ვერ უნდა ისწავლო ჭკუა?! ადამიანებს მოეშვი და ნურც შენი მაესტრო აცთუნებს ამ ადამიანებს... მაესტროც დაივიწყეთ! შორს მაესტროსაგან! მაინც რას ერჩით ადამიანებს შენ და შენისთანები?

— იცი, რა გითხრა, შე მართლა გლახა? როგორ ჩამოგტირის ეგ მშვენიერი პირისახე?! ამ ტუტუცი ადამიანისთვის ღირს კი ამდენი ფიქრი და განცდა? ეგეც არ იყოს, ხომ ნახე, როგორ მომყიდა იმ კაცმა სული... კი არ მომყიდა?! იმ ფულს ფეშქეშად მოაყოლა

და... გულიც არ დაწყვეტია... დღეს კაბ-
 იკია იმ კაცისთვის თავისი სული... კაცს
 სული არაფრად უღირს, იეშუა! ასეა
 დღეს! ჰო, მართლა, ის ვირი რა იქნა,
 იერუსალემს რომ ჩაგიყვანა?! კაცზე
 მოგახსენებდი, იეშუა! კაცი მავან-მავანი
 ისე გაგყიდის, როგორც გაყიდა ერთხელ
 ის შენი ვირი... აღარც კი გახსოვს ის
 შენი მშვენიერი ვირი... ნეტა, რა იქნა
 მართლა? ველარ მოგიგონებია? შენ არ
 გაგიყიდა პირადად, შენი ცოდვა რად
 მინდა და... სხვა გაყიდა, ის, ვინაც
 მოიძია... მაგრამ სულ წვრილმანებია
 ყოველივე ეს იმასთან შედარებით, რაც
 აწი უნდა მოხდეს, რაც აწი მოგველის...
 სული არაფრად უღირს ადამიანს, უნდა
 დამეთანხმო, იეშუა! ის სული კაპიკადაც
 არ უღირს, მამაშენმა რომ ჩაჰბერა იმ
 თიხის ჭურჭელს და დიდი გაჭირვებით
 რომ გამოკვერა... ამიტომ: მკვდარია კა-
 ცისთვის დღეს ის შენი დიდი მამა! ხედავ,
 მოუტედა შვილს სათაყვანებელი მამა!
 ასეა ადამიანებში: ჯერ მამა უნდა მოუტ-
 ვდეს შვილს... მერე თვითონაც კვდება
 როგორც მამა და... ფაფუ თქვენი
 უკვდავება! ხომ იყავი მოწმე და მოწამე
 იმ ჩვენი დიდ გარიგებისა? ვიცი, იყავი
 და იხილე კიდევ კაცისა და ღმერთის
 დაცემა! შენც ხომ შენს დიდ მამასავით,
 ყველგან შეგიძლია ყოფნა!

— ნეტავი არ შემეძლოს... ნეტავი
 უბრალო მოკვდავი ვიყო, — გაუხმინდა
 ფიქრი იესოს.

— ხედავ, რა მოგდომებია?! —
 გადახარხარა კაენ ადამაძემ, — დღეს
 შენს ძმად იქნა ჩემი მაცეტრო. შენი უკვე
 აღარ სწამთ. ის კი მზრუნველია ჭეშმა-
 რიტი!

— კაენ, იმ შენი იბრაიმის ძმა ერთი
 პატროსანი კაცია...

— და შენ გგონია, რომ მე არ ვიცი
 ეს? პატროსანი რომ არის და მართლაც
 ღონ-კიხოტი, იმიტომაც უნდა მოვაქც-

იო იზოლატორში. იზოლაცია თუ გადაა-
 რჩენს იმ კაცს! შენც ხომ იზოლაციაში
 ხარ! რამდენჯერაც მოდი, იმდენჯერ
 უარგყვეს. მახსოვს, ღვთისმშობლის ეკლ-
 ესიაში დააპირე შესვლა და არ შეგიშვეს!
 მაშინ იყო, რომ ამოილაქა ერთხელ შენი
 სახსენებელი ნამთარ-ქალაქიდან! რა
 დაგავიწყებს ამას?! ჩემთან, ფსიქიატრ-
 იულში იმ კაცს ყველაფერი ექნება...
 იქნება თავისთვის და არავინ შეაწუხებს.
 ჩვენთან შეუძლია თავისი თავის ბატონ-
 პატრონიც იყოს! ყველგან როდი
 მოახერხებს ამას?! ექნება ყველაფერი,
 ჩემო იეშუა. მე მიხდინა და... არც დაე-
 იშურებ იმისთვის არაფერს!

— მაგრამ ომზირს არ დაგანებებ!

— ჩემია ომზირიც! ომზირიც მაეს-
 ტროსთვის მინდა! — ხმას აუწია კაენ
 ადამაძემ. — ახლა კი... ამოილაქე ჩემი
 ცნობიერებიდან, იეშუა! აქ მაინც
 როგორ შემოაღწიე, ჩემთან? როგორ
 შემოიღალე ჩემს სამფლობელოში?
 რომელი ფრთიდან? ომზირიც გინდა
 მოინახულო? ამოიკვეთე იმისკენ მიმავ-
 ალი გზა!

— კაენ, მომისმინე ყურადღებით!
 ნულარ აცთუნებ ომზირს... ვიცი, ტყუი-
 ლად დაშვრები. ომზირი ადამიანებს
 უნდა ემსახუროს! იგი მატარებელია
 სიკეთის, სინათლის... იმისგან შეიძლება
 დიდი მასწავლებელი დადგეს! გესმის,
 შენ?! დიდი მასწავლებელი! კაცობ-
 რიობის მასწავლებელი და ნურც იოსებს
 დაუშვებ რასმეს! იოსები ხომ ომზირ-
 ის კეთილი მეგზურია, დიდი თანა-
 მგზავრი! გაფრთხილებ, კაენ!

— მე იოსები არც მაინტერესებს.
 იოსებზე ინსტრუქციები ჯერაც არ
 მომსვლია ქაჯეთის ციხიდან.

— მაცეტროს ყურმოჭრილი მონა
 ხარ, კაენ, მაცეტრო გამართავს შენ და...
 მაცეტრო... მაინც არ იშლის თავისას!
 იმისთვისაც მოიცლის ერთხელ მამა-

დმერთი! შენ კი კიდევ ერთხელ გაფრთხილებ, რომ აღარ უმტრო ადამიანს, თორემ...

— მე იოსები მართლა არ მაინტერესებს... — ხელები ძირს ჩამოუცვივდა კაენ ადამაძეს, — დღეს მაინც ნუ მიხვალ იოსებთანო...

— კაენ! შენ მე კარგად... მთელი გულისყურით არ მისმენ თურმე... — გაწყრა იესო, — თურმე შენ ადგილიდან ვერ მოიცვლი ფეხს...

— იეშუა! — მკერდზე დაირტყა ხელი კაენ ადამაძემ და აფორიაქებული სული ძლივს დაიტია სხეულში.

...გამქრალიყო იესო მისი თვალთახედვიდან და კაენიც გამოფხიზლდა მაშინვე. — მე მაინც დავესწრები თქვენს შეხვედრას! — გულში მტკიცედ თქვა და კაბინეტის კარი გამოიბრახუნა.

— ბატონო კაენ, ბატონო კაენ... — აგერ ერთი ავადმყოფობის ისტორია ლაურა ნათელაშვილზეა შედგენილი... ათას რგაას ოთხმოცდაშვიდში ყოფილა დაბადებული... შიზოფრენიით დაავადებული...

— ყოჩაღ, ყოჩაღ, კარგია! ქებას იმსახურებ... იმხელა პრემიას გამოგიწერ, ჯერ რომ არ ღირსებია ვინმეს! თავისუფალი ხარ. წადი და დაისვენე! თუ გინდა, ერთ თვეს ნუ გამოხვალ სამსახურში... ოღონდ ორშაბათიდან. პრემიას დღესვე აიღებ ბუღალტერიაში... ერთი თვის საშვებულებოც დაუმატე ამას და... მოიცა, ჩავინიშნო, არ დამავიწყდეს, მაგრამ მე არაფერიც არ მაგიწყდება! შენ მართლა ყოჩაღ! — ლოყაზე მოუთათუნა ხელი კარგა შეთქვირებულ ქერათმიან ქალს და მხარზე ჩამოუსვა ხელი. — მე შენზე ვიფიქრებ! ჰო, რომელი ხარ შენ? ააა... ვიხსენებ მგონი, კომისარი იყო შენი პროტექტე. ვიფიქრებ შენზე, ვიფიქრებ... საინტერესო კია, ამდენხანს როგორ ვერ

გამჩნევდი?! შემძლია ამ საღამოსვე მოვიცალო შენთვის... დუმილის ქუჩაზე, ცხრამეტში რომ მოხვიდე... დუმილის ქუჩაზე...

— ცხრამეტში? დღეს თექვსმეტია... — უცებ მოიწყინა ქერათმიანმა.

— ცხრამეტში კი არა, დუმილის ცხრამეტში, ამ საღამოს, ცხრამეტ საათზე... აგერ გასაღები... შებინდებამდე დამელოდები? ათ საათამდე აჯობებს... დუმილის ცხრამეტი, ბინაც ცხრამეტი და ცხრამეტ საათზე... მე მოვალ აუცილებლად! ახლა კი მომეცი ეს ავადმყოფობის ისტორია... თუმცა... შემოდი კაბინეტში, — კარი გამოაღო და ხელით ფრთხილად წამოუბიძგა ქერათმიანს.

კი შეიშმუშნა ქალი, მაგრამ არ გაძალიანებია.

კაენ ადამაძემ კარი მოხურა.

— აბა! ჩემს საგარძელში! მე აქედან, წინ დაგიჯდები და ისე გიყურებ... შენც, შენც მიყურე თვალებში, აი, ასე! ახლა კი მართლა მომწონხარ. შენი სახელი? არა, ნუ მეტყვი, თვითონ, თვითონ... უნდა გავიხსენო, ცისო გქვია! მე დღეს გაგაბედიერებ! შენზე ვიფიქრებ... ვიცი, ვიცი მე შენზე... ყველაფერი ვიცი, იმაზე მეტიც კი, ვიდრე თვითონ შენ. იცოდე... შვებულებიდან რომ დაბრუნდები... შენი ქმარი განყოფილების გამგე გახდება. ახლა კი იფიქრე ჩემზე და ჩემთან შესახვედრად მოემზადე! დუმილის 19, არ დაგავიწყდეს! თვითონ შენ, შენვე უნდა გამოჰედო ბედი შენი... ასე, ჩემო ცისო... მე შენი იმედი მაქვს და არ გამიმტყუნო ეს იმედი.

ბედნიერი მომავლის მაძიებელი ექთანი გამოვიდა მთავარი ექიმის კაბინეტიდან და კაენ ადამაძემაც გადაიხარხარა: — ოო, ეს ქალები... ამორძალები... დამლუპავენ ერთ დღეს ეს ქერათმიანი, შეთქვირებული ქალები...

მაღალია... შეთქვირებული, მე რომ მიყვარს, ისეთი... თვალბანისილული... ვნებიანი იქნება... — ჩაილაპარაკა და მაესტრო გაახსენდა. გააჟრჟოლა უნებლიეთ და ტელეფონის ყურმილს დაწვდა. — მაესტრო ბრძანდებით? მოინახა არქივში ვინმე ლაურა ნათელაშვილი, იმ საუკუნეშია დაბადებული, ოთხმოცდაშვიდში... აგერ მისი ავადმყოფობის ისტორიაც... შიზოფრენია... სურათზე ჩვიდმეტი წლისა ძლივს იქნება.

— გადმომიგზავნე ავადმყოფობის ისტორია, დღესვე, კაენ? შენ ნულარ მოხვალ, ავადმყოფობის ისტორია კი შენი „მერსედესით“ გამოატანე ვინმეს! ლაურა ნათელაშვილიო, თქვი? მაწყობს მე ლაურა ნათელაშვილი! შენ კი ომზირ თავდგირიძეზე იფიქრე! თვალი იოსებ ნიჟარაძეზეც გეჭიროს. დღეიდან ომზირიცა და იოსებიც ჩვენი მოქმედების არეალში უნდა იყვნენ. ხვალამდე არავინ შემაწუხოს!

„ნეტავი უკრავს ახლა თუ ფიქრობს?“ — გაივლო გულში კაენ ადამაძემ და პასუხიც წინ დახვდა! — ფიქრობს და უკრავს კიდევო.

— ამას თქვენ მეუბნებით, მაესტრო?

— რაო, სხვასაც ელაპარაკებოდი?! — ეს მაესტროს ხმა გაუწყრა კაენ ადამაძეს. — ახლავე მაახლე ლაურა ნათელაშვილის ავადმყოფობის ისტორია, შიზოფრენიაო? დიდებულია! სწორედაც რომ ბედი გწყალობს შენ! — უთხრეს კაენს და ყურმილი დაუკიდეს.

— ვიფიქრებ მეც... ჯერ კიდევ დროა და... დღეს უკვე აღარ გჭირდება მაესტროს. ეს მეც მაწყობს... — ჩაილაპარაკა და თავის ამადლებულ სავარძელში ჩაესვენა. „ზავხოზს“ გამოუძახა, მის თვალწინ მოზრდილ კონკერტში ჩადო ავადმყოფობის ისტორია, დალუქა საიმედოდ და წამოდგა: — მირზა, ამ პაკეტს... მისამართი ზედგვა, ხედავ და ჩემი „მერსედესით“ ადგილზე მიიტან, სასწრაფოდ! დრო არ იცდის. აგერ მანქანის გასაღებიც. ნახევარ საათში... არა, ნახევარი საათი არ გეყოფა, ერთ საათში აქ უნდა იყო! გელოდები, სასწრაფო საქმეზე მივდივარ! ხუთი სრულდება!

გავიდა „ზავხოზი“ კაბინეტიდან და კაენიც აწრიალდა თავის სავარძელში.

ფიქრებს, ფიქრებს მოუხმობდა კაენ ადამაძე...

(გავრძელება იქნება)





შუშუნა შაინიკა

სიკლიდან "ზღვის სონეტები" •

* * *

ტალღებს თქერავენ ვარსკვლავეთის თეთრი ცხენები,
და თეთრი ცეცხლის თეთრი ვერცხლით ცას ევერცხლები,
გულმზგაობარო, მზესთან წოლის ჟინით ვერ ცხრები,
და თოლიები — ფრთაფარფატა შენი მერცხლები,
ადევნებული ზღვათა სურვილს და ზღვათა ქარებს,

გადაუყეფენ უვრცო სივრცის უხილავ კარებს,
მაგრამ სად არი სამყაროთა ღია კარები,
ვის სად მიუხვალ, ანდა ვის კარს მიეკარები,
სად არის ღმერთი, კაცთა ცოდვით შენამკრთალები,
არც რა უფლისა — ცა თეთრია ღრუბლის კარვებით,
და თოლიები გაღეწილნი — ვნებით მთვრალეები,
კვლავ შენს ტალღებზე ეხეთქებიან!
ირგვლივ მთებია ცის სითეთრეს შენამსჭვალეები,
და ზღვას თქერავენ გახელებით ცხენვარსკვლავები!

* * *

აღარ შედგება პაემანი ახლა უცრემლოდ,
აღარც ცრემლი მსურს ზღვის ნაპირებს მივუვარდცვარო,
რაო, უმზეოდ არ მოგწყინდა შავო ღრუბელო,
შავო ღრუბელო, სჯობს სიშავე გადაიცალო.
რა არის შენთვის ჩემი ცრემლი, ცრემლთა მორევეო,
ისიც შენსავით დამწყველია ცხელი სიმლაშით,
ვიცი, სულ მალე დამწყველიან შენზე მორევით,
და მზის ასული დაიწვება მხურვალ სილაში.
აღარ შედგება პაემანი ახლა უცრემლოდ,
ცრემლიც ზღვა არი, ზღვის წვეთია, ზღვისგან შობილი,
შენც არაფერი არ ყოფილხარ თურმე უჩემოდ —
შეჰბლავი სივრცეს მარტოობის ცას მინდობილი!
აღარ შედგება პაემანი ახლა უცრემლოდ,
ცრემლიც ზღვა არი, ზღვის შვილია და ზღვის დობილი!

* * *

არავინ შემრჩა, რომ ჩამოვსხდეთ ჭიქა ღვინოსთან,
 ზღვა მაინც ზღვაა, გული კიდეც სევდის ზღვა არი,
 გადაიწვიმა — ზღვამ ტალღებზე გადაივლო ცა,
 და მზემ ინატრა თოლიების დილის საარი.
 ზღვა დიდგულაობს, მაგრამ გულიც დიდი ზღვა არი,
 საესე სინაზით, მზვობრობით, წყენით, ხსოვნებით,
 გზები ბევრია, ზღვაც ერთ-ერთი დიდი გზა არი,
 ათასი მრუდით და სწორი გზის ერთადერთობით.
 შენც ერთადერთო, მთვარეს ვერ თმობ და მზით ერთობი,
 დაუსაბამოდ ცა-ხმელეთზე მიმოსადგურობ,
 ჩემს წრფელ ვედრებას არ შეისმენს ღმერთი ღმერთობით,
 შენ კი მპირდები მეც უკვდავთა ხვედრი მარგუნო!
 ზღვა მაინც ზღვაა, გული კიდეც სევდის ზღვა არი,
 იღვიძებს ზეცა თოლიების დილის საარით!

* * *

ამოვიზრდები ზღვის ქაფიდან ვით აფროდიტა,
 ამაზე მეტი ქვეყანაზე რაღა ვინატრო,
 მაგრამ ასე კარგს ამ მიწაზე რომ ვერ ამიტან,
 სჯობს ცათა შინა უკვდავებთან დავიბინადრო.
 აუხდენელი ოცნებების მე ვარ ქალღმერთი,
 დარდიან გულზე ზღვამ დარდივით გადამიარა,
 მქონდა სამშობლო, — აღარა მაქვს ის ერთადერთი,
 მოურჩენელი მიმაქვს ცაში გულზე იარა.
 გაძიძავდება მალე შენი თეთრი ნაპირიც,
 არ დარჩენიათ მიდამონი გაუსხვისარი,
 მიწის ცრემლია ზღვა გულმწარედ ამონატირი,
 გული მკვდარია ვით ვარდები ნამჟისარი!
 დარდიან გულზე ზღვამ დარდივით გადამიარა,
 მოურჩენელი მიმაქვს ცაში გულზე იარა!

* * *

დაგელობენ ტრამალებზე შავი შტორმები,
 არც რა იციან მეზღვაურთა რა ბედს იწვენვენ,
 და თეთრ ქალაქში დარჩენილი მათი ცოლები,
 ფერად სიზმრებში მონატრებულ მთვარეს იწვენენ.
 გაშორდა ნაპირს ჩემი თეთრი ოცნების გემი,
 რად არ მეახლე უნაპიროდ წუხილის მთოვარს,
 მოვარდა ტალღა მოჭიხვინე შეშლილი ცხენით,

და სიყვარულის სადასტუროდ სიცოცხლე მთხოვა.
შევერთე ზღვათა, — აღარაფერს არ ვწადვლობ სხვათა,
წყურვილს ვერ კლავენ მოთქრიალე მლაშე წყარონი,
საით ზღვაურო? — იხსნება თუ ეშვება ფარდა,
ცაც შემოილია — ღრუბელია საავდარონი!
რად არ მეახლე უნაპიროდ წუხილის მთოვარს,
ზღვამ სიყვარულის სადასტუროდ სიცოცხლე მთხოვა!

* * *

უკვე დავღალეთ ერთმანეთი, ზღვაო, მე და შენ,
ყალბი მშერით და მარტოობის აურზაურით,
შენ უფსკრულეთშიც თეთრ ვარსკვლავებს შეეთამაშე,
შენია ზეცაც მთვარის ვარდზე მზის ნართაუღლით.
შენია მიწაც უშენობის სევდის ბზარებით,
ეს ქვა-კლდეებიც ნაპრალიან-უნაპრალონი,
შენი წუხილით ავსებულან გზებზე ქარები,
და შენი ნავით მობრძანდება ჩემთან ქარონი.
ცით გაიხედ! — ნუ მიყურებ დაღლილ თვალებით,
დარდად მეყოფა თვალთა ჩემთა უმზევობანი,
აღზევებულთა აღმოხდებათ სული წვალებით,
მათ რა იციან სხვა სიმაღლე და ზეობანი!
ნუ მიმზერ, ზღვაო, ასე ნაღველ-შავი თვალებით,
თუ შემებრალე — მერე აღარ შემეყვარები!

* * *

მწუხრის ლოცვანით ანთებულა მთვარის ტაძარი —
ჩამოსანთლულა ცა ვარსკვლავთა მკრთალი თითებით,
ვარსკვლავ-სანთელო, თვალნათელო, ციმციმ-მცინარე,
ჩაედინება ზღვაში შენი სხივთა მდინარე,
და მე ვირთვები სხივ-გვირგვინით, ტრფობის ხანძარით —
მთვარის მითებით, ლურჯ მთიებით, ვარსკვლავ-ზღაპარით,
ჰეი, მთვარეო, მოასიე სხივთა ლაშქარი,
უკაცუბრია რა ხანია გორი ლაშარის!
ო, რა ხანია არ მსმენია ვარსკვლავთ გალობა,
აჟღერებულა ზღვის ქნარები მთების ლოდოსით,
დაიყვავილა — ზღვამ ნაპირზე დაამწყალობნა,
მაცდური ბანგით მათრობელა თეთრი ლოტოსი!
რა სინათლეა, ღმერთო ჩემო, ხმაც ვერ დავძარი,
მწუხრის ლოცვანით ანთებულა მთვარის ტაძარი!

ბელა ქაბური

ნუ შეახვბი, ქარო...

ქარიშხლისაგან მოწყვეტილ ფოთოლს
სიზმარში ისევ ხის ტოტზე სძინავს,
გიორგობისთვის შფოთიან ღამეს
ხედავს აპრილის ციმციმა დილას.

მას, ქარს მინდობილს, ლეთარგიული,
მარადიული ძილის მდინარე
ითრევს და მაინც, ასე მგონია,
კი არა კვდება, თავს იმძინარებს.

მას ესიზმრება, როგორ •ღვიძებს,
სურს გაარღვიოს მკვრივი სხეული,
ტოტებს უთვალავ კვირტად მოედოს,
ბუნდოვან განცდებს თავდაღწეული.

მას არწევს ქარი და ნამავს წვიმა,
მზე კი მხურვალე მზერით აოსებს...
— ნუ შეეხვბი, ქარო! მას სძინავს,
რომ გააღვიძო, ხომ გააოცებ...

ჩამოიგლიჯა ზეცამ ნილაბი...

ჩამოიგლიჯა ზეცამ ნილაბი,
მშვიდი ნილაბი,
ყალბი ნილაბი...
და დაუშინა
მიწას გუნდები
სეტყვის,
თოვლის და

წვიმის...
ვაი მას,
ვისაც ჩამოხსნა ელის,
ნილაბის გველის,
ნილაბის ჭრელის,
თორემ მე და შენ
რა გვენადვლება.

გაოგნება

ლამის დამჭირდეს გიჟის ხალათი,
(მშვიდად ვიყავი დიდი ხნის წინათ),
„ღმერთი გფარავდეს, ღმერთი გფარავდეს!“
თითქოს ჩურჩულებს შრიალთ წვიმა.

თავზე დამხურეს ღრუბლის გვირგვინი,
მხრებზე მომასხეს ნისლის მანტია,
შენსკენ გამოფევე ქარებს სირბილით,
სულმა სხეულში ვერ დამატია.

მეგებებიან ჩიტები თრთოლვით,
სულში გამჭდარი ზამთრის სიცივით,
იციან, მალე რომ მოვა ყოვლის
მპყრობელი მარტი — ლალი სიცილით.

მე დღეს არ ვიცი, რა მემართება,
ვაწყდები ფანჯრებს, დარაბებს, კედლებს...
ეს ქარს მიფეხები ღრუბლის აფრებად
თუ... კვლავ შენ გეძებ?!

— შენა ხარ!
როგორ ჩვეულებრივზე
ჩვეულებრივი იერით მხედები...
(ტალახში ყრია ჩემი სიზმრები.
და ასაფრენად გაშლილი ფრთები).

ნამდვილად...

ალბათ ნამდვილად გადავგვარდები,
ხარის გვერდით ხომ ხარიც
ან ზნეს შეიცვლის,
ან ფერს და იერს,
ოდითგან ასე არის...
მაგრამ არ ძალმიძს

დავცილდე ჩემს სულს,
განცდას, ტკივილს ან იერს,
მშოოდეს?
ლუკმას ვერ დავუმაღავ,
ჩემზე უმეტეს მშიერს...

ვცდილობ, ვისწავლობ...

N-ს

ვცდილობ, ვისწავლობ
დავიწყება ტკივილის სწრაფად,
რადგან გზადგზა
გახარების კვარგავდი უნარს,
ვერ ვადიარე, საყვარელო
სამეურა ვარდად,
მაგრამ ამაზე სულაც არ ვწუხვარ.

მე რაც კი მითქვამს,
ამომითქვამს იგი გულიდან,
სხვისთვის არასდროს მიმზერია
მტრული საფრიდან.

ნეტავ რა არის,
ჩემთა თვალთა ნავსაყუდლიდან,
ციცინათელას ციმციმით რომ
სადღაც გაფრინდა?!

მტოვებს ყოველი,
რაც მიყვარდა, ვისაც ვუყვარდი,
თავშესაფარი — სიამაყე —
დაცხრილეს წლებმა,
გვრძნობ, უკანასკნელ სიმაგრემდე,
გულის გულამდი,
მიმყვება შენთან არყოფნის სევდა.

შორეულ სივრცეს
 უკვე ვუმზერ უცხო იმედით,
 ყოფის სურვილი
 მიასილა ტალღამ ჯებირებს,
 მე ცხოვრებიდან მოთმინებით
 ტკივილს ვიღებდი
 და ამით მიღვას სული ჯერ კიდევ...

და იმ იმედით,
 რომ სიყვარულს აქვს თეთრი ფრთები,
 მივა ყველასთან,
 გავიგონებ წეროთა რიალს...
 ...გაზაფხულია,
 აღიდებულ გრძნობის მდინარეს
 ეტყობა, ჩემი ტკივილიც მიაქვს.

* * *

საოცარი ღამეა,
 შორს ვარსკვლავი ციმციმებს,
 სულს მოაკლდა წუხილი,
 სხეულს ხორცის სიმძიმე,
 მარადიულ შორეთის,
 არ მაშინებს სიცივე.

* * *

რას ამიხირდა ეს გული,
 მითხრა, — მე უკვე დიდი ვარ,
 შენთან ერთად ვერ დავრჩები,
 ღრუბლებთან ერთად მივდივარ...

რადგან ქვეყანა ძალიან
 ჭრელი, ჭნდო და ფლიდია,
 შენ დარჩი, მე კი მივდივარ,
 სადაც ღრუბლები მიდიან.

ღრუბელი!

არ მინდა ახლა ვინმეს ვახსოვდე,
 არ მინდა ვინმე მახსოვდეს ახლა,
 თითქოს ყოველი უკან დავტოვე,
 ვინც მიყვარდა და ვინც არ მიყვარდა.

სულივით თითქოს მძიმდები შენაც
 ღრუბელო, ალბათ, ამიტომ ტირი...
 ერთმანეთს ერთით ნამდვილად ვგვევართ,
 გულწრფელი ცრემლით ვიამებთ ტკივილს.

მაგრამ ეს გული რომ მეურჩება?!
 მტკივა ძალიან, რითი ვუშველო,
 გგრძნობ, შენთან უნდა, მეც არ დამტოვოთ,
 თან წამიყვანეთ, თქვენთან, ღრუბლებო!

სამეგრელოვ, ჩემო სევდავ!

პასუხად ყველას, ვინც გიწუნებს სულსა და ენას...

გზას მიყვები ბრმისებრ ფრთხილად,
დრო გულგრილობს რახანია,
რაც გაწუხებს და რაც გტკივა,
ძველია, არახალია.

ძველ სიზმრებსაც უზშირესად
რად იხსენებ, რად მიელტვი?
რა უკულმა დაგიბრუნეს
შენი წუთისოფლის ეტლი.

სამეგრელოვ, ჩემო სევდავ,
„ამო ჩელას“ მწარე კილოვ,
მომე ნება, შეგიბნო
სისხლიანი ეგ დილკილო.

ვიცი, შენი სისხლით ხდება
ყველას, ყველას კათარზისი,
თუმცა ავად გეყვივება,
მაგრამ გველი უბეს გიზის.

გაოგნებულს ენა გებმის,
როს გიშენენ გესლის ისარს,
როდესაც ძმა ტყვიას გესვრის,
შვილი დანას გამოგისვამს.

მაგრამ შენსკენ ნასროლ ტყვიას
დაე, ჩემი გული დახვდეს,
ვით უძლებ და ვით გაუძელ
ამდენ მტერს და ამდენ მზრახველს.

შენი თბილი, სათნო გული,
დაუნდობლად აგვიწაღდეს,

მაგრამ სანთელ-საქმეველი
გზას იპოვნის მაინც, გწამდეს!

გულში დაჭრილ არწივს ვხედავ
ყვავ-ყორნები დაგესია,
ეკლის ბაღში რასაც იმკი,
შენგან ტრფობით ნათესია.

არამ! შენი პური, ღვინო,
მოყვრისთვისაც, შვილისთვისაც,
ვინაც შენი ლურჯი ზეცა
ტყვიის ფერით გადანისლა.

ვინაც აღარ დაგილია
გლოვა, დარდი, საფიქრალი
და შენ თავზე დაგატეხა,
უსამართლო სამართალი.

ვიცი, რისი ფიქრიც გზარავს,
კაკალ გულში დაჭრილი ხარ,
ქართველობით ამაყი ხარ,
გულდაჭრილიც არწივი ხარ.

გავა ჟამი და დრო დასდებს
მსჯავრს ყოველს და ყოველივეს,
ოღონდ, ჩემო დიდო სევდავ,
კვლავ იმედად მომეგვლინე.

კვლავ გაშალე ლაღად ფრთები,
არ დახურო გულის კარი,
მოთმინების ბოლო წვეთიც,
ვაჟკაცურად გადაჰკარი.

* * *

ის იტევს სულში ორივეს ერთად,
კეთილს და ბოროტს, ბნელსა და ნათელს,
უფლის ფეხთა მტერად თავს თვლის და კრთება
ცდუნება ზოგჯერ რომ უქრობს სანთელს.

ხარობს სიკეთედ და სიყვარულად
 და მაინც ზოგჯერ ცდება, უფალო,
 ის იწყებს მაშინ ბრძოლას ან თამაშს,
 საკუთარ ფიქრებს რომ დაემალოს.

ოი, ცდუნებავ, ხან ვაშლი გქვია,
 ხან ლელვის მწიფე ნაყოფს აჩეჩებ,
 ხან ულამაზეს ვარდსა და იას,
 აყრი ხელებზე, მხრებზე, სახეზე...

მაგრამ უჩინო და იდუმალი
 ეკალი მწარედ ესობა სულში,
 ოი, მის სულში ხარობს უფალი,
 ოი, ეშმაკიც წრიალებს გულში.

და ველარ ხვდება, რა გზას დაადგეს,
 ვით მოერიოს, ჩაიკლას როგორ...
 მიდის ცხოვრების შფოთიან გზაზე,
 ევას ცდუნებით დამფრთხალი გოგო.

თუ ვილიმები...

მარადიული მდუმარების მკლავს მოლოდინი
 და ჯერ განუცდელს უცნაური შეგრძნებით ვხვდები,
 დაღლილობისგან მივარდება ხელი ტოტივით,
 თუ ვილიმები, ე. ი. ტკივილით ვტკბები.

მისტიურ ძალებს აუშლიათ სულთა ქორწილი,
 უმძაფრეს განცდებს გაუმართავთ თითქოს მარულა,
 ყველა მოშურნე, გულქვა, უნდო გულის მფლობელი,
 სიკვდილ-სიცოცხლის ჩემს ბილიკზე გამოაბრულა.

სული დაღლილა, ფეთქავს თითქოს ყოველ უჯრედში,
 მიიწევს გარეთ, ვერ ეტევა სხეულის არხში,
 მიკვირს, სამყაროს რა ბავშვური თვალთა ვუმზერდი,
 დღეს იგი მოჰგავს რაღაც უცხოს, რუსსა და წაშლილს.

ღმერთო! ეს მიწა რა მძიმე, აუტანელი,
 ო, სულო, სულო, დროა უკვე გაშალო ფრთები
 და დაითმინე, რადგან ბევრი არდასათმენი,
 ვგრძნობ, ილიმები, ე. ი. ტკივილით ტკბები.

ნონა პარაზოშვილი

დეკემბერია

შენ რომ გიყვარდა
მე ის სიმღერა
კარგა ხანია,
არ მიმღერია...
რა ვქნა, თუ
უკვე თოვს
მაშინებს,
რა ვქნა, თუ
უკვე დეკემბერია...
გუშინ იებით
მორთული ზეცა,
დღეს მწუხარე
და სევდისფერია...
ნიშნის მოგებით ხარხარებს
ქარი,
დაზამთრებულა...
დეკემბერია...

ცივა და ბარდნის,
გათოშილ სულში
ციცნათელები ჩუმად
ქრებიან...
რა ვუყო, თუ გზებს
შენსკენ მომავალს,
ნამქერი ფარავს,
დეკემბერია...
ნუ მელოდები,
ველარ მოგყვები
ოცნების სიზმრებს
ცისფერ ფერიად...
ყველა ზღაპარს ხომ
აქვს დასასრული...
დეკემბერია,
დეკემბერია...

მოგენატრება

ოცნებას ჰგავდა
ის გაზაფხული,
ვით ზღაპრულ
ფერთა უცხო
ზმანება...
ვიცი, იმ დღეებს
ვერ დაივიწყებ,
ზღვა და ბათუმი
მოგენატრება...
ნაზი სურნელი
დაგათრობს ახლაც,
იასამნების ლურჯი
მტევნების
და ღრუბელივით მოხეტიალე
ფიქრებს კვალდაკვალ
აედევნები...

მოგეძალება ხიბლი
წარსულის,
სხვას არ ინდომებ
ქვეყნად არაფერს,
ისევ მომიტანს
თეთრი თოლია
შენი მღელვარე
სულის ბარათებს...
გაგახსენდება ის გაზაფხული,
ვით ზღაპრულ ფერთა
უცხო ზმანება...
ის სიყვარულიც,
ასე ლამაზი, —
ზღვა და ბათუმი
მოგენატრება...

გმადლობ. უფალო!

გათელილია მტერი ორგული,
სისხლის გუბეში ცურავს მაცილი...
რადგან სიკეთე ღლესასწაულობს,
ჭირთა დაძლევა არის ადვილი.
დაწურულია სიტყვის მტევანი,
ეს არის, ალბათ, ჩემი ბოლოთქმა...
მეც მედგა თავზე ეკლის გვირგვინი,
მეც გავიარე ჩემი გოლგოთა...
მრავალჯერ ღვარძლის ჯვარზე გაკრული,
მაინც უდრეკი დავრჩი ბოლომდი...
გმადლობ, უფალო, რომ მყავდი შემწედ,
არ დავკნინდი და არ გავბოროტდი...
შენი წყალობით ვძლიე ტკივილებს,
ვუმკლავდებოდი ავის მზრახველებს,
თუმცა ძნელია გზა სიმაღლისა,
გმადლობ, ამ გზაზე რომ დამაყენე...
მადლობელი ვარ, რომ არ გამქონდა

ცხოვრების ღელო მუხლებზე ხოხვით...
არ ვატარებდი ათასგვარ ნიღაბს,
ყალბ დიდებასაც არავის ვთხოვდი...
მადლობელი ვარ, რათა მარჯუნე
ჩემი წილი მზე, დარდიც და იჭვიც,
რომ მომავლინე ადამიანად
და სიყვარულის მომმადლე ნიჭი...
ამ დღეს ველოდი, ჩუმად ვზეიმობ
და განძარცვული კვლავ ვიმოსები...
თავდახრით ვდგავარ საკურთხეველთან
და მიმდერთან ანგელოზები...
ცისფერი შუქით ბრწყინავს ტაძარი,
სულიც იწვის და ზეცას უგალობს...
ამ სანეტარო წუთებისათვის,
ამ ცრემლისათვის, გმადლობ,
უფალო!

* * *

ჩამსაფრებიო მოსისხლე
დარდი,
სევდის ცრემლები აწვიმს
სტრიქონებს,
და სინამდვილემ
რომ არ გამთელოს,
იმედს ვუხმობ და
იმედს ვიგონებ...
ბედის სასწორი
უჭირავს მაცილს,
პინაც იმისკენ
გადაიხარა...

მე მაინც მჯერა —
გაჭირვებაში არ მიმატოვებს
ხარი წიქარა...
იგი წამიყვანს
მზის ბილიკებით,
მზე დამიბრუნებს
წართმეულ ღონეს...
რომ არ დავეცე,
არ დავიხოქო,
ზღაპრების მსგავსად
იმედს ვიგონებ!..





გ. გვარამია

ქრონოლოგიური ქალი



მ. ლერმონტოვი

სამხედრო გზა მცხეთასთან

70 - საქართველოს მხარათა - 70 კავშირის აჭარის ორგანიზაცია



იური გიბილიშვილი

აჭარაში გასოცხლავული მხატვრული სიბუჯა

აჭარა ყოველთვის იყო სრულიად საქართველოს მოწინავე სადროშო როგორც პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი, ისე ხალხის სულიერი კულტურის აღორძინებისათვის ბრძოლაში. ისტორიული აჭარის ამ ეროვნული მისიის შესახებ საქვეყნოდ აცხადებდა დიდი ილია ჭავჭავაძე: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება აქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი... 'სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის აქედან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს“. მაგრამ შემდეგ, აბუსერისძე ტბელის ტრადიციების მხარეში ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში არ შექმნილა არც ერთი მეცნიერული და პროფესიული ლიტერატურული ნაწარმოები. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგების მიხედვით, დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში ქართველ მამულიშვილთა თანადგომითა და დახმარებით, ბათუმის პირველი ქართული სკოლის გახსნამ გზა გაუხსნა აჭარის მკვიდრთა შემოქმედებითი ცხოვრების აღორძინებას. სისტემატიური ხასიათი შეიძინა ბათუმში ქართველ მწერალთა და ხელოვნების ოსტატთა საქველმოქმედო და შემოქმედებითმა მოღვაწეობამ. ბათუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართული მწერლობის კლასიკოსი დავით კლდიაშვილი. აქ დაიწერა მისი საუკეთესო ნაწარმოებები: „სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქაშუშაძის გაჭირება“, „შერისხვა“, „მსხვერპლი“, პიესები: „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“ და სხვა.

აჭარის მკვიდრთა შორის პირველი პროფესიონალი ლიტერატორი, ვინც XX საუკუნის დასაწყისიდან თანმიმდევრული ხასიათი მიაღწია სამწერლო საქმიანობას აჭარაში, იყო ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე და სულიერი მემკვიდრე მემედ-ბეგ აბაშიძე. 1904-1905 წლებში მემედ აბაშიძის თარგმანებითა და ლიტერატურული წერილების გამოქვეყნებით აჭარაში აღორძინებას იწყებს პროფესიული ლიტერატურული ცხოვრება.

ამასთან დაკავშირებით, სამართლიანად შენიშნავს რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში: „მე მეონია, მემედ აბაშიძის, როგორც ლიტერატორის, უმთავრესი და ისტორიულად უმნიშვნელოვანესი დამსახურება ისაა, რომ სამსაუკუნოვანი დესპოტური მპყრობელობისა და უცხო ენის ბატონობის შემდეგ მან პირველმა ამ მხარეში, მივიწყებული, დამცირებული და დაჩაგრული მშობლიური

ქართული სიტყვა კვლავ გამოადგინა, გაამხნევა, აამუშავა და კვლავ მხატვრული აზროვნების სამსახურში ჩააყენა“ (ფრიდონ ხალვაში — სიტყვა და საქმე, ბათუმი, 1985 წ. გვ. 74d).

ამ პერიოდში ბათუმში მოღვაწეობდნენ გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი. ქობულეთში — გულო-ალა კაიკაციშვილი. თვითნასწავლი პოეტები ხასან თხილაიშვილი, მემედ ჭყონია, ხასან კომახიძე. მათ მოგვიანებით მიემატა ჰაიდარ აბაშიძე და სხვები. მაგრამ მეოცე საუკუნის 10-20-იან წლებში აჭარაში ლიტერატურული ცხოვრება სუსტად ვითარდებოდა. ამის მიზეზი საკუთარი ლიტერატურული ორგანოს (ჟურნალი, ალმანახი, გაზეთი) უქონლობა იყო. ამის გამო ჟურნალ „აჭარისტანის“ რედაქცია წერდა: „ყველაზე ნაკლებად აჭარისტანის მცხოვრებთათვის ლიტერატურის ასპარეზი იყო გახსნილი. ეს საკითხი აქამდეც მოუგვარებელია. ბათუმში ჟურნალი არ იყო ამდენხანს. თბილისი კი შორს არის. ესეც არ იყო, ძნელია ახალგაზრდისათვის ჟურნალში შესვლა. განსაკუთრებით ეს ძნელია პროვინციისათვის, რომელიც ცენტრს დაშორებულია“ (№ 1, 1926 წ.).

აჭარაში ლიტერატურულ-შემოქმედებითი ცხოვრების სტიმულირების სტაბილურ საშუალებად იქცა საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ფუხარა“, რომელსაც პოეტი ნოე ზომლეთელი რედაქტორობდა.

„ფუხარას“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებების ღირსების შესახებ საინტერესო შთაბეჭდილებას გვიზიარებს მწერალი ვასილ მახარაძე თავის „ღია წერილში“, რომელიც ალმანახში „სიტყვა ტრიბუნიდან“ (1928 წ.) გამოქვეყნდა და მიმართულია ბათუმელი კოლეგებისადმი: „სისტემატურად კკითხულობ თქვენს ლექსებს გაზეთ „ფუხარაში“. მომწონს მათი შინაარსი. ჩანს, რომ ოდესღაც სიბნელით მოცულ მხარეში გამოდიან მწერლები და პოეტები, რომლებიც ადრე თუ გვიან ყურადღებას მიიპყრობენ და დაფასდებიან“.

1924 წელ ბათუმში გამოვიდა პირველი სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „ისპირი“ (რედაქტორი ვიქტორ გაბესკირია). ჟურნალი არ თანაუგრძნობდა პროლეტარული მწერლობის კომუნისტურ იდეოლოგიას, არ იზიარებდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების კონცეფციას და ამით თითქმის ოპოზიციაში ედგა საბჭოთა ხელისუფლებას. ჟურნალის რედაქცია თავის პოზიციას ასე გამოხატავდა: „ქართულ მწერლობას დღეს ისე არაფერი ესაჭიროება, როგორც სიმშვიდე. არა ბრძოლა, არამედ ნათესაობა და მირონი. ქართული ლიტერატურის სული დაიღალა ბარიკადებში დგომით. ის ეძებს სიმშვიდეს“. ჟურნალი მოუწოდებდა ყველა მწერალს ერთობისაკენ და სამშობლოს ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგომას: „ჩვენ სრულიად შორს ვდგეგარტ მწერალთა დიფერენციაციისაგან, გვიყვარს ქართული კულტურის მთლიანი სახე“. სამწუხაროდ, იმხანად ეს იყო უმცირესობის ხმა საქართველოში. უმრავლესობა და თვით სახელმწიფო დოქტრინა მხარს უჭერდა ე. წ. „პროლეტარულ მწერლობას“. მართალია, ამის გამო „ისპირი“ გულწრფელად ეძებდა „პროლეტარულ მწერლობასთან“ თანაარსებობისა და თანამშრომლობის გზებს, ცდილობდა ერთიანი ფრონტის შექმნას ქართული ეროვნული კულტურის გადასარჩენად, მაგრამ მისი პრინციპი — „ლიტერატურული შკოლების გარეშე დგომა“ უცხო იყო მომძლავრებული პროლეტარული მწერლობის იდეოლოგიისათვის და „ისპირმა“ შეწყვიტა არსებობა.

1927 წლის აგვისტოში, პირველად შეიქმნა აჭარაში მოღვაწე მწერალთა

ორგანიზაციული გაერთიანება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარისტანის განყოფილების სახით. 1928 წელს აჭარისტანის განყოფილებამ გამოსცა თავისი პირველი ალმანახი „სიტყვა ტრიბუნიდან“. მის ფურცლებზე იბეჭდებოდა პ. რურუას, ნ. მაღაზონიას, გრ. შავიშვილის, ნ. იმედაშვილის, თ. ლეჟავას, ხ. კომანძიძის, ჯ. ნოღაიდელის, ზ. ქემხაძის, ლ. შარაშიძის და სხვათა ლექსები. ბ. თადემაძის, დ. ჭანჭათელის, გრ. გრიგორიანის, ალ. მგელაძის, პ. ლორიას, ვ. მახარაძის მოთხრობები, ნ. ქუთათელაძის, ირ. ფერაძის კრიტიკული სტატიები და ა. შ.

30-იანი წლების დასაწყისში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარისტანის განყოფილება დაიშალა და საფუძველი ჩაეყარა მწერალთა ახალ ორგანიზაციას. 1932 წელს აჭარაში განხორციელდა მწერალთა ხელახალი აღრიცხვა და შეიქმნა ბიურო (გრ. სულუხია, ნ. მაღაზონია, პ. ლორია, შ. შუბლაძე, გრ. გორგაძე, დ. დუმბაძე, ხ. ნაკაიძე), მწერალთა ახალი ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად. ამასთან დაკავშირებით, ბიურომ მწერალთა კავშირში მიიღო ოცდაორი კაცი, რომელთაგან საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა 1934 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრად მხოლოდ შვიდი კაცი დაამტკიცა — მემედ აბაშიძე, ნესტორ მაღაზონია, პარმენ ლორია, პარმენ რურუა, დავით დუმბაძე, მემედ მეგრელიძე და ერმილე შარაშიძე-ციხელი.

მწერალთა საქმიანობის მყარი ორგანიზაციული ფორმები და თანმიმდევრული პროფესიული ლიტერატურული შემოქმედება, როგორც პროცესი, აჭარაში ჩამოყალიბდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობის (1934 წ.) შემდეგ. საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ მემედ-ბეგ აბაშიძე, დავით დუმბაძე, პარმენ ლორია, ანდრო თევზაძე, ილია რურუა, ფრიდონ ხალვაში, შოთა ზოიძე. საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას ამჟამად სათავეში უდგას პოეტი და პროზაიკოსი ჯემალ ჯაყელი.

სწორედ ყრილობის შემდეგ და შედარებით მოკლე დროში აჭარაში განვითარდა მწერლობის ყველა დარგი და ჟანრი (პროზა, პოეზია, დრამატურგია, საბავშვო ლიტერატურა, მთარგმნელობითი მოღვაწეობა, პუბლიცისტიკა, ლიტერატურის თეორია და კრიტიკა, ლიტერატურული პრესა).

პროზა. პროფესიულ დონეზე პირველი მნიშვნელოვანი პროზაული ნაწარმოებები შექმნეს პარმენ ლორიამ, იუსუფ ფაღავამ, გიორგი ლორთქიფანიძემ, დავით ნაცვალაძემ, ილია რურუამ, ფრიდონ ხალვაშმა, ჯემალ ჯაყელმა, ალექსანდრე სამსონიამ, რამაზ სურმანიძემ, ნოდარ მოდებაძემ, გენრიეტა ქუთათელაძემ, ვახტანგ ახვლედიანმა, ნოდარ ძირკვაძემ და სხვა.

პარმენ ლორიას შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ცხოვრების განახლებულისათვის ბრძოლას. რომანებში „განთიადი ხევში“, „ჩაი“, „შვილები“, „მადარობში“ და სხვ. ასახულია სიახლისათვის მებრძოლ გმირთა და მათ გარშემო დარაზმულ ადამიანთა ცხოვრება. მწერალი კომუნისტური იდეების ბატონობის პერიოდშიც ეროვნული კულტურის ღირებულებების დაფასების სულისკვეთებით ზრდიდა მკითხველს. საყურადღებოა, რომ ქართული ენის შესწავლისა და ქართულ კულტურასთან ზიარების სურვილებს მწერალი რუს პერსონაჟს ათქმევინებს რომანში „შვილები“ და ამით ქართველის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ

საქართველოში იგი უნდა იცავდეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფოს ენის, ინტერესებს და განამტკიცებდეს მის პოზიციებს.

იუსუფ ფაღვამ ისტორიული თემატიკა შემოიტანა და მკითხველის ყურადღება მიაქცია აჭარის ისტორიულ წარსულს. აჭარა ქართული ცივილიზაციის კულტურის აკვანია — ამ იდეას უძღვნის მწერალი თავის რომანებს „სუსხი ავბედითობისა“, „ჩაუმქრალი კერა“, „ქედუხრელნი“. მის შემოქმედებაში ვრცლად აისახა დედასაქართველოსთან აჭარის ჩამოშორების ტკივილები და შემდეგ ისევ დაბრუნებით განცდილი დიდი ბედნიერება.

თემათა მრავალფეროვნებითა და მეტრძოლი ეროვნული იდეების სიცხადით გამოირჩევა *ფრიდონ ხალვაშის* რომანები და მოთხრობები. მწერლის ესთეტიკური იდეალია ერთიანი საქართველო. რომანების „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, „შეიძლება თუ არა, მუსლიმანი იყოს ქართველი“ და სხვათა გმირები საუკეთესო ნიმუშებს გვიჩვენებენ ქართველთა სულიერი ერთობისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში. „ქართული ენა ჩემი სარწმუნოებაა“ — აცხადებს ფრიდონ ხალვაშის რომანის პერსონაჟი და ქართველთა სულიერი ერთობის საიმედო დუღაბად სწორედ უკვდავ ქართულ ენას აღიარებს.

ეროვნული თემატიკის საინტერესო გააზრებასა და ასახვას იძლევა მწერალი *ჯემალ ჯაყელის* ცნობილი რომანები „მუჰაჯირი“, „მზე მალლა იქნება“, „მზე მობრძანდება, ადამ“ და სხვა. მწერალი არ იფარგლება ისტორიული თვალსაზრისით და რომანში „მუჰაჯირი“ გმობს ზოგიერთი ჩვენი თანამედროვეის ცნობიერებაში ფეხმოკიდებულ მრწამსს: „სხვაგან უკეთ ვიცხოვრებ! სამშობლოს გარეთ“. სამშობლოს გარეთ არ შეიძლება მამულიშვილი იყოს ბედნიერი — შთააგონებს მწერალი თავის მკითხველს. ასევე პრინციპულია მწერალი უზნეობისა და სხვა გამოვლინებების მიმართ მოთხოვნაში „მიტვეება და სამაგიერო“.

ისტორიულ თემატიკაზე საუკეთესო ნაწარმოებები შექმნეს მწერლებმა დავით ნაცვალაძემ, რამაზ სურმანიძემ, რევაზ გორგაძემ და სხვებმა.

რამაზ სურმანიძის რომანის „ემრულა“ გმირი მიხეილ ჯავახიშვილის არსენა მარაბდელივით ხალხის წიაღიდან მოდის. ის იმ ეპოქამ შვა, რომელსაც შემდეგ თვითონ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლება.

მწერალი სოციალურ და ეროვნულ პრობლემებს ერთ მთლიანობაში წარმოსახავს და გვიჩვენებს, რომ სახალხო გმირი, უწინარეს ყოვლისა, მამულიშვილი უნდა იყოს.

მწერლების *გიორგი ლორთქიფანიძის*, *ილია რურუას*, *მიხეილ გორგილაძის*, *კაპიტონ რუსიძის*, *ალექსანდრე სამსონიას*, *ვახტანგ ახვლედიანის*, *ნოდარ მოდებაძის*, *გენრიეტა ქუთათელაძის*, *ნოდარ ძირკვაძის*, *ჯემალ ქათამაძის*, *ანა დუნდუას*, *ვოლტერ ჭანტურიას*, *ჯემალ ხოფერიას*, *რევაზ გორგაძის*, *ანზორ კუდბას* და სხვათა შემოქმედებაში ფართოდ აისახა თანამედროვე სოციალური და ეთიკური პრობლემები.

გიორგი ლორთქიფანიძის რომანებში რიგითი ადამიანების ზნეობრივი ღირებულების პრობლემები იქცევა ყურადღებას. „სოფელი გონიერია, თუ კაცი ღონიერია“ — მომდინარეობს ქართული ფოლკლორიდან. მწერალმა გონიერებას ზნეობრიობაც დაუმატა და რომანში „სოფელი ღონიერია“ უჩვენა — სოფელი ზნეობრივი ადამიანებით არის ღონიერი და მშვენიერი.

მიხეილ გორგილაძის შემოქმედებაში ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს

შეჭიდებული გმირის სახეა გამოხატული. ამ პრობლემის სირთულე ასეა წარმოდგენილი მკითხველის წინაშე: „განაჩენის“ ერთი პერსონაჟი აცხადებს: „ოღრო-ხოღრო ქვეყანას ერთი ხელის დაკვრით ვერ გაასწორებთ. ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა“. მეორე პერსონაჟი უპასუხებს: „ვიცი, ოღრო-ხოღრო ქვეყანას ვერ გავასწორებ, მაგრამ სადაც ხელი მიმიწვდება, იქ ბოროტებას არ გავახარებ“.

ადამიანში ადამიანურობის გადარჩენის, ადამიანის ზნეობრივი სამყაროს გამდიდრების სულისკვეთება ბატონობს *ალექსანდრე სამსონიას* მოთხრობებში. მწერალი ებრძვის პროვინციალიზს ადამიანის ზნეობაში. ალ. სამსონიას სამართლიანი თვალსაზრისით, პროვინციალიზში არ არის მხოლოდ გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე ანტიზნეობრივი თვისება. პროვინციალიზმის სინდრომით შეიძლება დედაქალაქის მკვიდრი მოქალაქე უფრო იყოს დაავადებული, ვიდრე პროვინციაში მცხოვრები. ადამიანში გამოვლენილ ამ ნაკლს მწერალი ამხელს ჯანსაღი ირონიით.

„დრამატურგების ქალაქში“ მწერალმა წამოჭრა ეროვნული თავმოყვარეობის გააზრებისა და მისი სულისკვეთებით თაობების აღზრდის საკითხი.

ნოდარ მოდებაძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ ხანებში, როცა მწიფდებოდა სოციალისტური სინამდვილის კრიზისი. იგი თანდათან ღრმავდებოდა საქვეყნო საქმისადმი, საზოგადოებისა და საკუთარი თავისადმი ადამიანების დამოკიდებულებაში... მოგვიანებით ამ პროცესს პოლიტოლოგებმა უძრაობის ხანა უწოდეს. ნოდარ მოდებაძემ ამ პრობლემას უძღვნა რომანი „არ იპარო“. რომანის გმირი შეწუხებულია იმით, რომ „პატიოსანი კაცი დღეს ცოდვას. ოჯახშიც არაგულწირფელობა შემოიჭრა. „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების“ შინაგან წინააღმდეგობებს ამხელს მწერალი მოთხრობაში „მარტის სუსხიან დღეს“.

კაპიტონ რუსიძე არ ავლენდა კრიტიკულ დამოკიდებულებას სოციალისტური ცხოვრების წესის მიმართ. მაგრამ რომანში „ჭიდილი მთებში“ მწერალი ზოგჯერ მაინც ახერხებს ეროვნული ტრადიციების წინ წამოწევას ცხოვრების საბჭოურ წესთან შედარებით და უჩვენებს, რომ ხალხის ცხოვრებაში ეროვნული სული უკვდავია, იგი უფრო ძლიერია, ვიდრე იდეოლოგიზებული ზნეობრივი ნორმები.

სოციალისტური-ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მანკიერ თვისებებს ამხელს *ნოდარ ძირკვაძე* მოთხრობაში „მთებზე ამოდიოდა მზე“. მწერალმა გაბედულად თქვა: „ახლა ვინ ცხოვრობს პატიოსნად, შენ რომ იცხოვრო?“.

მოთხრობაში „სანამ ცოცხალი ხარ“ იგივე თემა უფრო კატეგორიული სახითაა გამოხატული. თანამდებობის ძალით გამდიდრებული ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ასე მიმართავს თანასოფელს: „დაბადებიდანვე დამყვა თქვენდამი ზიზღი. ღარიბი ადამიანები მე ყოველთვის არაკაცად მიმაჩნდა, მათ შორის, შენც“.

ნოდარ ძირკვაძის მოთხრობებში ფართო ადგილი უჭირავს ზნეობის საკითხებს. მწერალი თვლის, რომ ზნეობრივი ღირებულებები მყარად არის დაცული ქართულ სოფელში. ადამიანმა დიდკაცად აღიარება მხოლოდ პირადი ღირებულებებით უნდა მოიპოვოს.

სოციალური და ეთიკური პრობლემების ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს თავის ნაწარმოებებში *ჩემალ ხოფერია*. რომანში „უნიდაგო“ მწერალი ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ცხოვრება, რომელიც უზნეობაზეა დამყარებული, სრულიად ფიტავს და აღარბიებს ადამიანს. გამოსავალს მწერალი ხედავს ქრისტიანულ მორალში. ამ იდეებს მწერალი საბჭოთა ხელისუფლებისა და ათეიზმის ბატონობის

ფონზე ავითარებდა.

ვახტანგ ახვლედიანის შემოქმედების მთავარი თემაა პოსტკომუნისტური ქართული სინამდვილე, ე.წ. გარდამავალი პერიოდის სოციალური, პოლიტიკური და მორალური პრობლემები. მწერალი კრიტიკულად აფასებს საქვეყნო პრობლემებისადმი იმ მოუშადადებელ, წინასწარგაუთვლელ და დაუსაბუთებელ მიდგომებს, რაც ეროვნულ მოძრაობის სახით გამოავლინა 80-90-იან წლებში. მწერლის სამართლიანი შეხედულებით საბჭოთა იმპერიის ტყვეობიდან თავდახსნის და დამოუკიდებელ საქართველოში უფრო სწრაფი ტემპით უნდა განვითარებულიყო საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრება. მივიღეთ კი საპირისპირო. ქვეყანა მოექცა ძნელადსატან კრიზისში. უკან წავიდა ქვეყნის ეკონომიკა, დაეცა ზნეობა; ამის გამო გ. ახვლედიანის ნაწარმოების პერსონაჟი ნერვიულად კითხულობს: „ეროვნული მოძრაობაო! რა გაკეთდა ხალხისათვის?.. ერთმანეთის ხოცვაა ეროვნული საქმე?! ქურდობა, ბანდიტობა, გაუტანლობა, ნამუსის ახდა, სკამისთვის ერთიმეორის გამეტება“...

გენრიეტა ქუთათელაძე აჭარაში მოღვაწე პროზაიკოს მწერალ-მანდილოსანთა შორის პირველი შეეჭიდა რომანის ჟანრს და გამოაქვეყნა „სიკვდილის პირისპირ“. რომანის მთავარი გმირი სალომე ხერთვისელი ჩვენი თანამედროვეა. იგი უაღრესად რთული ფენომენია. მწერალი ხატოვნად წარმოაჩენს განათლებული და ამავე დროს ღრმად მორწმუნე ინტელიგენტის სახეს. საინტერესო ხასიათებია დახატული გ. ქუთათელაძის მოთხრობებშიც.

ვოლტერ ჭანტურია მთელი თავისი ცხოვრებით ზღვასთანაა დაკავშირებული. ზღვა მისი დიდებულებითა და მოულოდნელობებით, პირველ რიგში, ზნეობრივ კატეგორიებზე დაფიქრებს მწერალს. მოთხრობაში „ბოცმანის ღუზა“ ვოლტერ ჭანტურია სწორედ ზნეობრივ სიბრტყეზე წარმოსახავს პერსონაჟის ცხოვრებას და შენიშნავს: „ვინც ზღვაზე ნავარდს იფიქრებს, მან, უპირველესად, ვაჟკაცის სახელი აქ, ხმელეთზე უნდა მოიხვეჭოს. გახსოვდეთ: ზღვა მხოლოდ და მხოლოდ ლომკაცების სათარეშო მოედანია“.

მეზღვაურის ხასიათს კარგად გამოხატავს მწერალი მოთხრობაში „სიყვარულის ძალა“. მეზღვაურისათვის ზღვა ბიოგრაფიის ნაწილია და სანამ შესწევს ძალა ზღვასთან ბრძოლისა და მეგობრობისა, იგი ვერ დაშორდება ამ გამოუცნობ სტიქიონს.

ანა დუნდუას მოთხრობებში ცხოვრების მრავალ ასპექტზეა ყურადღება მიქცეული. მწერალი, ცხოვრებას, როგორც წესი, კრიტიკულ პოზიციებიდან ასახავს, მაგრამ არ ქადაგებს ცხოვრებიდან გაქცევას. ნაწარმოებთა პერსონაჟი ქალები დამოუკიდებელი, გონიერი, გაბედული, თავისუფალი მოქმედებით ხასიათდებიან. ისინი ტიპიურ ევროპული ნორმებით ცხოვრობენ. არ ერიდებიან პირადი სიმპათიების თავისუფლად გამჟღავნებას იმათ მიმართ, ვინც მათ სიმპათიას იმსახურებენ.

ნაყოფიერად მუშაობს პროზაში *ანზორ კუდბა*.

პროზაული ნაწარმოებები შექმნეს ბიოგრაფიულ მოტივებზე: მამია ვარშანიძემ — მემედ აბაშიძის პიროვნული თვისებებზე, ჯემალ ქათამაძემ — სამართალდამცავი ორგანოს მუშაკთა ხიფათით სავსე ცხოვრებაზე, რევაზ გორგაძემ — მემედბეგ აბაშიძის ცხოვრების ტრაგიკულ ბედზე. პირველი საყურადღებო განაცხადი გააკეთა ახალგაზრდა პროზაიკოსმა საფო კობალაძემ.

პოეზია: ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში პროფესიული ლიტერატურული ცხოვრების შეფერხების მიუხედავად, ხალხის პოეტური აზროვნება არ შეწყვეტილა. იქმნებოდა ხალხური პოეზიის ნიმუშები. მეოცე საუკუნის დასაწყისში არაერთი თვითნასწავლი პოეტი მოღვაწეობდა, მათ შორის ყურადღებას იმსახურებენ ხასან თხილაიშვილი, მემედ ჭყონია, ხასან კომახიძე და სხვები.

პირველი პროფესიონალი პოეტი, ვინც აჭარის თემის მხატვრული გააზრება და ასახვა მოგვცა, იყო მუშა-პოეტი *პარმენ რურუა*. მის პოეზიაში, როგორც წესი, მუშაკაცის ხასიათია წინ წამოწეული. მუშისათვის ცხოვრება ყოველთვის მძიმე და გაუხარელი იყო. ის თავის შრომით ქმნიდა სიმდიდრეს, თავად კი მუდამ მოკლებული იყო ამ სიმდიდრეს და სიხარულს. ასეთ მუშას და ასეთ ქვეყანას ხატავს პოეტი თავის ლექსებში.

*პარმენ რურუა*ს შემოქმედებაში ეროვნული მოტივები აჭარის თემასთანაა დაკავშირებული. პოეტი შესტრფის მხეჩაუქრობ აჭარას, „სადაც ვაზი ისევ ახელს თვალებს, სიხარულის ცრემლი დასდის ამდენი ხნის ნაფერმკრთალებს“.

„ვამაყობ, რომ ტურფა მხარე
 მტერმა ძალით ვერ მოხარა,
 ვერ გატეხა ქართველები
 და ფუძიდან ვერ მოთხარა“.

ნესტორ მაღაზონიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა წრე იმ თემებისა, რაც პოეზიის საგანი უნდა იყოს. *ნესტორ მაღაზონიას* პოეზიის ლირიკული გმირი სიკეთის დამამკვიდრებელი ძალის აპოლოგეტია. მის ხასიათში განზოგადებული სახითაა წარმოდგენილი თანადგომა და სიყვარული იმათ მიმართ, ვინც ღირსეულად ემსახურება ქვეყანას და ხალხს. პოეტის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სოციალურ, პატრიოტულ და ეროვნულ მოტივებს. პოემაში „გულიზარი“ პოეტი ყველაზე დიდ ღირებულებად ადამიანს აცხადებს და თვლის, რომ ნორმალურ ქვეყანაში სწორედ მშრომელი ადამიანი უნდა იყოს ღირსეულად დაფასებული.

„რად არის ეს ქვეყანა
 გაყოფილი ასე:
 ზოგს სიმდიდრე თავსაყრელად
 და ყელამდე სავსე,
 ზოგის კარავს, ცხვარს და ყანას
 ცალი ხელით ასწევ?!“

ნესტორ მაღაზონიას შემოქმედებაში ორიგინალურად არის გააზრებული აჭარის ისტორიული წარსული. პოეტის ღრმა რწმენით, ოსმალეთმა დაიპყრო ტერიტორიები, მაგრამ ვერ დაამონა აჭარის მკვიდრი, ვერ ჩაუკლა დედასაქართველოსთან დაბრუნების იმედი, ვერ აქცია მონად.

„ჟღეტდნენ ბარელს და მთიელსაც
 მხეცთა ველური ურდონი.“

ჭოროხს სხვა ფერი მიეცა,
 შიგ სისხლი იყო იმდენი.
 მაგრამ არ გახდნენ მონებად
 თუმცა სულს ტანჯვით ლაფავდნენ.
 მათი კვნესა და გოდება
 ქარებს მიჰქონდა ქართლამდე“.

დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის საუკეთესოდ არის აღიარებული ნესტორ მაღაზონიას „მოდიან, შვილო, ჯარისკაცები“. ომში შვილდაკარგული მამისათვის დედამიწა შვილი-მიწად იქცა და ამრიგად, ქართველი პატრიოტი ორმაგ დამოკიდებულებაშია სამშობლოს სიყვარულის მიმართ.

მამია ვარშანიძე აღიარებულია, როგორც ეროვნული პოეტი, რომლის შემოქმედება საცხაა ლირიზმითა და ისტორიზმით. ამ ლირსებების წყალობით, პოეტმა შექმნა დრამატიზმით დამუხტული ისტორიული პოემები დედასაქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლ გმირთა ცხოვრების ქარგაზე. მათ შორის საუკეთესოა პოემა „ხიხანის არწივები“. მძაფრი ისტორიული სინამდვილის განცდას გადმოგვცემს პოემის ყოველი პასაჟი და განსაკუთრებით, პირველი რომელშიც აჭარისწყლის მხატვრულ სურათში ქართველთა დიდი საბრძოლო ვნები იკითხება:

„აჭარისწყალი ზვიად მთებს
 ჩახვეულ-ჩაჩქერებული,
 მორბის, მოშხუის, კლდეებთან
 შებმას და შეხლას ჩვეული.“

* * *

ზოგან ქაფს იყრის, მრისხანებს,
 ზოგან მგლოვარე ჩანგია,
 ლოკავს და ლოკავს შმაგივით
 ლოდებს ხავსიან-ჟანგიანს.

* * *

გზა ოღრო-ჩოდრო ჩაშლილი
 კლდეებში მიიხლართება,
 რომ გათენდება, მაშინაც
 ვერ იტყვი „ეს გათენდა“.

სწორედ ამ ბუნების შვილს შეეძლო ტყვეობაში თავისუფალი სულით ეცხოვრა და დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნების იმედით ებრძოლა. ამ მთების შვილს შეეძლო მოძალადისათვის თვალეზში შეეხედა და ჯიბრით ეთქვა ისტორიული სიმართლე:

„მე თუმც თავს მჭრით,
 მაინც გეტყვით:
 რაგინდ სტანჯოთ, რაგინდ სთელოთ,
 თქვენ აწ დიდხანს არ შეგრჩებათ
 ეს სამხრეთი საქართველო.
 შვილთ ანდერძად ღავუტოვებ,
 რომ მამული გაამრთელონ“.

მამულის ერთიანობის იდეა ბატონობს მამია ვარშანიძის პოეზიაში. ეს არის მისი ესთეტიკური იდეალი. ამიტომ მემედ აბაშიძისადმი მიძღვნილ ლირიკულ პოემაში პოეტი ასე ალაპარაკებს გმირს:

„ვინ გამიყო მამული,
 საქართველო ერთია,
 ჩვენი მდინარეები
 ჩვენს დედაწყალს ერთვიან.
 ვინ გამიყო მამული,
 საქართველო ერთია“.

მამია ვარშანიძის თაობას პოეზიაში წარმოადგენდნენ შალვა იოსელიანი და ლაშა ტბაური (ლავრენტი ძიმისტაშვილი).

პოეზიაში საკუთარი ხმით შემოვიდა ნანა გვარიშვილი. მის ლექსებში აისახა დიდი აჭარელი დედის სახე, რომელმაც სამსაუკუნოვანი ტყვეობის პერიოდში ღირსეულად დაიცვა და შთამომავლობას შემოუნახა ქართული ენა, ქართული ცნობიერება, ქართული კულტურა, ხოლო შემდეგ ასევე გაბედულად დაგმო ჩადრი და ქალთა უუფლებობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში:

„აჭარელო დიდო დედავ,
 ნისლში მანდილს ვხედავ,
 შენ იხსენი ბუღბუღო სტვენა,
 ტკბილი დედაენა.“

* * *

შენს დარწმუნ აკვნებიდან
 მოდის ჩემი ლექსი,
 მთების იქით, ნისლის იქით
 შენი ნანა მესმის“.

ბათუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი პოეტი ანდრო თევზაძე. სამოცდაათიან წლებში ის წინასწარმეტყველურად წერდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აღმავლობაზე:

„მოდიოდა, მოიძრწოდა,

მიწას ბანდა სისხლის წვიმა,
ასი წლის გზა გავიარეთ,
ათასის კი გვიცდის წინა“.

ანდრო თევზაძის შემოქმედებაში მრავალი ლექსით არის წარმოდგენილი აჭარის თემა. აჭარა, პოეტის წარმოდგენით, სიმბოლოა ქვეყნის აღორძინებისა, საქართველოს სიმამაცის, სიძლიერის, გამრავლების, გახალისების წყარო. ეს იდეა ჟღერს ლექსებში „სალამო სოფლად“, „აქ ყველაფერი მზით იფარება“, „სალამო ზღვასთან“, „ქვევრები“, „ფადიმე გოგიტიძე“, „სარფი“, „ზღვა“ და სხვა.

ქართველი კაცის ეროვნული იდეალები ფართო სპექტრით აისახა ფრიდონ ხალვაშის პოეზიაში. მისი იდეალია ერთიანი საქართველო, რომელსაც პოეტმა მიუძღვნა ლექსთა კრებული „ასი მზე დედის გულისა“. ამ ლექსებისთვის ფრიდონ ხალვაშს დამსახურებულად მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. მისი საუკეთესო ლექსები „ჭოროხის ხვაშიადი“, „ბალადა მეჩონგურეზე“ ქართული პოეზიის შენაძენია, რომელშიც ბატონობს უკვდავი სული და იმედი საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა და ოდესღაც დიდი საქართველოს ისევ აღდგენისა.

საქართველოს უკვდავების საიდუმლოს პოეტი სამართლიანად ეძებს და პოულობს კიდევ ქართულ ენაში:

„ხან დაშლილა საქართველო
კახურ-სამცხურ-მეგრულად...
მაგრამ ისევ საქართველო
ქართულ ენით შეკრულა“.

ქართული ენის მაგიურ ძალას ხატავს ფრიდონ ხალვაში ლექსში „გენაცვალე“.

„სნეული ხარ — გეწამლება,
ჭაბუკი ხარ — შეგაყვარებს,
მოხუცი ხარ — მოგაშორებს
შუბლზე წელთა ნიაღვარებს.
გაწყენინეს? — დაგავიწყებს
ყველა ფლიდს და ენამწარეს.
ღარიბი ხარ — გაგამდიდრებს,
ასეთია „გენაცვალე“.

ფრიდონ ხალვაში მოაზროვნე და ეროვნული პოეტი. მის პოეზიაში ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს ემოცია და ინტელექტი. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ის ლექსები, რომელიც პოეტმა დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოს პირველ წლებში შექმნა. ამ ისტორიულ მოვლენას მრავალი წინააღმდეგობაც დაჰყვა თან. ამას სწორედ მოაზროვნე პოეტი შენიშნავს და იტყვის:

„თავისუფლება არ იყო, ვწუხდით.
სხვა დროის ნატვრა დავიდგით უღლად.

თავისუფლება მოვიდა, მაგრამ
თავისუფალნი უფრო მეტს ვწუხვართ!“

მოაზროვნე პოეტის თვალთ არის დანახული საქართველოს საერთაშორისო აღიარების ისტორიული ფაქტი, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოს და თურქეთს შორის ახალი, ცივილიზებული ურთიერთობების დასაწყისი, რასაც პოეტი შორსმიმავალ იმედებს უკავშირებს:

„ხმა უკვე ბევრმა გაიღო ბევრგან,
ვგრძნობ, ტრაგედიის წყდება თამაში.
წვეთად მიგორავს ბგერასთან ბგერა —
ქართველთა ელჩი ზის ანკარაში“.

ჩემალ ჯაყელის პოეტური შემოქმედების საერთო სულისკვეთებას გამოხატავს მეტაფორა „ცეცხლგამძლე სული“. ორი ეპოქის მიჯნაზე მოღვაწე პოეტის სათქმელი ასე გამოიხატა სტრიქონებში:

„ბევრჯერ დავიწვი ხელი და სულში
ვიგრძენ ტკივილი და ასე მივხვდი,
რომ არის სული ისე, ვით ნუშის
ყვავილი სუფთა და უნაზესი“.

ამ თაობის მოღვაწეთა შორის გამოირჩევიან შოთა როყვა, ლევან გელაძე, გიორგი სალუქვაძე, ქსენია მჟავია, ნოდარ ჯალაღონია, რევაზ ართილაყვა, რევაზ ჩხარტიშვილი, ბორის მეტრეველი, დავარ გიგინეიშვილი, იაკობ მელია, ლადო სეიდიშვილი, ნონა ვარაზაშვილი, ნანა ჯაში და სხვები.

ჩემალ ქათამაძის პოეზია გამთბარია ქართველი პატრიოტის მგზნებარე სიყვარულით მშობლიურისადმი. ჯ. ქათამაძემ მონახა საკუთარი პოზიცია და მსოფლიოს საუკეთესო ქვეყნებისა და ქალაქების ფონზე გამოარჩია არა უკეთესი, არამედ მშობლიური. მშობლიურს კი არ სჭირდება ეპითეტები და ზედსართავი სახელები, რადგან იგი მშობლიური და ერთადერთია:

ზოგი პარიზს აქებს, ზოგი კიდეც ლონდონს,
ზოგს ათენი ძველი და ზოგს მოსწონს ბორდო.
ზოგს სტამბოლის მტვერი, ზოგს ბებერი რომი,
ზოგს აფრიკა შავი, სპილოების ომი...
ზოგი ვენეციას, ზოგი აქებს რიოს,
მე კი ჩემი მიწის ქებამ გადამრიოს.

ზურაბ გორგილაძე მემედ აბაშიძის სულიერი მემკვიდრეა. მემედ აბაშიძე XX საუკუნის დასაწყისში სარწმუნოებებსა და ეროვნებას შორის დამოკიდებულებების გარკვევით ესწრაფვოდა ქართველთა სულიერი ერთობის აღდგენას. ზურაბ გორგილაძე და მისი თაობა ამ ერთობის წიაღიდან ამოიზარდა და სწრაფვა ყოველთა ქართველთა ერთობის განმტკიცებისათვის ახალ ისტორიულ რეალობაზე გადაიტანა.

ეს რეალობა ეფუძნება ქრისტიანულ ჯვარს:

საქართველოვ, ჩემო დედავ,
ჩემი სუნთქვა გენაცვალა.
შენი ზეცის სიმაღლისთვის
მარადადში ვრანდავ ყავარს,
შენი რჯულის საჯილდაოდ
სხალთა ს ვრეკავ ზარებს მთავარს!

ზურაბ გორგილაძე ეროვნული პოეტია, მის კალამს ეკუთვნის საუკეთესო პოეტური ნიმუშები, რომლებშიც ასახულია თავისუფალი, ამაყი, საკუთარ ღირსებებში ღრმად დარწმუნებული ქართველი მამულიშვილის სახე. ზურაბ გორგილაძემ შექმნა დიდი ქართველი მამულიშვილის, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრის, მემედ-ბეგ აბაშიძის შესახებ ქართულ პოეზიაში ჯერჯერობით ყველაზე საუკეთესო ლექსი „მემედ ბატონო“. პოეტი ხატავს მამულიშვილს, რომელიც ამოიზარდა ეროვნული ისტორიის წიაღიდან და ჩვენი და მომავალი თაობების უკვდავ თანამედროვედ დარჩა.

ახალი თემები და მოტივები მოიტანა პოეზიაში შოთა ზოიძის, ცისანა ანთაძის, ვახტანგ ახვლედიანის, ემენ დავითაძის, დავით თედორაძის, ამირან ხაბაზის თაობამ. მათ შემოქმედებაში დომინირებს ზნეობის მარადიული პრობლემები, თანამედროვეობის ეროვნული და სოციალური ტკივილები. ამ თაობის ეროვნული იდეალების ფილოსოფიურ და ისტორიულ საფუძვლებს წარმოადგენს საქართველოს დიდი წარსული და დიდი იმედი მომავლისა. ეს იდეალები, ძირითადად, დაკავშირებულია დავით აღმაშენებლის სახელთან. დავით თედორაძემ ლექსების ციკლი მიუძღვნა ამ თემას და ერთ-ერთ ლექსში „დავით აღმაშენებელი“ ასე გამოხატა თანამედროვე ქართველი მამულიშვილის ეროვნული სიამაყე და იმედი სწორედ დავით აღმაშენებლისადმი დამოკიდებულებაში.

„დავითმა ხმალი იშიშვლა,
მტერი გაფუჭდა შიშისგან.

* * *

აგო ტაძრები, ხანაგები, გზები, ხიდები,
კაი დრო იყო,
საქართველოს ცნობდნენ დიდებით“.

ამიტომ, ბუნებრივია, ქართველი ხალხი დღეს კანონიერად ნატრობს: „აღმაშენებლის უტკბილესი ხმა გამაგონეთ“.

ჩვენი თანამედროვეის საინტერესო სახე-ხასიათებს ხატავენ ზურაბ ფირცხალაიშვილი, ჟუჟუნა ხაჯიშვილი, ნათელა დუმბაძე, სოსო აბაშიძე, სანდრო ბერიძე, ჟუჟუნა შაინიძე, ვახტანგ ღლონტი, ბადრი თევზაძე, ზურაბ ზოიძე, ნიკოლოზ დუმბაძე, მურმან ცეცხლაძე, ინგა აბაშიძე, ხათუნა თავდგირიძე და

სხვა. მათ შემოქმედებაში აისახა გაბედული პროტესტი მიუღებელი სინამდვილის მიმართ, გაღრმავდა მამულიშვილის პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე, წინა პლანზე წამოიწია მოქალაქის ზნეობრივი ღირსებების პრობლემები.

საბავშვო მწერლობა: მხატვრული სიტყვის აღორძინება აჭარაში სრულად აისახა საბავშვო მწერლობის განვითარებაში. საბავშვო ლიტერატურა დიდი მწერლობის შემადგენელი ნაწილია. მასში აისახება იგივე თემატიკა, იგივე პრობლემები, რაც ღიღებისათვის განკუთვნილ ნაწარმოებში, ოღონდ უფრო საინტერესოდ და მიმზიდველად.

ქართულ საბავშვო ლიტერატურაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის აჭარაში მოღვაწე მწერლებს *ნესტორ მალაზონიას, ნანა გვარიშვილს, გიორგი სალუქვაძეს, შალვა შუბლაძეს, ეთერ დოლიძეს, ჯემალ ქათამაძეს, ვახტანგ ახვლედიანს, ლევან ანანიძეს*. ქართულ საბავშვო პოეზიას ამშვენებს ნესტორ მალაზონიას „პაწაწინა ლუიზა“, რომელშიაც აღმოჩენილია ბავშვი თავისი ინტერესებით, ხასიათით, განწყობილებებით.

გიორგი სალუქვაძის ლექსებში, პირიქით, ბავშვისადმი დამოკიდებულების მოტივები სჭარბობს და გვიჩვენებს, რომ ადამიანები უფრო მომზადებულნი უნდა ხდებოდნენ ოჯახში ბავშვის მოვლინებას, ვიდრე ამას ზოგჯერ აქვს ადგილი.

ნანა გვარიშვილის საბავშვო ლექსებში სასკოლო ასაკის მოზარდის აღზრდის, თვითაღზრდის, ურთიერთაღზრდის, განათლების, თვითგანათლების საკითხები პოეტურად ასახული.

დასასრული იქნება.





ტიტე ხინთიბიძე

მხატვრული თარგმანი შემოქმედება

ქართველ მწერალ-მთარგმნელთა სახელოვანი პლუადის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ქალბატონი ელზა ახვლედიანი, რომელმაც ესპანური ლიტერატურის არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების თარგმნით გაამდიდრა მშობლიური ქართული ლიტერატურა.

ელზა ახვლედიანი თარგმნის ესპანურიდან, ფრანგულიდან, რუსულიდან, მაგრამ ძირითადად იგი ესპანურენოვანი ლიტერატურის მთარგმნელია.

აი, რას წერს ჟურნალ „საუნჯის“ რედაქტორის მოადგილე ნანა დარჩია 1983 წელს:

„ელზა ახვლედიანმა თავისი პირველივე თარგმანით მიიქცია ფართო მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღება. ეს იყო 1966 წელს, როცა გამოქვეყნდა ესპანური ენიდან თარგმნილი არგენტინელი მწერლის რობერტო პაიროს მოთხრობა „ლაუჩას ქორწინება“. ცნობილია, რომ ესპანური ენის მცოდნე ამ თხუთმეტიწლიან წინათ თითო-ორჯერ თუ გამოერეოდა და ესპანურენოვანი ლიტერატურის წარმომადგენელთა ნაწარმოებები უმეტესწილად რუსულიდან ითარგმნებოდა. ელზა ახვლედიანი არის პირველი, ვინც ორიგინალიდან თარგმნა და ქართულად აამეტყველა ესპანური ლიტერატურის ნიმუშები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ორიგინალის ენის ცოდნა საკმარისი პირობა არ გახლავთ სრულყოფილი თარგმანისათვის. მთარგმნელი უფრო ძლიერად უნდა გრძნობდეს ქართული ენის სტიქიას, რათა დედანს მეორე სიცოცხლე მიანიჭოს. ელზა ახვლედიანი სწორედ ორთავე ამ თვისების შერწყმის ნიჭითაა დაჯილდოებული“.

„ესპანური ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის, — წერს მწერალი გივი გეგეჭკორი, — კარგად არის ცნობილი მაღალკვალიფიციური მთარგმნელის ელზა ახვლედიანის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. ქართულ ენაზე მან თარგმნა სხვადასხვა ქვეყნებისა და სხვადასხვა მიმართულების მწერლების ნაწარმოებები. მათ შორის: ერნესტ ჰემინგუეის, გეორგ ბრანდესის, ანდრე სალმონის და სხვათა მოთხრობები, ნარკვევები და წერილები, მაგრამ ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს მის მიერ ესპანურიდან თარგმნილი ნაწარმოებები.“

ელზა ახვლედიანმა ესპანურიდან თარგმნა და ცალკე წიგნებად გამოსცა ზუანტისოლოს რომანები „ცირკი“ და „კუნძული“, რომელიც გალიეგოსის რომანი „დონია ბარბარა“, ანა მარია მატუტეს რომანი „ჯარისკაცები ტირიან ღამით“, გაბრიელ გარსია მარკესის რომანები „მარტოობის ასი წელიწადი“ და „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“, რობერტო პაიროს „ლაუჩას ქორწინება“.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა დროს დაიბეჭდა სესარ დე არკონდას მოთხრობა „მადრიდის ღამე“, რამონ დე ვალე ინკლანის — „ძვირად

დაუჯდა“, ალი შუქრის — „როდის დაბრუნდება“, ალ. კუკარკინის — „ჩამავალი მზის ბულვარი“, გაბრიელ გარსია მარკესის — „ქალი, რომელიც ზუსტად ექვსზე მოდიოდა“, „დიდი დედის დაკრძალვა“, მარიო ბენედეტის რომანი „სულის მოთქმა“ და „გმადლობთ ცეცხლისათვის“. გამოსაცემად მზადდება გაბრიელ გარსია მარკესის რომანი „პატრიარქის შემოდგომის“ მისეული თარგმანი.

ამ თარგმანებიდან ჩანს, რომ ელზა ახვლედიანი შემოქმედი მთარგმნელია. იგი ოსტატურად გადმოგვცემს ორიგინალის თხრობის თავისებურებას, განწყობილებასა და ხასიათებს. მისი ქართული ლაღი და ბუნებრივია. თავისუფლად იყენებს ქართულის მდიდარ ლექსიკას და იდიომატურ მეტყველებას.

დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ თარგმანა შემოქმედებაა, რომ მთარგმნელი მწერალი შემოქმედია. განსხვავება ორიგინალურ ნაწარმოებსა და თარგმანს შორის ის არის, რომ ორიგინალის ავტორი ცხოვრებაში ეძებს მასალას, გმირებს, სახეებს. მთარგმნელს კი ეს მასალა მზა-მზარეულად ეძლევა უცხო ნაწარმოების სახით. მაგრამ სირთულე სწორედ ამაშია. მთარგმნელი საფუძვლიანად, სათარგმნ ენაზე უფრო ღრმად უნდა ფლობდეს მშობლიური ენის სტიქიასო, ვთქვით ზევით. „1. თარგმანი რაც შეიძლება ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის არა მარტო შინაარსს, არამედ მხატვრულ მხარესაც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თარგმანში დაცული უნდა იყოს ფორმისა და შინაარსის ერთიანობა; 2. თარგმანს უნდა ეტყობოდეს თავისი ეპოქის კვალი; 3. თარგმანი უნდა წარმოადგენდეს უცხო და მშობლიური კულტურის სინთეზს; 4. თარგმანი უნდა ითვალისწინებდეს თავის მკითხველს“ (დალი ფანჯიკიძე, „ლიტ. საქართველო“, 1.01.1983).

როგორ არის საქმე ამ მხრივ ელზა ახვლედიანთან? ზემოთაც მოვიშველიეთ გამოჩენილ ადამიანთა მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ ელზა ახვლედიანი ბრწყინვალე მოქართულეა და ქვემოთაც დავინახავთ ამას მის მიერ თარგმნილი ნაწარმოებებიდან სათანადო ამონაწერების მოტანით, მაგრამ ჯერ ისევ ცნობილ მკვლევარსა და მთარგმნელს დალი ფანჯიკიძეს მივმართოთ, რომელმაც საკმაოდ ვრცლად მიმოიხილა გაბრიელ გარსია მარკესის რომანის „მარტოობის ას წელიწადის“ ახვლედიანისეული თარგმანი.

მოგვაქვს ვრცელი ამონაწერი დალი ფანჯიკიძის სტატიიდან „თანამედროვე ქართული თარგმანი“ (გაზ. „ლიტ. საქართველო“, 7.01.83):

„დედნის სტილის შენარჩუნების ტენდენცია მყდარდება 60-იანი და 70-იანი წლების თარგმანთა უმრავლესობაში. ცალკეული მთარგმნელები, ცხადია, მეტ-ნაკლები წარმატებით ართმევენ თავს ამ ამოცანას, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ხსენებული ტენდენციის მომდევნო ფაქტი, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება უკანასკნელი წლების თარგმანებში. პოეზიაში ეს პროცესი თავს იჩენს ე. წ. მზამზარეულ პოეტურ ენაზე უარის თქმაში, რაც თავისთავად გულისხმობს დედანთან მიახლოების სურვილს, პროზაში კი ნერგავს ქართული ენის მთლიან საგანძურში დედნის სტილის შესაბამისი ელემენტების ძიების ჩვევებს, ამასთან, თარგმანის ენობრივ საფუძვლად მეტწილად თანამედროვე ქართული ენა გამოიყენება. ენის მთლიანობა, ჩვენი აზრით, შეიძლება გავიაზროთ, როგორც საუკუნეების მანძილზე მუდმივი განვითარების წყალობით შრეებად დალაგებული უზარმაზარი სიმდიდრე, სადაც ყოველ შრეს თავის სტილისტური ელფერი აქვს და საშუალება გვძლევა კონკრეტული ამოცანების შესაბამისად ყოველი შრიდან ავირჩიოთ საჭირო ენობრივი ერთეულები.

ენისადმი ასეთი მიდგომის ნიმუშად გვინდა განვიხილოთ გაბრიელ გარსია მარკესის რომანის „მარტოობის ასი წელიწადის“ ქართული თარგმანი. დედნის დასახასიათებლად მოგვაქვს ამონაწერები ესპანური ლიტერატურის მკვლევარების ვ. სტობოლოვისა და ვ. ზემსკოის წერილებიდან.

რომანი წარმოადგენს მრავალპლანიან ეპოსს, რომელიც ერთმანეთს უთავსებს ზღაპარს, მითსა და სინამდვილეს, იწოვს თხრობის ჟანრის სხვადასხვა სახეობებს, მაგრამ არ იკეტება მხოლოდ რომელიმე მათგანის ჩაბრუნებაში, ერთ მდინარეებაში აქცევს სიმართლესა და გამოწვანს, ტრაგიკულსა და კომიკურს, დრამასა და ლირიკას. გარსია მარკესის პროზა მოქნილობით და რიტმისა და ინტონაციის მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მისთვის დამახასიათებელია მდიდარი პოლიფონია, ნარნარად, წყალუხვად და სწრაფად მოედინება ავტორისეული სიტყვა, შეყვარებული აურელიანოს ოცნებებიც სიტყვაში ცხადდება და პოეტურ რიტმს იძენს. სიმდიდრით გვანცვიფრებს რომანისტიკის ლექსიკური მარაგი. იგი უხვად სარგებლობს აღორძინების ხანის ესპანელ სიტყვის დიდოსტატთა საუნჯით. ეროვნული ხასიათიც არის, რადგან ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებზე და თვით ესპანეთზე უფრო კოლუმბიაშია შემონახული ძველებური ესპანური. ამ კეთილშობილ, ზუსტ, ნატიფ ენას მწერალი „აახალგაზრდავებს“, შეაქვს ამ ენაში თანამედროვე სიტყვები და გამოთქმები, აჯერებს მას უბრალო ხალხის მეტყველებით, ზოგჯერ კი მწუთხე ხალხური გამოთქმებითაც აპოხიერებს ხოლმე. ამასთან, გარსია მარკესი ოსტატურად იყენებს ისეთ მხატვრულ ხერხებს, როგორიცაა სახე, მეტაფორა, შედარება. რომანის ერთ-ერთი მთავარი სტილური ნიშანია თავისებური ტონი, რომლისთვისაც მწერალს, თავისივე სიტყვით, დიდი თავისმეტყვევის შემდეგ მიუზნია. გამოსავალი მოიძებნა, როცა მწერალმა გადაწყვიტა ამბავი ისეთივე ბუნებრივი და სერიოზული ტონით მოეთხრო, როგორც ბებიაამისი უყვებოდა ხოლმე დაუჯერებელ და აბრარებულ ამბებს. ეს ტონი ქმნის განსაცვიფრებელ ეფექტს და წიგნის კითხვისას თითქმის გვაფიწყდება რეალურსა და ფანტასტიკურს შორის არსებული ზღვარი. ეს ტონი შეზავებულია ზომიერების გრძნობით და ამიტომ გვჯერა გამოგონილი ამბები, სინამდვილესავით აღვიქვამთ მათ, მხოლოდ დროდადრო თუ მოვალთ გონს და გაგვეღიმება, აქ ხომ ერთი მისხალი სიმართლე არ ურევიაო.

შემოთქმულიდან ნათელია მთარგმნელის — ელზა ახვლედიანის ამოცანა: იგი უნდა დაესესხოს ქართული ენის თითქმის ყველა სტილისტურ შრეს და ენობრივი ელემენტები მოაქციოს პოლიფონიურ მდინარეებაში. ოღონდ ყველაზე ნათლად მაინც უნდა გამოიკვეთოს ძირითადი ინტონაცია — ეპიკური თხრობის ინტონაცია. ეს უკანასკნელი თარგმანში ქმნის ფონს და ამ ფონზე თხრობა ხან სერიოზულია, ხან ირონიაშეპარებული, ზოგან ზომიერად ამაღლებული, ზოგან კი ზღაპრის სისადავემდე დაყვანილი. რაც მთავარია, თარგმანის ენა ბუნებრივია, არსად არ აღიზიანებს მკითხველს, ხელს არ უშლის მას მისდიოს რომანის საკმაოდ რთულ ფაბულას, უამრავ პერსონაჟს, უამრავ რეალურ და არარეალურ ამბავს. ქართული ზღაპრის ლექსიკა, რიტმი და ინტონაცია შეიცნობა რომანის ისეთ ადგილებში, სადაც ავტორი კარგა ხნის მანძილზე მიმდინარე ამბებს მოკლედ გვიყვება. შესაფერისი რიტმი და ინტონაცია აქ მიიღწევა ფრაზის სტრუქტურით, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანია ზმნისთვის შესაფერისი ადგილის მიჩენა. ზღაპრისეულ ინტონაციას აძლიერებს სხვათა სიტყვის „ო“, რომელიც ერთვის ფრაზეოლოგიზმებს, გამოკვეთს მათ და თარგმანში ზომიერ ქართულ კოლორიტს ქმნის. ნიმუშად

მოვიტანთ ერთ ასეთ მონაკვეთს:

„ხოხე არკადიო ბუენდიას ცოლს ურსულა იგუარანს ამ პირუტყვის იმედი ჰქონდა, ევებ ოჯახი ცოტა გავმართო წელშიო და ყოველნაირად ცდილობდა ქმრისთვის ხელი შეეშალა, მაგრამ მალე „ყელამდე ოქროში ჩაგვამო“, ჰპირდებოდა ქმარი და ამ დღიდან მოყოლებული ბარე ორი და სამი თვე ჯიუტად ცდილობდა დანაპირების აღსრულებას: მტკაველ-მტკაველ რომ გადათხარა სოფელი, მერე მდინარის ფსკერსაც მიწვდა. დაატრეგდა რკინის ძელებს და მეღკიადესის წასწავლ შელოცვას ხმამაღლა იმეორებდა“.

თუკი ასეთ ყოფით ამბებს სავსებით შეეფერება ქართული ფოლკლორიდან ნასესხები ლექსიკა და ინტონაცია, დაუჯერებელ, იდუმალებით მოცულ ეპიზოდებს მარკირებული, ოდნავ ზეაწეულად შეფერილი ლექსკა და გრამატიკული ფორმები სჭირდება. ასეთი ენობრივი საშუალებები ზუსტად არის მოძებნილი მშვენიერი რემედოსის „ცად ამალღების“ ეპიზოდის გადმოსაცემად. ვნახოთ ეს ადგილი:

„ეს თქვა მშვენიერმა რემედოსმა და ფერნანდამ უცებ იგრძნო, ალერსიანმა და იდუმალმა ქარმა ზეწარი გამოსტაცა ხელიდან. მერე დაინახა, როგორ გადაიჭიმა ოთხივე კუთხით. ამარატას კაბის მაქმანსაც უცნაური თრთოლვა შეუდგა და იმ წუთს, როცა მშვენიერმა რემედოსმა ყველას თვალწინ ზეცად იწყო ამალღება, ზეწრის ბოლოს ჩაეჭიდა, არ წავიქცეო...“.

თარგმანში კარგად ჩანს მარკესის სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-სახეების, მეტაფორებისა და შედარებების სიუხვე. ავტორისეულობა ატყვია გაუცვეთავ სახეებსა და შედარებებს: „პრეისტორიული კვერცხებივით უზარმაზარი ქვების თეთრი და კრიალა სარეცელი“, „დიდი შავი ქუდი, რომელიც გასაფრენად ფრთებგაშლილ ყვავს უფრო ჰგავდა“, „სისხლისფრად აბღღვიალებული ბუჩქები“, „მზით დაფერილი მინდორი“, „ბუედიამ და მეღკიადესმა მტვერი გადაბერტყეს თავიანთ ძველ მეგობრებს“ და სხვა.

ყველაფერი ეს ლექსიკურ სიუხვესა და მრავალფეროვნებასთან ერთად, თითქმის სრულყოფილად ქმნის იმ შთაბეჭდილებას, რაზეც ყურადღება მახვილდება ვ. სტობოლოვისა და ვ. ზემსკოის ზემოთ გადმოცემულ მოსაზრებებში“.

გვიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. მარკესის რომანის თარგმანი სრულყოფილად არის გააანალიზებული და სათანადოდ არის შეფასებული მთარგმნელის შრომაც.

განვიხილოთ ესპანეთის ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის ხუან გოიტისოლოს რომანი „ცირკი“. ავტორი ორმოც წელზე მეტია სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობს და ამ ხნის მანძილზე ღირსეული ადგილი დაიკავა ესპანეთის პროგრესულად მოაზროვნე მწერლებს შორის, მათ შორის, ვისაც აწუხებს ესპანეთის დღევანდელი და ხვალინდელი ბედი.

„ცირკში“ მკითხველის თვალწინ იშლება ესპანეთის მივარდნილი ქალაქი ლას კალდასი თავისი დამყაყებული ატმოსფეროთი, ჭორებითა და უქმი დროსტარებით, ქანცგამომღევი მოწყენილობითა და ერთფეროვნებით. თუმცა მოქმედება რომანში ორი დღის განმავლობაში ხდება, მწერალი ძუნწად, მაგრამ მრავლისმთქმელად გვიხატავს მთელ ქალაქს, დაწყებულს მდიდარ დონ ხულიოდან, დამთავრებულს ჰკუანაკლულ ხუან ღვთის გლახამდე.

რომანში დახატულია უსაქმურობის გამო ქურდად ქცეული ატილასა და პაბლოს სახე. ისინი არსად არ მუშაობენ, დროს უქმად ფლანგავენ და გამდიდრების

სურვილი აქვთ არა შრომით, არამედ ძარცვით. ძარცვავენ და ყვლეფენ მექარხნე დონ ხულიოს. ისინი გარბიან... გაიძვერა, მატყუარა უტა, რომელსაც აგრეთვე განზრახული აქვს ან ფული ისესხოს დონ ხულიოდან, ან უარის შემთხვევაში მოჰკლას იგი, თავს წაადგება მოკლულ ხულიოს, ხელებს სისხლში გაისვრის და უნებლიედ მკვლელობა. პოლიცია მას იჭერს. რომანში დახატულია ჭორიკან ქალების მთელი პლეადა.

ფრანკისტულმა რეჟიმმა ხუან გოიტიხოსო საშიშ პიროვნებად გამოაცხადა. ცენზურამ მისი რომანები აკრძალა. ავტორმა მხოლოდ საზღვარგარეთ მოახერხა მათი გამოცემა. „ცირკი“ მრავალ ენაზე ითარგმნა.

რომანი ლალი ქართულით არის თარგმნილი. მოგვაქვს სათანადო მაგალითები:

„ელისამ მხრებზე ნაქსოვი ჟაკეტი მოიგდო და ფანჯარა გამოაღო. აყლაყულა, თითქმის ორი მეტრი სიმაღლის მაცნე საგანგებოდ გამოწყობილიყო: ხავერდის ქურთუკი და შარვალი, ჭყეტელა, მაღალყელიანი ჩექმები ჩაეცვა და ყავისფერი ავტოსტრალიური ქუდი დაეხურა. შეჩერდა თუ არა, ჯიბიდან ალკალდის (ქალაქის თავის) ბრძანება დიდი ამბით ამოიღო და სანამ კითხვას შეუდგებოდა, ხმამალა ჩაახველა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე დამკვიდრდა“.

„ატილასაკენ რომ მიბრუნდა, შეამჩნია, მისი მეგობარი ხელაწეული იდგა და მხეცურად დამანჭვოდა სახე. პაბლომ მაშინვე იგრძნო, რაღაც საშინელი უნდა დატრიალებულიყო და ატილას მზერას გააყოლა თვალი.“

ის, რაც მერე დატრიალდა, ელვის უსწრაფესად მოხდა. ხელის განძრევაც ვერ მოასწრო. ბოშა ერედიო დონ ხულიოს ზურგიდან მიეპარა და ხელიდან რევოლვერი გააგდებინა. თვალის დახამხამებაში ატილაც მასთან გაჩნდა და მოხუცს რამდენიმეჯერ ჩასცა დანა მკერდში...“.

„ხალიჩა შეთქმულივით ფარავდა მის ნაბიჯებს. უტა ორი კარის წინ აღმოჩნდა. ქარმა დაუბერა და ერთ-ერთი თავისით გაიღო. უტა ანგარიშმიუცემლად შევიდა ღია კარში...“

შუა ოთახში, ხალიჩაზე დონ ხულიო იწვა. გაყინული სახე ნიდაბივით გახდომოდა. მკვლავები ფართოდ გაეშალა, ფეხები მოეხარა და დაეძაბა. მკერდზე მუქი ლაქა აჩნდა. უტა სისხლმა მიიზიდა, მონუსხულივით ჩაიჩოქა. თვალს არ უჯერებდა, ხელი ნელა გაიწოდა ჭრილობისაკენ“.

შეცვალეთ ამ რომანში ესპანური სახელები ქართულით და თქვენს წინაშე იქნება საამოდ საკოთხავი ქართული რომანი, რომლის ორიგინალობაში ეჭვსაც ვერ შეიტანთ. ეს მთარგმნელის უღაო გამარჯვებაა.

თვალსაჩინო ესპანელი მწერალი ქალის ანა მარია მატუტეს რომანი „ჯარიკაცები ტირიან ღამით“ მსოფლიო პროგრესულ, ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. რომანში მოქმედება იშლება 1934-1939 წლებში მომხდარი ამბების ფონზე. ეს ის დროა, როცა ესპანელი კომუნისტები იბრძვიან თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისათვის, როცა ესპანეთში სამოქალაქო ომმა იფეთქა და ფრანკოს ჯალათები ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდნენ რესპუბლიკელებს. აი, მაგალითებიც:

„მონასტრის ეზოში ნოტიო ფოთლებში ჩამალული წყარო მოჩქეფდა, წინამძღვარი კი მეუბნებოდა, მანუელ, სიკვდილი მკვდრეთით აღდგომას ნიშნავს. აღდგომა დღეს საზეიმოდ გუგუნებდნენ ზარები, აპრილის ნიავზე მსუბუქად ფრიალებდა ბერთა სამოსი. წინამძღვარს ხელთ დაფნის ტოტები ეპყრა და ყველას

რიგ-რიგობით გვეოცნიდა შუბლზე: „ქრისტე აღდგა“. გაზაფხულის სურნელი ეძაღებოდა ირგვლივ ყოველივეს. ბერი მეზღე ჩამოცვენილ ფოთლებს ხვეტდა. ჰაერში კვლავ ეკიდა ახლახან გადავლილი ქუხილის ყრუ გამოძახილი. შავ ანაფორაში გახვეულ პატარა ბიჭებს ასე გვეგონა, უზარმაზარი თეთრი ელვა; წამის წინ რომ გახლიჩა ზეცა, მიწაში ჩაიმაღა და ქუხილად ახლა ჩვენს შიშველ ფეხთა ქვეშ, მონასტრის ბაღის ქვეშ მიგორავდა და მიგორავდა გრუხუნით, რათა შემდეგ ზღვასა და კლდეებში ჩაკარგულიყო“.

— „ახლა რას იზამ? — ჰკითხა ქალს მანუელმა.

ისინი იმ მაგიდას შემოსხდომოდნენ, მარსელამ წელან რომ დანა დაჰკრა. სულელ ქალს თითქოს სურდა ამ ერთი დაკვრით ბოლო მოეღო ბოროტებისათვის დედამიწაზე. ჯეზას ცოლი დაშრეტილი, უსიცოცხლო, არაადამიანური თვალებით შესცქეროდა მას“.

გაბრიელ გარსია მარკესმა თავისი მოთხრობა „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ ადამიანურ ურთიერთგაგებას, სიცოცხლესა და სიყვარულს მიუძღვნა. მოთხრობაში აღწერილია საქვეყნოდ წინასწარ გამოცხადებული ერთი მკვლელობის ამბავი. ადამიანებს რომ მეტი ყურადღება და გულისხმიერება გამოეჩინათ, ეს მკვლელობა არ მოხდებოდა. ასეთია მოთხრობის იდეა.

მთარგმნელი ბევრს და დაბეჯითებით მუშაობს სათარგმნ ტექსტზე. თარგმნის, ეძებს შესატყვისებს და ასე მიდის ბოლო ვარიანტამდე. მას ხელეწიფება მშობლიური ენის შესაბამისად „მოდრიკოს“ წინადადება ისე, რომ არ დაირღვეს შინაარსი და დედნისეული ინტონაცია შეინარჩუნოს. მოხდენილად იყენებს ქართული ენის მდიდარ შესაძლებლობებს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ დიდ შრომას ეწევა მთარგმნელი, რათა ოსტატურად გამოიყენოს ქართული ენის მთელი შესაძლებლობა და თან არ დაარღვიოს უცხო ნაწარმოების არქიტექტონიკა, მოვიტანთ ადგილებს „მარტოობის ასი წელიწადიდან“.

სიტყვა-სიტყვითი თარგმანი

„მრავალი წლის მერე მეთოდების რაზმის პირდაპირ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია გაიხსენებს იმ შორეულ საღამოს, მამამისმა რომ წაიყვანა ყინულის გასაცნობად“.

საბოლოო ვარიანტი:

„გაივლის წლები და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, მამამისმა ყინულის სანახავად რომ წაიყვანა პირველად“.

მოვუსმინოთ თავად მთარგმნელს:

„მხატვრული თარგმანი შემოქმედებაა, ოღონდ ფილოლოგიურ შრომასთან შერწყმული (დ. ფანჯიკიძე). ბევრს თარგმნა იოლი, ფულის საკეთებელი საქმე ჰგონია. თარგმნას ვერავის ასწავლი, ისევე როგორც ვერ ასწავლი ლექსის წერას. თარგმანს არ შევლის მარტო გრამატიკის ცოდნა და ლექსიკონი, არ შევლის თუნდაც გრძნობდე მშობლიურ ენას. სამსახურებრივი გამოცდილებიდან გამომდინარე,


ბევრჯერ მქონია ისეთი შემთხვევა, თარგმანი წამიკითხავს, თითქოს გამართულია, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მაინც არ არის ის, რაც უნდა იყოს. არადა, როგორ გინდა აუხსნა მთარგმნელს, შენს თარგმანს „რალაცა“ აკლიაო. ეს „რალაცა“ ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, სულია, შემოქმედებითი მუხტია.

ამ საქმის მცოდნენი, კომპეტენტური მთარგმნელები ამბობენ: თუ გინდა თარგმანი კარგი გამოგივიდეს, ცოტა უნდა გადაუხვიო დედანსო. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს შინაარსის, მწერლისეული სტილის ხელყოფას, მაგრამ მცირეოდენი გადახვევები (სიტყვების, ფრაზების გადაადგილება და სხვ.) დასაშვებია საკუთარ ენასთან მისასადაგებლად ისე, რომ შინაარსი არ შეცვალო“.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რომელშიც მკაფიოდ არის გადმოცემული ის სიძნელე, რაც მხატვრული ნაწარმოების ერთი ენიდან მეორეზე თარგმნას თან სდევს.

ერთ-ერთი თავის პირად წერილში ელზა ახვლედიანი სათარგმნი ნაწარმოების შერჩევის პრინციპს ეხება. იგი წერს: „რაც შეეხება სათარგმნი ნაწარმოების შერჩევას, ის უმეტესად პირადი გემოვნებით ხდება, ზოგჯერ დავალებითაც. სხვათა რჩევითაც, ოღონდ მე უნდა მომეწონოს“.

ქალბატონ ელზა ახვლედიანის თარგმანებში აღწერილი ამბების მსგავსი მოვლენები ყველა ქვეყანაში, და მათ შორის, საქართველოშიც ხდება. ამიტომ შეიყვარა ისინი ქართველმა მკითხველმა.



ი ს ტ ო რ ი ა

ბიჭიკო ღიასაიძე

ერტიანი ქართული ეკლესია - ქვეყნის ბაერტიანახის საფუძველი

IX საუკუნის 40-იან წლებში, ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებით, დასრულდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბიზანტიის პოლიტიკური გავლენა. აფხაზეთის მთავრის ლეონ პირველის მიერ დაწყებული დასავლეთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ერთეულთა გაერთიანების პროცესი ლეონ II დროს ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შექმნით დამთავრდა. მართალია, ამ დროს საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია კახეთისა და ჰერეთის სამთავროები, სამხრეთით — ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფო“, მაგრამ ამათგან ეგრის-აფხაზეთის სამეფო ყველაზე ცენტრალიზებული და პოლიტიკურად ერთიანი იყო. აქ მეფეს ემორჩილებოდა ყველა ერისთავი და ხელისუფლება გაცილებით მტკიცედ გრძნობდა თავს, ვიდრე ტაო-კლარჯეთში, სადაც ყველა ბაგრატიონი მმართველი თავის თავს „მეფის“ ხელისუფლების თანაზიარად თვლიდა და ასეც იწოდებოდნენ წარწერებში (1:31). ეგრის-აფხაზეთში ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების საფუძველი იყო ერთი მხრივ, მმართველი დინასტიის ძლიერი დასაყრდენი ბაზა აფხაზეთის სამთავროს სახით, რომელიც ყველაზე მეტად დაცული აღმოჩნდა გარეშე ძალების მხრივ დარბევა-ნგრევისაგან და მეორეც, განმათავისუფლებელ ბრძოლაში საზოგადოების ყველა ფენისა და ეთნიკური ერთეულის ჩაბმამ ხელი შეუწყო მათ ერთიანობას, რაც კარგად გამოიყენა ხელისუფლებამ. მიუხედავად ზემოთქმულისა, ეგრის-აფხაზეთის სამეფო ხელისუფლებას მთელი IX საუკუნის მანძილზე, როგორც ჩანს, ბრძოლა უხდებოდა, ერთი მხრივ, დიდფეოდალთა თვითნებობის აღაგმვისათვის, მეორე მხრივ, ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, რადგანაც არც ბიზანტია და არც არაბები იოლად არ თმობდნენ პოზიციებს.

ბიზანტია ყოველთვის ცდილობდა ეგრის-აფხაზეთზე თავისი გავლენის გავრცელებას, მაგრამ როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი მიუთითებდა, კეისრის უფლება არასდროს უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვარს არ გადასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში გარეგნის უფლება არა ჰქონია (ი. ჯავახიშვილი). ბიზანტიის ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა ხაზი გაესვა თავისი უპირატესობაზე, რაც კარგად ჩანს მიმართვის იმ ფორმებში, რასაც იყენებდნენ მეზობელი ქვეყნების და, კერძოდ, ეგრის-აფხაზეთის ხელისუფალთა მიმართაც. ისინი ქართველი მეფეებისათვის ვერ „იმეტებდნენ“ მეფის წოდებას და სხვადასხვა ბიზანტიური ტიტულებით მიმართავდნენ, რომლებიც მეფის წოდებასა და ხარისხს არასდროს არ უტოლდებოდნენ. ასევე კარგად ჩანს მათი დამოკიდებულება ქართული სამეფოების მიმართ ე. წ. შეკიდული ბეჭდებით (ბულებით) მიმართვების თუ წერილების შემკობითაც. თუ არაბთა ამირას ოთხი სოლიდის, დიდი არმენიის ერისთავთ ერისთავს და ხაზართა ხაკანს სამი სოლიდის ოქროს ბულით შემკულ

წერილს უგზავნიან, აბაზგიის, იბერიის, ალანიის, რუსეთის და სხვა ხელისუფალთა წერილებს ორ-ორი სოლიდის ოქროს ბულებით ამკობენ (კონსტანტინე პორფიროგენიტი).

ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლება ამ პირობებშიც ცდილობდა სამეფოს გავლენის გაფართოებას და თავის ირგვლივ სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის გაერთიანებას. მე-9 საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქართლის ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქართლი „არაბთა მძლავრობისა“ გამო, გაჩნდა შესაძლებლობა მისი დაუფლებისა. ქართლის ხელში ჩაგდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ის იყო ქვეყნის ბუნებრივი ცენტრი და ამასთან, მასზე გადიოდა ყველა სტრატეგიული მიმართულებით მთავარი გზები. ამიტომ როგორც აკად. დ. მუსხელიშვილი მიუთითებს, სამთავროების მესვეურებს ნათლად ჰქონდათ შეგნებული ქართლის მფლობელობის მნიშვნელობა ჰეგემონობისათვის ბრძოლაში. ეს ცხადად ჩანს იქედან, რომ ეს ბრძოლა სწორედ ქართლის დაუფლებისათვის დაიწყო. მართლაც, მთელი საუკუნენახევარი მიმდინარეობდა ბრძოლა ყველა პოლიტიკური ერთეულისა (კახეთი, ეგრის-აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი, თბილისის საამირო, სომეხი ბაგრატუნები) ქართლის ხელში ჩასაგდებად. ამ ხანგრძლივ ბრძოლაში გამარჯვებული ეგრის-აფხაზეთის მეფე გამოვიდა, რომლის წარმომადგენლები მართავდნენ ქართლს X საუკუნის მეორე ნახევარში. ქვეყნის გაერთიანების ერთ-ერთი მოთავე იოანე მარუშისძეც აფხაზეთა მეფის ერისთავი იყო. ამავე პერიოდში აფხაზეთა მეფე ფლობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ჯავახეთს და აშკარად იგრძნობა მისი დიდი გავლენა ალანებთანაც. სწორედ ეგრის-აფხაზეთის მხარდაჭერითა და ძალისხმევით შევიდა ოსეთში ქრისტიანობა. ყველა ამ ღონისძიების მონაწილე უნდა ყოფილიყო ეგრის-აფხაზეთის ეკლესია. მართალია, წყაროები ან საერთოდ არაფერს გვუბნებიან, ან ძალიან ძუნწად ამ დროის ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაზე, მაგრამ ის, რომ IX საუკუნის შუახანებში, კერძოდ, 856 წელს „ლაზების მეფე“ საჩუქრებს უგზავნის რომის პაპს, ის, რომ ოსები ეგრის-აფხაზეთის მეშვეობით ქრისტიანდებიან და ბიზანტიის კეისარი ეგრის-აფხაზეთის მეფეს სთხოვს, რომ მეტი ყურადღება და შემწეობა აღმოუჩინოს ალანებს, ის, რომ ეგრის-აფხაზეთის საეპისკოპოსოების ცვლა მიდის IX საუკუნის ბოლოდან მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, გვაძლევს საშუალებას ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ.

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანებში შესაბამისი შეხედულებებისა და იდეების ჩამოყალიბებას. თუ თანამედროვე პირობებში ამისათვის ყველა ქვეყანაში შექმნილია შესაბამისი სამსახურები და ტექნიკური საშუალებები, საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე ამ ფუნქციას რელიგია და მისი მსახურნი ასრულებდნენ. შემთხვევითი არ იყო, რომ ჯერ კიდევ ფარნავაზიდან მოყოლებული საგანგებო ყურადღება ეთმობოდა წარმართული კულტების ადგილსა და ფუნქციას საზოგადოებაში. ეს ფუნქცია კიდევ უფრო გაიზარდა ქრისტიანობის დამკვიდრებით. ამიერიდან, ეკლესია გახდა ქვეყნის მოსახლეობის მსოფლმხედველობის, ეროვნული თვითშეგნების ფორმირების უმთავრესი ინსტრუმენტი, ამიტომ იყო, რომ ყველა გონიერი ხელისუფალი ცდილობდა ეკლესია ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინა. ამასთან იყო დაკავშირებული დიდი ვახტანგ გორგასალის ცნობილი საეკლესიო რეფორმა, უპირველესი მეფის — დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული გარდაქმნები ეკლესიაში რუის-ურბნისის

საეკლესიო კრებით. ასეთივე მიზანი ექნებოდათ დასახული ახლადშექმნილი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მესვეურებსაც.

ქართული ეკლესია ოდითგანვე განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა რომის კათოლიკურ ეკლესიას, მის მწყემსმთავარს. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე რჩევისათვის მას მიმართავდნენ ხოლმე. ცნობილია ქართლის კათალიკოსის კირიონის წერილის შესახებ რომის პაპისადმი, რომელშიც კათალიკოსი განმარტებას თხოვდა პაპს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხის გასარკვევად. რაც შეეხება 856 წელს პაპისადმი გაგზავნილ საჩუქრებს: საეკლესიო ანალებში ნათქვამია: „856 წელი, პარაგრაფი II, მაგრამ ამ წელსაც, როგორც ანასტასიუსი გადმოგვცემს, ძველი ჩვეულების მიმდევარმა იმპერატორმა მიქაელმა რომში ახალ პაპთან ელჩობა გაგზავნა საჩუქრებით, ხოლო ლაზების მეფემაც იმ ღვთისმოსავობის გამო, რომელიც მოციქულოებრივ საზღვრამდე აღწევდა, საუცხოო საჩუქრები გაგზავნა წმინდა პეტრეს სახელზე“. წერილში ხსენებული ანასტასიუსი რომის პაპი იყო 911-913 წლებში. ბიზანტიის იმპერატორი მიქაელის სახელით 842-867 წლებში მმართველობდა. ამ წლებში ეგრის-აფხაზეთის მეფე იყო დემეტრე მეორე (825-861 წწ.), ხოლო 856 წლისათვის რომის პაპის ტახტს ფლობდა ბენედიქტე III (855-858 წწ.). ეჭვგარეშეა, რომ დემეტრე მეორეს მიერ საჩუქრების გაგზავნა რომის პაპთან რაღაც მნიშვნელოვან ამბავთან უნდა იყოს დაკავშირებული. IX საუკუნის შუა ხანებისათვის ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა აფხაზთა საკათალიკოსოს ოფიციალურად ცნობა და დამოუკიდებელი ეკლესიის გავლენის გაძლიერება, რადგან მას სერიოზული დახმარების გაწევა შეეძლო ხელისუფლებაზე ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ძალების გაერთიანებისა და საგარეო საკითხების წარმატებით მოგვარებაში, ამიტომ სავარაუდოა, რომ ხელისუფლება იზრუნებდა ქვეყნის დამოუკიდებელი ეკლესიის საერთაშორისოდ ცნობისათვის. ბიზანტიის ხელისუფლება და ეკლესია ამას არ გააკეთებდნენ, მათ ხომ დაკარგული გავლენის აღსადგენად სამხედრო ძალაც კი გამოიყენეს. ამიტომ ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლებას შეიძლებოდა ეს ნაბიჯი გადაედგა და რომის პაპისათვის ეთხოვა ეგრის-აფხაზეთის დამოუკიდებელი ეკლესიის ცნობა, მით უმეტეს, რომ ამ დროს კონსტანტინეპოლის პატრიარქი და რომის პაპი დაპირისპირებული იყვნენ ბულგარეთის ეკლესიის საკითხზე. მართალია, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დომინირებს შეხედულება, რომ ეგრის-აფხაზეთის ეკლესია ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის მიღებისთანავე (IX), შეუერთდა აღმოსავლეთის ეკლესიას და აფხაზეთის კათალიკოსი დაექვემდებარა მცხეთას, მაგრამ თუ პოლიტიკური მოვლენების მსვლელობას დავაკვირდებით, ასე არ უნდა იყოს. ეს გაერთიანება უფრო სავარაუდოა მე-10 საუკუნის შუა ხანებში, ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის განთავისუფლებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, როცა საამისოდ პოლიტიკური ძალებიც მომზადდნენ ამ ნაბიჯის გადასადგმელად და ეკლესიაშიც ჩატარდა საჭირო გარდაქმნები ამ ღიდმნიშვნელოვანი აქტის განსახორციელებლად. IX საუკუნის მეორე ნახევარში ეგრის-აფხაზეთის სამეფო კარი დაკავებულია ქვეყნის შიგა პრობლემებით, სამეფო ტახტისათვის ბრძოლით. დინასტიების ცვლას უმტკივნეულოდ და გარეშე ძალების ჩარევის გარეშე არ ჩაუვლია და, ბუნებრივია, ეკლესია ვერ იქნებოდა ამ წინააღმდეგობათა მხოლოდ მოწმე და დამკვირვებელი, რადგან ორივე ძალა მოისურვებდა მის გამოყენებას. ამასთან, ბიზანტიის

დამოკიდებულებიდან ახლად გათავისუფლებულ ეკლესიაში, საეპისკოპოსოებში იქნებოდნენ პრობიზანტიურად განწყობილი პირები, ვისზე დაყრდნობითაც ბიზანტია სამეფო ხელისუფლების ძლიერებისა და გავლენის შესუსტებას ეცდებოდა. ყველა უკმაყოფილი პირი ხომ ბიზანტიაში პოულობდა თავშესაფარს! გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო შეეცდებოდა თავისი პოზიციების განმტკიცებას და დამოუკიდებელი ეკლესიის სტატუსის შენარჩუნებას. საყოველთაოდ ცნობილია, შუასაუკუნეების პოლიტიკოსთა პოლიტიკური და ზნეობრივი კრედო და მისგან გამომდინარე შედეგები: ძალაუფლებისათვის ძმა ძმას არ ინდობს და მამა შვილს. თითო-ოროლა გამორჩეული პიროვნება თუ გამოჩნდებოდა, რომელიც დათრგუნავდა პიროვნულ ამბიციებს და სახელმწიფოებრივს, ეროვნულს დააყენებდა ყველაზე და ყველაფერზე მაღლა. ამიტომ გულუბრყვილობა იქნებოდა დაგვეჯერა, რომ ეგრის-აფხაზეთის ეკლესია იოლად დათმობდა მოპოვებულ დამოუკიდებლობას მეფეთა ამბიციური მიზნების განხორციელებისათვის. მეფეთა მოქმედებაში იგი ამბიციას დაინახავდა, რადგან მეფეთა უმეტესობა თავისი გავლენის გაძლიერების, სამეფო საზღვრების გაფართოებისათვის იბრძოდა და არა იმიტომ, რომ ითვალისწინებდა ერის, ქვეყნის ინტერესებს და იმას, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მისი გაერთიანება-გაძლიერებით შეიძლებოდა. ამიტომ დღეს საყოველთაოდ გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ X საუკუნის დასაწყისიდან ძველი საეპისკოპოსო კათედრების მოშლა და ახლის დაარსება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ „იშლებოდა ძველი (ბერძნული) და არსდებოდა ახალი, ქართული საეპისკოპოსოები“. ვფიქრობთ, სრულად არ უნდა გამოხატავდეს მაშინდელ ეგრის-აფხაზეთში არსებულ ვითარებას, რადგან ძველი საეპისკოპოსო კათედრებიც ქართული იყო, ოღონდ ახალ პირობებში X საუკუნის მეფეთა პოლიტიკისათვის შეუსაბამო. ახლა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ფართო, შორს გამიზნული მიზნები აქვს, მისი გავლენა ვრცელდება ჯავახეთზე, რომელსაც მისივე მოხელე ზვიად მარტუშიანი მართავს და ჩრდილოეთით — დღევანდელი ჩერქეზეთის ტერიტორიაზე, ზელენჩუკის რაიონის ჩათვლით. ასევე მიაღწია იმას, რომ ქართლშიც მისი მოხელე, ერისთავი ზის. ასეთ პირობებში ეგრის-აფხაზეთის ხელისუფალნი (კონსტანტინე III, გიორგი II, ლეონ III) გეგმავენ რა მთელი საქართველოს თავიანთი სამეფოს ირგვლივ გაერთიანებას, ცდილობენ მცხეთის საკათალიკოსოს მხარდაჭერის მოპოვებას, რადგან მის სამწყსოში შედის მთელი საქართველო ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის გარდა (მიუხედავად იმისა, რომ ტაო-კლარჯეთი, ჰერეთი, კახეთი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდნენ). ასე, რომ, ეგრის-აფხაზეთის პოლიტიკოსები მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ მხარდაჭერის სანაცვლოდ, მზად არიან აფხაზეთის საკათალიკოსო, ეგრის აფხაზეთის ეკლესია მცხეთას დაუქვემდებარონ, რაც ემთხვევა მცხეთის საკათალიკოსოს ინტერესებსაც. ამაზე მიუთითებს სწორედ აკად. ნ. ბერძენიშვილი: „ამიერიდან მცხეთის საკათალიკოსოსა და აფხაზეთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება — შემოერთებისათვის მიიწევდა, აფხაზეთა მეფეები კი იმერეთ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს“.

ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას — აფხაზეთის ეკლესია დაუქვემდებარონ ქართლის ეკლესიას, აფხაზეთის საკათალიკოსო და მასში

შემავალი საეპისკოპოსოები სიხარულით არ შეხვდებოდნენ. ისინი კარგავდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას. ასე, რომ ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის მესვეურთა და საერო ხელისუფალთა ინტერესები დაუპირისპირდა ერთმანეთს. სწორედ ამას უნდა მოჰყოლოდა ძველ საეპისკოპოსოთა მოშლა და ახალი საეპისკოპოსო ცენტრების შექმნა. მემკვიდრე გვამცნობს, რომ აფხაზთა მეფე გიორგი II „იყო მაშენებელი ეკლესიათა... აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტვლთათა“, ხოლო მისმა ძემ ლეონ III „აღაშენა ეკლესია მოქესა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“. ახალი საეპისკოპოსოები შეიქმნა ბაგრატ III დროსაც (ბედიის, ქუთაისის კათედრალური). ამავე ხანაში დაფუძნდა ახალი ათონისა და ნიკორწმინდის ტაძრებიც. პ. ინგოროყვა ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში გატარებულ ამ ცვლილებებს აკავშირებს მის „გაქართველებასთან“ და ჩამოთვლის იმ ღონისძიებებსაც, რომლებიც ამ მიზნით გაატარა ხელისუფლებამ:

ა) გაუქმდა აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო ცხუმში (სოხუმში) და ნიკოფსიის სარქიეპისკოპოსო. ამ ორი ძველი ცენტრის ნაცვლად დაარსდა ახალი ცენტრი — ბიჭვინთის კათედრა, რეზიდენცია აფხაზეთის კათალიკოზთა...

ბ) შეუცვლიათ ძველი ცენტრები ლაზეთის მიტროპოლიაში. როდოპოლისის (ვარდციხის) კათედრა გადაუტანიათ დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქში ქუთათისში; ამავე დროს გაუქმდა ზღვის სანაპირო ზონაში პეტრას (ბათუმის მხარის) კათედრა და ბათუმის მხარე დაუკავშირა ქუთათისს.

გ) აფხაზეთის მეფის გიორგი II დროს გაუქმდა ზღვის სანაპირო ზონაში ფასისის კათედრა და იგი გადაიტანეს შიდა მხარეში, ახალ ცენტრში — ჭყონდიდში.

დ) ასევე მე-10 საუკუნის დასასრულს გაუქმდა ზღვის სანაპირო ზონაში ძილანების (გულაყვის) კათედრა და ისიც გადაიტანეს შიდა მხარეში, ახალ ცენტრში — ბეღიაში.

ამავე დროს დასავლეთ საქართველოს შიდა მხარეებში იქმნება მთელი რიგი ახალი კათედრები: მოქვი და დრანდა („შუა სოფელში“, საკუთრივ აფხაზეთისა და საეგროს სანაპიროზე), ცაგერი (ლეჩხუმში), ნიკოლოზ-წმიდა ე. ი. ნიკორწმინდა (რაჭაში)(პ. ი. ინგოროყვა).

აკად. ნ. ბერძენიშვილიც ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში გატარებულ რეფორმას ბერძნული საეპისკოპოსოების ქართულით შეცვლასთან აკავშირებდა და თვლიდა, რომ ჭყონდიდის საეპისკოპოსოზე გადავიდა ფოთის სამიტროპოლიტოს პატივი, მაგრამ მოგვიანებით იგი საეპისკოპოსოთა ცვლის მიზეზად უფრო ქვეყანაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს მიიჩნევდა. იგი წერდა: „ჩემი წინა ვარაუდი, რომ ფოთის მიტროპოლია ჭყონდიდში იქნა გადატანილი, ან პ. ინგოროყვას ვარაუდი, რომ ქუთაისმა ვარდციხის საეპისკოპოსო შეცვალა — მცდარია. ეს საეპისკოპოსოების ცვლა ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ეს ბერძნული კათედრების მარტივი ცვლილება იყო ქართულით, არამედ ისე, რომ ახალ (ფეოდალურ) ხანაში, ახალი ცენტრები (პოლიტიკური, ეკონომიკური) წარმოისახა. ახალი ადმინისტრაციული დაყოფა გახდა საჭირო და ახალი საეპისკოპოსოებიც ამისდა მიხედვით გაჩნდა, ხოლო ძველი დროწასული და შინაარსს მოკლებული — გაუქმდა“.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ეკლესიაში მომხდარი ცვლილებების საკითხს იხილავს პროფ. გ. მჭედლიძეც და ძირითადად იზიარებს პ. ინგოროყვას

შეხედულებებს.

ჩვენის მხრივ შევნიშნავთ, რომ რამდენადაც წყაროები არ უჩვენებენ რომელი საეკლესიო ცენტრი რომელით შეიცვალა, თავს ვიკავებთ ამ საკითზე ვარაუდების გამოთქმით, მაგრამ საეპისკოპოსოთა ცვლის მიზეზად მიგვაჩნია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები და ხელისუფლების სურვილი, რომ ეკლესია თავისი ნების აღმსრულებლად აქციოს.

ამ ვარაუდის საფუძველს სხვა ზემოთქმულ არგუმენტებთან ერთად გვაძლევს მეზობელ სამეფოში (ტაო-კლარჯეთი) გატარებული ღონისძიებები, სადაც ასევე საკუთარი ინტერესების შესაბამისად აარსებენ ახალ საეპისკოპოსოებს ტაო-კლარჯეთში ბაგრატიონი მეფე-მთავრები, თუმცა ეს მხარე სულაც არ განიცდიდა საეპისკოპოსოთა ნაკლებობას. ექვსგარეშეა, ახლად დაარსებულ საეპისკოპოსოებში ეპისკოპოსებად საერო ხელისუფლების ერთგული პირები დაინიშნებოდნენ, რაც ხელს შეუწყობდა ხელისუფალთა ნების განხორციელებას. ეს მით უფრო საჭირო გახდებოდა იმიტომაც, რომ IX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა საეკლესიო-სამონასტრო მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა და სულ უფრო იზრდებოდა ეკლესია-მონასტრების გავლენა, ხელისუფლება შეეცდებოდა ეკლესია თავის კონტროლს დაექვემდებარებინა. ამას კარნახობდა ბიზანტიის ეკლესიის უზომოდ გამდიდრება და გაძლიერება, რაც იმის საშიშროებას ქმნიდა, რომ იგი შეეცდებოდა რაღაც ფორმით ქართულ ეკლესიაზე თავისი გავლენის გავრცელებას. X საუკუნეში კონსტანტინეპოლის პატრიარქი განაგებდა 57 სამიტროპოლიტოს, 49 საარქიეპისკოპოსოს და 514 საეპისკოპოსოს. იგი ფაქტიურად, კონსტანტინეპოლის ეკლესიის პაპი იყო, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ X საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში განხორციელებული რეფორმა არა ბერძნული საეპისკოპოსოების გაუქმების მიზნით გატარებული ღონისძიება იყო, არამედ ეკლესიის საერო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებისა და ბიზანტიის მხრივ იმ გავლენისაგან განთავისუფლების მიზნით გადადგმული ნაბიჯი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ემჩნეოდა ეგრის-აფხაზეთის ეკლესიას. მართლაც, ძველ საეპისკოპოსოთა გაუქმების მიზეზი მათი ბერძნულენოვნება რომ ყოფილიყო, მაშინ ეს ღონისძიება (მათი გაუქმება) გაცილებით ადრე, კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისთანავე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა იმიტომ, რომ ეს საეპისკოპოსოები ქართული საეპისკოპოსოები იყო და ხელისუფლებისათვის მანამ მისაღები იყვნენ, ვიდრე მისი პოლიტიკისადმი დაპისრებიერებულნი არ აღმოჩნდნენ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შემატყუანები თუნდაც მინიშნებით მაინც იტყოდნენ ამის შესახებ, ან მეფეთა დახასიათებისას წარმოაჩენდნენ ამ დამსახურებას. წყაროში კი ბაგრატ მე-1-ის შესახებ ვკითხულობთ: ...და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა, არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოველითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათვის“ (შემატიანე ქართლისა). ამიტომ, ვფიქრობთ, გიორგი მერჩულეს ცნობილი სიტყვები „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო „კვირიელისონი“ ბერძნულად ითქმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო, შეგვიწყალენ“, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გიორგი მერჩულე გვიდასტურებდეს დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში ბერძნულ ენაზე

ღვთისმსახურებას. ამ სიტყვების ავტორის მიზანია მკითხველს უთხრას, რომ ქართლია (საქართველოა) ის ქვეყანა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სრულდება, ხოლო „კვირიელისონი“ ბერძნულად წარმოითქმის. ამ სიტყვებს ავტორი ამბობს იმ დროს, როცა სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყანა ერთიანდება და როგორც ეკლესიის წარმომადგენელს, სურს თქვას, რომ ამ გაერთიანებული ქვეყნის ერთიანობის მთავარი ნიშანი ერთ ენაზე — ქართულ ენაზე წირვა-ლოცვაა. ჩვენი მხრივ ვიტყვი, რომ იმ დროს მართლაც ეს იყო მთავარი ნიშანი, რადგან სწორედ ეკლესიას ეპყრა ხელთ ეროვნული თვითშეგნებისა და მსოფლმხედველობის ფორმირების ყველა საშუალებები და ბერკეტები (სკოლა, განათლება, მეცნიერება, კულტურა). სწორედ ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერდა, რომ ქართლის გაგებაში სხვა პოლიტიკური ერთეულების შესვლით “ეს ტერმინი მეტისმეტად გადატვირთული აღმოჩნდა (სამშინაარსიანი). საჭირო იყო ახალი ტერმინი, რომელიც ამ ახალ შინაარსს გადმოსცემდა და შეიქმნა ტერმინი — „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“. ეკლესია ავტორიტეტულად შეეშველა ქართლის ეთნიკურ-პოლიტიკური გავრცელების პროცესის შედეგად შექმნილი ვითარების დასაფუძვლებაში: მან ქართლად გამოაცხადა ყველა ის ქვეყანა, სადაც ჟამი ქართულად შეიწირებოდა“.

ასე რომ, X საუკუნის შუა ხანებში ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში რეფორმის გატარების შემდეგ, როცა არაერთი საეპისკოპოსო კათედრა გაუქმდა (ფოთის, პეტრას, ვარდციხის, ძილენევის (გულაყვა) და გაჩნდა ახალი კათედრები (ჭყონდიდის, მოქვის, ბედიის, დრანდის, ნიკორწმინდის...), შეიქმნა იმის პირობები, რომ ეგრის-აფხაზეთის ეკლესია დაქვემდებარებოდა მცხეთის ტახტს. ამიერიდან, ერთიან ქართულ ეკლესიას სერიოზული როლი უნდა ეთამაშა ქვეყნის გამაერთიანებელ პროცესში, რომლის საფუძვლები საუკუნეების განმავლობაში მზადდებოდა. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოხდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველურ და არაქართველურ ტომთა ერთ პოლიტიკურ და კულტურულ ერთეულად, ერთი ქვეყნის — საქართველოს მოქალაქეებად ჩამოყალიბება. ამ ერთიანობის საფუძველს აკად. რ. გორდენიანის თქმით, ქმნის ეროვნული თვითშეგნება, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე გეოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ზოგჯერ თავად ენობრივი ერთიანობის ფაქტორიც კი. მისი აზრით, „ეროვნული თვითშეგნება ეფუძნება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საყრდენს, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ამა თუ იმ ხალხში არსებული გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა თუ რწმენა. ვიდრე ხალხი, რაოდენ დანაწევრებული და ფართოდ განფენილიც უნდა იყოს იგი დედამიწაზე, ინახავს ამ რწმენას, შეიძლება ითქვას, რომ მას თანდაყოლილი ორიენტაცია აქვს ეთნიკურ ერთიანობაზე“.

ჩვენი აზრით, ამ გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა, რწმენა, საუკუნეების, შეიძლება ითქვას, ათასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა და ამ რთულ და ხანგრძლივ პროცესში თუ გადამწყვეტი არაა, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა რელიგიამ, როგორც ხალხის სულიერი, კულტურული და იდეოლოგიური ცხოვრების მესაქემი. ჯერ ე. წ. ქართულმა წარმართობამ, ხოლო შემდეგ ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ტომთა გაერთიანება-შერწყმის პოლიტიკური და კულტურული საფუძვლების მომზადება-განვითარებას. ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო ქვეყნის გაერთიანებისათვის, რადგან ეროვნული ერთიანობის შეგნების

გარეშე ძნელი ან შეუძლებელი იქნებოდა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ერთობის მიღწევა.

საქართველოს გაერთიანება ქრონოლოგიურად ემთხვევა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მიმდინარე გამაერთიანებელ ტენდენციებსა და პირობებს, მაგრამ მას თავისი სპეციფიკურიც გააჩნდა (ქვეყნის ცენტრალიზაციისა და ფეოდალური მონარქიის შექმნა განვითარებულ შუა საუკუნეებში, ამიტომ მის დასაყრდენს ფეოდალური სისტემა და მისი ძალები წარმოადგენდნენ; უმნიშვნელო იყო ამ პროცესში ქალაქებისა და შესაბამისად, მოქალაქეების როლი; გაერთიანების ინიციატივა პერიფერიებმა ჩაიგდეს ხელთ და არა ტრადიციულმა ქვეყნის ცენტრმა), რაც ეკლესიის, როგორც ერის სულიერი გაერთიანების მესაჭის ფუნქციას ზრდიდა, და რამდენადაც ქვეყნის საეკლესიო გაერთიანება უსწრებდა პოლიტიკურ გაერთიანებას, მან უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ქვეყნის გაერთიანებაში. სწორედ ქართლისა და ეგრის-აფხაზეთის ეკლესიათა გაერთიანების მომდევნო წლებში ისევ ამ სამეფოს მიერ ქართლში დასმული ერისთავი იოანე მარუშისძე გახდა ინიციატორი იმ დიდი ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებისა, რაც ქვეყნის გაერთიანებასა და გაერთიანებული საქართველოს მეფის კანდიდატურის შერჩევაში გამოიხატა.

ბაგრატ III კანდიდატურის წამოყენებით, რომელსაც დედის ხაზით „აფხაზთა მეფობა“ მოსდგამდა, მამის ხაზით — „ქართველთა მეფობა“, ხოლო დავით კურაპალატის შვილობილობით — დავითის მემკვიდრეობა, რეალური გახდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, რომლის დაგვირგვინება უფალმა დიდ დავით აღმაშენებელს არგუნა.



სიმონ ბოზიტიკი

წერილობითი წყაროები ებრაელთა საქართველოში მოსვლისა და დამკვიდრების შესახებ

ძველი ქართული წყაროები საქართველოში ებრაელთა მოსვლისა და დამკვიდრების შესახებ რამდენიმე მწირ და ამასთანავე ერთფეროვან ცნობებს გვაწვდიან. „მოქცევაი ქართლისაჲს“ ცნობით, „მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაი ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს“. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, კი „ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა“. ვახუშტი ბატონიშვილი ებრაელთა საქართველოში მოსვლის თარიღსაც გვაწვდის — „ნაბუქოდონოსორ სპარსთა მეფის დროს მოვიდნენ ურიანი ძტიგ, (3313) ქართ. ს ლ (230) წელს“.

რამ გამოიწვია ებრაელთა ლტოლვა ქართლისაკენ და რამდენად შეეფერება სინამდვილეს მათი საქართველოში დამკვიდრება ნაბუქოდონოსორის ხანით დავათარილოთ?

წყაროებიდან ცნობილია, რომ ბაბილონეთის მეფემ ნაბუქოდონოსორმა იუდეას დიდი ხარკი დააკისრა. ებრაელთა მეფემ იეჰოაკიმმა სამი წლის შემდეგ უარი განაცხადა ხარკის გადახდაზე. მისი მემკვიდრის იუდეაში მმართველობის დროს, რომელმაც ასევე ანტიბაბილონური პოლიტიკა გააგრძელა, ნაბუქოდონოსორი ძვ. წ. 597 წელს იუდეაში შეიჭრა. მან აიღო და განადგურა რამდენიმე ქალაქი; მეფე, დიდებულები რამდენიმე ათას მემოართან ერთად იერუსალიმიდან ტყვედ წაიყვანა.

იუდეის ახალმა მეფემ ციდიკიაჰუმაც პირობა დაარღვია, რომ ყოფილიყო ნაბუქოდონოსორის ერთგული, რის გამოც ბაბილონეთის აურაცხელი ლაშქარი ებრაელთა დასასჯელად გაემგზავრა. მტერმა ძვ. წ. 588 წელს იერუსალიმს ალყა შემოარტყა, მაგრამ, როცა ნაბუქოდონოსორმა გაიგო, რომ ალყაშემორტყმულთა დასახმარებლად ფარაონი მოემართებოდა, ალყა მოხსნა და ეგვიპტის არმიის წინააღმდეგ გაილაშქრა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალდეველებმა იერუსალიმს ისევ შემოარტყეს ალყა, რაც რვა თვეს გაგრძელდა. ქალაქში შიმშილი და ებიდემია მიძინარებდა, ქუჩები გაივსო დახოცილთა გვამებით. იუდეველთა უკანასკნელ მეფეს ციხეში ამოხდეს სული. (4. ა. ბათოშვილი. ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბ. 1991 გვ. 98).

ძვ. წ. 586 წელს ქალდეველებმა გაანგრიეს იერუსალიმის კედელი, შეიჭრნენ ქალაქში და უღმობლად ხოცავდნენ ყველას, ძარცვავდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს. ქალაქმა არსებობა შეწყვიტა. ათიათასობით ტყვე ერთმანეთზე თოკებით გადააბეს და შორეულ ბაბილონში გარეკეს. ძვ. წ. 582 წელს იუდეამ კიდევ ერთხელ განიცადა ნაბუქოდონოსორის სარდლის ნაბუზარდანის მეთაურობით აოხრება-აწიოკება. მალე, ძვ. წ. 540 წელს, აქემენიდმა კიროსმა დაამარცხა ქალდეველები და გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ლტოლვილ ებრაელებს სამშობლოში დაბრუნების

ნება დართო. (იქვე, გვ. 98-105).

ამრიგად, ქართული წყაროების ცნობა ებრაელთა საქართველოში შემოსავალსა და დამკვიდრებაზე ნაბუქოდონოსორის ხანაში, სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს და მათი მცხეთაში მოსვლა ძვ. წ. 586 წლით უნდა დათარიღდეს, რამდენადაც ებრაელმა ტომებმა ამ დროს განიცადეს ყველაზე მძიმე მარცხი, თუმცა არაა გამორიცხული, რომ საქართველოში ლტოლვილ ებრაელთა ნაკადი 597 წელსაც შემოსულიყო. აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ მ. ბროსეს აზრით, ებრაელები, (მ. ბროსე. საქართველოს ისტორია, ბათ. 1998, გვ. 16-17) თითქმის საქართველოში მოსულან 607 წელს და თანაც შავი ზღვის სანაპიროზე. ასეთი შეხედულება, ე.ი. ებრაელთა საქართველოში მოსვლის დრო და ადგილი ჭერჭერობით არ დასტურდება.

ზოგიერთი ფიქრობდა, რომ საქართველოში ებრაელთა შემოსვლასა და დამკვიდრებას ადგილი ჰქონდა ძვ. წ. VI საუკუნეზე უწინარეს. 1864 წლის „კავკასიურ კალენდარში“ ვკითხულობთ: „დატყვევებულ ებრაელთა ერთი ჯგუფი დასახლებული იქნა აწინდელ გურიისა და ლაზისტანში ძვ. წ. 720 წელს“. დ. ბუზუკაშვილი ამ ცნობაზე და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის შეხედულებაზე დაყრდნობით, რომ ებრაელები საქართველოში პირველად მცხეთაში კი არა, შავიზღვისპირეთის სამხრეთით-მდინარე ჭოროხის მიდამოებში დასახლდნენო, მიუთითებს, რომ ქართველ სწავლულთა შორის ებრაელების დასახლების ადგილის „ქართლის ცხოვრებისეული“ ვერსიისაგან განსხვავებული მოსაზრებებიც გამოითქმებოდა. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 29 აპრილი). როგორც ჩანს, კირიონის ეს მოსაზრება საისტორიო წყაროთა არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზეა შექმნილი. იგი იმომწებს ევსები კესარიელს (ახ. წ. 280-340 წწ). და წერს, რომ აბიდეზისის ცნობით, რაც დაცულია IV ს. ავტორთან ევსები კესარიელთან, ნაბუქოდონოსორს ტყვე ებრაელები ევქსინის პონტოს მარცხენა მხარეში დაუსახლებია.

სინამდვილეში რომაელ ავტორთან ქალდეელთა მეფის მიერ ლიბიისა და იბერიის (ესპანეთის — ს.გ.) დაპყრობაზეა საუბარი და იქიდან მოსახლეობის ნაწილის პონტოს მარცხენა მხარეში დასახლებაზე. მასთან, არსად ტყვე ებრაელების კოლხეთში გადმოსახლებაზე საუბარი არ არის. საერთოდ კი ევსების აღნიშნული აქვს, რომ ნაბუქოდონოსორმა სხვა მეზობელ მხარებთან ერთად დაიმორჩილა „მთელი იუდეა“. (ВДИ, 1948, №3, გვ. 222).

მაშასადამე, ებრაელთა დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში შემოსვლა და დამკვიდრება რაიმე რეალურ მონაცემზე არ არის დაფუძნებული. თანაც ძვ. წ. 720 წ. მათი საქართველოში მოსვლის შესახებ ცნობა არც ქართულ წყაროებს დაუცავთ.

პ. იოსელიანი 1843 წელს, თავის წიგნში „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“, აღნიშნავდა: ქართველი და სომეხი ისტორიკოსების ცნობით, ებრაელები საქართველოში დასახლებულ იქნენ ნაბუქოდონოსორზე უწინარეს“. ისტორიკოსი ამ დასკვნებს მოვსეს ხორენაცზე (ახ. წ. V ს.) დაყრდნობით აკეთებს.

მოვსეს ხორენაცს პირველ წიგნში აღნიშნული აქვს, რომ სენექერიმი „ასურეთის მეფე გახდა ნაბუქოდონოსორის მეფობამდე ოთხმოცი, ცოტათი მეტი ან ნაკლები წლით ადრე. ებრაელთა წინამძღვრის, ეზეკიას დროს მან იერუსალიმი გარემოიცვა“. სხვა რაიმე ცნობა სომეხ ისტორიკოსს ებრაელთა საქართველოში მოსვლის შესახებ ნაბუქოდონოსორის უწინარეს, არ მოეპოვება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასთან

საუბარია ურიასტანის დაპყრობაზე პომპეუსის, ტიგრან II, ვესპასიანეს, ტიტეს, ტრაიანეს, ადრიანესა და შაბურ II მიერ.

ნაბუქოდონოსორის ეპოქაზე აღრეული ცნობა ებრაელთა საქართველოში მოსვლის შესახებ მოეპოვება ქართველ ისტორიკოსს სუმბატ დავითისძეს (XI ს.). მისი ცნობით, სოლომონის (ძვ. წ. X ს.) შვიდი ძმა მოსულა ეკლეს (აკილისენას). აქედან ოთხი ძმა ქართლში დასახლებულა. მათი შთამომავალია ქართლის ერისმთავარი გუარამი, რომელსაც ბერძენთა მეფემ „კუროპალატობა“ უბოძა. არ ვიცით ეს მონაცემები რაზეა დამყარებული, მაგრამ მსგავსი ცნობა კონსტანტინე პორფიროგენეტსაც გააჩნია. მისი ცნობით, კუროპალატის იბერები... ურიას ცოლის შთამომავალნი არიან, რომელიც დავითმა, წინასწარმეტყველმა და მეფემ, შეაცდინა“. სუმბატ დავითისძის და კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად საქართველოს სამეფო ოჯახი — ბაგრატიონები — ებრაული წარმომავლობისანი ყოფილან.

ებრაელთა საქართველოში მოსვლა, ქართული წყაროების მიხედვით, ძვ. წ. X საუკუნეზე აღრეც ივარაუდება. დ. ბუზუკაშვილმა ყურადღება მიაქცია „ქართლის ცხოვრების“ ერთ ფრაგმენტს, სადაც ნათქვამია: „შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა, მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსე განვლო ზღვა ისრაელთა“... და აღნიშნა, რომ ლეონტი მროველის ამ ცნობის თანახმად აღნიშნული პერიოდისათვის საქართველოს უკვე აქვს ურთიერთობა ებრაელებთან, რაკილა „მოვიდა ჰამბავი“. ამრიგად, შენიშნავს მკვლევარი: ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა დასაბამად მოსეს ეპოქა (ე.ი. ძვ. წ. XIII ს.) უნდა ვივარაუდოთ.

ებრაელთა ერთ-ერთი ტალღის ქართლში მოსვლისა და დამკვიდრების შესახებ ცნობას გვაწვდიან ძველი წყაროები ადერკი მეფის შვილების ქარძამისა და ბარტამის მეფობის შესახებ თხრობისას. ამ ეპიზოდს ლეონტი მროველი ასე გადმოგვცემს: „ამათსა მეფობასა უესპასიანოს ჰრომთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ჴრიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე ურიათა თანა...“ „მოქცევაი ქართლისაი“ ამ ამბავს შემდეგი რედაქციით მოგვითხრობს: „და მეფობდა ქარძამ არმაზს და მცხეთას — ბრატმან. და ამათთა ჟამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“.

ჩვენი აზრით, „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ცნობა „მოქცევაი ქართლისაიდან“ თუ მისი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს. „მოქცევაი ქართლისაი“ ქრონიკაში, როგორც ვხედავთ, მითითებული არ არის რომის იმპერატორი, რომლის დროსაც მოხდა ეს ფაქტი. „ქართლის ცხოვრების“ ამ მონაკვეთის შემდგენელმა ამ ორი ქართველი მეფის მოღვაწეობის ორიენტირად სწორად ეს ცნობა გამოიყენა და ჩათვალა, რომ მათი მოღვაწეობის საგულგებელი დროის მახლობლად ებრაელები საქართველოში იმპერატორ ვესპასიანეს (69-79 წწ.) დროს უნდა მოსულიყვნენ. როგორც ჩანს, „მეფეთა ცხოვრების“ ამ მონაკვეთის შემდგენელს ჰქონდა იმპერატორ ვესპასიანეს დროს იერუსალიმისა და მთელი იუდეის საშინლად აოხრების ცნობა. ჩვენი აზრით, „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკის შემდგენელი ებრაელთა საქართველოში ლტოლვის სულ სხვა დროს გულისხმობდა. სინამდვილეში, ახ. წ. I საუკუნის 60-70-იან წლებში ქართლში ასეთი სახელების მატარებელი მეფენი არც მოღვაწეობდნენ. რომაელ ავტორთა (ტაციტუსი, დიონ კასიუსი) და ეპიგრაფიკულ ძეგლთა (75 წ. ვესპასიანეს წარწერა, არმაზის წარწერა, რომის ეპიტაფია) მონაცემებით ირკვევა, რომ ქართლში აღნიშნულ პერიოდში მეფობდნენ ფარსმანი (დაახლოებით 35-66 წწ) და

მითრიდატე (დაახლ. 66-120 წწ). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართამი და ბარტამი ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში მეფობდნენ. მათი მოღვაწეობა ემთხვევა ქართლის სამეფოს ორად გაყოფისა და მის სამხრეთში ქართველთა (გოგარენე-გუგარქი) საპიტიხშოს ჩამოყალიბების ხანას. მაშასადამე, „მოქცევაი ქართლისაის“ ზემომოტანილ ცნობაში მისი ავტორი ძვ. წ. II საუკუნის პირველი ნახევრის მოვლენას გულისხმობდა. ჩვენ გაგვაჩნია ასეთი შეხედულების საანდობაში დარწმუნების რამდენიმე არგუმენტი, მათ შორის ის გარემოება, რომ IV საუკუნის პირველ ნახევარში მცხეთაში მოღვაწე ებრაელი მწერალი, მღვდელი აბითარი ასტირონ მთავარს ახ. წ. 334 წელს ეუბნება: „მამანი თქუენნი აქა მოვიდეს: ფ გ წელს (503).“

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ ანტიოქე IV (ძვ. წ. 175-163 წწ) ებრაელებს ჩამოართვა მოქალაქეობრივი (პოლიტიკური) უფლებები და შეავიწროვა ისინი, გასცა ბრძანება, რომ მხოლოდ ბერძნულად ელაპარაკათ, წაბილწეს და შემდეგ დაწვეს წმინდა წიგნები და დაანგრეს ტაძრები, ყველა ურჩი სიკვდილით დასაჯეს, ზოცავდნენ დედებს და მათ ბავშვებს, რომლებიც მოსეს რჯულის წესით იყვნენ მონათლული. ეს მოვლენები ძვ. წ. 168 წლითაა დათარიღებული. აბითარ მღვდელის ცნობითაც, ებრაელების ერთი ნაკადი მცხეთაში (503-334) ძვ. წ. 169 წელს მოსულა. ამ მონაცემებს შორის ერთწლიანი სხვაობის მიზეზი ჯერჯერობით აუხსნელი რჩება. მაგრამ უდავოა, რომ ებრაელთა ერთ-ერთი ნაკადის საქართველოში შემოსვლა და დამკვიდრება ძვ. წ. 169-168 წლებშიც უნდა მომხდარიყო.

ა. ლორთქიფანიძემ ქართველი და ებრაელი ხალხების 26-საუკუნოვან თანაცხოვრებასა და მეგობრობას მიუძღვნა სტატია „ქართველები და ებრაელები“ (გაზ. „აჭარა“, 1998, 17 სექტემბერი), რომელშიც ბევრი შეცდომაა დაშვებული. ამ ავტორის წარმოდგენით: 1. მტრებისაგან აყრილი ებრაელები თავდაპირველად სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უნდა შემოხიზულიყვნენ, აქედან კი ისინი საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელდნენ; 2. „ჰეროდოტეს კოლხები ეგვიპტელები არ არიან და არც შეიძლება ყოფილიყვნენ. ისინი, ცხადია, ქართველი ტომების გარდა, მხოლოდ ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ და ჩემი აზრით, არიან კიდევ“. 3. „საქართველოში უძველესი დროიდან ყველაზე პირველად მხოლოდ ებრაელები და ბერძნები უნდა მოსულიყვნენ. რაც შეეხება წინადაცვეთას, ებრაელები ამ წესს უძველესი დროიდან მისდევდნენ და მაკრონებს ანუ ლაზებს ეს წესი სწორედ მათგან უნდა გადაეღოთ“. 4. „არაქართველი კოლხები ანუ ებრაელები თავდაპირველად უნდა შემოხიზულიყვნენ საქართველოს სამხრეთში, მდ. მტკვრისა და ჭოროხის სათავეების აუზებში“... 5. „რაც შეეხება ჭოროხის აუზის კოლხებსა და მდ. მტკვრის სათავეში მცხოვრებ კოლხებს, ისინიც რა თქმა უნდა, ქართველები იყვნენ, მაგრამ ძველი წელთაღრიცხვის პირველ ნახევარში ქართველებთან ერთად აქ ებრაელებიც მოსახლეობდნენ, როცა ისინი აპყარეს შემოსულმა მტრებმა მათი მიწა-წყლიდან და ლტოლვილებად აქციეს“. 6. ქართული წყაროების მისრეთი უფრო ებრაელს ნიშნავდა ვიდრე ეგვიპტელს. ისრაელი და მისრეთი „მდინარეს“, „წყალს“ უკავშირებდა იმ არგუმენტით, რომ მდ. იორდანე ისრაელის დედა მდინარე ყოფილა. ებრაელი და ურია ნიშნავს „მდინარისპირელს“ თუ „ზღვისპირელს“. „ბრ“ ძირი ხეობას და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ა. ლორთქიფანიძის სტატიაში ბევრი ისტორიული ფაქტი

არეულია, ქრონოლოგიურად შეუსაბამო, ბუნდოვანი და გაუგებარი წინადადებებით. მჟღავნდება წერილობითი წყაროებისადმი გულგრილი დამოკიდებულება და ისტორიული გეოგრაფიის რიგი საკითხების დამახინჯება და არასწორად წარმოდგენა. სტატიაში იმდენი აბლაუბდაა, რომ მისი განხილვა სხვა დროისათვის გადავდეთ.

ამრიგად, ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის ფესვები მართლაც მოითვლის 26 საუკუნეს და შესაძლებელია ეს ურთიერთობა უფრო ადრეულ ეპოქაშიც იყოს საძებარი. ძველი ქართული წყაროების მონაცემებიდან ირკვევა, რომ ებრაელთა ერთერთი ნაკადი საქართველოში (მცხეთაში) ძვ. წ. 169-160 წლებშიც უნდა შემოხიზნულიყო.



ნარილები

მურმან ცაცხლაძე

საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენსიალი და TRACECA-ს საერთაშორისო და რეგიონალური მნიშვნელობა

TRACECA (Transport europe-caucasus-asia) — სიტყვა, რომელიც ბოლო სამი წელია მყარად დამკვიდრდა ქართულ ლექსიკაში, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის — ინგლისურენოვანი შემოკლებითი სახელია. TRACECA-ს იდეასა და პროექტს, რომლის ხორცშესხმაზეც დიდადაა დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მომავალი, სათავე დაედო 1993 წლის მაისში, ბრიუსელში, ევროგაერთიანების კონფერენციაზე, სადაც ევროგაერთიანების ქვეყნებს გარდა მონაწილეობდნენ შუა აზიისა და ამიერკავკასიის ვაჭრობისა და ტრანსპორტის მინისტრები.

კონფერენციაზე შეთანხმდნენ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროგრამის შემუშავებაზე, რომელიც განავითარებდა სატრანსპორტო დერეფანს დასავლეთ ევროპიდან შუა აზიამდე, აღმოსავლეთ ევროპის, შავი ზღვის, ამიერკავკასიისა და კასპიის ზღვის გავლით.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა. ამის ნათელი დადასტურებაა 1998 წლის 8 სექტემბერს ბაქოში გამართული საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) პროექტის განხორციელებას მიეძღვნა, და რომელშიც 32 ქვეყნისა და 13 საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგაცია მონაწილეობდა.

პროექტისადმი სულ უფრო მზარდ ინტერესებზე მოწმობს ევროკავშირის სტრატეგიული დოკუმენტი „2000 წლის წესრიგი“, რომელშიც სრულად არის ჩამოთვლილი და ჩამოყალიბებული პროექტისადმი ამ დიდი საერთაშორისო ორგანიზაციის პოზიცია, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ დოკუმენტში საქართველო, მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, განიხილება, როგორც „აბრეშუმის გზის“ პროექტში განსაკუთრებული როლის მქონე ქვეყანა. TRACECA-ს პროექტში სრულფასოვნად ჩართვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთი, რომელმაც ევროკავშირში უკვე წარადგინა ოფიციალური განაცხადი პროექტში გაწევრიანების თაობაზე.

ბაქოს სამიტის მონაწილეებმა მიიღეს სამიტის დეკლარაცია და ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმება „TRACECA“-ს განვითარების შესახებ“. მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ დამატებით მიღებულ იქნა 4 ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც საზღვაო, საბაჟო, ავტოსატრანსპორტო და სარკინიგზო ტრანსპორტთან დაკავშირებულ საკითხებს და აუცილებელ კონვენციებთან შეერთებას ითვალისწინებს.

თავისი ქვეყნის სახელით პროექტისადმი აქტიური მხარდაჭერა განსაკუთრებული ხაზგასმით დაადასტურეს სამიტზე აშშ-სა და იაპონიის დელეგაციებმა. კერძოდ, აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ რობერტ ჯიმ განაცხადა, რომ აშშ რჩება ამ პროექტის განუხრელ მონაწილედ და კასპიისა და კავკასიის რეგიონების ქვეყნების ხელშეწყობად. ხოლო იაპონიის მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა ცაცუსიტო არიმამ TRACECA-ს მონაწილეებს აღუთქვა, რომ იაპონიის მთავრობა მზად არის პროექტის ფინანსური მხარდაჭერისათვის.

ტვირთები, რომლებიც TRACECA-ს საქართველოს მონაკვეთზე გაივლის, წარმოიქმნება, ერთის მხრივ, დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში, მეორეს მხრივ, ახლო აღმოსავლეთში, ირანში, ჩინეთსა და შუა აზიის რესპუბლიკებში. ისინი შეადგენენ ორ სამკუთხედს: ილიჩოვსკი-კონსტანცა, ბურგასი, ვარნა-ფოთი და აშხაბადი-ბაქო-თეირანი. ამ სამკუთხედების ძირითად წვეროებზე მდებარე ბაქო-ფოთის სარკინიგზო მაგისტრალზე გაივლის ტვირთაკადების ძირითადი ნაწილი. 1996 წელს ამ შეთანხმებას უკრაინამ და მონღოლეთმა მოაწერეს ხელი. პრაქტიკულად საუბარია უძველესი „აბრეშუმის დიდი გზის“ მოდერნიზებულ ვარიანტზე, ასევე გრძელდება ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის ერთობლივ ტრანსკავკასიულ საჰაერო-სატრანსპორტო გზასთან დაკავშირებული ურთიერთთანამშრომლობის საკითხის შესწავლა.

TRACECA-ს პროგრამის მიზანია, გაიდოს დამატებითი სატრანსპორტო მაგისტრალი, როგორც რეგიონს შიდა, ასევე მოცემულ და ევროპის ქვეყნებს შორის კავშირის დასამყარებლად. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობას. საამისოდ პროგრამა თავისებურ კატალიტაზატორად უნდა იქცეს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და კერძო პირებისათვის რეგიონში ინვესტიციების მოსაზიდად.

TRACECA-ს პროექტს უშუალოდ ახორციელებს ორგანიზაცია TACIS (TACIS-Technicaek Assistance to Commonwealth of Independent States). რაც ნიშნავს: „ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებისათვის“. TACIS სწავლობს სიტუაციას, იწვევს ექსპერტებს, ახდენს დაფინანსების მოზიდვას და ა. შ. TRACECA-ს პროგრამის საწყის სტადიაზე TACIS-ის ფინანსური მონაწილეობის 90 პროცენტი შესწავლას ეთმობოდა, 10 პროცენტი პირდაპირ ინვესტირებას. ამჟამად პროპორცია შეიცვალა: 30 პროცენტი — შესწავლას, 70 პროცენტი — ინვესტირებას.

რაც შეეხება მთავარ ინვესტორებს, თავდაპირველად პროგრამას აფინანსებდა რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (EBRD) და მსოფლიო ბანკი. მოგვიანებით, მათ შეუერთდა ისლამური განვითარების ბანკი და განვითარების აზიური ბანკი. ამ უკანასკნელში იაპონიაც მონაწილეობს. ეს ბანკები ახორციელებენ ინსტიტუციონალურ ინვესტიციებს. გარდა ამისა, შეიძლება ევროკავშირის რომელიმე წევრმა ქვეყანამ დაფინანსება პირადი ინიციატივითაც იკისროს.

TACIS-მა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე მოახდინა გარკვეულ პროექტებზე ინვესტირება, კერძოდ, 1995 წლის ოქტომბერში, რკინიგზის ხაშური-ხესტაფონის 25 კმ-იან მონაკვეთზე დაამონტაჟეს ოპტიკური კაბელი, საკონსტაქტო კაბელი, ელექტროგაყვანილობა და სხვა აღჭურვილობა. იგივე გაკეთდა ბათუმი-სამტრედია და სამტრედია-ფოთის მაგისტრალზეც. მთლიანობაში საინვესტიციო თანხამ 5

მილიონი ეკიუ შეადგინა. გარდა ამისა, 2,5 მლნ. ეკიუთი დაფინანსდა წითელი ხიდის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და პარალელური ხიდის აშენება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს კავკასიის ორ დომინანტ სახელმწიფოს — საქართველოსა და აზერბაიჯანს და რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 1998 წლის ოქტომბრის დასაწყისში ამ ქვეყნების პრეზიდენტების მონაწილეობით.

1995 წელს შეიქმნა სამენეჯმენტო გუნდი, რომელმაც მოამზადა 16 პროექტი (მინიმუმ ორწლიანი საპროექტო ვადით), რაც ძირითადად გულისხმობს შესწავლას და კვალიფიკაციის ამაღლებას. დღეისათვის დამთავრებულია შვიდი პროექტი. მათ შორისაა რკინიგზაზე ტვირთების გადაზიდვის, სამონიტორინგო სისტემის, საგზაო ტრანსპორტის მომსახურების, დასაქმებული ხალხის კვალიფიკაციის ამაღლების, TRACECA-ს მასშტაბებში ვაჭრობის ხელშეწყობის და სხვ. განხორციელების სტადიაშია ტრანსპორტირების საკანონმდებლო ასპექტებისა და საზღვაო ტრანსპორტის პერსონალის სწავლების პროექტი.

ზემოთ აღნიშნული ნათლად ცხადყოფს, რომ TRACECA-ს პროექტი ქალაქში და კეთილი სურვილის დონეზე არ დარჩება.

TRACECA-ს ფორმირებას პოლიტიკურად და ეკონომიკურად აქვს უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ამ რეგიონის ყველა ქვეყნისათვის.

ევროპისა და მსოფლიოს ბაზრებთან ახალი ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების შეერთებით ქვეყნებს ექმნებათ დამატებითი პირობა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დასაცავად; ექმნება პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის ისეთი გარემოს ჩამოყალიბების საიმედო პირობები, რომლებშიც საგრძნობლად იზრდება ეთნოკონფლიქტების დარეგულირებისა და მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შანსები. ენერგომატარებლებისა და სხვა ტვირთების სატრანზიტო ფუნქციის შესრულებას აუცილებლად მოჰყვება ეკონომიკის მრავალი სექტორის გამოცოცხლება, ახალი სამუშაო ადგილებისა და ადექვატური ინფრასტრუქტურების შექმნა; ქვეყნის ბიუჯეტის შევსების სტაბილური და მძლავრი დამატებითი წყაროს წარმოქმნა, გზების კეთილმოწყობა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა; ტურიზმის განვითარება; ქვეყნის სატრანსპორტო სისტემაში მართვისა და რეგულირების თანამედროვე ფორმათა ამოქმედება; კონკურენციის ახალ გარემოში სატრანსპორტო მომსახურების თვისობრივად ახალი ნორმების დამკვიდრება.

TRACECA-ს პროექტის რეალიზაციით საქართველო რეგულარულად და რეალურად ერთვება მსოფლიოს გლობალურ ინტერესთა სფეროში. TRACECA-ს ამოქმედებით საქართველო ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორი ხდება. შესაბამისად, ტრანსკავკასიური სატრანსპორტო დერეფნების ფუნქციონირების უზრუნველყოფაში შეუძლებელია, რომ თავისი მიზნებით ერთმანეთს გაემიჯნოს პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები.

TRACECA-ს განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა ტრანსპორტის მინისტრთა თბილისის (1996 წ.) კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელება, რის მიხედვითაც TRACECA-ს წარმატებისათვის მნიშვნელოვანია:

— TRACECA-ს კავკასიური ნაწილის ჩართვა შავი ზღვის პანევროპულ სატრანსპორტო არეალში (RETRA), ან მისთვის (ან TRACECA-ს კავკასიური ნაწილისათვის) არსებული 10 პანევროპული დერეფნის მსგავსი სტატუსის მინიჭება;

- პანევროპულ დერეფნებთან დაკავშირება;
- ხმელთაშუა ზღვის აუზის სატრანსპორტო სისტემასთან დაკავშირება;
- მარშრუტის განვითარება აღმოსავლეთის მიმართულებით და აზიის სატრანსპორტო დერეფნებთან დაკავშირება;

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობისა და TRACECA-ს ქვეყნების სატრანსპორტო კონცეფციის მიერ მოწონებული იდეების განხორციელება, TRACECA-ს მართვის კომიტეტის ჩამოყალიბება და საგადამხდელო-საკრედიტო მექანიზმის შექმნა — ხელს შეუწყობს ამ მიმართულების განვითარებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება ამ ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრთა კონცეფციების ჩამოყალიბება.

ამიერკავკასიის სატრანსპორტო დერეფნის ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოთხი ქვეყნის — აზერბაიჯანის, თურქეთის, საქართველოს და უზბეკეთის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი სერაქსის (1996 წ.) ხელშეკრულებას, რომელსაც შემდგომში შეუერთდნენ ბულგარეთი და ყირგიზეთი. საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკის ამოცანას წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მოქმედების არეალის გაფართოება, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის მიმართულებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი ქვეყნის — ჩინეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის ხელშეკრულებით შექმნილი, ამ ქვეყნებში გამავალი უმოკლესი სარკინიგზო გზის გამოყენება და მისი დაკავშირება როგორც TRACECA-ს პროგრამასთან, ასევე სერაქსის ხელშეკრულებასთან. შესაბამისად, იქმნება გრანდიოზული სატრანსპორტო არეალი, რომელიც აღმოსავლეთიდან, ჩინეთის საზღვაო პორტებიდან, გავრცელდება ჩრდილოეთ ევროპის საზღვაო პორტამდე (ამსტერდამამდე). ამგვარ პირობებში საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში ჩართვა ადეკვატურ ინსტიტუციურ მოწყობას მოითხოვს, რაც ქვეყნის გეოპოლიტიკური პოტენციალის რეალური ათვისების საიმედო გარანტიას შექმნის. ამისათვის კი სპეციალურად დასამუშავებელია კვალიფიციური კადრების მომზადების პროგრამა.

ევრაზიის სატრანსპორტო მარშრუტები დასავლეთ-აღმოსავლეთ მიმართულებასთან ერთად მოიცავს ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებასაც. საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს ამ მიმართულებით სატრანსპორტო დერეფნის ჩამოყალიბებისთვის. დღეისათვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს საქართველოდან ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ მიმართული ტრასები. საქართველოს შეუძლია მოახდინოს ამ მიმართულებების ინტეგრირება ჩრდილოეთისა და სამხრეთის შემაერთებელ დერეფანში, მისი დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გამოყენებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით რუსეთთან, როგორც ამიერკავკასიაში პოლიტიკური დარეგულირებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ქვეყანასთან, სატრანსპორტო ურთიერთობის ზრდის პოლიტიკურ ასპექტს. აღსანიშნავია, რომ არსებობს რეგიონში ამგვარი დერეფნის განვითარების პერსპექტივის განსხვავებული ხედვები. საქართველოს, არსებული პოტენციალის საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოსაყენებლად, დასჭირდება მოქნილი პოლიტიკის გატარება. ჩრდილოეთ-

სამხრეთი მიმართულების დერეფნის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივას ქმნის საქართველოს მონაწილეობა გაეროს ეკონომიკური კომისიის ისეთ პროექტებში, როგორიც არის ტრანსევროპული ჩრდილო-სამხრეთული საავტომობილო მაგისტრალი და ტრანს-ევროპული ჩრდილო-სამხრეთული სარკინიგზო მაგისტრალი (TEM და TEN). ეს პროექტები ითვალისწინებს თანამედროვე საავტომობილო და სარკინიგზო ქსელის შექმნას, რომელიც დააკავშირებს ბალტიის, ადრიატიკის, ეგეოსისა და შავი ზღვის რეგიონებს.

საქართველოს მიერ სატრანსპორტო ფუნქციის შესრულება გულისხმობს არა მარტო სახმელეთო, არამედ საჰაერო დერეფნების განვითარებას. არსებული პოტენციალის გამოსაყენებლად საჭიროა საჰაერო-სანავიგაციო სისტემების რეაბილიტაცია და განვითარება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნების განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს ქმნის პროექტების განხორციელება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში; აგრეთვე აუცილებელია TRACECA-ს ქვეყნების და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობა და მათი მოქმედების კოორდინაცია.

საქართველოს სატრანსპორტო სისტემის საერთაშორისო სისტემაში ინტეგრირების უახლოესი მიმართულებებია:

- რეგულარული სარკინიგზო, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტვირთდამუშავების ტიპის გემებით შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში ტვირთგადაზიდვების უზრუნველყოფა;

- ევროპასთან დასაკავშირებლად სამდინარო ტრანსპორტის გამოყენება (დუნაი-რეინ-მაინის სისტემა) ტვირთების გადასაზიდად შავი ზღვის საქართველოს ნავსადგურებიდან (ე. წ. მდინარე-ზღვა პრინციპი);

- სამხრეთის (თურქეთი) მიმართულებით სარკინიგზო ხაზების განვითარება;

- საჰაერო დერეფნების განვითარება: (დასავლეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ-სამხრეთი მიმართულებით);

- საავტომობილო გზების განვითარება ჩრდილოეთის (რუსეთი) და სამხრეთის (თურქეთი) მიმართულებით;

- პოლიტიკური მოწესრიგების შემდეგ აფხაზეთზე გამავალ საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა.

TRACECA-ს პროექტის განხორციელება რეალურს ხდის საქართველოს, როგორც ევრაზიული დერეფნის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყნის ჩამოყალიბებას.

პროექტი სწორედ საქართველოს ტერიტორიიდან იწყება და ტრანსპორტის განვითარება, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი პრიორიტეტულია. ორ წელიწადზე მეტია გრძელდება შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნისათვის ევროკავშირისა და სხვა დონორების დახმარების პროგრამები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის გავლით ხორციელდება. დღეისათვის ევროკავშირს შემუშავებული აქვს ხუთწლიანი დახმარების პროგრამა, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია სათანადო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გარეშე.

TRACECA-ს თათბირის შედეგების მიხედვით, 2025 წლისათვის თეორიული გათვლიდან გამომდინარე, საქართველოს ნავსადგურებმა 180-200 მლნ. ტვირთი უნდა გადაამუშაონ, რაც დღეისათვის დაუჯერებლად შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომ

დღის წესრიგში დგება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ახალი უნივერსალური პორტების მშენებლობა.

აღსანიშნავია გაეროს ეკონომიკური კომისიის მხარდაჭერა საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში. ფართომასშტაბიანი გრძელვადიანი პროექტების ფარგლებში დახმარება გაეწევა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საავტომობილო და სარკინიგზო, აგრეთვე კომბინირებულ გადაზიდვებთან დაკავშირებული შეთანხმების განხორციელებას.

აღნიშნულ პროექტებში საქართველოს ჩართვის პროცედურა დაიწყო ჯერ კიდევ 1995 წელს. პროექტების მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ისინი ითვალისწინებენ ძირითადი სატრანსპორტო არტერიების მკვეთრ გაუმჯობესებას და სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციას. გამომდინარე საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობიდან, მისი ჩართვა აღნიშნულ პროექტებში დააჩქარებს საქართველოსათვის „ღირსეული სატრანზიტო ქვეყნის“ სტატუსის დამკვიდრებას.

ქვეყანაში დაგეგმილი* სატრანსპორტო-სატრანზიტო პროექტები დაკავშირებულია ბათუმისა და ფოთის პორტებთან და მათ მოდერნიზაციას ითვალისწინებს.

ერთი სიტყვით, პერსპექტივა საქართველოსათვის მართლაც მიმზიდველად გამოიყურება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ევროპიდან ცენტრალურ აზიამდე ამჟამად არსებულ სატრანსპორტო ქსელებთან შედარებით, TRACECA ყველაზე მოკლეა. მაგალითად, ცენტრალურ აზიიდან დასავლეთისაკენ მიმავალი გზა დაახლოებით 2000 კმ-ით მოკლეა რუსეთის გზასთან შედარებით. მარტო უზბეკეთს ყოველწლიურად 1.200.000 ტონა ბამბა გააქვს დასავლეთის ბაზარზე, აქედან 800.000 ტონა რუსეთის პორტებიდან (ილიჩოვსკი, ნახოდკა). 400.000 ტონა კი ბალტიისპირეთიდან (ლატვიის პორტიდან).

საქართველოს გავლით ბამბის ექსპორტირება უზბეკეთმა 1997 წლიდან დაიწყო. სხვა მაგისტრალებთან შედარებით, საქართველოს გზა ორნახევარჯერ მოკლეა და გაცილებით იაფი ჯდება. TRACECA-ს ამოქმედება რომ თავისთავად დიდი პერსპექტივის მქონეა საქართველოსათვის, ამას უმარტივესი ანალიზიც ცხადყოფს: დღეისათვის საქართველოს პორტებს შეუძლიათ წელიწადში 300.000 ტონა ბამბის გადაზიდვას მოემსახურონ, რაც საქართველოს ყოველწლიურად 9.000.000 დოლარის შემოსავალს მისცემს, უზბეკეთს კი — 12.000.000 დოლარის ეკონომიას. ეს რაც შეეხება მარტო უზბეკეთსა და მის ბამბას, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ცენტრალური აზიისა და სხვა ნედლეულით მდიდარი ქვეყნების გადაზიდვებსაც, აგრეთვე ჩინეთისა და ინდოჩინეთის მოზიდვის პერსპექტივას, თვით ასეთი ზედაპირული გაანგარიშებითაც კი ნათელი გახდება, რომ საქმის რიგიანად წარმართვის შემთხვევაში რა უდიდესი პერსპექტივები იშლება საქართველოს წინაშე. TRACECA რიგიანად მოასფალტებული გზებისა და თანამედროვე დონის სარკინიგზო ხაზებთან ერთად გულისხმობს სატრანზიტო დერეფნის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებასაც, ბენზინის ჩამომსხმელ სადგურებიდან დაწყებული უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სადისპეტჩერო პუნქტებით დამთავრებული. გზის მომსახურებას აგრეთვე სჭირდება ოპერატიულ-სარემონტო სამსახურები, სასადილოები, სასტუმროები და ა. შ. ყოველივე ეს საკმაო შანსს აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესს ახალ სივრცეში დასამკვიდრებლად, რაც

თავისთავად მოგვცემს ახალ სამუშაო ადგილებს და მოსახლეობის დასაქმებას სატრანზიტო დერეფნის მთელ არეალში. შესაბამისად, სატრანზიტო დერეფნის ამოქმედება გარკვეულწილად დაარეგულირებს რეგიონში მიგრაციულ პროცესებსაც.

სატრანზიტო დერეფანი საბიუჯეტო შემოსავლების უმნიშვნელოვანეს წყაროდ შეიძლება იქცეს, და ეს ასეც არის, რადგან თითოეული კილოგრამი ტვირთის გადაზიდვაც კი გარკვეულ საბაჟო გადასახადებს გულისხმობს და TRACECA-ს თუნდაც ნახევარი ძალით ამოქმედების შემთხვევაშიც კი, შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად ათეულ ათასობით ტონა ტვირთის გადაზიდვა. ეს მართლაც დიდი შემოსავლის წყაროა და მისი უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო იძულებული გახდება დიდი ყურადღება მიაქციოს საბაჟოების გამართულ მუშაობას, მათ უზრუნველყოფას თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად. აგრეთვე ფორსირებულად მოახდინოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღება და უზრუნველყოს ეფექტური კონტროლი, რაც ავტომატურად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავალს. ეს კი შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს მეტი რაოდენობით დააფინანსოს სოციალური დახმარების პროგრამები, გაზარდოს ხელფასები და პენსიები და დაურიგოს დროზე.

TRACECA-ს პროექტის განხორციელება თავისთავად მოითხოვს თანამედროვე ევროპული სტანდარტების მაღალკვალიფიცირებულ საკადრო პერსონალს. ევროგაერთიანების დახმარებით უკვე მუშავდება კონკრეტული პროგრამები ადგილობრივი კადრების მომზადების მიზნით. მსოფლიოში აპრობირებული საკონკურსო სისტემის მეშვეობით, საქართველოში ასე შესისწლხორცებული „ჩაწყობის“ შანსი მცირდება. აქ უკვე წინა პლანზე გამოდის ნიჭი, უნარი და შრომისმოყვარეობა. ყოველივე ეს მთლიანობაში განაპირობებს საქართველოში კვალიფიცირებული კადრების ზრდას და კონკურენტული გარემოს შექმნას.

აუცილებელია ითქვას ისიც, რომ თანამედროვე „აბრეშუმის დიდი გზის“ აღორძინების იდეა უკვე სცილდება წმინდა ეკონომიკურ პარამეტრებს და პოლიტიკურ განზომილებაში გადადის. იგი მართლაც შეიძლება გახდეს ის გზა, რომელიც რეგიონულ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს ურთიერთსასარგებლო ინტერესებამდე მიიყვანს და საერთო ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე კავკასიის გეოსტრატეგიული პოტენციალიც ახლებურად გაიხსნება.

ისევე, როგორც ნებისმიერი საქმის ზორცშესხმას თან. სდევს გარკვეული პრობლემები, TRACECA-ც ვერ იქნება ამ მხრივ გამონაკლისი. ამ პროექტის განხორციელებასაც ახლავს თავისი პრობლემები თუ უარყოფითი მხარეები. კერძოდ, რაოდენ პერსპექტიულიც არ უნდა იყოს TRACECA, თავისთავად აუცილებელია რეგიონული ურთიერთობების დარეგულირება, ურთიერთსასარგებლო ინტერესთა გამოკვეთა და კონკრეტული პრობლემების შემუშავება. ამ ინტერესთა საფუძველზე ვინც სატრანსპორტო დერეფნით ისარგებლებს, აინტერესებს მხოლოდ ერთი რამ: სწრაფად, იაფად და უსაფრთხოდ მიიტანოს ტვირთი. თუ ეს სამი პირობა არ იქნა უზრუნველყოფილი, მაშინ TRACECA-ს პროგრამა დადებით შედეგს ვერ მიაღწევს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური თვალსაზრისით, „აბრეშუმის დიდი გზის“ პროექტი ყველასათვის მომგებიანია, მაგრამ საერთო ინტერესების ეფექტურად განხორციელებისათვის ზოგიერთი კონკრეტული მექანიზმი ჯერ კიდევ უნდა შემუშავდეს, მაგალითად, ბალტიის ქვეყნების სატრანსპორტო და სატარიფო

სისტემებთან მიმართებაში, შეთანხმებული პოლიტიკა ტარდება: ერთიანი, ძალიან დაბალი ტარიფები, მარტივი საბაჟო ფორმალობები და ა. შ.

TRACECA-ს მონაწილე ქვეყნებს კი ამგვარ პარმონიამდე ბევრი უკლიათ. კერძოდ, შუა აზიის უკიდურესი წერტილიდან მომავალმა ტვირთმა 4-5 სახელმწიფოს ტერიტორია უნდა გაიაროს, თავისი სატარიფო სისტემებითა და ფორმალობებით. ამას ემატება მულტიმოდალური გადაზიდვები ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობებით — ხმელეთით კასპიის ზღვამდე, შემდეგ გემით ან ბორნით ბაქომდე, კვლავ ხმელეთი და მერე კვლავ ზღვა — გემით ან ბორნით. ამასობაში კი ჩრდილოეთით მომავალი ტვირთი 2-3 ქვეყნის ტერიტორიას კვეთს, რის შემდეგაც ევროპის საზღვრამდე მატარებელი გაუჩერებლად მიდის — რუსეთის ტერიტორიაზე ოთხლიანდაგიანი გზაა, სადაც მოძრაობა ჩვენს რკინიგზასთან შედარებით 2-3-ჯერ უფრო სწრაფია.

არსებობს ლოკალური ტიპის დაბრკოლებებიც. საქართველოს ტერიტორიაზე TRACECA-ს საყრდენი პუნქტია ფოთის პორტი, სადაც საკმაოდ რთული მდგომარეობაა, როგორც ტექნიკური ბაზის, ისე საფინანსო ეკონომიკური თვალსაზრისით, არადა, ევრაზიული დერეფნის ამოქმედება წარმოუდგენელია საზღვაო პორტების სრული დატვირთვის გარეშე. ამჯერად დამუშავების სტადიაშია TRACECA-ს ხაზით შედგენილი პროექტი, „საქართველოს ნავსადგურების — ბათუმისა და ფოთის ტერმინალებში ახალი ობიექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და მათი კავშირები ევროპის „სატრანსპორტო ქსელთან“; გარდა ამისა, ფოთის პორტის პრივატიზაციის საკითხებზე აქტიურად მუშაობს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USID). ნავსადგურში დაწყებულია სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანში მოსალოდნელი ტვირთბრუნვის სათანადოდ მომსახურებისა და ტვირთების გადამუშავების მაღალი ინტენსიურობის უზრუნველყოფისათვის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნავთობის შეუფერხებლად გატარებისათვის.

ასევე მძიმე სურათია სატარიფო სისტემაშიც: მაგალითად, დღეს 20-დან 40 ტონამდე ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილი საქართველოში შესვლისათვის იხდის შემდეგ გადასახადებს:

საგზაო ფონდი — 285 ლარი;

ეკოლოგიის გადასახადი — 78 ლარი;

ვეტერინალური გადასახადი — 55 ლარი;

ტვირთზე სატრანზიტო ბეგარა — 130 ლარი.

ყოველივე ამას ემატება კარანტინისა და მრავალი სხვა სამსახურის ტარიფი ტვირთების სახეობის მიხედვით. თუ საერთაშორისო ტარიფებით მანქანით ტვირთის გადაზიდვა კილომეტრი დაახლოებით 1-1,2 დოლარი ჯდება, ჩვენთან — 2-2,2 დოლარია.

ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობების დასაძლევად უკვე იგეგმება გარკვეული ნაბიჯები და რეალური ზომებიც არის გატარებული. კერძოდ, საქართველოს, თურქმენეთისა და აზერბაიჯანის მიერ 1996 წელს ხელმოწერილ იქნა „სერაქსის“ ხელშეკრულება რომელიც ითვალისწინებს ტვირთის დაუბრკოლებლად გატარების ხელშეწყობას და სატარიფო პოლიტიკის კოორდინირებას. ხელშეკრულების თანახმად, ახლანდელი გადასახადები 50%-ით უნდა შემცირდეს.

დღევანდელი ეპოქა — საკომუნიკაციო სისტემების და ინფორმაციის ეპოქაა,

ამიტომ დღეისათვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის ოპერატიული მიღება, გადამუშავება და გავრცელება ისეთივე აქტუალური საკითხია, როგორც თავის დროზე წარმოების მექანიზაცია იყო. აქედან გამომდინარე, შექმნილია პროექტი — „რეგიონალური ტვირთზიდვის პროგნოზირების მოდელი“, რომელსაც TACIS აფინანსებს.

პროექტი გულისხმობს თბილისში საინფორმაციო ცენტრის შექმნას, სადაც კომპიუტერებში შეინახება და აღინუსხება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რკინიგზაზე მოცემულ მომენტში რა ტვირთი სად იმყოფება. ასე რომ, „თანამედროვე აბრეშუმის დიდ გზას“ კარგი ინფორმატიული დაცვაც ექნება. TRACECA-ს წყალობით, აღმოსავლეთის და დასავლეთის გზები საქართველოში შეიყრებიან, ხოლო თუ საქართველო ევრაზიული დერეფნის არა მარტო გეოგრაფიული, არამედ საინფორმაციო კვანძადაც იქცა, ეს უკვე თავისთავად ნიშნავს მილიონობით ინვესტიციებს. უკვე ქვეყანაში მკვიდრდება იმის შეგნება, რომ „სატრანსპორტო სისტემა რეალურად შეიძლება გახდეს ქართული ეკონომიკის ლოკომოტივი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვინც სატრანსპორტო დერეფნით ისარგებლებს, აინტერესებს მხოლოდ ერთი რამ: სწრაფად, იაფად და უსაფრთხოდ მიიტანოს ტვირთი. ეს პირობა კი დამოკიდებულია რეგიონში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. TRACECA პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგებას, რადგან იგი TRACECA-ს განხორციელებაში მონაწილე ქვეყნების ინტერესების სფეროში შედის.

მაშასადამე, TRACECA-ს პროგრამას უაღრესად დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.



შინაარსი

ლიტერატურული აჭარა №8

პოეზია. პროზა

1. ჯემალ ჯაყელი — მე ჟამთაბერი ვბრძანებ, რამეთუ...
(ისტორიული ბალადა) ----- 3
2. გენრიეტა ქუთათელაძე — მზის სავალდებულო (ლექსები პროზად) --- 17
3. ანზორ კუდბა — აპოკალიფსი (რომანი) ----- 21
4. ჟუჟუნა შაინიძე — ციკლიდან „ზღვის სონეტები“ ----- 75
5. ბელა ქებურია — ლექსები ----- 78
6. ნონა ვარაზაშვილი — ლექსები ----- 83

კრიტიკა. პუბლიცისტიკა

1. იური ბიბილეშვილი — აჭარაში გაცოცხლებული მხატვრული სიტყვა --- 85
2. ტიტე ხინთიბიძე — მხატვრული თარგმანი შემოქმედება. --- 98

ისტორია

9. ბიჭიკო ღიასაძიძე — ერთიანი ქართული ეკლესია —
ქვეყნის გაერთიანების საფუძველი. ----- 105
10. სიმონ გოგიტიძე — წერილობითი წყაროები ებრაელთა
საქართველოში მოსავლისა და დამკვიდრების შესახებ. ----- 113

ნარილუბი

11. მურმან ცეცხლაძე — საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენციალი და
TRACECA სავაჭროზონისა და რეგიონალური მნიშვნელობა. --- 118

